

ფრიდრიხ ღიურენშეიტი

ბერძენი ეძებს ბერძენს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოველია კროზად

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

I

ბადაუღებლად წვიმდა. წვიმდა ყოველ ცისმარე დღეს, ყოველ ღამე, კვირიდან კვირამდე. სველ ქუჩებს, გამზირებსა და სკვერებს ლაპლაპი გაჰქონდათ. ტროტუარების გასწვრივ რუები მოდგაფუნობდნენ, აქა-იქ პატარა დელეებად და ნაკადულებად ქცეულიყვნენ წვიმის ჩქერები. წყლის მორევში უმწეოდ დაცურავდნენ გეზდაკარგული მანქანები. იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ თავით ფეხებამდე გალუმპული გამვლელები. ზოგს ქოლგისათვის შეეფარებინათ თავი, ზოგიც საწვიმარში გახვეულიყო. ნესტსა და სისველეს გაეყდინათ ყველაფერი. სასტუმროებისა და სასახლეების აივნებს შეყუდებულ კარიატიდებს, შენობათა ფასადებზე გამოქანდაკებულ აფროდიტეებსა და ამურებს წურწურით ჩამოსდიოდა წყალი და ჩიტის დამბალ სკინტლს ერეოდა. მტრედები პარლამენტის ბერძნულ ფრონტონზე შეყუჟულიყვნენ, ცდილობდნენ ბარელიეფზე გამოკვეთილი ფეხებისა და სხეულებისათვის შეეფარებინათ თავი. დაწყევლილი იანვარი იდგა! წვიმა გადაიღებდა თუ არა, უმაღ ნისლის საბურველში ეხვეოდა ყველაფერი, და ასე იყო ყოველ ცისმარე დღეს, კვირიდან კვირამდე. მერე გრიპის ეპიდემიამაც იფეთქა. სიკვდილმა მაშინვე ხიდქვეშ შეყუჟულ უსახლკარო მაწანწალებს ჩამოუარა ცელით და ფარა-ფარა მიაწვინა. ფულიან ხალხს ავადმყოფობა ეგრე რიგად არ ეტანებოდა, თუმცა ერთ-ორ კაი შეძლებულ დეიდასა და ბიძას მაინც გაატანა წერილი მიქელ-გაბრიელთან.

წვიმის ღვართქაფს კი არა და არ უჩანდა ბოლო.

ჩვენი გმირი გვარად არქილოქოსი გახლდათ.

— ღმერთო ჩემო, საცოდაობაა პირდაპირ, ეს რა სულელური სახელი დაურქმევიათ ამ კაცისთვის, — ვიშვიშებდა ხოლმე დახლს უკან მოფუსფუსე

ქალბატონი ბილერი, თან ქმარს აფრთხილებდა, სტუმრისთვის რძის მიერთ-
მევა არ დაგავიწყდესო.

კვირაობით კეთილი დიასახლისი არქილოქოსს თითო ჭიქა პერიეთი უმას-
პინძლდებოდა.

ქალბატონ ბილერის მეუღლეს, გაძვალტყავებულ ოგიუსტს თავის დრო-
ზე პირველი ადგილიც კი გაენადდებინა Tour de Suisse¹-ის ცნობილ ველო-
გადარბენაში, Tour de France²-ის ლეგენდარულ ველოკროსში კი მეორე
ადგილს დასჯერებოდა. ოგიუსტი მუშტრებს ველოჩემპიონის მაისურში გა-
მოწყობილი ემსახურებოდა ხოლმე (კაფეში თავისივე ძმაკაცები და სპორტის
გულშემატკივრები დაუდიოდნენ). ჰოდა, იგი არქილოქოსზე განსაკუთრებული
აზრისა გახლდათ. დილაობით საწოლში ნებივრად გაშობილი, ცოლს საყვე-
დურობდა:

ვერ გამიგია, ჟორჟეტა, რითი მოინადირა მაგ კაცმა შენი გულიო. სალა-
მოობით კი, როცა მუშტრები წავიდ-წამოვიდოდნენ, ოგიუსტი ბანჯგვლიანი,
გაკნაჭული ფეხების გასათბობად ღუმელს მიეფიცებოდა და ისევ არქილო-
ქოსზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს. — შენი ვერაფერი გამიგია, ჟორჟეტა, — ეუბ-
ნებოდა ცოლს, — ნეტა რა მოგწონს მაგ არქილოქოსისა. ეგ ხომ კაცი არ
არის, ერთი დოყლაპია ვინმეა. განა შეიძლება ადამიანმა თავის სიცოცხლეში
რძისა და მინერალური წყლის მეტს არაფერს დააკაროს პირი?

— იქნებ დაგავიწყდა, რომ წინათ შენც სხვას არაფერს მიირთმევდი, —
შეეხმიანებოდა ქმარს დოინჯშემოყრილი ჟორჟეტა, ხოლო თუ ამ კამათის
დროს ლოგინში ნებივრობდა, ხელებს ნიშნისმოგებით დაირტყამდა ხოლმე
ბუმბერაზ მკერდზე.

საგონებელში ჩავარდნილი ოგიუსტი კარგა ხანს გამალებით ისრესდა
ბანჯგვლიან ფეხებს, მერე კი ამასლა ეტყოდა ცოლს:

— კი, ბატონო, გეთანხმები. მაგრამ მე რაღაცა მიზანი მამოძრავებდა
ცხოვრებაში. სიგიჟემდე მინდოდა პირველი ადგილი ამელო Tour de Suisse-
ის კროსში. მივალწიე კიდევ საწადელს, თუმცა ალბათ გახსოვს, რა ძნელი
იყო იმ უღელტეხილის გადალახვა. Tour de France-შიც კინალამ მე დამრჩია
პირველობა. მერწმუნე, ამის გულისათვის ღირდა მსხვერპლის გაღება. შენი
არ გამკვირვებია, ნეტა ვიღაც არქილოქოსს როგორ მაძარებ! აგერ უკვე ორ-
მოცდახუთი წლისაა, და ქალის გემო არ იცის, რა არის!

ეს ამბავი თავად ქალბატონ ბილერსაც საგონებელში აგდებდა. ძალიან
უხერხულად გრძნობდა თავს, როცა ღუმელს მიფიცებულ ან საწოლში მო-
კალათებულ ოგიუსტი ამ საჩოთირო საკითხს მიუბრუნდებოდა ხოლმე. რა
თქმა უნდა, იმას ვერ უარყოფდა კაცი, რომ ბატონი არნოლფი, — ასე მი-
მართავდა ჟორჟეტა არქილოქოსს, — ურყევი შეხედულებების პატრონი გახ-
ლდათ. მაგალითად, თამბაქოს არ ეწეოდა, უწმაწური სიტყვა ხომ არ წამოს-
ცდებოდა და არა; იაფფასიანი კოსტუმი კი ეცვა, მაგრამ ყოველთვის ისეთი
პეწიანი იყო და ისე წელგამართული დაიარებოდა, რომ ქალბატონ ბილერს
ძალიან უჭირდა იგი საღამურ პერანგში, და, მით უმეტეს, დედიშობილა წარ-
მოედგინა. არქილოქოსს სამყაროზე ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული

¹ შვეიცარიის გარშემო (ფრანგ.)

² საფრანგეთის გარშემო (ფრანგ.)

აზრი ჰქონდა. ეს იყო მთელი მსოფლწყობა, რასაც უმაღლესი ზნეობრიობის პრინციპები ედო საფუძვლად. ამ მსოფლწყობის გვირგვინი კი ქვეყნის პრეზიდენტი გახლდათ.

არქილოქოსი სასოებით შესცქეროდა ედელვაისების ჩარჩოში ჩასმულ პრეზიდენტის სურათს, არყისა და ლიქიორის ბოთლებით სავსე დახლს ზემოთ რომ ეკიდა, და მადამ ბილერს შეაგონებდა: ჩვენი პრეზიდენტისთანა იშვიათი პიროვნება აღბათ არ არსებობსო. განა შეიძლება წმინდანი არ უწოდო კაცს, ვინც მაგარ სასმელებს არ აკარებს პირს, თამბაქოს არ ეწევა და ქვეყანასაც ბრძნულად მართავსო. ეს ყველაფერი არქილოქოსმა გაზეთებიდან იცოდა.

ქალბატონი ბილერი ვერ ბედავდა არქილოქოსთან პრეზიდენტზე კამათს. ყველა თავისი თანამოქალაქის მსგავსად, ისიც გარკვეული მოწიწების გრძნობით იყო განმსჭვალული ამ ადამიანის მიმართ. სახელმწიფო ორომტრიალში, როცა მთავრობა მთავრობაზე იცვლება, პრეზიდენტი ხომ ერთადერთი საიმედო დასაყრდენია! დიახ, მოწიწება მოწიწებად, მაგრამ ქალბატონ ბილერს პრეზიდენტის ანგელოსისებურ უმწიკვლოებაში კი, ცოტა არ იყოს და, ეჭვი ეპარებოდა. ჟორჟეტას ერთი სიტყვაც კი არ სჯეროდა გაზეთებისა.

— კი, ბატონო, — ეტყოდა ხოლმე არქილოქოსს, — იმდენი წერონ, რამდენიც მოეპრიანებათ. ყველა ამბობს, გაზეთები ტყუიანო. ისე კი, კაცი ვერ გაარჩევს ტყუილსა და მართალს.

არქილოქოსი ამ დროს ყლუპა-ყლუპა მიირთმევდა პერიეს, ისე თავმომწონედ სვამდა, კაცი იფიქრებდა, შამპანურს მიირთმევსო. მერე გაოცებული ჰკითხავდა ჟორჟეტას, ოგიუსტს მაინც ხომ სჯერა გაზეთებისაო.

— როგორ გეკადრებათ, — ასავსავებდა ხელებს ქალბატონი ბილერი, — აბა, ოგიუსტის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის. ერთი სიტყვაც არა სწამს გაზეთებისა.

— ნუთუ ოგიუსტს სპორტული ქრონიკის სიმართლეშიც ეჭვი ეპარება? — არ ეშვებოდა ქალს არქილოქოსი.

ამ შეკითხვაზე მადამ ბილერი ფარ-ხმალს ყრიდა და დავაც მთავრდებოდა. მერე არქილოქოსი გულდაგულ გაწმენდდა თავის უჩარჩო, მორკალულ სათვალეს და განაგრძობდა, პატიოსნება ისეთი რამეა, გულითაც რომ უნდოდეს, ვერ დამალავს კაცი; ჩვენ პრეზიდენტსა და ეპისკოპოსს კი ორივეს პირისახეზე აწერია, რომ პატიოსანი ხალხიაო. ამას რომ ამბობდა არქილოქოსი, თან კარებს ზემოთ დაკიდებული ეპისკოპოსის სურათის ცქერით ტკებოდა.

ქალბატონი ბილერი ეპისკოპოსის უმწიკვლოებასაც ეჭვის თვალით უყურებდა და ამბობდა, ეს კაცი ისეა ჩაკურატებული, ძალიან მეეჭვება, მაღალი ზნეობის პატრონი იყოსო.

მაგრამ არქილოქოსთან ასეთ კამათში ვერას გახდებოდა კაცი. უბრალოდ აღნაგობა აქვს ასეთი და რა მაგისი ბრალიაო! ეგ რომ წესიერ და პატიოსან ცხოვრებას არ ეწეოდეს, უარესად გასუქდებოდაო, — კბილით იცავდა ეპისკოპოსს არნოლფი.

აი, შეხედეთ ფარკისის სურათს. ვითომ რატომ უნდა იყოს აქ გამოჭიმულიო, — საყვედურობდა არქილოქოსი ქალბატონ ბილერს, — ერთი თავაშვებული ვინმეა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ამასაც თავი დავანებოთ, პირწავარდნილი ცოდვების ბუდეა, თანაც ძალზე ამპარტავანი და პა-

ტივმოყვარეც გახლავთო,—და არქილოქოსი ცერით ზურგს უკან დაკიდებულ საკმაოდ ცნობილი მეამბოხის პორტრეტზე ანიშნებდა ხოლმე ქალბატონ ბილერს.

ქალბატონი ბილერი კი თავისას არ იშლიდა და პასუხობდა: აბა, ამ კაცს პატივმოყვარეობისა რა სცხია, შეხედეთ ერთი, რა აბუებული თმა აქვს. თანაც მისი სოციალური მრწამსის პატრონს განა შეიძლება კაცმა პატივმოყვარე უწოდოსო.

არქილოქოსი ფარკს თავისებურად პატივმოყვარე ადამიანად თვლიდა და სრულიად ზედმეტად მიაჩნდა ამ დემაგოგისა და ნაციხარის ასეთ საპატიო ადგილზე გამოჭიმვა. ქალბატონ ბილერს კი ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გააჩნდა.

— კაცმა არ იცის, როგორ შემოტრიალდება საქმე. პოლიტიკაში დიდი სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო, — და ქალბატონი ბილერი სულ-მოუთქმელად გადაყლურწავდა ხოლმე კამპარით სავსე ჭიქას.

მაგრამ მოდით, ეპისკოპოსის პორტრეტს დავუბრუნდეთ (ფარკსი სწორედ მის პირდაპირ ეკიდა). ეპისკოპოსს მეორე ადგილი ეკავა ბატონ არქილოქოსის მსოფლწყობაში.

მოგახსენებთ, რომ კედელზე გამოჭიმული ეპისკოპოსი კათოლიკე არ გახლდათ, ქალბატონი ბილერი კი თავგამოდებული კათოლიკე იყო. დროდა-დრო ეკლესიაშიც დადიოდა (როცა კი შემთხვევა ჩაუვარდებოდა ხელში), ლოცვის დროს გულამომჯდარმა იცოდა ტირილი (ზუსტად ასევე ღაბა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები კინოშიც).

თქვენ წარმოიდგინეთ, ეპისკოპოსი არც პროტესტანტი იყო. გერმანული შვეიცარიის (გროსაფოლტერნის) პირმშო ოგიუსტ ბილერი, ერთ-ერთი უდიდესი ველოგადარბენის გმირად რომ მოევლინა მსოფლიოს (იხ. 1929 წლის 9 სექტემბრის „სპორტი“), ცვინგლის¹ მომხრე იყო და პროტესტანტი ეპისკოპოსის გარდა რელიგიის სფეროში სხვა ავტორიტეტს არ სცნობდა (თავად კი აზრზე არ იყო, რომ მისი რწმენა ცვინგლისთან იღებდა სათავეს).

ერთი სიტყვით, ეპისკოპოსი არც კათოლიკე გახლდათ და არც პროტესტანტი. კაფეს კედლიდან კდემამოსილი ღიმილით წინარეუკანასკნელ ქრისტიანთა ძველი და ახალი პრესვიტერიანელების სულიერი მამა იმზირებოდა. ეს არეულ-დარეული რელიგიური სექტა ამერიკიდან შემოტანილი იდეებით იკვებებოდა.

სულ პირველად არქილოქოსი ჟორჟეტას წინაშე რომ წარსდგა, თავისი ეპისკოპოსის პორტრეტი ჰქონდა ამოღლიაფებული. ეს ცხრა თვის წინათ მოხდა. გარეთ მაისი იდგა. გაზაფხულის მზეს ერთიანად გაეკაშკაშებინა ქალაქი. მზის სხივები ირიბად იჭრებოდა პატარა კაფეში, ოგიუსტის ყვითელ მაისურს. მის უნიათო, ბანჯგვლიან ფეხებს ელამუნებოდა და თითქოს ნისლის საბურველში ხვევდა მათ.

— ქალბატონო! — მოწიწებით მიმართა არქილოქოსმა ბილერს, — პრეზიდენტის პორტრეტი შევნიშნე და სწორედ ამიტომ მოვაშურე თქვენს კა-

¹ ცვინგლი (1484—1531), შვეიცარიელი, ხაველესიო რეფორმატორი. ლუთერის მსგავსად, კათოლიციზმის წინააღმდეგ იბრძოდა. შემდგომ ცვინგლის მომხრეები კალვინისტურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ.

ფეს. მერედა რა თვალსაჩინო ადგილზე დაგიკიდიათ! პირდაპირ დახლს ზემოთ. მე პატრიოტი გახლავართ და ძალზე მახარებს ეს ამბავი. სწორედ ისეთ კაფეს ვეძებ, სადაც შემეძლება შინაურულად დავნაყრდე ხოლმე. კარგი იქნება, თუ სადმე კუთხეში მიმიჩინო მუდმივ ადგილს. მე ერთი მარტოხელა კაცი ვარ, ვმსახურობ ბუღალტრად, ვცდილობ ყაირათიანად ვიცხოვრო, სრულებით არ ვეტანები სპირტიან სასმელებს, არ ვეწევი და, თავისთავად ცხადია, არ ვხმარობ უწმაწურ სიტყვებს.

ფასზე მალე მორიდდნენ.

— ქალბატონო, — ისევ წამოიწყო არნოლფმა და ბილერს თავისი დამტვერილი, უშნო სათვალისა და ნაღვლიანი მზერა შეავლო, — ქალბატონო, ნება მიბოძეთ, ერთი რამ გთხოვოთ. კარგი იქნება თუ კედელზე წინარეუკანასკნელ ქრისტიანთა ძველი და ახალი პრესვიტერიანელების ეპისკოპოსის პორტრეტსაც დაჰკიდებთ, — და არქილოქოსმა მადამ ბილერს საზეიმოდ მიაწოდა ეპისკოპოსის პორტრეტი, — სასურველია, თუ მას პრეზიდენტის გვერდით მიუჩინო ადგილს. ეს პორტრეტი თუ არ მიკიდია წინ, ისე საჭმელს ვერ გეახლებით ხოლმე. სწორედ ამიტომ აღარ მოვიხდომე სიარული ხსნის არმიის სასადილოში, სადაც აქამდე ვსადილობდი.

ეპისკოპოსს დიდ პატივსაც ვცემ, რადგან სპირტიან სასმელებს არ ეტანება და მთელი თავისი საქციელით ჭეშმარიტი ქრისტიანის ნიმუშს წარმოადგენს ჩემთვის.

ასე დაკიდა ჟორჟეტამ კაფეში წინარეუკანასკნელ ქრისტიანთა ეპისკოპოსის პორტრეტი. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირსშესანიშნავი ადამიანი მისთვის არცთუ საკადრის ადგილას მოხვდა, კარებს ზემოთ მოყუჩებული, მაინც კმაყოფილი ჩანდა ბედისა და კეთილი ღიმილით გადმოსცქეროდა გარშემომყოფთ. მის ღირსებას დროდადრო ოგიუსტი თუ შელახავდა, როცა მცირერიცხოვან ცნობისმოყვარეებს მოკლედ ამცნობდა ეპისკოპოსის ვინაობას: გაიცანით, ჩემი კოლეგა გახლავთ სპორტშიო.

სამი კვირის შემდეგ არქილოქოსი ახალი პორტრეტით მოადგა კაფეს კარს. ხელში ფოტოსურათი ეჭირა ფაქსიმილეთი. ქალბატონ ბილერს მან მოწიწებით წარუდგინა თავისი მსოფლწყობის მორიგი კერპი, სამანქანათმშენებლო კონცერნის მეპატრონე — პტი-პეიზანი. თან ქალბატონ ბილერს შეაპარა, ხომ არ აჯობებდა, სურათი ფარკის ადგილზე დაგვეკიდაო, მაგრამ ქალბატონ ჟორჟეტას ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრებები აღმოაჩინდა.

— პტი-პეიზანი ხომ ტყვიამფრქვევებს უშვებს? — ჰკითხა არქილოქოსს.

— მერე რა მოხდა?

— ასევე ტანკებსაც, ხომ?

— არ მესმის, მაგით რის თქმა გინდათ?

— ატომურ ზარბაზნებსაც.

— ქალბატონო ბილერ, — უთხრა ქალს არქილოქოსმა, — ნუ დაგავიწყდებათ პტი-პეიზანის ელექტროსაპარსები და სამეანო მაშები. ეს ხომ ყველაზე ჰუმანური საგნებია.

— ბატონო არქილოქოს, — საზეიმოდ წარმოთქვა ჟორჟეტამ, — მინდა გაგაფრთხილოთ: ნურასოდეს ნუ დაიჭერთ საქმეს პტი-პეიზანთან.

— კი მაგრამ, მე ხომ მასთან ვმსახურობ.

ჟორჟეტას გაეცინა:

— რახან ასეა, გულახდილად მოგახსენებთ, რომ ტყუილუბრალოდ იჭყიპებით რძითა და მინერალური წყლით. ამოდ არ მიირთმევთ ხორცს (არქილოქოსი ვეგეტარიანელიც გახლდათ) და ქალებსაც ამოდ გაურბიხართ. პტი-პეიზანი სამხედრო დაკვეთებს ასრულებს, ხოლო როცა არმია იარაღით მარაგდება, ომი იწყება, ასე ყოფილა ოდითგან.

— როგორ გეკადრებათ, განა ჩვენი პრეზიდენტი დაუშვებს ამას?! — თავისას არ იშლიდა არქილოქოსი.

— მაშ რა გგონიათ! — არ უთმობდა ჟორჟეტა. არქილოქოსი კი დამშვიდებით უყვებოდა დიასახლისს ფეხმძიმე ქალთა სანატორიუმებზე და ხეიბარი მოხუცი მუშების თავშესაფრებზე, პტი-პეიზანს რომ აეშენებინა. მოკლედ, მან ქალს თავისი შეფი ძალზე სპეტაკ ადამიანად და ჭეშმარიტ ქრისტიანად დაუხატა.

მაგრამ ქალბატონი ბილერი თავისნათქვამა ქალი გახლდათ. ჰოდა, მოხდა ისე, რომ არქილოქოსის მსოფლწყობის პირველი ორი წარმომადგენლის შემდეგ კაფეში იმ ადამიანის სურათი გაჩნდა, ვისაც ამ მსოფლწყობის იერარქიულ კიბეზე ბოლო ადგილი ეკავა. ეს გახლდათ ანარქისტი ფარკსი, სანსალვადორში პოლიტიკური გადატრიალების ავან-ჩავანი და ბორნეოს ამბოხების მეთაური. არქილოქოსს არც მაშინ გაუღიმა ბედმა, როცა დიასახლისს თავისი მსოფლწყობის შემდეგი ნომერი გააცნო.

ერთ დღეს მან ქალბატონ ბილერს მორიგი, რიგით მეოთხე სურათი გადასცა და სთხოვა, თქვენი სურვილისდა მიხედვით სადმე ადგილი მიუჩინეთო, თუნდაც ფარკსის პორტრეტის ქვეშ. ამჯერად ეს რომელიღაც იაფფასიანი რეპროდუქცია გამოდგა.

— კი მაგრამ, ეს ვიღას ნათხაპნია? — ჰკითხა ჟორჟეტამ და გაოცებული დაამტერდა სამკუთხა ოთხკუთხედებსა და დაღრეცილ წრეებს.

— პასაპის ნახელავი გახლავთ.

თურმე ნუ იტყვით, არქილოქოსი ამ სახელგანთქმული მხატვრის თაყვანისმცემელიც ყოფილა. საგონებელში ჩავარდნილი ჟორჟეტა კი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა იყო გამოხატული სურათზე.

— აი, ეს არის ნამდვილი ცხოვრება, — უმტკიცებდა ქალს არქილოქოსი.

— კი მაგრამ, ქვევით რომ „ქაოსი“ აწერია, ეს რაღას ნიშნავს? — ჰკითხა ჟორჟეტამ და რეპროდუქციის ქვემო მარჯვენა კუთხეში აჩვენა. არქილოქოსმა თავი გააქნია.

— დიდი მხატვრები ყოველთვის ქვეცნობიერად ქმნიან, — მიუგო მან, — დარწმუნებული ვარ, ეს ტილოც ჭეშმარიტ ცხოვრებას ასახავს.

მაგრამ ჟორჟეტასათვის ყოველგვარი მტკიცება ამოდ გამოდგა. ამან ისე შეურაცხყო არქილოქოსი, რომ სამი დღე კაფეში აღარ გამოჩენილა. მერე კი მაინც მივიდა. ამიერიდან ქალბატონ ბილერს შესაძლებლობა მიეცა, სულ უფრო ახლოს დაკვირვებოდა არნოლფის ცხოვრებას, თუკი ამ წუთიწუთ გამოზომილი, უბადრუკი ყოფისათვის შეიძლებოდა ცხოვრება ეწოდებინა კაცს. მალე გამოირკვა, რომ არქილოქოსის ზნეობრივ მსოფლწყობაში კიდევ სხვა ნომრებიც არსებობდა — ხუთიდან რვით გათავებული.

მეხუთე ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს — ბობი ფორსტერ-მონროს ეჭირა, თუმცა იგი ძველი და ახალი პრესვიტერიანული რწმენი-

სა არ გახლდათ და მხოლოდ და მხოლოდ ძველი პრესვიტერიანელი იყო. ამა-ზე არქილოქოსს ფრიად სწყდებოდა გული.

საერთოდ, ბუნებით ეს კეთილი და დამთბობი კაცი რელიგიურ საკითხებში შეუწყნარებელი და მკაცრი იყო. შეეძლო საათობით ელაპარაკა სექტებს შორის არსებულ განსხვავებებზე (სხვა რელიგიებთან ერთად იგი გადაჭრით გამოხდა წინარეუკანასკნელ ქრისტიანთა ახალ პრესვიტერიანობასაც).

მეექვსე ადგილი ვეჩილ დიუტურს ეკავა. ოდესღაც იგი ერთ მკვლელს იცავდა თურმე. ბოროტმოქმედი ძველ და ახალ პრესვიტერიანელთა ეკლესიის მნათე იყო და მკვლელობასთან ერთად მცირეწლოვანთა გახრწნაც ედებოდა ბრალად. შემდეგში მას თავი მოჰკვეთეს. ჰოდა, ვეჩილს მაშინ უთქვამს თურმე: ხორცმა აცდუნა მნათეს სული, თორემ თვითონ ამ სულს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, უზენაესის წინაშე იგი უმწიკვლო წარსდგებაო.

მეშვიდე ნომრად უნივერსიტეტის რექტორი — ერკიულ ვაგნერი გადიოდა. არქილოქოსმა იგი როგორღაც წინარეუკანასკნელ ქრისტიანთა საერთო საცხოვრებელში ნახა, რომელსაც რექტორი სტუმრად სწევოდა. აქ რექტორი ხუთი წუთი ესაუბრა არქილოქოსის მსოფლწყობის მეორე ნომერს — ეპისკოპოსს.

მერვე ადგილზე არქილოქოსის ძმა — ბიბი იდგა. ეს გახლდათ ერთი საკმაოდ დიდბუნებოვანი, მაგრამ დღენიადაგ უმუშევარი კაცი. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა ყორყეტა, რადგან არნოლფისგან გაგონილი ჰქონდა, პტი-პეიზანის დაუღალავი მეცადინეობის წყალობით ადამიანთა მთელი მოდგმა რაღაცა საქმითაა დაკავებულიო.

არქილოქოსი ძველი სახლის სხვენზე, იქვე, „ოგიუსტთან“ ახლოს ცხოვრობდა (ასე ერქვა ველოჩემპიონის კაფეს). პტი-პეიზანის სამანქანათმშენებლო კონცერნის ადმინისტრაციულ შენობამდე მისვლას იგი საათზე მეტ ხანს ანდომებდა. ეს ოცსართულიანი უზარმაზარი ქათქათა ნაგებობა კორბიუზიეს ნახელავი გახლდათ.

არქილოქოსის სადგომი მეექვსე სართულის სხვენზე ისეთი ვიწრო იყო, თავი კუდს ვერ მოიქნევდა. მთელ ავეჯს სკამი, მაგიდა და საწოლი შეადგენდა. იქვე იდო ბიბლია. ხოლო გაცრეცილ კედელზე თეთრ შალითაში გახვეული საგარეო კოსტუმი ეკიდა. ყველაფერ ამას ოკრო-ბოკრო ჭერი აგვირგვინებდა.

სამაგიეროდ, კედლებზე გამოკრული სურათების გამოფენით შეგეძლოთ დამტკბარიყავით: პირველ რიგში პრეზიდენტი გამოჭიმულიყო, მის გვერდით ეპისკოპოსი, შემდეგ პტი-პეიზანი, პტი-პეიზანის შემდეგ პასაპის სურათის რეპროდუქცია (ოთხკუთხა სამკუთხედები) ეკიდა... სულ ბოლო ადგილი კი ბიბის საოჯახო სურათს ეკავა (ფოტოგრაფს მასზე ოჯახის მამა, მშობელი დედა და მათი ნაშიერები აღებეჭდა). ოთახის ფანჯრიდან საეჭვო წარმოშობის მოთეთრო, მოყვითალო და მოწითალო ლაქებით აჭრელებული საერთო საპირფარეშოს კედელი ჩანდა, საპირფარეშოს ღია ფანჯრებიდან განსაკუთრებული სიმძაფრით სცემდა გულისამრევი, აყროლებული სუნი.

არქილოქოსის სორომდე მხოლოდ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, ისიც შუადღის ჟამს თუ აღწევდა მზის სხივები; სამაგიეროდ ერთი წუთით არ წყდებოდა წყლის ჩხრიალი საპირფარეშოდან.

სამსახურში არქილოქოსი სხვა ორმოცდაათ ბუღალტერთან ერთად იჯდა

მინებით გადატიხრულ უზარმაზარ დარბაზში, ლაბირინთს რომ მოგაგონებდათ. ამ დარბაზში საკმაოდ ძნელი იყო გზის გაგნება და დიდის ვაი-ვაგლახით თუ გაივლიდა კაცი. სამეანო მაშების განყოფილება მერვე სართულზე იყო.

არქილოქოსს ნაცრისფერი სამუშაო ხალათი ეცვა. ყურს უკან ყოველთვის ფანქარი ჰქონდა გაჩრილი. დაწესებულების სასადილოში, სადაც დასაწყობებლად ჩადიოდა, ვერსად ნახავდით პრეზიდენტის და ეპისკოპოსის სურათებს. იქ მხოლოდ პტი-პეიზანის (მესამე ნომრის) პორტრეტი ეკიდა. ამის გამო ჩვენი გმირი თავს ძალზე უბედურად გრძნობდა.

კაცმა რომ თქვას, არქილოქოსი ბუღალტრადაც კი არ ირიცხებოდა. ამ დაწესებულებაში იგი მხოლოდ ბუღალტრის თანაშემწე იყო. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ იგი ბუღალტრის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. ერთი სიტყვით, არქილოქოსი ბუღალტრის ერთ-ერთი უკანასკნელი თანაშემწეთაგანი იყო, თუ ამ შემთხვევაში საერთოდ შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა „უკანასკნელი“, რადგან პტი-პეიზანის კონცერნში ბუღალტრის თანაშემწეთა რიცხვი პრაქტიკულად უსასრულოდ უახლოვდებოდა. მაგრამ ამ უმნიშვნელო, თითქმის ყველაზე დაბალ თანამდებობაზედაც კი არქილოქოსი იმდენს იღებდა, რომ თავის სოროზე გაცილებით უკეთესი ოთახის დაქირავება შეეძლო. ამ ნახევრად ბნელ, საპირფარეშოებით გარშემორტყმულ ჯურღმულს კი არქილოქოსი ბიბიმ მიაჯაჭვა.

2

ერთ მშვენიერ კვირა დღეს ქალბატონმა ბილერმა არქილოქოსის ზნეობრივი მსოფლწყობის მერვე ნომერი გაიცნო. არნოლფმა ძმა „ოგიუსტთან“ დაპატიჟა სადილად. ბიბი თავისი ორი უკანონო ცოლითა და კანონიერი მეუღლით მობრძანდა. ამ ამქარს უკან მათი შვიდი ნაშიერიც მოჰყვა. უფროსი ბიჭები თეოფილი და გოტლიბი უკვე ვაჟკაცობაზე სდებდნენ თავს. ცამეტი წლის მაგდა-მარიას სადილზე თავისი თაყვანისმცემელიც წამოეყვანა. თავად ბიბი ერთი ლოთი-შფოთი ვინმე გამოდგა. მისი კანონიერი მეუღლე ვილაც მეზღვაურის თანხლებით მობრძანდა. მეზღვაური, მთელი ოჯახი რომ „ბიბიკოს“ ეძახდა, ერთი თავზეხელაღებული ვინმე ჩანდა. მალე ისეთი ხორხოცი ატყდა, გაოცებისგან თვით ველოსპორტის მოყვარულებმაც კი პირი დააღეს. თეოფილი ტრაბახით იკლებდა იქაურობას, უკვე ციხეში ნაჯდომი ვარო; გოტლიბს ბანკის გაქურდვით მოჰქონდა თავი, მათიასი და სებასტიანი, — ეს თორმეტი და ცხრა წლის ლაწირაკები, — ფინურ დანებს ატრიალებდნენ ხელში, ხოლო ექვსი წლის ტყუპებმა, ჟან-კრისტოფმა და ჟან-დანიელმა არყის ბოთლისთვის კინალამ დახოცეს ერთმანეთი.

— ღმერთო, ეს რა ხალხი ყოფილა! — წამოიძახა შეძრწუნებულმა ჟორჟეტამ, როცა ავაზაკთა ბრბო გაუჩინარდა.

— რას იზამ, რძე არ შემრობიათ ტუჩებზე ჯერაც, — დაამშვიდა კაფეს დიასახლისი არქილოქოსმა და დანახარჯი გადაიხადა (თავისი თვიური ხელფასის ნახევარი).

— გამიგონეთ, — აღშფოთდა ქალბატონი ბილერი, — ნუთუ ვერა ხედავთ, რომ თქვენ ძმას ავაზაკთა ბრბო შემოუკრებია გარშემო, თქვენ კი ხელს უწყობთ და მთელ ხელფასსაც მაგათ აჭმევთ.

მაგრამ არქილოქოსს ამის თაობაზეც მტკიცე შეხედულებები ჰქონდა:

— ასეთ დროს ფესვებს უნდა შეხედოთ, ქალბატონო ბილერ, ფესვებს. ფესვები კი, როგორც ყველა ადამიანს, მათაც ჯანსაღი აქვთ. გარეგნობამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს კაცი. ჩემი ძმა, მისი მეუღლე და ბავშვები უკეთილშობილესი ქმნილებები არიან. მერწმუნეთ, მაგათი მთელი უბედურება ისაა, რომ ალღო ვერ აუღეს ამ ცოდვილ ქვეყანას.

ერთ კვირა დღეს არქილოქოსი კვლავ გამოცხადდა პატარა კაფეში. სალილეში წითელი ვარდი გაერჭო. ამჯერად მას სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა. ჟორჟეტაც მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. ყველაფერი ამ დაუსრულებელი წვიმის, ნისლის, სიცივის, გრიბის ეპიდემიისა და მუდამ სველი წინდების ბრალი იყო, ფეხზე გაშრობას რომ ვერ ასწრებდა. მკთხველმა უკვე იცის არქილოქოსის საცხოვრებელი პირობები. საბრალოს თვალზე რული არ ეკიდებოდა, რადგან საპირფარეშოდან დღენიადაგ მოისმოდა წყლის ჩხრიალი. ახლა ყველაფერი ეს ერთიმეორეს დაერთო და არქილოქოსი იძულებული გახდა ზოგიერთ რამეზე აზრი შეეცვალა. რაც უფრო მალა მიიწევდა წყალი ჩასადენ მილებში, მით უფრო თვინიერი და დამყოლი ხდებოდა იგი ქალბატონ ბილერთან საუბარში.

ახლა კაფეს დიასახლისი ხშირად ჩამოუგდებდა ხოლმე საუბარს არქილოქოსს მისთვის ფრიად საჩოთირო საკითხზე.

— უნდა დაქორწინდეთ, ბატონო არნოლფ, — ეუბნებოდა ჟორჟეტა, — აბა იმ სოროში ცხოვრებას განა ცხოვრება ჰქვია? ხომ არ შეიძლება მარტო ველოსპორტის გულშემატკივრების საზოგადოებაში იტრიალოს კაცმა. კულტურული ადამიანი ბრძანდებით და დამეთანხმებით, რომ თქვენთვის აუცილებელია ცოლი, მომვლელი.

— თქვენი მზრუნველობა სავსებით საკმარისია ჩემთვის, ქალბატონო ბილერ.

— კარგით ერთი, აბა რას ამბობთ. თუ ცოლს შეირთავთ, ყველაფერი შეიცვლება. მყუდრო ბუდე გექნებათ. აი, ნახავთ, რა კმაყოფილი იქნებით მერე.

ასე და ამრიგად, ქალბატონმა ბილერმა დიდი ვაი-ვაგლახით დასტყუათანხმობა არქილოქოსს, მოეთავსებინა საქორწინო განცხადება გაზეთ „ლესუარ“-ში. გახარებულმა ქალმა მაშინვე მოარბენინა ქალაღი და საწერკალამი.

— ვარ 45 წლის, უცოლო, ძველი და ახალი პრესვიტერიანელი, პროფესიით ბუღალტერი, ბუნებით კეთილი და გულისხმიერი ვარ. ვეძებ ქალს, ასევე ძველ და ახალ პრესვიტერიანელს, — სხაპასხუპით უკარნახა მადამ ბილერმა.

— არა, ეს მეტისმეტია, — თქვა არქილოქოსმა, — საკუთარ ცოლს მაგარი კაცი თვითონ მოაქცევს თავის რჯულზე.

ჟორჟეტა ამაზე სასწრაფოდ დაეთანხმა და სასწრაფოდვე განაგრძო: „ვეძებ ჩემივე ასაკის ლამაზ, მხიარულ ქალს. შეიძლება ქვრივიც იყოს“.

არქილოქოსმა ქალბატონ ბილერს მოულოდნელად განუცხადა, ჩემი ცოლი აუცილებლად ქალწული უნდა იყოსო.

ახლა კი შეიცხადა ჟორჟეტამ.

— ბატონო არქილოქოს, ეგ აზრი ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდეთ თავიდან: აბა წარმოიდგინეთ: თქვენს სიცოცხლეში ქალთან არ გიცხოვრიათ.

ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არა გაქვთ. ორი ადამიანიდან ერთ-ერთმა ხომ მაინც უნდა იცოდეს, როგორ კეთდება ეს.

ბატონმა არნოლფმა გამბედაობა მოიკრიბა და ჟორჟეტას გაანდო, ამ განცხადების შინაარსი სულ სხვანაირად მქონდაო წარმოადგენილი.

— სახელდობრ როგორ?

— ბერძენი ეძებს ბერძენს!

— დიდება შენდა უფალო, განა თქვენ ბერძენი ხართ? — ქალბატონი ბილერი გაოცებით მიაჩერდა არქილოქოსს. იგი უფრო ჩრდილოური ყაიდის, ოდნავ ჩასუქებული, მოუხეშავი მამაკაცი იყო.

— ქალბატონო ბილერ, ახლა მართლაცდა ძნელადღა დაიჯერებს კაცი, რომ ბერძენი ვარ, — მორცხვად თქვა არქილოქოსმა. — თქვენს ქვეყანაში ერთი ჩემი წინაპარი დიდი ხნის წინათ გადმოსახლდა, რათა ნანსთან ბრძოლაში კარლოს მამაციისთვის დაედო თავი. თქვენ მართალსა ბრძანებთ, მე არცთუ ძალიან ვგავარ ბერძენს. მაგრამ, ქალბატონო ბილერ, როცა ასეთი ნისლი ჩამოწვება, როცა ყინვა ძვალსა და რბილში ატანს, ან როცა ასე გაუთავებლად წვიმს, ჩემს გულს სამშობლო უხმობს მაშინ. არასოდეს ვყოფილვარ იქ, მაგრამ დღენიადაგ პელოპონესზე ვოცნებობ, სულ ვფიქრობ, ნეტავ თუ მეღირსება-მეთქი როდესმე მისი მოწითალო კლდეებისა და ლაჟვარდი ცის ხილვა (ეს ცნობები პელოპონესზე როგორღაც „მატჩში“ ამოვიკითხე). აი, რატომ მინდა, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ბერძენი ქალი შევირთო ცოლად, ამ უცხო ქვეყანაში ისიც ხომ ალბათ ჩემსავით ეულად გრძნობს თავს!

— ბატონო არქილოქოს, რა საოცრად პოეტური კაცი ბრძანებულხართ, — უთხრა გულაჩუყებულმა ჟორჟეტამ და ცრემლები მოიწმინდა.

და, პოი საოცრებავ, მესამე დღეს არქილოქოსს უკვე ხელთ ეპყრა პასუხი, — პელოპონესის ცასავით ცისფრად მოკამკამე, სუნამომოფრქვეული პაწია კონვერტი. ვინმე ქლოე სალონიკი ატყობინებდა, მეც მარტოხელა ვარ და თქვენთან შეხვედრა მწადიაო.

ჟორჟეტას რჩევით არქილოქოსმა წერილობითვე უპასუხა ქალს და შესთავაზა, კვირას, ამა და ამ იანვარს, ერთმანეთს „ოგიუსტთან“ შეხვედეთო. საცნობად საღილეში ორივეს წითელი ვარდი უნდა გაერჭო.

ამ დღეს არქილოქოსმა მუქი ლურჯი კოსტუმი ჩაიცვა, თავის დროზე კონფირმაციის დღისთვის რომ შეეკერა. დაბნეულობისაგან პალტო სახლში დარჩა, ღელავდა. ერთხანს უკან გაბრუნებაც კი გადაწყვიტა. უეცრად საშინლად მოუნდა ისევ შემძვრალიყო თავის უბადრუკ სადგომში, მაგრამ თავს ძალა დაატანა და გზა განაგრძო. ქუჩაში საშინელი ნისლი ჩამოწოლილიყო; არქილოქოსმა ძლივს იცნო კაფეს კარებთან ატყუებული ძმა. თავის სიცოცხლეში პირველად არ ესიამოვნა ძმასთან შეხვედრა.

— აბა, ჩემო ძმაო, დაყაჭე ფულები! — უთხრა ბიბიმ და გაშლილი ხელისგული ძმურად გაუშვირა, — მაგდა-მარიას უცილებლად სჭირდება ინგლისურში მეცადინეობა.

არქილოქოსი გაოცდა.

— ერთი ახალი, საკმაოდ სახარბიელო თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, მაგრამ ბიჭმა მხოლოდ ინგლისური იცის, — აუხსნა ბიბიმ ძმას. საღილეში წითელვარდგარჭობილმა არქილოქოსმა ბიბის ფული ჩაუთვალა.

ჟორჟეტა ნერვიულობისგან ადგილს ვერ პოულობდა. სამაგიეროდ, ოგი-

უსტი არ ღელავდა. კაფეში არავინ იყო. ასეთ დროს ოგიუსტს ღუმელთან ჯდომა სჩვეოდა. ახლაც ველომრბოლის მაისურში გამოწყობილი თბილად მოყუჩებულიყო და ტიტლიკანა ფეხებს ისრესდა.

ქალბატონი ბილერი დახლს უკან ფუსფუსებდა.

— ნეტავი როგორი ქალია, ცნობისმოყვარეობისაგან ლამის არის გავთავდე, — თქვა ჟორჟეტამ. — რატომღაც მგონია, ჩასუქებული უნდა იყოს, მაგრამ მიმზიდველი. იმედი ვიქონიოთ, რომ მაინცდამაინც ბებერი არ იქნება. ზედავთ, ასაკზე რომ არაფერს წერს! თუმცა მის ადგილზე ყველა ქალი ასე მოიქცეოდა.

გათოშილმა არქილოქოსმა დიასახლისს ცხელი რძე შეუკვეთა.

როცა ქლოე სალონიკი კაფეში შემოვიდა, არნოლფი რძის ორთქლით დაბინდულ სათვალეს წმენდდა. თავისი ბეცი თვალებით ჯერ ქალის პირისახე გაარჩია ბუნდოვნად, მერე სადღაც მის ქვევით ხასხასა წითელ წერტილს მოჰკრა თვალი. მისი ვარაუდით ეს ვარდი უნდა ყოფილიყო. კაფეში დასადგურებულ სამარისებურ სიჩუმეს არამცთუ ჭიქების წკარუნი, იქ მყოფთა სუნთქვაც კი აღარ არღვევდა. ამან იმდენად დააბნია არქილოქოსი, რომ სათვალე ვერა და ვერ მოირგო. ბოლოს, როგორც იქნა, დაიკოსა ცხვირზე, მაგრამ მაშინვე ისევ მოიხსნა და აღელვებულმა კვლავ მინებს დაუწყო წმენდა. ყოველივე ეს სწორედაც რომ დაუჯერებელი იყო. ამ ნისლიანსა და წვიმიან დღეს ერთ ციციქნა კაფეში ნამდვილი სასწაული მოხდა.

დიახ, ცხოვრობდა ამქვეყნად ერთი მარტოხელა გაფიჟვინებული, უგერგლო კეთილი კაცი. ბედმა სადღაც აყროლებულ სხვენზე შეაგდო. კეთილი კაცი რძისა და მინერალური წყლის მეტს არაფერს გეახლებოდათ. მსახურობდა ბუღალტრის თანაშემწედ. შიშისა და საკუთარი, ურყევი შეხედულებების სიმძიმისგან წელში გაზნეჟილს, დღენიადაგ სველი, დაგლეჯილი წინდები, დაჭმუჭნული პერანგი, მოკლე კოსტუმი და ძირგამოვარდნილი ფეხსაცმელი ეცვა. თავში კი, ეშმაკმა უწყის, რა აზრები უტრიალებდა. და აი, ამ კაცს ერთ დღეს სილამაზითა და სინარნარით შემკული გრძნეული არსება — ზღაპრიდან გადმოსული ფერიის სადარი პატარა ქალი გამოეცხადა. აბა, რა გასაკვირია, რომ ჟორჟეტას ენა ჩაუვარდა, ოგიუსტმა კი დარცხვენით შემალა ბანჯგვლიანი ფეხები ღუმელს უკან.

— ბატონი არქილოქოსი ბრძანდებით? — ჩუმად, გაუბედავად იკითხა ქალმა.

არქილოქოსი წამოდგა, მაგრამ კოსტუმის სახელო ფინჯანს გამოსდო და რძე მაგიდაზე დადებულ სათვალეზე გადაესხა. როდის-როდის, ვაი-ვაგლახით დაიკოსა ცხვირზე და მონუსხულივით შეაჩერდა ქლოე სალონიკის. სათვალის მინებზე რძე ღვარად ჩამოსდიოდა.

— ერთი ფინჯანი რძე კიდევ მომიტანეთ, — ესლა უთხრა ჟორჟეტას.

— ო, თუ შეიძლება, რძე ჩემთვისაც მოატანინეთ, — მომხიბლავი ღიმილით სთხოვა ქლოემ.

არქილოქოსი დაჯდა, მაგრამ ქალისთვის თვალი ვერ მოეცილებინა. სულითა და გულით უნდოდა შეეთავაზებინა მისთვის, დაბრძანდითო, მაგრამ ენა ვერ მოებრუნებინა. ყოველივე ეს მოვარდნილ ნიაღვარსა ჰგავდა, და საბრალო არქილოქოსი საშინლად დაბნეული ჩანდა. საქორწინო განცხადებაზე ხმა-კრინტის ამოღებას ვერა ბედავდა. დარცხვენილმა და დაბნეულმა სალი-

ლედან ვარდი გამოიძრო მხოლოდ. მოულოდნელად საშინელმა შიშმა აიტანა, გაიფიქრა, იმედგაცრუებული ქალი ან ახლა წამოდგება და წავა და ან ახლაო. არქილოქოსს თავი სიზმარში ეგონა. ქალის სილამაზე საოცარი უმწეობის გრძნობას ბადებდა მის არსებაში. დღევანდელი დღე მისთვის ნამდვილი სასწაული იყო, რის არსსაც იგი ვერაფრით ვერ ჩასწვდომოდა და იმის იმედიც კი არ ჰქონდა, რომ ეს ზმანება კიდევ რამდენსამე წუთს მაინც გაგრძელდებოდა. გრძნობდა, რომ გონჯი იყო და სასაცილოდ გამოიყურებოდა. უეცრად მთელი სიცხადით წარმოიდგინა მუშათა ჯურღმულები, თავისი ღარიბული სადგომი, ბუღალტრის თანაშემწის ერთფეროვანი ყოფა. ქალი არქილოქოსის პირდაპირ სკამზე ჩამოჯდა და დიდი შავი თვალები შეანათა.

— ო, ვერც კი ვიფიქრებდი, ასეთი კარგი თუ იქნებოდი, — უთხრა სიხარულისაგან სახეგაცისკროვნებულმა ქლოემ. — რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ, ბერძნებმა, ერთმანეთი ვიპოვეთ. ახლოს მოიწი, სათვალეზე რძე დაგსხმია, — ქალმა ფრთხილად მოხსნა არნოლფს სათვალე. არქილოქოსი ყურადღებით უცქერდა, როგორ სასოებით ორთქლავდა და წმენდდა ქალი მინებს.

— ქალბატონო სალონიკი, ალბათ მე აღარც კი ჩავითვლები ნამდვილ ბერძნად, — არქილოქოსს ისეთი მიმქრალი ხმა ჰქონდა, თითქოს საკუთარი სიკვდილის განაჩენს კითხულობსო, — ჩემი წინაპრები ხომ დიდი ხნის წინათ, კარლოს მამაცის დროს გადმოსახლდნენ აქ.

— რაც არ უნდა იყოს, ბერძენი მაინც ბერძენია, — გაიცინა ქლოემ და არქილოქოსს სათვალე გაუკეთა.

ოგიუსტმა ცხელი რძე დადგა მაგიდაზე.

— ქალბატონო სალონიკი, — ისევ დაიწყო არქილოქოსმა.

— უბრალოდ, ქლოე დამიძახე, — უთხრა ქალმა, — მოდი, შენობით ვილაპარაკოთ. ჩვენ ხომ დავქორწინდებით, ბერძენი რაკი ყოფილხარ, აუცილებლად გამოგყვები ცოლად. სულითა და გულით მინდა, რომ შენც ბედნიერი იყო!

არქილოქოსი გაწითლდა.

— ქლოე, ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში პირველად ველაპარაკები ქალს. ქალბატონი ბილერი ერთადერთი გამონაკლისია ამ მხრივ.

ქლოე დუმდა. ეტყობოდა, საკუთარ ფიქრებში იყო წასული. ორივენი უსიტყვოდ სვამდნენ ქაფქაფა რძეს.

ქლოე და არქილოქოსი კაფედან რომ გავიდნენ, ქალბატონმა ბილერმა ენა მხოლოდ მაშინლა მოაბრუნა სალაპარაკოდ.

— აი, მესმის ქალი! — წამოიძახა მან, — პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია. შეამჩნიე, როგორი სამაჯური და ძეწკვი ეკეთა! სულ ცოტა ასი ათასი ფრანკი მაინც ეღირება. ეტყობა, თბილ ადგილზეა მოყუჩებული. მერედა რა ქურქი ეცვა! არც კი ვიცი, რა ბეწვია. უკეთეს ცოლს სიზმარშიც ვერ ინატრებს კაცი.

— მერედა რა ახალგაზრდაა, — ვერ მოსულიყო გონს ოგიუსტი.

— აბა რას ამბობ, არცთუ ისე ახალგაზრდა უნდა იყოს, ოცდაათს გადაბიჯებული იქნება. მაგრამ ეტყობა, თავს უვლის. ალბათ ყოველ დღე მასაყებს იკეთებს.

— მასაჟებს მეც ვიკეთებდი, როცა Tour de Suisse-ს კროსში გამოსვლას ვაპირებდი, — თქვა ოგიუსტმა და ნაღვლიანად დახედა თავის გაკნაჭულ ფეხებს. — აუ, რა სუნამო ესხურაო, — ესლა ჩაიდუდუნა ბოლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქლოე და არქილოქოსი ქუჩაში იდგნენ. გადაუღებლად წვიმდა. ირგვლივ სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა.

არქილოქოსმა, როგორც იქნა, გაბედა ხმის ამოღება: სანაპიროზე, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის შენობის პირდაპირ ერთი იაფფასიანი რესტორანი მეგულება, იქ უალკოჰოლო სასმელებს ყიდიანო, უთხრა ქალს. საბრალო მთლად გათოშლილიყო თავის გაცრეცილ, დაპატარავებულ კოსტუმში.

— ხელკავი გამიკეთე, — შესთავაზა ქლოემ.

ბუღალტრის თანაშემწემ დაიმორცხვა. არ იცოდა, როგორ გადაედგა ეს უჩვეულო ნაბიჯი. დროდადრო გამბედაობას იკრებდა და ცერად გახედავდა ხოლმე ქალს, მის გვერდით მსუბუქად რომ მიარღვევდა სქელ ნისლს. ქლოეს შავ თმაზე მოვერცხლისფრო-მოცისფრო თავსაფარი მოეხვია, არქილოქოსი მოუხერხებლად ადგამდა ფეხებს, ის ხომ თავის სიცოცხლეში პირველად მიაბიჯებდა ქალის გვერდით! უხაროდა, ბურუსიანი ამინდი რომ იდგა. სამრეკლოს საათმა თერთმეტის ნახევარი დაჰკრა, ისინი ქალაქის გარეუბნის უკაცრიელ ქუჩებში დადიოდნენ, სველ ასფალტზე შენობები ირეკლებოდა. ქლოეს და არნოლფის ფეხის ხმა ყრუ ექოს გამოსცემდა, თითქოს მიწისქვეშა სასახლის თაღებქვეშ მიაბიჯებენო. ახლომახლო ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. უცებ სქელი ნისლის საფარიდან მათკენ მშიერი, ჭუჭყიანი, წვიმისგან გალუმპული ჭრელი სპანიელი გამოემართა. ძაღლს საცოდავად ჩამოეყარა ყურები და ენა გადმოეგდო. უნიათოდ ბუტავდნენ ქუჩის ლამპიონები. სიგნალის გამპული ღრიალით ჩაიქროლა ავტობუსმა. ეტყობოდა, ჩრდილოეთის ვაგზლისაკენ მიიჩქაროდა. არქილოქოსი ქალის თბილ ქურქს მიეკრა. საბრალო მთლად გაეოგნებინა უკაცრიელ ქუჩებს, დღევანდელ კვირა დღეს და ამინდს, ცდილობდა როგორმე შეფარებოდა ქალის პატარა წითელ ქოლგას.

ფეხშეწყობილად მიაბიჯებდნენ, რომ შეგეხედათ, იტყოდით, შეყვარებული წყვილიაო. ნისლში, სადღაც შორს, ხსნის არმიის წევრების გულისგამაწვრილებელი სიმღერა გაისმა. დროდადრო ხან ერთი, ხან მეორე შენობიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა საკვირაო მუსიკა. ტელევიზიით ბეთჰოვენის თუ შუბერტის რომელიღაც სიმფონიას გადმოსცემდნენ. საამო ჰანგებს ავტომობილების სიგნალების ყრუ ხმები ნთქავდა. არნოლფი და ქლოე მდინარისკენ დაეშვნენ. აქ ყველა ქუჩა ერთმანეთს ჰგავდა. ქუფრისფერი დასდებოდა ირგვლივ ყველაფერს, მხოლოდ აქა-იქ გაიკიაფებდა სინათლე. შემდეგ უსასრულოდ გრძელი ბულვარი გადაიჭიმა. თვალში გეცემოდათ შენობათა ფასადების მოსაწყენი ერთფეროვნება. ეჭვი აღარ იყო, ახლა ისინი გაკოტრებული ბანკირებისა და ფერგადასული კურტიზანი ქალების კვარტალში იმყოფებოდნენ. მათ სახლებს დორიული და კორინთული სვეტებიანი სადარბაზოები ჰქონდა, პირქუში აივნები და მაღალი ფანჯრები. ზოგი ფანჯარა განათებული იყო,

ზოგი კი გაეუქმებინათ და ამოექოლათ. ნისლსა და ბურუსში გახვეულ შენობებს რაღაც არაამქვეყნიური იერი დაჰკრავდა.

ქლოე თავისი ბავშვობის ამბავს ჰყვებოდა, ისეთივე არაჩვეულებრივი რომ იყო, როგორც თვითონ. ენის ბორძიკით, ხან კი დარცხვენითაც ლაპარაკობდა, მაგრამ არქილოქოსს ყველაზე დაუჯერებელი ამბებიც კი სარწმუნოდ ეჩვენებოდა. ყველაფერი, რასაც ის ახლა განიცდიდა, ზმანებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს.

ქლოე (როგორც თვითონ მოჰყვია) ადრე დაობლებულა. დაბადებულა ბერძნულ ოჯახში. მერე მშობლები კრეტადან გადასახლებულან, რადგან სუსხიან ზამთარში ბარაკში იყინებოდნენ თურმე. ქლოე მალე მარტოდმარტო დარჩენილა. მთელი დღეები ქალაქის ჯურღმულებში დაეხეტებოდა, იმ ჭრელი სპანიელივით ჭუჭყიანი და დაძინძილ-დაკონკილი. პოლიცია სდევნიდა. სუტენიორები საშველს არ აძლევდნენ. მოხეტიალე მსახიობებთან ერთად ათევდა თურმე ღამეს ცარიელ კასრებში ხიდქვეშ. დამფრთხალი ნადირივით ეშინოდა თურმე ყველაფრის. ერთ საღამოს კი ვიღაც არქეოლოგ ცოლქმარს პირდაპირ ქუჩიდან წაუყვანია შინ. მერე გოგონა სამონასტრო სკოლაში მიუბარებიათ. ხოლო როცა წამოზრდილა, თავის კეთილისმყოფელებს შინამოსამსახურედ დასდგომია. ამიერიდან ბოლო მოელო მის გაჭირვებას, აღარც შიშველ-ტიტველი დაიარებოდა და აღარც მშიერ-მწყურვალი. ერთი სიტყვით, მთელი ეს ამბავი ფრიად გულისამაჩუყებლად უღერდა.

— ვინ არის ეს არქეოლოგი ცოლქმარი? — ცოტა არ იყოს გაოცებით იკითხა არქილოქოსმა, მსგავსი რამ მას თავის სიცოცხლეში არ სმენოდა.

ქლოე სალონიკიმ აუხსნა, ისინი ცნობილი არქეოლოგები არიან და საბერძნეთში გათხრებს აწარმოებენო. ეს მათ აღმოაჩინეს ხავსით დაფარული, ძვირფასი ქანდაკებებით შემკული ოქროსსვეტებიანი ტაძარიო.

არქილოქოსი დააინტერესა ცოლქმრის ვინაობამ. ქლოე შეეყოყმანდა, ალბათ შესაფერ გვარს თუ იგონებდა. ბოლოს თქვა: — ჯილბერტ და ელიზაბეთ უიმენები გსმენია ოდესმე?

— ეს ის ცნობილი უიმენები ხომ არ არიან? — ჰკითხა არქილოქოსმა (სწორედ სულ ცოტა ხნის წინ „მატიში“ დაიბეჭდა სტატია უიმენებზე ფერადი ფოტოსურათით).

— სწორედ ისინი გახლავთ.

— მე მათ შესაფერის ადგილს მივუჩინ ჩემს ზნეობრივ მსოფლწყობაში. ისინი ალბათ მეცხრე-მეათე ადგილებს დაიკავებენ, თუმცა შესაძლოა მეექვსე-მეშვიდე ნომრადაც გაუშვას კაცმა. მაშინ ვექილი დიუტური და ბატონი რექტორი ცოტა უნდა შევიწროვდნენ. მათ მეცხრე-მეათე ადგილზე უნდა გადაინაცვლონ. მაგრამ აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ არც ეს ადგილები გახლავთ ნაკლებ საპატივცემულო, — თქვა არქილოქოსმა.

— როგორ, განა შენ საკუთარი მსოფლწყობაცა გაქვს? კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს? — ჰკითხა გაოცებულმა ქლოემ.

— ადამიანს ცხოვრებაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს რაღაც წმინდა, — დაიწყო არქილოქოსმა, — მისთვის აუცილებელია მისაბაძი ნიმუშები ზნეობის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მე მკვლევებისა და მაწანწალების წრე-

ში არ მიტრიალია, არც ჩემი ცხოვრების გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. მე და ჩემი ძმა ბიბი, ობოლთა თავშესაფარში გავიზარდეთ. — და არქილოქოსი საკუთარი ზნეობრივი მსოფლწყობის აღწერას შეუდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვიმამ გადაიღო და გამოიღარა, თუმცა ეს თავდაპირველად ვერც ერთ-მა ვერ შეამჩნია. ბურუსი თანდათან იფანტებოდა და ახლა ნისლის ნაფლეთები ზღაპრული მოჩვენებებით დაფარფატებდა ირგვლივ, ხან დრაკონის, ხანაც ბაჯბაჯა დათვების, ხან კი გოლიათის იერსახეებად ეფინებოდა სასახლეების, ბანკებისა და სახელმწიფო დაწესებულებებთანა შენობებს. მერე კი ერთმანეთში ითქვიფებოდა და ნელ-ნელა უჩინარდებოდა. აქა-იქ სქელ ნისლში, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც გაიკიაფებდა ხოლმე ცის სილურჯე — ეს პირველი შორეული მახარობელი გაზაფხულისა, რომლის მოსვლამდისაც ჯერ კიდევ დიდი დრო იყო. ცისფერი ლაქები თავდაპირველად ძალზე მქრქალად მოჩანდა, მაგრამ თანდათანობით უფრო ნათლად გამოიკვეთა და სიკაშკაშე მოემატა.

სველი ასფალტი საგულდაგულოდ ირეკლავდა შენობების, ქუჩის ლამპიონების, ძეგლებისა და ადამიანთა სილუეტებს. მოულოდნელად ყველა საგანმა არაჩვეულებრივად დახვეწილი ფორმა მიიღო და სინათლის სხივთა კონებში აკიაფდა.

არქილოქოსი და ქლოე სანაპიროზე პრეზიდენტის სასახლესთან იდგნენ. მღვრიე მდინარის აგორებულ ტალღებში ჟანგმოკიდებულ რკინის მოაჯირიან ხიდებქვეშ ცარიელი კარჭაპები მიცურავდნენ. პირში ჩიბუხგაჩრილი, გათოშილი კაპიტნები ბოლთასა სცემდნენ გემბანზე. აქა-იქ ბავშვის ჩვრები გამოეკიდათ გასაშრობად.

კვირა დღე იყო და ქუჩები სწრაფად ივსებოდა მოსეირნე ხალხით. საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმული შვილიშვილების თანხლებით დინჯად მოაბიჯებდნენ გამედიდურებული პაპები. სასეირნოდ გამოსული ოჯახები ტროტუარებზე მოლაშლაშებდნენ.

ეტყობოდა, ხალხი პრეზიდენტის მოლოდინში იყო. ქუჩაში იმდენი პოლიციელი, რეპორტიორი და ჟურნალისტი ირეოდა, რომ ტევა აღარ იყო. მალე სასახლის ეზოდან თეთრ რაშებშებმული ეტლი გამოგორდა. ეტლში პრეზიდენტი იჯდა. გვერდით ცხენზე ამხედრებული, ოქროს მუზარადიანი და თეთრი პლუმაჟებით დამშვენებული ლეიბგვარდიელები მოჰყვებოდნენ. ეტყობოდა, პრეზიდენტს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. ალბათ ან ობოლთა თავშესაფრის გახსნას უნდა დასწრებოდა, ან კიდევ ვინმესთვის მკერდზე ორდენი მიეზნია. ირგვლივ ფლოქვების თქარათქური ისმოდა. ბუკ-ნალარის ხმასა და „ვაშას“ შეძახილებს ლამის გაეყრუებინა არემარე. მოჩანდა ცაში ასროლილი ქუდები.

სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, საოცარი ამბავი მოხდა. ის-ის იყო პრეზიდენტის ეტლი ქლოეს და არქილოქოსს გაუსწორდა და თავისი ზნეობრივი მსოფლწყობის პირველ ნომერთან შეხვედრით გახარებული არნოლფი (იგი სწორედ ამ დროს უხსნიდა ქლოეს ამ მსოფლწყობის

არსს) თავის ჭალარაწვერებიან კერპს მიაშტერდა (ეტლის ოქროსფერი ჩარჩოთი შემოგარული პრეზიდენტი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ქალბატონ ბილერის სურათზე, პერნოთი და კამპარით სავსე ბოთლებს ზემოთ რომ ეკიდა), რომ პრეზიდენტმა ძველი ნაცნობივით დაუქნია ხელი არქილოქოსს. ეს მისალმება აშკარად მისი მისამართით იყო. ორ უღვაშა პოლიციელსაც აღარ დაუყოვნებია და მხედრულად გამოეჯგინა წინ ბერძენს.

— პრეზიდენტი მე მომესალმა, — წაილულლულა გაოგნებულმა არქილოქოსმა.

— მერედა რა არის ამაში საკვირველი, ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, რომ მოგსალმებოდა? — ჰკითხა ქლოე სალონიკიმ.

— მე ხომ ერთი რიგითი მოქალაქე ვარ!

— ის კი პრეზიდენტია, და ამრიგად თვითეული ჩვენთაგანის მზრუნველი მამა, — აუხსნა ქალმა ამ უჩვეულო ამბის მიზეზი.

დიდ დროს არ გაუვლია და ერთ სასწაულს მეორე დაერთო ზედ. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კვლავ საიდუმლოების ბურუსით იყო მოცული, არქილოქოსს მაინც უდიდესი სიამაყის გრძნობით აევსო გული.

ის-ის იყო არნოლფი თავისი ზნეობრივი მსოფლწყობის მეორე ნომერზე, ეპისკოპოსზე აპირებდა საუბრის დაწყებას. უნდოდა ქლოესთვის აეხსნა იმ ღრმა უფსკრულის წარმომშობი მიზეზები, რის გამოც ერთმანეთს გაეთიშნენ ძველ-ახალი და წინარეუკანასკნელ ქრისტიანთა ძველი პრესვიტერიანელები, შემდეგ კი უნდოდა მოკლედ შეხებოდა ახალ პრესვიტერიანელებს (ეს სამარცხვინო ლაქა გახლდათ პრესვიტერიანული ეკლესიისათვის), რომ აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა პტი-პეიზანი. თავისი მსოფლწყობის მესამე ნომერზე არქილოქოსს ჯერ ვერაფრის თქმა ვერ მოესწრო ქალისათვის.

პტი-პეიზანი, როგორც ეტყობა, ან საერთაშორისო ბანკიდან გამოვიდა, პრეზიდენტის სასახლიდან ხუთასიოდე მეტრით რომ იყო დაშორებული, ან-და ბანკის გვერდით მდებარე წმინდა ლუკას ტაძრიდან. სადად შეკერილი პალტო ეცვა, თავზე ცილინდრი ეხურა, თეთრი ჰალსტუხიც არ დავიწყებოდა, ერთი სიტყვით, თავით ფეხამდე გაწკეპილი მოდიოდა. მძლოლმა მოწიწებით გაუღო „როლს-როისის“ კარი. არნოლფმა სწორედ ამ დროს შეამჩნია პტი-პეიზანი. საშინლად დაიბნა. ეს ყველაფერი მისთვის უჩვეულო და მოულოდნელი იყო, რადგან სწორედ ამ დროს უხსნიდა ქლოეს თავისი ზნეობრივი მსოფლწყობის არსს. ფაბრიკანტი, რა თქმა უნდა, არ იცნობდა არქილოქოსს და არც შეიძლებოდა სცნობებოდა: არქილოქოსი ხომ მხოლოდ ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე იყო სამშობიარო მაშების განყოფილებაში. არქილოქოსმა მხნეობა მოიკრიბა და ქლოეს თითით ანიშნა ამ დიდ ადამიანზე. მისი სითამამისა და გამბედაობის პატრონს, რასაკვირველია, გულშიც არ გაუვლია, პტი-პეიზანს მისალმებოდა (განა მოკვდავნი ესალმებიან ღმერთს!). მართალია, არქილოქოსი ცოტა დაბნეული ჩანდა, მაგრამ შინაგანად თავს სავსებით მშვიდად გრძნობდა. დარწმუნებული იყო, რომ სრულიად შეუმჩნეველად ჩაუვლიდა გვერდით ამ თვალსაჩინო პიროვნებასა და ამ მხრივ არავითარი უხერხულობა არ მოელოდა.

მაგრამ სწორედ ამ დროს, ისევე როგორც პრეზიდენტონ შეხვედრისას, კიდევ ერთი გაუგებრობა მოხდა. პტი-პეიზანმა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მოიხადა ცილინდრი და თავაზიანად დაუკრა თავი ფერმიხდილ არქილოქოსს.

მერე თავისი ლიმუზინის რბილ სავარძელში ჩაესვენა, ერთხელ კიდევ დაიქ-
ნია ხელი და მანქანაც დაიძრა.

— ეს ხომ პტი-პეიზანი იყო! — ძლივს ამოღერდა არქილოქოსმა.

— მერედა რა მოხდა ისეთი?

— ის ხომ ჩემი ზნეობრივი მსოფლწყობის მესამე ნომერია!

— მერე რა?

— რა და ის, რომ პირადად მე მომესალმა!

— იმედია, შენ მოგესალმა.

— კი მაგრამ, მე ხომ მხოლოდ უმცროსი ბუღალტერი ვარ და ბუღალ-
ტერის დანარჩენ ორმოცდაათ თანაშემწესთან ერთად სამეანო მაშების გან-
ყოფილების მეორეხარისხოვან ქვეგანყოფილებაში ვმუშაობ.

— ეტყობა, ალლოიანი კაცია. ამიტომაც ღირსია ეკავოს მესამე ადგილი
შენს ზნეობრივ მსოფლწყობაში, — დაასკვნა ქლოემ.

ქალი საგონებელში ჩაეგდო არქილოქოსის გულუბრყვილობას და ვერ
დაეჯერებინა, რომ მისი საქმრო მართლა ვერ ჩასწვდებოდა მათ გარშემო
მომხდარი ამბების არსს. კვირა დღის სასწაულს კი, როგორც ეტყობოდა, ბო-
ლო არ უჩანდა. ზამთრის ეს საოცარი დღე თანდათან სინათლით ივსებოდა
და თბებოდა, ცას ლაჟვარდი ემატებოდა და რაღაც ზღაპრულ შეფერილობას
იღებდა. ამ უზარმაზარ ქალაქს ახლა თითქოს არქილოქოსისთვის მოეცალა და
მხოლოდ მას ესალმებოდა. ის კი მშვენიერ ბერძენ ქალთან გალაღებული მი-
აბიჯებდა თუჯის მოაჯირიან ხიდებზე და ნახევრად დანგრეულ სასახლეების
ძველისძველ პარკებში. არნოლფი წელში ამაყად გამართული მიდიოდა, ნაბი-
ჯი ქარივით მსუბუქი გახდომოდა, პირისახეზე შარავანდელი გადაჰფენოდა,
რადგან გრძნობდა: ახლა ის უბრალო უმცროსი ბუღალტერი კი არა, ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი პიროვნებათაგანი იყო. არქილოქოსი სწორედ რომ მე-
ცხრე ცაზე იყო ბედნიერებისაგან. კაფეებიდან და ავტობუსებიდან ხელს უქ-
ნევდნენ მოხდენილი ახალგაზრდა ყმაწვილები, მოწიწებით უკრავდნენ თავს
საფეთქლებშეჭადარავებული მამაკაცები. აი, ჯიპიდან ორდენებით მკერდდამ-
შვენებული ბელგიელი გენერალი გადმოვიდა; ეტყობოდა, ნატოს შტაბში მუ-
შაობდა. მან უმაღლ შენიშნა არქილოქოსი და თავი დაუქნია. ამერიკის ელჩი
ბობი ფორსტერ-მონრო სწორედ ამ დროს თავისი ორი შოტლანდიური ნაგა-
ზით ქუჩაში მოსეირნობდა. ჰოდა, მასაც დიდხანს არ დაუყოვნებია და აშკა-
რად არნოლფის მისამართით ისროლა: „ჰელო“.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის შენობის პირდა-
პირ, ეროვნულ მუზეუმსა და კრემატორიუმს შორის მდებარე უალკოჰოლო
სასმელების რესტორანთან არქილოქოსის ზნეობრივი მსოფლწყობის მეორე
ნომერი შემოხვდათ. ეპისკოპოსი მოზერი ცხოვრებაში გაცილებით უფრო ჩა-
სუქებული ჩანდა, ვიდრე ქალბატონ ბილერის პორტრეტზე. იგი არქილოქოსს
მიესალმა. მაგრამ ჩვენი გმირი ამ ამბავს სრულიადაც აღარ გაუკვირვებია.
ბერძენი ყოველთვის ესწრებოდა ეპისკოპოსის სააღდგომო ქადაგებებს, ჩად-
გებოდა ხოლმე დედაბრებს შორის, ფსალმუნებს რომ გალობდნენ და უსმენ-
და. მიუხედავად იმისა, რომ არქილოქოსი პირადად არ იცნობდა ეპისკოპოსს,
შესანიშნავად იცოდა მისი პირადი ცხოვრების წვრილმანები. ერთი ასჯერ
მაინც ჰქონდა გადაკითხული მრევლში გავრცელებული ამ დიდი ადამიანის
ცხოვრებისადმი მიძღვნილი ბროშურა.

ძველი და ახალი პრესვიტერიანული ეკლესიის სულიერი მამა ამჯერად, ცოტა არ იყოს და, შემცბარი ჩანდა. მან სწრაფად დაუქნია თავი არქილოქოსს და იქვე, ვიწრო მოსახვევში შეუხვია.

მერე არქილოქოსი და ქლოე უალკოპოლო სასმელების რესტორანში შევიდნენ. ფანჯარასთან ისხდნენ და მდინარეს გასცქეროდნენ. მეორე ნაპირზე ჯანბრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის შენობა მოჩანდა. ჯანბრთელობის მავანი ღვაწლმოსილი დამცველის ძეგლს, ამ შენობის წინ რომ აღემართათ, ფრთათეთრი თოლიები დაჰფარფატებდნენ.

არქილოქოსიცა და ქლოეც დაექანცა ხანგრძლივ სეირნობას, ნაზად ეფერებოდნენ ერთმანეთს ხელებზე და ჯერაც არ დაეკარებინათ პირი მორთმეული წვნიანისათვის.

რესტორნის მუშტრები უმთავრესად ძველი და ახალი პრესვიტერიანელები, მოხუცი შინაბერები და გამოჩერჩეტებული ბერბიჭები იყვნენ (ძველი პრესვიტერიანელები შედარებით იშვიათად სადილობდნენ აქ).

მეპატრონე თავგამოდებული კათოლიკე გახლდათ და ჯიუტად არ ჰკიდებდა თავის რესტორანში ეპისკოპოს მოზერის სურათს. უფრო მეტიც, პრეზიდენტის გვერდით მას კათოლიკე არქიეპისკოპოსის სურათი გამოეჭიმა.

5

მოგვიანებით არქილოქოსი და ქლოე ქალაქის ძველი პარკის მივარდნილ კუთხეში მოკალათდნენ ხავსმოკიდებული ქანდაკების ქვეშ. თუ გზამკვლევებსა და საქალაქო ცნობარებს დავუჯერებდით, ეს დაფნისისა და ქლოეს ქანდაკება უნდა ყოფილიყო. არქილოქოსი და ქლოე კი სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ ერთმანეთს, თან მეწამულისფერი მზის ცქერით ტკბებოდნენ, უზარმაზარი საჰაერო ბურთივით ზანტად რომ იძირებოდა ხეებს უკან. არქილოქოსს აქაც დიღის ამბით ესალმებოდნენ. ეს, ერთი შეხედვით, აქამდე შეუმჩნეველი, ფერმკრთალი, სათვალღიანი კაცი, ვისი არსებობაც სულ ცოტა ხნის წინ ველომოყვარულებისა და უმცროსი ბუღალტრების მეტმა არავინ იცოდა, მოულოდნელად მთელი ქალაქის ყველაზე ცნობილ პიროვნებად ქცეულიყო. კვირა დღის ზღაპარი გრძელდებოდა.

ქლოესა და არქილოქოსს კრიტიკოსთა გუნდით გარშემორტყმულმა მეოთხე ნომერმა — პასაჰმა ჩაუარა. ხელოვნების მესვეურთაგან ზოგი ფიქრებს წაეღო, ზოგი კი თვალეში შესციცინებდა ფერწერის დიდოსტატს, ვისაც ესეაა დაესრულებინა თავისი შემოქმედების სწორკუთხოვან-წრიულ-ჰიპერბოლოიდური პერიოდი და სამოცგრადუსიანი კუთხეების, ელიფსებისა და პარაბოლების წერაზე გადასულიყო. უკვე გავარდნილიყო ხმა, მხატვარმა ხელი აიღო წითელ და მწვანე ფერზე და ამჟამად თავის შედევრებს ცისფერი კობალტითა და ჟანგმიწით ქმნისო.

თანამედროვე ფერწერის დიდოსტატი უცნაური წყვილის დანახვაზე გაცეხებული შედგა და რაღაც ჩაიბურტყუნა, მერე არქილოქოსი თავით ფეხამდე აათვალღიერ-ჩაათვალღიერა, ძველი ნაცნობივით მიესალმა და ისე, რომ თამისი შეგონებები არ შეუწყვეტია, გზა განაგრძო. მხატვრისგან განსხვავებით არქილოქოსის ზნეობრივი მსოფლწყობის ყოფილი მეექვსე-მეშვიდე ნომრე-

ბი: ვეჭილი დიუტური დ ბატონი რექტორი თვალის ოდნავ შესამჩნევი ჩაკვრით დაკმაყოფილდნენ, რადგან თავიანთ წარმოსადგე მეუღლეებთან ერთად მოაბიჯებდნენ ხელკავით.

ახლა არქილოქოსი ქალს საკუთარ ამბავს უყვებოდა.

— ხელფასი არცთუ ისე დიდი მაქვს. სამუშაო ერთფერთვანია, სამეანო მაშებზე ვაგროვებ ზუსტ ცნობებს. ჩემი შეფი — ფიცე-ბულალტერი მკაცრი კაცია. გარდა ამისა, ჩემს ძმას ბიბის და მის შვილებსაც სჭირდებათ დახმარება. ერთი შეხედვით კაცმა შეიძლება მათზე იფიქროს, ველური და თავნება ხალხიაო, მაგრამ გული პატიოსანი აქვთ და ამიტომ ძალიან მიყვარს ყველა. ნელ-ნელა ფულს შევაგროვებთ და ოცი წლის შემდეგ საბერძნეთში წავალთ. ვეწვევით პელოპონესსა და კუნძულებს. ეს ჩემი სიყრმისდროინდელი ოცნებაა. ახლა კი, როცა წარმოვიდგენ, რომ ეს მოგზაურობა შენთან ერთად მომიხდება, სურვილი მიასკეცდება.

— მართლაც რომ ზღაპრული მოგზაურობა იქნება, — გაეხარდა ქალს.

— გემით წავალთ.

— „იულიათი“ გავემგზავროთ! — უთხრა ქლოემ, მაგრამ არქილოქოსი ვერ მიუხვდა ნათქვამს.

— ნუთუ არ იცი, ეს ყველაზე კეთილმოწყობილი გემია. ქალბატონი და ბატონი უიმენები ყოველთვის „იულიათი“ მგზავრობდნენ. — აუხსნა ქლოემ.

— ჰო, რა თქმა უნდა, — გაახსენდა არქილოქოსს, — „მატჩშიც“ ხომ წერდნენ ამაზე. მაგრამ „იულიას“ ჩვენი ჯიბე ვერ გასწვდება, ოცი წლის შემდეგ კი იგი ჯართადლა თუ გამოდგება. მოდი, სატვირთო გემით წავიდეთ, ეს გაცილებით იაფი დაჯდება.

არქილოქოსი ერთხანს აცქერდებოდა მიწაზე თეთრ ბოლქვებად გართხმულ რძისფერ ნისლს, მერე კი განაგრძო:

— ძალიან ხშირად ვფიქრობ საბერძნეთზე. ოცნებაში რომ წავალ, თითქოს ცხადლივ ვხედავ ნანგრევებად ქცეულ ტაძრებს, ზეთისხილის ბაღებს მიღმა აღმართულ მზით გაკაშკაშებულ მოწითალო კლდეებს. ჩვენს ქალაქში თავს ხშირად ძველ ბაბილონში გადახვეწილი იუდეველივით ეულად ვგრძნობ. მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს ცხოვრებაში. მინდა დიდი ხნის წინათ მიტოვებულ სამშობლოს დავუბრუნდე.

ნისლი ბამბის უზარმაზარ ფთილებად ჩამოწვა ხეებს მიღმა სანაპიროზე და შთანთქა კარჭაპები, ნელ-ნელა რომ მიცურავდნენ და არემარეს ახმიანებდნენ. მერე ტაატით ავიდა მალლა და იისფრად მოეფინა მიდამოს. როცა მზე თვალს მიეფარა, ყველაფერი უკვე თეთრ ბურუსში იყო გახვეული.

არქილოქოსმა ქლოე ბულვარამდე მიაცილა. აქ ცოლ-ქმარი უიმენები ცხოვრობდნენ. მაშინვე ეცნო მდიდარი არისტოკრატების რაიონი. გვერდით ჩაუარეს რკინის გისოსებით შემოღობილ დაბურულ პარკებს და მწვანეში ჩაფლულ ვილებს. ჭადრები, თელები, წიფლები და შავი ნაძვები აღმართულიყო მოვერცხლისფრო დაისის ფონზე, სქელი ნისლის საბურველში გახვეული მათი კენწეროები კი ცის უსასრულობას შერთვოდა.

ქლოე უზარმაზარ ქვის სვეტებიან ალაყაფთან შეჩერდა. თუჯის სხმულ კარებზე ანგელოსები, დელფინები, უცნაური ფორმის ფოთლები და ხვეულები იყო გამოყვანილი. ლამპიონის წითელი შუქი იფრქვევოდა ირგვლივ.

— მაშ ხვალ საღამოს შევხვდებით ერთმანეთს?

— ქლოე!

— როცა მოხვალ, ზარს ხომ დარეკავ? — ჰკითხა ქალმა და ძველებურ ჩამოსაკრავ ზარზე მიუთითა. — მაშ, ხვალ რვაზე, არა?

მოულოდნელად ქალმა ხელები გაშალა, უმცროს ბუღალტერს კისერზე შემოაჭდო და აკოცა ერთხელ, მეორედ, მესამედ.

— საბერძნეთში აუცილებლად წავალთ, — ჩასჩურჩულა ყურში, — აუცილებლად ვეწვევით ჩვენს ძველ სამშობლოს, და სულ მალე. იცოდე, უთუოდ „იულიათი“ წავალთ.

ქლოემ ალაცაფის კარი შეაღო და ხეებს მიღმა ნისლში გაუჩინარდა. მალე ისევ გამოჩნდა. არქილოქოსს ხელი დაუქნია და რაღაც საალერსო დაუძახა, — იფიქრებდით, ედემის ჩიტმა დაიჟღურტულაო, მერე კი პარკის სიღრმეში აღმართულ შენობას მიაშურა.

არქილოქოსმა მუშათა უბნისკენ გასწია. საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი. იმავე ქუჩებით ბრუნდებოდა, სულ ცოტა ხნის წინ ქლოესთან ერთად რომ გამოიარა. იგონებდა ამ ზღაპრული კვირა დღის ყოველ წუთს. ცოტა ხნით დაფნისისა და ქლოეს ქანდაკებასთან შეჩერდა, მერე უალკოპოლო სასმელების რესტორანს ჩაუარა, საიდანაც ის-ის იყო უკანასკნელი ძველი და ახალი პრესვიტერიანელი შინაბერები გამოდიოდნენ. ერთ-ერთი მათგანი არქილოქოსს მიესალმა, მერე შეჩერდა და იქვე ქუჩის კუთხეში დაუწყობლოდინი. არნოლფმა უკან მოიტოვა კრემატორიუმი, შემდეგ ეროვნული მუზეუმი და სანაპიროზე გავიდა. ნისლი კვლავ შესქელდა, მაგრამ ახლა წინანდებურად ჭუჭყის ფერი აღარ დაჰკრავდა, რძისფრად ბოლავდა. არქილოქოსს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ეს საოცარი ნისლი ვიღაცის უხილავ ხელს ოქროს სხივებით მოექარგა და ზედ წვრილი მოკიაფე ვარსკვლავები დაეხნია.

არქილოქოსი სასტუმრო „რიცს“ მიუახლოვდა. დიდებულ შესასვლელთან ორმეტრიანი ახმახი კარისკაცი იდგა. მწვანე სერთუკსა და წითელ შარვალში გამოწყობილს დიდი ვერცხლისფერი კვერთხი ეპყრა ხელთ. სწორედ ამ დროს სასტუმროდან გამოვიდნენ ჯილბერტ და ელიზაბეთ უიმენები, ცნობილი არქეოლოგები, რომლებსაც არქილოქოსი გაზეთებიდან იცნობდა.

მაშინვე იტყოდით, პირწავარდნილი ინგლისელები არიანო, ცოლი მამაკაცური შესახედაობის ქალი გახლდათ და შუაზე გაჭრილი ვაშლივით გავდა ქმარს.

ზუსტად ისეთივე თმის ვარცხნილობა ჰქონდა, ისეთივე პენსნე ეკეთა, ოღონდ ჯილბერტს წითური ულვაშები და კბილებში გაჩრილი მოკლე ჩიბუხი ამშვენებდა (შეიძლება ითქვას, რომ ეს ორად-ორი ნიშანი განასხვავებდა მას ცოლისგან).

არქილოქოსმა გამბედაობა მოიკრიბა.

— პატივცემულო ბატონო და ქალბატონო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ უღრმესი პატივისცემითა ვარ განმსჭვალული თქვენდამი.

— Well¹, — მიუგო მეცნიერმა და ცოტა არ იყოს გაოცებული შეაჩერდა მის წინ ატუზულ უმცროს ბუღალტერს, კონფირმაციის დროინდელი გაწყალებული კოსტუმი და ძირგამოგლეჯილი ფეხსაცმელი რომ ეცვა.

¹ აქ: დიახ, დიახ (ინგლ).

მისის ელიზაბეთიც გაკვირვებული შეჰყურებდა ცხვირზე პენსნედაკოსებულ არქილოქოსს.

— Well, — კვლავ გაიმეორა ბატონმა უიმენმა და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — Yes².

— ჩემს ზნეობრივ მსოფლწყობაში თქვენ და თქვენ მეუღლეს მიექცეს და მეშვიდე ადგილები გიკავიათ.

— Yes,

— თქვენ შეიფარეთ ბერძენი ქალი, — განაგრძო არქილოქოსმა.

— Well, — თქვა ბატონმა უიმენმა.

— მეც ბერძენი გახლავართ.

— ო... — თქვა ბატონმა უიმენმა და ჯიბიდან საფულე ამოიღო. არქილოქოსმა უარის ნიშნად ხელები გაასავსავა.

— არა და არა, ბატონო ჩემო, არავითარ შემთხვევაში, ძვირფასო ქალბატონო, — თქვა მან, — განა თვითონ ვერა ვგრძნობ, რომ ჩემი გარეგნობით მაინცდამაინც დიდ ნდობას ვერ ვიმსახურებ. საერთოდ, ალბათ ბერძენსაც არ ჩამოვგავარ. მაგრამ ვფიქრობ, პტი-პეიზანის სამანქანათმშენებლო კონცერნში მიღებული ხელფასი საკმარისი იქნება მყუდრო ოჯახის შესაქმნელად. შეგვიძლია შვილებიც ვიყოლიოთ. მაგრამ სამზე ან, ბევრი-ბევრი, ოთხ ბავშვზე მეტის ყოლის უფლებას თავს ვერ მივცემთ. გარდა ამისა, პტი-პეიზანის კონცერნს ისეთი მოწინავე დაწესებულება გააჩნია, როგორცაა სანატორიუმი მოსამსახურეთა ფეხმძიმე ცოლებისათვის.

— Well, — თქვა მისტერ უიმენმა და საფულე შეინახა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — დაემშვიდობა ცოლ-ქმარს არქილოქოსი, — ღმერთი იყოს თქვენი შემწე, აუცილებლად ვილოცებ თქვენთვის ძველ და ახალ პრესვიტერიანულ ეკლესიაში.

6

სახლის შესასვლელთან არქილოქოსს ბიბი ელოდებოდა ძმურად გამოწვდილი ხელისგულით.

— თეოფილმა სახელმწიფო ბანკის გაქურდვა მოინდომა, მაგრამ ფარაონებმა იყნოსეს, — ქურდულ ჟარგონზე ამცნო ბიბიმ ძმას ახალი ამბავი.

— მერე ჩემგან რას მოითხოვ?

— ბიჭმა სასწრაფოდ სამხრეთში უნდა მოუსვას, თორემ ამ საქმეს მაინცდამაინც კარგი სუნი არ უდის. ახლა კი ფული დაყაჭე, საშობაოდ დაგიბრუნებ.

არქილოქოსმა ფული ჩაუთვალა.

— დავიჯერო, ამაზე მეტი არ გემეტება? — აწუწუნდა იმედგაცრუებული ბიბი.

— მეტს ვერ მოგცემ, ბიბი, — მოუბოდიშა დარცხვენილმა არქილოქოსმა და თავისდა გასაკვირვად, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა დასძინა, — ნამდვილად არ შემიძლია მეტის მოცემა. ერთი ქალიშვილი დავპატიყე უბრალო

² დიახ. (ინგლ).

სადილზე და ერთ ბოთლ ყურძნის წვენზე რესტორანში, ოჯახის შექმნა გადა-
ვწყვიტე.

ბიბის ელდა ეცა.

— ნეტა რა თავში იხლი ოჯახს, — წამოიძახა აღშფოთებულმა, — მე ხომ
მაქვს ოჯახი, განა ეს არა კმარა?! ეგებ ფულიანი ვინმეა?

— არა.

— თავს რითი ირჩენს?

— შინამოსამსახურეობით.

— სადა დგას?

— სენ-პერის ბულვარზე, 12 ნომერში.

ბიბიმ გაოცებისაგან დაუსტვინა.

— ახლა წადი, ჩემო არნოლფ, და გამოიძინე. მაგრამ მანამდე ცოტა ფუ-
ლი კიდევ დამიმატე.

7

არქილოქოსი რის ვაი-ვაგლახით ავიდა მეექვსე სართულზე და თავის
სოროში შეძვრა. მაშინვე ტანთ გაიხადა და ლოგინზე მიწვა. ოთახში შმორის
სუნი ტრიალებდა. უნდოდა ფანჯარა გამოეღო, მაგრამ გადაიფიქრა. საპირ-
ფარეშოების სიახლოვეს ახლა უკვე ავადმყოფურად განიცდიდა. ოთახში ნა-
ხევრად ბნელოდა. გარედან წყლის განუწყვეტელი ჩხრიალი ისმოდა. მოპირ-
დაპირე სახლის ვიწრო ფანჯრებში ხან ერთგან, ხან მეორეგან გაიკიაფებდა
ხოლმე ელექტრონის სინათლე. არქილოქოსის ოთახის კედლებზე დროდა-
დრო კინოკადრებივით ნათლებოდნენ სურათები: პრეზიდენტს ბიბი სცვლი-
და თავისი ნაშიერებით, პასაპის რეპროდუქციის სამკუთხა-ოთხკუთხედებს
არნოლფის ზნეობრივი მსოფლწყობის მომდევნო ნომრები ენაცვლებოდნენ.
„ხვალისათვის უიმენების ფოტოსურათი უნდა ვიშოვო და ჩარჩოში ჩავას-
მევიწინო“, — გაიფიქრა არქილოქოსმა. ოთახში შეხუთული ჰაერი იდგა. არ-
ნოლფს სუნთქვა ეკვროდა. ძილზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ლოგინში ჩაწო-
ლამდე თავს ბედნიერად გრძნობდა, ახლა კი ათასი დარდი შემოაწვა გულზე:
ამ სოროში წარმოუდგენელია ქლოეს შემოყვანა, ოჯახის შექმნა, სამი ან
ოთხი ბავშვის გაზრდა. შეუძლებელია ყოველივე იმის განხორციელება, რა-
ზედაც გზაში ამდენი იოცნება. ახალ ბინას ფული სჭირდება, ფულის შოვნის
იმედი კი არსაიდან არა აქვს. უკანასკნელ კაპიკებს უთვლიდა ბიბის, და აი,
თავად ხელცარიელი დარჩა. ეს დანჯღრეული საწოლი, ეს ფეხმორყეული მა-
გიდა და მოფამფალებული სკამიც კი არაა მისი, არქილოქოსს მხოლოდ ნა-
ქირავეები აქვს ეს სორო ავეჯიანად.

მისი ზნეობრივი მსოფლწყობა, — აი, ის ერთადერთი ავლადიდება, რა-
შიც ვერავინ შეეცილება. არქილოქოსი შეაძრწუნა საკუთარმა სილატაკემ.
მშვენივრად ესმოდა, ქლოეს სილამაზესა და სინატიფეს მასავით ლამაზი და
ნატიფი ნივთები სჭირდებოდა.

არა, არქილოქოსი არ დაუშვებს, რომ ქლოემ კვლავ იწვნოს დუხჭირი
ცხოვრების სიმწარე. წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დღეები, როცა საბრალოს
ხიდქვეშ ცარიელ კასრებში ეძინა და სანაგვე ყუთებში იქექებოდა. სულ უფ-

რო და უფრო აუტანელი ხდებოდა არნოლფისთვის საპირფარეშოს ჩამონარეცხი წყლის ხმა. მტკიცედ გადაწყვიტა ახალ ბინაზე გადასვლა, მაგრამ როგორც კი დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეყვანა ეს განზრახვა სისრულეში, უმალ იგრძნო საკუთარი უილაჯობა. ვერავითარ გამოსავალს ვერ ხედავდა მდგომარეობიდან. გრძნობდა, რომ უზარმაზარი, უღმობელი ეშმაკის მანქანის ერთიბეწო ჭანჭიკად ქცეულიყო, ესმოდა, რომ დღეს თუ ხვალ ხელიდან გამოეცლებოდა ეს ბედნიერი შემთხვევა, განგებამ ასე მეხივით რომ დაატეხა თავს. მერე იგი სასოწარკვეთილი და არაქათგამოცლილი ელოდა გარიჟრაჟს. იმანაც აღარ დააყოვნა, და საბრალოს ჩამონარეცხი წყლის გაასკეცებული ხმაურით გამოეცხადა.

დილის 8 საათი იქნებოდა. წელიწადის ამ დროს კი გარეთ ჯერ ისევ ბნელა.

ორშაბათობით არქილოქოსი ჩვეულებისამებრ ბუღალტრების, მდივანი ქალებისა და ბუღალტრების თანაშემწეთა უზარმაზარ მდინარეს ერთოდა და პტი-პეიზანის სამანქანათმშენებლო კონცერნისაკენ მიეშურებოდა.

დღესაც ასევე მოედინებოდა ადამიანთა მდინარის ტალღები. არქილოქოსი კი ამ რუხი ნაკადის ერთი უჩინარი წვეთი იყო მხოლოდ, ნაკადისა, მეტროდან, სავტობუსებიდან, ტრამვაებიდან, ელექტრომატარებლებიდან რომ მოედინებოდა და ლამპიონების შუქით განათებული ფოლადისა და მინის კუბისებური შენობისაკენ მიემართებოდა.

შენობასთან ადამიანთა მდინარე პატარა შენაკადებად იყოფოდა, ხარისხდებოდა, ლიფტებითა და ესკალატორებით ზემო სართულებისკენ მიემართებოდა და დერეფნებსა და ოთახებში ინთქმებოდა. კონცერნის პირველ სართულზე სატანკო განყოფილება იყო მოთავსებული, მეორეზე — ატომური ზარბაზნებისა, მესამეზე — ტყვიამფრქვევებისა და ასე შემდეგ. ბრბოს შერთულმა არქილოქოსმა როგორც იქნა ააღწია მეშვიდე სართულამდე, სადაც ის სამეანო მაშების განყოფილების 122 სმ ქვეგანყოფილებაში მუშაობდა. უზარმაზარი დარბაზი მინით პატარ-პატარა ოთახებად დაეტიხრათ. არქილოქოსი ერთ-ერთ ასეთ ოთახში იჯდა. სამუშაოს დაწყებამდე მას სანჰიგიენის კაბინეტში უნდა შეეველო ყელის გამოსარეცხად და აბის მისაღებად (კუჭის გრიპი კვლავ მძვინვარებდა). ყველა ეს ღონისძიება თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდებოდა. გათოშილმა არქილოქოსმა თავის ოთახში შესვლისთანავე რუხი ფერის სამუშაო ხალათი გადაიცვა. საბრალო ვერა და ვერ გამოთბარიყო. ამ ზამთარს ასეთი ყინვა პირველად დაიჭირა. სიცხე პირდაპირ ძვალსა და რბილში ატანდა. ქუჩები სარკესავით მოიყინა. არქილოქოსი ჩქარობდა. რვას ერთი წუთილა აკლდა, ფირმა კი დაგვიანებას არავის აპატიებდა. (დრო ფულად ფასობს). იგი სწრაფად მიუჯდა მინა-ფოლადის მაგიდას, სადაც მის გარდა კიდევ ბუღალტრის სამი თანაშემწე მუშაობდა შემდეგი ნომრებით: ბთ 122 სმ 28, ბთ 122 სმ 29, ბთ 122 სმ 30.

არქილოქოსის სამუშაო ხალათზე ბთ 122 სმ 31 ნომერი მიეკერებინათ. მან საბეჭდ მანქანას შალითა გადააძრო და ჯერ ისევ გათოშილი თითებით ბეჭდვას შეუდგა.

უზარმაზარი საათის ისრები ზუსტად რვას უჩვენებდნენ. არქილოქოსს დღეს დილით უნდა ჩაებარებინა საანგარიშო მოხსენება ინეროდენის კანტონში სამეანო მაშებზე გაზრდილი მოთხოვნების თაობაზე. ასევე გულ-

მოდგინედ დაიწყო თავისი საქმიანობა ბუღალტრის სამმა თანაშემწემ. ყველა ისინი დანარჩენი ორმოცდაექვსი კოლეგის და ასობით და ათასობით ბუღალტრის მსგავსად კონცერნის შენობაში რვიდან ხუთ საათამდე უკაკუნებდნენ საბეჭდ მანქანას. შესვენების დროს კი საერთო სასადილოში ნაყრდებოდნენ. ასე და ამრიგად, პტი-პეიზანის კონცერნში ყველაფერი საათივით იყო აწყობილი. აქ ხშირად ნახავდით მინისტრებსა თუ უცხოელ სტუმრებს, ოთახიდან ოთახში დაფარფატებდნენ სათვალღიანი ჩინელები, აბრეშუმის ქსოვილებში გახვეულ მეუღლესთან ერთად დააბიჯებდნენ თვალეზაბინდული ინდუსები. ერთი სიტყვით, აქ შეხვდებოდით სოციალური პრობლემებით დაინტერესებულ ყველა ჯურის ხალხს.

ცხოვრებაში ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ კვირა დღის სასწაული ორშაბათსაც გრძელდება...

8

მოულოდნელად რეპროდუქტორში გამოაცხადეს, არქილოქოსს ქვეგანყოფილების ბუღალტერი ნომერი 121 სმ იძახებსო. ერთი წუთით ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ყველამ ერთდროულად შეწყვიტოს სუნთქვა. შეწყდა მანქანების გულისგამაწვრილებელი კაკუნი. ბერძენი წამოდგა, პირისახეზე მიტკლისფერი ედო. ნაბიჯი ეშლებოდა. გული კარგს არაფერს უქადდა. შტატების შემცირება მიდიოდა.

ბუღალტერი ბ 121 სმ არქილოქოსს თავის ბიუროში აღტაცებული შეეგება. აკანკალებულმა არქილოქოსმა ზღურბლს გადააბიჯა და სუნთქვა შეეკრა. მაგრამ უმალ გაახსენდა, რამდენი რამ სმენოდა ბუღალტრის ფიცხ ხასიათზე და ყველაფრისათვის შეემზადა.

— ბატონო არქილოქოს, — წამოიძახა ბ 121 სმ-მ, თან ბუღალტრის თანაშემწისაკენ გაემართა და ხელიც კი ჩამოართვა, — უნდა მოგახსენოთ, დიდი ხანია შევნიშნე თქვენი არაჩვეულებრივი ნიჭი.

— მადლობას მოგახსენებთ, — მიუგო ამ ქებით ისევ და ისევ საგონებელში ჩავარდნილმა არქილოქოსმა. მოულოდნელი სარმის გამოდების მოლოდინში მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

— უნდა მოგახსენოთ, — ღიმილით განაგრძობდა ეს ორმოცდაათ წელს გადაცილებული ტანდაბალი, ბეცი და მელოტი კაცუნა, თეთრი სამუშაო ხალათის სახელოებზე ნაცრისფერი სამკლავეები რომ წამოეცვა. — თქვენი საანგარიშო მოხსენება აპენცელ-ინეროდენის კანტონში სამეიანო მაშების დაწერვისა და გამოყენების თაობაზე სწორედ რომ სანიმუშოა, — ბუღალტერი გამწარებით ისრესდა ხელებს.

არქილოქოსმა მიუგო, ყოველივე ეს ძალზე მახარებსო, თუმცა გულის სიდრმეში კვლავინდებურად დარწმუნებული იყო, რომ ბუღალტრის ბოროტი დაცინვის მსხვერპლი გახდა და ეს გულითადობა მორიგ ვერაგობად ჩაუთვალა.

ბუღალტერმა ურწმუნო ქვეშევრდომს სკამი შესთავაზა და აღელვებულმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— თქვენი შესანიშნავი შრომების გაცნობის შემდეგ გადაწყვიტე გარკვეული ზომები მიმეღო.

— ეს ჩემთვის დიდი პატივი გახლავთ, — ენის ბორძიკით მიუგო არქილოქოსმა. ახლა კი ბულალტერმა არქილოქოსს იღუმალი ხმით გაანდო, თქვენთვის ვიცე-ბულალტრის ადგილს ვუმიზნებო.

— ეს-ესაა გადაუგზავნე განცხადება კადრების უფროსს, ვისაც ემორჩილება ჩვენი ქვეგანყოფილება.

არქილოქოსი მადლობის ნიშნად ფეხზე წამოდგა, მაგრამ ბულალტერმა შეაჩერა, კიდევ ერთ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთო. საბრალო ისეთი შეშინებული და დამფრთხალი ჩანდა, თითქოს არქილოქოსი კი არა, თვითონ ყოფილიყოს ბულალტრის თანაშემწე.

— კინალამ გადამავიწყდა, — დაიწყო ჩუმად ბულალტერმა, თან ცდილობდა საკუთარი ღირსების გრძნობა არ შელახოდა, — უფროს ბულალტერს ობ 9 სმ-ს დღეს დილითვე სურს ბატონი არქილოქოსის მიღება.

ბულალტერმა წითელი კუბოკრული ცხვირსახოცით მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი:

— დიახ, უფროსი ბულალტერი დაუყოვნებლივ მიგიღებთ, — განაგრძო მან. — დაბრძანდით, ძვირფასო მეგობარო, ჩვენს განკარგულებაში კიდევ რამდენიმე წუთია. უპირველეს ყოვლისა, ეცადეთ, გული გაიშაგროთ, არ ინერვიულოთ. აბა, თქვენ იცით, ყოჩაღად იყავით, მდგომარეობა შეიფერეთ.

— რასაკვირველია, შევეცდები, — მიუგო არქილოქოსმა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ბულალტერმა და საწერ მაგიდას მიუჯდა, — ღმერთო ჩემო, ბატონო არქილოქოს, ჩემო მეგობარო, — ხომ დამრთავთ ნების, გულითადი საუბრის დროს ასე მოგმართოთ, — მინდა დაიმახსოვროთ, გვარად რუმელი გახლავართ, ემილ რუმელი. აგერ უკვე ოცდაათი წელია პტიპეიზანის კონცერნში ვმუშაობ, და დღეს რომ ამბავი მოხდა, მსგავს რამეს ჯერ არ შევსწრებივარ. ისტორიას არ ახსოვს, რომ ასე ყველასაგან მოულოდნელად უფროს ბულალტერს თავისთან დაებარებინოს ბულალტრის თანაშემწე. ეს მთელ რევოლუციად უნდა ჩაითვალოს ჩვენს წოდებრივ იერარქიაში. ღმერთმანი, ლამის გული წამივიდეს, ჩემო ძვირფასო მეგობარო! თქვენს ნიჭსა და უნარში არასოდეს შემპარვია ეჭვი, მაგრამ აბა, თავად წარმოიდგინეთ! მე ხომ ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ დავლაპარაკებივარ ობერ-ბულალტერს! მარტოოდენ ამის გაფიქრებაზედაც კი წნორის ფურცელივითა ვტრთი. ობერ-ბულალტრებს, მოგეხსენებათ, მხოლოდ ვიცე-ობერ-ბულალტრებთან აქვთ ურთიერთობა. და აი, მოულოდნელად მომევიდინეთ თქვენ! თქვენ, ვისაც თავად ობერ-ბულალტერი გიძახებთ. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას თავისი საფუძველი და საიდუმლო მოსაზრებები გააჩნია. გული მიგრძნობს, დაგაწინაურებენ. სულ ადვილი შესაძლებელია, ჩემი ადგილიც კი დაიკავოთ (აქ ბ 121 სმ-მ ცრემლები მოიწმინდა). არც ის გამიკვირდება, თუ ვიცე-ობერ-ბულალტერი გახდებით. ამას წინათ ატომური ზარბაზნების განყოფილებაში მსგავსი ამბავი მოხდა: ერთ-ერთ ბულალტერს წილად ხვდა პატივი, ახლოს გაეცნო კადრების მთავარი განყოფილების უფროსის მეუღლე... არ იფიქროთ, თითქოს ამით თქვენ გადაგიკარით სიტყვა, ჩემო მეგობარო. კარგად ვიცი, ყველაფერს თქვენი სიყოჩაღის, კერძოდ კი აპენცელ-ინეროდენის კანტონზე დაწერილი საანგარიშო მოხსენების წყალობით მიაღწიეთ. და კიდევ ერთი

რამ, ჩემო მეგობარო: ჩვენ შორის დარჩეს და, წამოვყენე თუ არა წინადადება ვიცე-ბულალტრად თქვენი დანიშვნის თაობაზე, ობერ-ბულალტერმაც სწორედ მაშინ გამოგიძახათ. ასე რომ, სინდისს გეფიცებით, ეს ორი ამბავი სრულიად შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს! შუამდგომლობა თქვენი დაწინაურების თაობაზე უკვე დაწერილი მქონდა, რომ მოულოდნელად ჩვენმა ღრმად პატივცემულმა ობერ-ბულალტერმა გამომიძახა. ახლა კი, ძვირფასო მეგობარო, დრო არ ითმენს. სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს ძალზე გაუხარდებოდა, თუკი ოჯახში გვეწვეოდით. ქალიშვილსაც ესიამოვნებოდა. საკმაოდ ლამაზი და მომხიბლავი გოგონაა, თან ზმას ამუშავებს. თქვენი სტუმრობით დიდ პატივს დაგვდებდით. ახლა კი თქვენი წასვლის დროც დადგა. მეხუთე დერეფანს გაივლით თუ არა, შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე მეექვსე კაბინეტში შებრძანდებით. ღმერთო ჩემო, წარმოიდგინეთ, მე ხომ გულით ავადმყოფი ვარ და თირკმლებიც ვერა მაქვს მთლად წესრიგში.

9

შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრთა. მეხუთე დერეფანი. მეექვსე კაბინეტი. ობერ-ბულალტერი ობ 9 სმ წარმოსადეგი მამაკაცი გახლავთ — შავი მოკლე წვერი, მოკიაფე ოქროს კბილები, პატარა ღივი. იგრძნობა უხვად ნაკურები სუნამოს სურნელება. საწერ მაგიდაზე პლატინის ჩარჩოში ჩასმული ნახევრად შიშველი მოცეკვავე ქალის ფოტოსურათი მოჩანს. ობერ-ბულალტერი ხელქვეითს ღირსეულად დახვდა. ოთახიდან უმაღლესი გაყარა მდივანი ქალების მთელი ხროვა და ხელის მეფური მოძრაობით არქილოქოსს ყველაზე მოხერხებულ სავარძელზე მიუთითა.

— ჩემო ძვირფასო ბატონო არქილოქოს, — დაიწყო მან, — თქვენმა საანგარიშო მოხსენებებმა სამეანო მაშების დანერგვის თაობაზე შორეულ ჩრდილოეთში, განსაკუთრებით კი ალიასკაზე, კარგა ხანია მიიპყრო ჩვენი, ობერ-ბულალტრების ყურადღება და გულწრფელი აღფრთოვანებაც გამოიწვია. ჩვენს წრეში ამ უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ამაზე გვაქვს ლაპარაკი, ხოლო შემოხსენებულმა მოხსენებამ ღირექციაც კი განაცვიფრა.

— ბატონო ობერ-ბულალტერო, აქ რაღაც გაუგებრობაა, — შენიშნა არქილოქოსმა. — ჩემი კვლევის სფეროში მხოლოდ აპენცელ-ინეროდენის კანტონი და ტიროლი შედის!

— უბრალოდ პტი-პიერი დამიძახეთ, — უთხრა არქილოქოსს ობ 9 სმ-მ. — მადლობა ღმერთს, რომ მარტო ვსაუბრობთ და არა ვინმე გონებაჩლუნგი ვაუბატონების თანდასწრებით. იმას კი აბა რა მნიშვნელობა აქვს, პირადად თქვენ შეადგინეთ საანგარიშო მოხსენება ალიასკაზე, თუ არა. მთავარია ის, რომ ეს მოხსენება თქვენი შთაგონების პირშია, უდიდესი ნიჭიერებით. ზეჰედი აზის და აპენცელ-ინეროდენის კანტონისა და ტიროლის შესახებ თქვენი კლასიკური მოხსენებებისათვის დამახასიათებელი ნატიფი სტილითაა შესრულებული. ეს კიდევ ერთი დასაბუთებაა იმისა, რომ თქვენმა შრომებმა მთელი სკოლა შექმნეს ამ მიმართულებით. ყოველთვის ვეჩიჩინებოდი ჩემს კოლეგას, ობერ-ბულალტერ შრენცლეს: არქილოქოსი უდიდესი პოეტი და დიდი პროზაიკოსია-მეთქი! სხვათა შორის, შრენცლემ მოკითხვა შემოგითვალათ.

სალამი გადმოგცათ ობერ-ბუღალტერმა ჰებერლინმაც. ყოველთვის გული მტკიოდა იმის გამო, რომ ჩვენს შესანიშნავ დაწესებულებაში ქვეშევრდომის მდგომარეობაში იმყოფებოდით. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა თქვენს არაჩვეულებრივ ნიჭს. ახლა კი, ნება მიბოძეთ ვერმუტი შემოგთავაზოთ.

— გმადლობთ, ბატონო პტი-პიერ, — მიუგო არქილოქოსმა, — ალკოჰოლიანი სასმელებს არ გეახლებით.

— განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ამბავი, — განაგრძო პტი-პიერმა, — რომ მუშაობა გიხდებოდათ ბ 121 სმ ბუღალტრის ხელმძღვანელობით. იგი ხომ ნამდვილი არარაობაა, ეს ვილაც ბატონი რუმლერია თუ ეშმაკი.


— მან ეს-ესაა ვიცე-ბუღალტრის თანამდებობაზე წარმადგინა.

— ხედავთ, თავის ოინბაზობას მაინც რომ არ იშლის! — გაბრაზდა ობ 9 სმ, — ვიცე-ბუღალტრად! კარგად უბრძანებია! თქვენი ნიჭის პატრონი და ვიცე-ბუღალტერი! პტი-პეიზანის სამეანო მაშების მზარდი წარმოება ბოლო კვარტალში ხომ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი დამსახურებაა.

— კი მაგრამ, ბატონო პტი-პიერ...

— თავმდაბლობას მოუკვდა პატრონი, ჩემო მეგობარო, შეეშვიტ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. აი, უკვე რამდენი წელია მოთმინებით ველოდი წუთს, როცა გულს გადაგიშლიდით და ჩემი სახით უერთგულეს მეგობარსა და თაყვანისმცემელს შეიძენდით. თქვენ კი, ამ აუტანელი ვაჟბატონის კალთას ამოფარებიხართ, უმცროსი ბუღალტრის უმცროსი თანაშემწის ადგილით დაკმაყოფილებულხართ და ისეთ წრეში ტრიალებთ, არამც და არამც რომ არ გეკადრებათ. კარგა ხანია დადგა დრო, დაჰკრათ მუშტი მაგიდას! წარმოდგენილი მაქვს, რა საშინლად მოქმედებდა თქვენზე ეს ბრბო. ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი პირადად ჩავრეულიყავი თქვენს საქმეში. მართალია, ჩვენი უზარმაზარი საწარმოს მექანიზმში, მე, ასე ვთქვათ, ერთი პატარა ჭანჭიკი, არარაობა ვარ, — მოგეხსენებათ ობერ-ბუღალტრის უფლებები, — მაგრამ მხნეობა მოვიკრიბე; ვილაცას ხომ უნდა ყოფნოდა გამბედაობა და მხარი დაეჭირა ნიჭიერი ადამიანისათვის, თუნდაც საკუთარი კეთილდღეობის მსხვერპლად გაღების საფასურად! ადამიანს, ჩემო ძვირფასო, უპირველეს ყოვლისა მოქალაქეობრივი გამბედაობა უნდა გააჩნდეს. თუ ეს გამბედაობა არ გვექნება, პტი-პეიზანის ზნეობრივ საძირკველსაც უმაღლ მოერყევა ძირი. მაშინ ჩვენ ბიუროკრატიის დიქტატურამდე დავეშვებით. ამის საშიშროება გველისმეთქი, დიდი ხანია ვუყიყინებ ყველას. ჰოდა, დავურეკე კადრების განყოფილების უფროსს, — სხვათა შორის, ისიც მოკითხვას გითვლით, — მინდა ვიცე-დირექტორის თანამდებობაზე წარგადგინოთ. ძვირფასო ბატონო არქილოქოს, განა არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, რომ კონცერნში თქვენი ხელმძღვანელობით ვიმუშაოთ, ძალების დაუზოგავად სრულვყოთ სამეანო მაშები და უზრუნველვყოთ მათი გავრცელება?! მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, პტი-პეიზანმა, ამ ჩვენმა ყოვლისშემძლე ღმერთმა, ანდა თუ გნებავთ, თვითონ ბედისწერამ დამასწრო, პირადად ჩემთვის ეს ამბავი პატარა უიღბლობაა, თქვენთვის კი, რა თქმა უნდა, უდიდესი და არცთუ დაუმსახურებლად მოპოვებული ბედნიერება.

— პტი-პეიზანმა? — არქილოქოსს თავი სიზმარში ეგონა, — შეუძლებელია! — წამოიძახა მან.



— დიახ, პტი-პეიზანმა თქვენი ნახვის სურვილი გამოთქვა და დღესვე, ახლავე, დაუყოვნებლივ მიგიღებთ, ბატონო არქილოქოს, — აცნობა ობ 9 სმ-მ.

- კი მაგრამ...
- არავითარი „მაგრამ“...
- მე მგონია...

— ბატონო არქილოქოს, — დაიწყო ობერ-ბუღალტერმა დაფიქრებული სახით და ნაზად აუსვა ხელი თავის სათუთად მოვლილ წვერს, — მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ, როგორც ვაჟკაცებსა და კარგ მეგობრებს შეშვებით. გულზე ხელი უნდა დავიდო და გამოგიტყდეთ, რომ დღევანდელი დღე ისტორიული მნიშვნელობისაა. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც პატიოსანმა კაცმა, კარგად იცით ჭეშმარიტად გულწრფელი სიტყვის ფასი. ჰოდა, მინდა იცოდეთ, რომ ჩემს მიერ ვიცე-დირექტორად თქვენს წამოყენებასა და პტი-პეიზანის მიერ თქვენს გამოძახებას არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან. პირიქით, მდივანს ოფიციალურ შუამდგომლობას ვკარნახობდი თქვენი დაწინაურების თაობაზე, რომ სწორედ ამ დროს გამოძახა თავისთან დირექტორმა ზევსმა.

- დირექტორმა ზევსმა?
- დიახ, სამეანო მაშების განყოფილების უფროსმა.

არქილოქოსმა ბოდიში მოიხადა საკუთარი უვიცობის გამო, ეს გვარი მას არასოდეს სმენოდა.

— გასაგებია, — თქვა ობერ-ბუღალტერმა, — ხელმძღვანელ კადრებს ბუღალტრებისა და მათი თანაშემწეების წრეში არ იცნობენ. არაა საჭირო. დაე, ამ კანცელარიის ვირთხებმა ჯღაბნონ და თითხნონ საანგარიშო მოხსენებები აპენცელ-ინეროდენის კანტონსა თუ სხვა მიყრუებულ ადგილებზე; ჩვენ შორის დარჩეს, ძვირფასო ბატონო არქილოქოს, და განა ვინმეს აინტერესებს ეს ყველაფერი? რასაკვირველია, გამონაკლისს თქვენი შრომები შეადგენს; ჩვენ, ობერ-ბუღალტრები ხომ ძირითადად მათ ვეყრდნობით და ერთმანეთს ხელიდან ვტაცებთ. უნდა ვალიარო, ბრწყინვალე, პირდაპირ კლასიკური მოხსენებები გაქვთ კოსტა-რიკაზე და ბაზელის ოლქზე. რაც შეეხება დანარჩენი ბუღალტრებისა და მათი თანაშემწეების ურიცხვ არმიას, დიდი გამოუსადეგარი და მცონარა ხალხია. ბატონ უფროსებს დიდი ხანია ჩავჩივინებ ამას. მთელ ამ საკანცელარიო მატრაბაზობას მარტო მეც კარგად გავუძღვებოდი ჩემი მდივნებით.

პტი-პეიზანის სამანქანათმშენებლო კონცერნი საქველმოქმედო დაწესებულება არ გახლავთ!! სრულიადაც არაა საჭირო, ყველა გონებაჩლუნგ ვიგინდარას ველოლიავოთ. სხვათა შორის, დირექტორი ზევსი გულითად მოკითხვას გითვლით.

- გმადლობთ.
- სამწუხაროდ, იგი საავადმყოფოში წაიყვანეს.
- უჰ!
- ნერვებმა უმტყუნა!
- სამწუხარო ამბავია.
- როგორც ხედავთ, ძვირფასო მეგობარო, თქვენის წყალობით სამეანო

მაშების განყოფილების დირექციაში საშინელი ორომტრიალი ატყდა, ამასთან სოდომი და გომორა აბა, რა სახსენებელია! პტი-პეიზანს თქვენი ნახვა სურს! კეთილი და პატიოსანი! ეს მისი შეუვალი უფლებაა. განა ღმერთის სურვილი კანონი არ არის? მოგეხსენებათ მამაზეციერის ყოვლისშემძლეობის ამბავი. მას შეუძლია მთვარე ვაცის რქასავით დაგრიხოს და ისე გამოკიდოს ცაზე. დიახ, ნამდვილად შეუძლია. მაგრამ ეს რომ მართლა მოემოქმედა, მაინც გაოცებისაგან პირი ღია დაგვრჩებოდა. პტი-პეიზანმა თქვენ რომ გამოგიძახათ, ეს ნაკლები სასწაული როდი იყო?! ამიტომ, აბა რა გასაკვირია, რომ უბედურ დირექტორს სასიკვდილო ზარის ხმა ჩაესმა ყურში. ახლა ვიცე-დირექტორის ამბავს აღარ იკითხავთ? ისიც მოცელილივით ჩაიკეცა.

— კი მაგრამ, რატომ?

— ჩემო ძვირფასო, ღრმად პატივცემულო ადამიანო, იმიტომ, რომ თქვენ გნიშნავენ სამეანო მაშების განყოფილების დირექტორად. ამას ხომ ჩვილიც მიხვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბა რა აზრი ექნებოდა თქვენს გამოძახებას პტი-პეიზანთან. ვისაც კი პტი-პეიზანი თავისთან იხმობს, ის აუცილებლად დირექტორი უნდა გახდეს. ეს უკვე გამოცდილებით ვიცით. ხალხის სამსახურიდან გაგდებას კადრების უფროსიც მშვენივრად აუღის.

— დირექტორად მე მნიშნავენ?

— უეჭველად. ეს ამბავი უკვე აცნობეს კადრების უფროსს ფოიზს. ისიც მოკითხვას გითვლით.

— სამეანო მაშების დირექტორად მნიშნავენ?

— ვინ იცის, იქნებ ატომური ზარბაზნების განყოფილების დირექტორადაც დაგნიშნონ. კადრების უფროსი ფოიზი ამბობს, ამქვეყნად არაფერია შეუძლებელი.

— კი მაგრამ, რისთვის? — საბრალო არქილოქოსს ვერაფრით ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს.

— ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო! ნუ გავიწყდებათ თქვენი შესანიშნავი საანგარიშო მოხსენებები ჩრდილოეთ იტალიაზე.

აქ ბუღალტრის თანაშემწემ ობერ-ბუღალტერს კვლავ ჯიუტად შეუსწორა, მე მხოლოდ აღმოსავლეთი შვეიცარია და ტიროლი მეხებაო.

— დიახ, დიახ, მართალსა ბრძანებთ, აღმოსავლეთი შვეიცარია და ტიროლი, ყოველთვის მეშლება გეოგრაფიული სახელები. მაგრამ მეპატიება, გეოგრაფიის მასწავლებელი ზომ არა ვარ.

— ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სამეანო მაშების განყოფილების დირექტორად დამნიშნონ.

— როგორ გეკადრებათ!

— მე არ გამაჩნია დირექტორობისათვის საჭირო ნიჭი, — ამხედრდა მოულოდნელად ბუღალტრის თანაშემწე.

ობ 9 სმ-მ თავი გააქნია და არქილოქოსს გამომცდელი მზერა ესროლა, მერე გაიღიმა, ოქროს კბილების მოციაგე მწკრივი გამოაჩინა და ხელები ბატონკაცურად ღიბზე დაიწყო.

— ძვირფასო მეგობარო, თვითონ უნდა ხვდებოდეთ, რა მიზეზით გნიშნავენ დირექტორად. მაგრამ თუკი არ იცით, ნურც გამოიძიებთ. დამიჯერეთ. ასე აჯობებს. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იქნება. ჩვეულებრივ დირექტორები და ობერ-ბუღალტრები არ ხვდებიან ერთმანეთს. ასე რომ არ

იყო, დაირღვეოდა ჩვენი სანიმუშო ფირმის ერთ-ერთი დაუწერელი კანონი. დღეს ჩემს სიცოცხლეში პირველად შევხვდი დირექტორ ზევსს, ისიც მაშინ, როცა მისი დიდების იშვ ჩაესვენა. საბრალო შტიუსი, ჩემი უშუალო შეფი და ვიცე-პრეზიდენტი, ვისაც ჰქონდა ობერ-ბუღალტრებთან შეხვედრის უფლება, საკაცით გაიტანეს, ნამდვილი ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს. ნუ ვილაპარაკებთ ამ გულისამაჩუყებელ ამბებზე. მაშასადამე, თქვენ გგონიათ, რომ ვერ გაუძღვებით თქვენზე დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენს შორის დარჩეს და ამას უკანასკნელი ყეყეჩიც კი შესძლებს. მერწმუნეთ, არაფრის გაკეთება არ დაგჭირდებათ. უბრალოდ უნდა შეეცადოთ, თავი დირექტორად იგრძნოთ და იყოთ ჩვენი ფირმის ღირსეული წარმომადგენელი. ხანდახან შენობას დაათვალიერებინებთ ინდოელებს, ჩინელებს, ზულუსებს, იუნესკოს და სხვადასხვა სამედიცინო გაერთიანებების წარმომადგენლებს, ერთი სიტყვით ყველას, ვინც კი ჩვენს პლანეტაზე სამეანო მაშებით დაინტერესდება. ყველა პრაქტიკულ საქმეს, იქნება ეს საწარმოო თუ ტექნიკური საკითხი, კალკულაცია თუ დაგეგმვა, ყველაფერ ამას ობერ-ბუღალტრები მოახლაფორთებენ. მეგობრები ვართ და იმედია, მაპატიებთ უხეშ გამოთქმას. პირადად თქვენ არ მოგიხდებათ ასეთი სისულელეებით თავის გამოტენა. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ თანამშრომელზე შეაჩერებთ არჩევანს ობერ-ბუღალტრის დანიშვნის დროს. შტიუსის საქმე წასულია, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვწირავ. დირექტორ ზევსთან იყო შეკრული და დიდი ხანია თავისი შეფის მაჩანჩალად გადაიქცა. აქ არ შევუდგები ზევსის დახასიათებას. ახლა ამის დრო არ არის, თავისი გასაჭირიც ეყოფა. წაქცეულს კი, მოგეხსენებათ, არ ურტყამენ. ჩვენ შორის დარჩეს, მაგრამ ამ ფაუბატონმა პირდაპირ ჯვარს მაცვა, სათანადოდ ვერ შეაფასა თქვენი საანგარიშო მოხსენებები დალმაციაზე, ჩემო მეგობარო და მფარველო, და საერთოდ უნდა მოგახსენოთ, დიდი გონებაჩლუნგი ვინმეა. ვიცი, ვიცი, დიახ, ეს მოხსენებები დალმაციაზე კი არა, ტოგენბურგზე და თურქეთზე გახლავთ, მაგრამ ეშმაკმა დალახვროს ყველაფერი. თქვენ ხომ ბუმბერაზი ადამიანი ბრძანდებით. იმისათვის ხართ დაბადებული, რომ არწივივით დანავარდობდეთ ცაში და მედიდურად გადმოსცქეროდეთ ზევიდან ცოდვილ მიწაზე დარჩენილ გაოგნებულ ობერ-ბუღალტრებს. მინდა გულწრფელად მოგახსენოთ: ბედნიერი ვართ, რომ ასეთი დირექტორი გვეყოლება! როგორც თქვენს საუკეთესო მეგობარს, რასაკვირველია ეს ამბავი ყველაზე მეტად მე მახარებს (ამას რომ ამბობდა, ობ-ს თვალები აუცრემლიანდა). ვფიქრობ, საჭირო არ არის ჩემის მხრივ ამისათვის ხაზის გასმა. ადვილი შესაძლებელია, ჩემი გულწრფელი სიტყვები ისე გაიგოთ, თითქოს მე ვიცე-დირექტორობას ვუმიზნებდე, თუმცა, ჩვენში დარჩეს, და თავისუფლად შემედლო მქონოდა ამის პრეტენზია, როგორც წოდებით უფროსს. და მაინც, ობერ-ბუღალტრებს შორის ვისზედაც არ უნდა შეჩერდეს თქვენი არჩევანი, და ვინც არ უნდა დანიშნოთ თქვენს მოადგილედ, შევურიგდები ბედს და თქვენი პატივისმცემელი დავშთები მარად. თქვენი ნახვა სურთ კოლეგებს — შპეცლეს და შრენცლეს. მაგრამ ვშიშობ, დრო ამოიწურა, სასწრაფოდ უნდა მიგაცილოთ პტი-პეიზანთან და საღ-სალამათი ჩაგაბაროთ მას. მაშ, ეს საზეიმო წამიც დადგა. აბა, გავწიოთ, თავი ამაყად ასწიეთ მაღლა, დატკბით საკუთარი ბედნიერებით, თქვენ ხომ ყველაზე ღირსეული და ნიჭიერი ხართ ჩვენს შორის! შეიძლება ითქვას, რომ სამეანო მაშების გენიალური პირმშო ბრძანდე-

ბით და თქვენის წყალობით ჩვენი განყოფილება მთელი ნახტომით გაუსწრებს ტყვიამფრქვევების განყოფილებას. დიახ, ამას წინასწარ ვგრძნობ. პატივცემულო, ძვირფასო დირექტორო, ნება მიბოძეთ, ახლავე, ამ წუთიდანვე ასე მოგმართოთ. გთხოვთ... მოდი გაბედულად შევაბიჯოთ სადირექტორო ლიფტში.

არქილოქოსი ობ 9 სმ-ს თანხლებით მიაბიჯებდა დერეფნებში, რომელთა არსებობაზე ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ეს იყო მინისა და სხვა უცხო მასალებისაგან ნაგები მთელი სამყარო, სადაც ყველაფერს ელვარება გაჰქონდა. შესანიშნავი ლიფტით ავიდნენ ადმინისტრაციული შენობის საიდუმლოებით მოცულ ზემო სართულებზე. ირგვლივ მომღიმარი, სუნამონაპკურები მდივანი ქალები დაცქრილებდნენ. აქ ნახავდით ქერა, წაბლისფერ და შავ-თმიან ასულებს, ერთს კი ისეთი წითური თმა ჰქონდა, თითქოს ცეცხლი წაუკიდებიათო. რეფერენტები გზას უთმობდნენ არქილოქოსს, დირექტორები წელში მოხრით ესალმებოდნენ, გენერალური დირექტორები დარბაისლურად უკრავდნენ თავს. ბუღალტრის თანაშემწე კი მყუდრო დერეფნებში მიაბიჯებდა. კარებებზე ხან წითელი, ხან მწვანე ნათურები ინთებოდა, ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ აქაც მიდიოდა უცხო თვალისათვის მიუწვდომელი ადმინისტრაციული საქმიანობა.

რბილ ხალიჩებზე უხმაუროდ მიაბიჯებდნენ არქილოქოსი და ობ 9 სმ. ირგვლივ ყოველგვარი ხმაური ინთქმებოდა, თვით ოდნავი ჩახველება ან ძლივგასაგონი წაჩურჩულებაც კი. კედლებზე ფრანგი იმპრესიონისტების ფერტილოები ეკიდა: დეგას „მოცეკვავე ქალები“ და რენუარის „მობანავე ქალი“ (პტი-პეიზანის სურათების კოლექცია საქვეყნოდ იყო ცნობილი), ტან-წერწეტა ლარნაკებში სურნელოვანი ყვავილები ჩაედგათ. რაც უფრო ზევით ადიოდნენ, ადიოდნენ კი არა, უფრო სწორად, მიფრინავდნენ, მით უფრო უკაცრიელდებოდა დერეფნები და დარბაზები, და თავიანთ ცივ, საქმიან ულტრათანამედროვე იერს კარგავდნენ, თუმცა დაგეგმარება იგივე რჩებოდა, როგორც ქვედა სართულებზე იყო. ინტერიერები სულ უფრო დახვეწილი და ამავე დროს თბილი და ადამიანური ხდებოდა. კედლებზე ეკიდა გობელენები, ლუდოვიკო XVI და როკოკოს სტილის ოქროსვარაყიანი სარკეები, პუსენის და ვატოს ფერტილოები და კლოდ ლორენის პეიზაჟი.

არქილოქოსი და მისი თანამგზავრი ბოლო სართულზე ავიდნენ (ობ 9 სმ-ც შემცბარი ჩანდა, ისიც ხომ პირველად მოხვდა ამ წმინდა სავანეში) და დაემშვიდობნენ ერთმანეთს. უმცროს ბუღალტერს უზადო სმოკინგში გამოწყობილი, ფრიად წარმოსადეგი ჭალარა კაცი შეეგება, ალბათ რეფერენტი თუ იყო; იგი ბერძენს ფაქიზად მორთულ დერეფნებსა და სინათლით გაკაშკაშებულ დარბაზებში მიუძღვოდა, სადაც ანტიკური ლარნაკები, გოთური მადონები, აზიური კერპები გამწკრივებულიყვნენ. კედლებზე მრავლად ეკიდა ინდური ხალიჩები. აქ უკვე აღარაფერი მოაგონებდა ადამიანს ატომურ ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს. სამეანო მაშების ბუნდოვან გახსენებას კი მხოლოდ ქერუბიმებისა და პაწია ბავშვების დანახვა თუ იწვევდა, ბუღალტრის

თანაშემწეს რუბენსის ფერტილოდან რომ უღიმოდნენ. ირგვლივ ყველაფერი ახარებდა თვალს. ფანჯარაში თითქოს უფრო თბილად და კეთილად ანათებდა მზე, თუმცა გარეთ ყინავდა და მისი სხივებიც მოქუფრული ციდან ოდნავ ბუბუტავდნენ. დარბაზებში მოხერხებული სავარძლები და ტახტები იდგა. საიდანაც ვილაცის წკრიალა სიცილი ისმოდა, რამაც რუხ-სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილ არქილოქოსს ქლოე და ის უჩვეულო სასწაულებრივი კვირა დღე გაახსენა. გუშინდელ დღეს მისთვის ჯერაც არ დაეკარგა თავისი თილისმა. იქვე სადღაც ჰაიდნის თუ მოცარტის მუსიკის ჰანგები იღვრებოდა. არ ისმოდა საბეჭდი მანქანების კაკუნი, არსად ჩანდნენ აღმა-დაღმა სირბილისგან ქანცმილეული ბუღალტრები. აქ არქილოქოსს აღარაფერი აგონებდა იმ სამყაროს, სულ ცოტა ხნის წინ რომ დააღწია თავი და სადღაც ქვევით დარჩა, როგორც ცუდი რამ სიზმარი. მალე რეფერენტი და ბუღალტრის თანაშემწე წითელ აბრეშუმგაკრულ ნათელ ოთახში მოხვდნენ. კედელზე დაკიდებულ უზარმაზარ სურათზე შიშველი ქალი იყო დახატული. ეს თუ იყო ტიცციანის ის ცნობილი ფერტილო, ცოტა ხნის წინ საყოველთაო მითქმა-მოთქმა რომ გამოიწვია. მის ფასს მხოლოდ ჩურჩულით თუ ასახელებდნენ.

ოთახი კოხტა ავეჯით იყო მორთული. პატარა საწერი მაგიდა, კედლის პატარა საათი, წკრიალა ხმით რომ რეკდა, სავარძლებშემოწყობილი ლომბერის მაგიდა. ვარდების, კამელიების, ტიტების, ჯადვარებისა და გლადიოლუსების ზღვა იდგა ირგვლივ. კაცი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამქვეყნად სადღაც არსებობდა ზამთარი, სიცივე ან ნისლი. ის-ის იყო ოთახში შევიდნენ, რომ გვერდით პატარა კარები გაიღო და პტი-პეიზანიც შემოვიდა. თავისი რეფერენტის მსგავსად მასაც სმოკინგი ეცვა, მარცხენა ხელში ჰიოლდერლინის ლექსების თხელი ტომი ეჭირა, საჩვენებელი თითი გვერდებს შორის მოექცია. რეფერენტი გავიდა. არქილოქოსი და პტი-პეიზანი ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ.

— აბა, ჩემო ძვირფასო ანაქსიმანდრე, — დაიწყო პტი-პეიზანმა. არნოლფ არქილოქოსს მეძახიანო, — გაუსწორა უმცროსმა ბუღალტერმა პტი-პეიზანს და წელში მოწიწებით მოიხარა.

— მაშ არქილოქოსი ხართ, არა? კეთილი და პატიოსანი. მახსოვდა, რაც ბერძნულ-ბალკანური სახელი რომ გერქვათ, ჩემო ძვირფასო უფროსო ბუღალტერო.

— უმცროსი ბუღალტერი გახლავართ, — დააზუსტა არქილოქოსმა თავისი სოციალური მდგომარეობა.

— ჩემის აზრით, ეს თითქმის ერთი და იგივეა, — გაიღიმა მრეწველმა, — განა ასე არ არის? ყოველ შემთხვევაში, მე მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. როგორ მოგწონთ ჩემი აქაური ადგილსამყოფელი? უნდა ვაღიარო, შესანიშნავი ხედი იშლება აქედან. მთელი ქალაქი, მდინარე და პრეზიდენტის სასახლე ხელისგულივით მოჩანს. შეხედეთ, რა ლამაზია შორიდან ტაძარი და ჩრდილოეთის სადგური.

— მშვენიერია, ბატონო პტი-პეიზან.

— თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვინც ატომური ზარბაზნების განყოფილებიდან ამ სართულზე ამოხვედით. — ისეთი ხმით აუწყა მრეწველმა არქილოქოსს, თითქოს მთავლელს ახალი, ძნელად მისაღწევი მწვერვალის დაპყრობას ულოცავსო.

არქილოქოსმა მიუგო, სამეანო მაშების განყოფილებიდან გახლავართ და საერთოდ აღმოსავლეთ შვეიცარიისა და ტიროლის მასალებზე ვმუშაობ, ამჟამად კი აპენცელ-ინეროდენის კანტონის საქმეები მაბარიაო.

— ერთი ამას დამიხედეთ, — გაიცინა პტი-პეიზანმა, — თურმე სამეანო მაშების განყოფილებაში მუშაობთ. მე კი წარმოდგენაც არ მქონდა, ჩვენთან ასეთი რამ თუ არსებობდა. ერთი მოკლედ მაუწყეთ თქვენი საქმიანობის დეტალები.

არქილოქოსმა აუხსნა: სამეანო მაშები, ლათინურად Forceps, სამშობიარო ქირურგიულ იარაღს წარმოადგენსო. იგი იმისათვისაა განკუთვნილი, რომ მშობიარობის დროს თავში ჩაავლონ ნაყოფს, რის წყალობითაც ბავშვი უფრო ადვილად იბადებაო. აქვე ისიც აუწყა პტი-პეიზანს, თქვენი სამანქანათმშენებლო კონცერნი სხვადასხვა სახის მაშებს აწარმოებსო, და პირველ რიგში დაასახელა სარკიანი მოღუნული კოვზები, ბავშვს თავში რომ ჩაავლებენ ხოლმე. გარდა ამისა ჩამოუთვალა სხვადასხვა მაშები მენჯებისა და შორისისათვის, რისი საშუალებითაც უფრო ადვილად შედიან სამშობიარო არხებში. სამეანო მაშები ერთმანეთისაგან სახელურებითაც განსხვავდებიანო: ზოგს მოკლე სახელური აქვს, ზოგს გრძელი, ზოგს ხისა, ზოგსაც ლითონისა, საგანგებო სამარჯვით და გარდი-გარდმო ხიდით. მაშებს სხვადასხვა გასაღებები ანუ მოსაჭერები აქვთ, რომელთა საშუალებითაც ორი კოვზი ერთად მაგრდებაო, ფასები კი...

— გეტყობათ, შესანიშნავად იცით თქვენი საქმე, — ღიმილით უთხრა არქილოქოსს მულტიმილიონერმა. — მაგრამ, მოდი, ფასებზე ნუ ვილაპარაკებთ, ჩემო ძვირფასო ბატონო...

— არქილოქოს...

— დიახ, ბატონო არქილოქოს. რომ არ გავაჭიანურო და თქვენც არ გადავალათ, ახლავე გეტყვით, დაგნიშნეთ ატომური ზარბაზნების განყოფილების დირექტორად. უნდა მოგახსენოთ, მხოლოდ ახლა გავიგე, რომ სამეანო მაშების განყოფილებაში მუშაობთ. არც კი ვიცოდი, ეს განყოფილება თუ არსებობდა. ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავვარდი. როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, მაგრამ ჩვენი თანა უზარმაზარ საწარმოში არც უმაგისობა იქნება. კეთილი და პატიოსანი, ამით არაფერი დაშავებულა. ალბათ ორივე განყოფილების გაერთიანება მოგვიწევს. ამრიგად, შეგიძლიათ თქვენი თავი ატომური ზარბაზნებისა და სამეანო მაშების განყოფილების დირექტორად ჩათვალოთ. მე კი ყოფილი დირექტორების საკითხს მოვაგვარებ. ისინი პენსიაზე გავლენ. მოხარული ვარ, თქვენი დაწინაურების ამბავი პირადად რომ გაუწყეთ. მამ ასე, გისტრვებთ ბედნიერებას.

— სამეანო მაშების განყოფილების დირექტორი — ზევსი ამჟამად საავადმყოფოში წევს.

— ოჰ, რა მოუვიდა?

— ნერვული შეტევა დაემართა.

— რას მეუბნებით? ალბათ უკვე გაიგო ყველაფერი, — პტი-პეიზანმა გაკვირვების ნიშნად თავი გაიქნია, — მე კი დირექტორ იეჰუტის განთავისუფლებას ვაპირებდი ატომური ზარბაზნების განყოფილებიდან. რაღაც ცნობები მაინც გაჟონავს ხოლმე ქვედა სართულებამდე. ადამიანებს ძალიან უყვართ ზედმეტი ლაყბობა. რა გაეწყობა, დირექტორმა ზევსმა დამასწროთ თავისი შე-

ტევით და საავადმყოფოში ამოყო თავი. არა უშავს რა, სულერთია, ადრე თუ გვიან მაინც მომიხდებოდა მისი გათავისუფლება. იმედი ვიქონიოთ, რომ დირექტორი იეჰუტი სამსახურიდან მოხსნის ამბავს უფრო ღირსეულად შეხედება. — არქილოქოსმა გამბედაობა მოიკრიბა და მთელი ამ საუბრის მანძილზე პირველად შეხედა პირისახეში პტი-პეიზანს, წიგნით ხელში რომ იდგა მის წინ.

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, — დაიწყო არქილოქოსმა, — რას ნიშნავს ყოველივე ეს. მოულოდნელად მიძახებთ და მნიშნავთ ატომური ზარბაზნებისა და სამეანო მაშების განყოფილების დირექტორად. მართალი გითხართ, საგონებელში ვარ ჩავარდნილი. ვერაფრით გამიგია, რა ამბავია ჩემს თავს.

პტი-პეიზანმა მშვიდად აათვალიერ-ჩაათვალიერა ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე, ჰიოლდერლინის ტომი მწვანე მაუდგადაკრულ ლომბერის მაგიდაზე დადო, დაჯდა და არქილოქოსსაც ხელით ანიშნა, დაჯექიო. ახლა ისინი ერთმანეთის პირდაპირ რბილ სავარძლებში ისხდნენ, თვალეებში მზის შუქი უჭვრიტინებდათ. არქილოქოსს იმდენად საზეიმოდ მოეჩვენა ეს სცენა, რომ სუნთქვაშეკრული იჯდა და განძრევას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს ამ იდუმალეებით მოცული ამბების მიზეზს გავიგებო, — გაიფიქრა მან.

— ბატონო პტი-პეიზან, — ენის ბორძიკით ხელახლა წამოიწყო არქილოქოსმა. — ყოველთვის დიდად გაფასებდით. თქვენ მესამე ადგილი გიკავიათ ჩემს ზნეობრივ მსოფლწყობაში, მე თვითონ რომ შევქმენი. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში რაღაც ზნეობრივი საყრდენი. თქვენ უშუალოდ ჩვენი პრეზიდენტის და ძველი და ახალი პრესვიტერიანული ეკლესიის ეპიკოპოსის შემდეგ დგახართ. მე ყველაფერი გულახდილად მოგახსენეთ. ახლა კი გვედრებით, თქვენი საქციელის მიზეზიც ამიხსნათ. ბუღალტერი რუმელი და ობერ-ბუღალტერი პტი-პეიერი მარწმუნებენ, თითქოს აღმოსავლეთ შვეიცარიასა და ტიროლზე შედგენილი საანგარიშო მოხსენებისათვის მაწინაურებთ. მაგრამ ეს მოხსენებები ხომ არავის წაუკითხავს.

— ძვირფასო ბატონო აგეზილასო! — საზეიმო ხმით წარმოსთქვა პტი-პეიზანმა.

— არქილოქოს...

— ძვირფასო ბატონო არქილოქოს! თქვენ ბუღალტერი თუ ობერ-ბუღალტერი იყავით (მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ), ახლა კი დირექტორი ბრძანდებით. როგორც ვატყობ, ამან აგიბნიათ თავგზა. ჩემო ძვირფასო მეგობარო, გთხოვთ მომხდარი ცვლილებები აღიქვათ მსოფლიო ურთიერთთანამშრომლობის შუქზე, როგორც მრავალმხრივი საქმიანობის შედეგი, ჩემი კონცერნი რომ ახორციელებს. ჩემდა სასიხარულოდ, როგორც დღეს შევიტყვე, თურმე ჩვენ სამეანო მაშებსაც ვუშვებთ. იმედია ამ ნაწარმის გამოშვება მომგებიანია.

არქილოქოსს პირისახე გაებადრა და აქვე მოახსენა ბატონ პტი-პეიზანს, მარტო აპენცელ-ინეროდენის კანტონში ბოლო სამი წლის მანძილზე სამოცდაორი სამეანო მაშა გასაღდაო.

— ჰმ, ცოტაა. მაგრამ, დაე ასე იყოს. ეს განყოფილება, რა თქმა უნდა, ჰუმანურ დაწესებულებათა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ იმ ნაწარმის გვერდით, რითაც ადამიანს საიქიოს ვისტუმრებთ, ისეთ ნაწარმსაც ვუშვებთ, რაც მას ამ ქვეყნად მოვლინებაში ეხმარება. გარკვეული

წონასწორობა აუცილებლად უნდა არსებობდეს, მაშინაც კი, როცა ამ წონასწორობის დაცვისას ზოგიერთ რაიმეს არავითარი მოგება არ მოაქვს. ღმერთი არ უნდა განვარისხოთ, ჩვენ მადლიერი ხალხი ვართ. — პტი-პეიზანი მცირე ხნით დადუმდა. პირისახეზე უსაზღვრო კმაყოფილების გრძობა გამოხატოდა.

— ჰიოლდერლინი ლექსში „არქიპელაგი“ ყველა ვაჭარს, აქედან გამომდინარე ალბათ ყველა მრეწველსაც, „შორსმჭვრეტელს“ უწოდებს, — განაგრძობს მან და ოდნავ გასაგონად ამოიოხრა. — ამ შედარებამ მთელი არსებით შემძრა. ჩემს უზარმაზარ საწარმოში, ძვირფასო ბატონო არისტო, ურიცხვი რაოდენობით მუშა-მოსამსახურე, ბუნდოვანი და მდივანია დაბანდებული. შეუძლებელია ყველა მათგანის ბუნებას გონების თვალთ ჩაწვდეს. დირექტორები ბუნდოვნად მახსოვს, გენერალურ დირექტორებსაც კი არ ვიცნობ ხეირიანად. ახლომხედველ ადამიანს ამ ქაოსში უმალ აებნეოდა გზა-კვალი. მხოლოდ შორსმჭვრეტელ კაცს ძალუძს არ შეამჩნიოს წვრილმანები, გულთან ახლოს არ მიიტანოს ცალკეული ადამიანების ჭირ-ვარამი, თავისი მახვილი მზერა საბოლოო მიზანს გააწვდინოს და ყველაფერ ამის ხარჯზე სრულყოფილად აღიქვას მთლიანი სურათი. პოეტმა თქვა (ალბათ იცნობთ ჰიოლდერლინის ნაწარმოებებს), მხოლოდ „შორსმჭვრეტელი ადამიანი“, ვისაც ახალ-ახალი აზრები ებადება და სულ ახალ-ახალ წამოწყებებს თაოსნობს, ინდოეთში იქნება ეს თუ თურქეთში, ანდებსა თუ კანადაში, არ გახდება კონკურენციისა და მონოპოლიების მსხვერპლი. „შორსმჭვრეტელი“... სწორედ ეს-ესაა გადაწყვიტე, ჩემი ფირმა რეზინისა და საპოხი ზეთების ტრესტს შევუერთო. აი, აქედან კი, მართლაც რომ დიდი საქმე გამოვა.

პტი-პეიზანი ხელახლა დადუმდა და „შორსმჭვრეტელი“ მზერა ესროლა სივრცეს.

— ასეთი გეგმები მაქვს, ასეთია ჩემი მუშაობის ყაიდა, — თქვა მან დუმლის შემდეგ, — რა ვქნა, შეძლებისდაგვარად ვატრიალებ დროის მიძიმე დოლაბებს. აბა მითხარით, რას წარმოადგენს პტი-პეიზანის სამანქანათმშენებლო კონცერნი ფოლადის ტრესტთან ან სამთამადნო კონცერნ „მარადიულ სიხარულთან“ შედარებით, ან რას მოვა იგი პესტალოცის ან ჰიოსლერ-ლა-ბიშის ქარხნებთან? დიახ, ჩვენი ფირმა მათთან შედარებით სრული არარაობაა. რა დღეში არიან ამ დროს ჩემი მუშა-მოსამსახურეები? რა ბედი მოელის თვით თეულ მათგანს? სამწუხაროდ, იძულებული ვარ, არ შევამჩნიო ისინი, რომ ამის ხარჯზე საქმის მთლიანი არსი აღვიქვა. ამ საკითხებს ხშირად დავუფიქრებო. განა ისინი ბედნიერები არიან? ჩვენ თავისუფალი სამყაროს შენებას ვქადაგებთ. სინამდვილეში თავისუფალი არიან კი ჩემი ქვეშევრდომები? ჩავატარე მთელი რიგი სოციალური ღონისძიებებისა, მუშებისთვის გავხსენით დასასვენებელი სახლები, სპორტის სასახლეები, საცურაო აუზები, სასადილოები, თანამშრომლებს ვურიგებთ საპროფილაქტიკო აბებს, ვაწყობთ კოლექტიურ სვლებს თეატრებში და კონცერტებზე. მაგრამ იქნებ ადამიანები, ვისაც მე ვხელმძღვანელობ, მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობას ებლაუჭებიან, მხოლოდ საძულველ ოქროს შესტრფიან? ეს საკითხი მოსვენებას არ მაძლევს. ვიღაც დირექტორს ნერვიული შეტევა ემართება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მის ადგილზე სხვას ნიშნავენ: საზიზღრობაა პირდაპირ! განა შეიძლება ადამიანმა ფული კერპად გაიხადოს? ამ ქვეყნად მთავარი მხო-

ლოდ სულიერი ფასეულობებია, ძვირფასო ბატონო არტაქსერქსეს. არაფერია დედამიწის ზურგზე ფულზე დიდი არარაობა და საზიზღრობა. ღმერთმანი, ძალიანა ვარ დაფიქრებული...

პტი-პეიზანი ხელახლა დადუმდა. ახლა მას შეწუხებული სახე ჰქონდა. არქილოქოსს განძრევისაც კი ეშინოდა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ მულტი-მილიონერმა თავისი ძღვევამოსილი სხეული შემართა და ხმაში ფოლადი გაერია.

— მაშ გაინტერესებთ, თუ რატომ დაგნიშნეთ დირექტორად, ხომ? მოგახსენებთ: იმიტომ, რომ თავისუფლების ქადაგება ლიტონ სიტყვებად არ დაგვირჩეს. მართალია, ჩემს თანამშრომლებს არ ვიცნობ, არ მესმის მათი, მაგრამ, რატომღაც მგონია, მათ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ შეუგნიათ სულიერ ფასეულობათა მნიშვნელობა. ჩემს სალოცავ კერპებს დიოგენი, ალბერტ შვაიცერი და ფრანცისკ ასიზელი წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ჩემს ქვეშევრდომებს ისინი ჯერ კიდევ არ გაუხდიათ თავიანთ სულიერ მამებად. ადამიანებს სურთ თვითჭვრეტის უნარი, ქველმოქმედება, სიღარიბით გამოწვეული ბედნიერება სოციალური კეთილდღეობის ბრჭყვიალებას ანაცვალონ. რა გაეწყობა. მიეცი ადამიანს ის, რაც სურს! ყოველთვის ვიყავი ლაო-ცზეს ამ შეგონების მომხრე. სწორედ ამიტომ დაგნიშნეთ დირექტორად. დაე, სამართლიანობამ იზეიმოს! ის, ვისაც პატარაობიდანვე უგემია ლუკმა-პურისათვის ბრძოლის სიმწარე, ვისაც საკუთარ თავზე გამოუცდია სიღარიბე და გაჭირვება, უდაოდ ღირსია დირექტორობისა. მე მთელ საწარმოს ვუძღვები; დაე, ის, ვისაც უშუალოდ საქმე აქვს კონცერნის ბუღალტრებთან, ობერ-ბუღალტრებთან, მდივნებთან, კურიერებთან და დამლაგებლებთან, თვითონაც ამ წრიდან იყოს გამოსული. დირექტორები: ზევსი და იეჰუდი დაბალ წრეს არ ეკუთვნოდნენ. თავის დროზე ჩემთან გაკოტრებული კონცერნებიდან მოვიდნენ, ისე რომ ისინი მზამზარეულ დირექტორებად ვიყიდე. ღმერთი იყოს მათი შემწე.

ახლა კი დადგა დრო, ცხოვრებაში განვახორციელოთ დასავლეთის სამყაროს იდეალები. პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ვერ გაართვეს თავი ამ პრობლემას, და, თუ საქმოსნებიც გულზელს დავიკრეფთ, ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა, ძვირფასო ბატონო აგამემნონ. ადამიანს მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი აქცევს ადამიანად. თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნა შემოქმედებითი აქტია, ეს გახლავთ შემოქმედებითი სოციალიზმის ერთ-ერთი გამოვლინება, რაც ჩვენ არაშემოქმედებით კომუნიზმს უნდა დავუპირისპიროთ. აი, რისი თქმა მინდოდა თქვენთვის. ამიერიდან დირექტორი ბრძანდებით, გენერალური დირექტორი. მაგრამ თავდაპირველად ხომ შევებულება ვირგებთ, — ღიმილით განაგრძო პტი-პეიზანმა, — თქვენთვის განკუთვნილ ჩეკი უკვე გამოწერილია და სალაროში დევს. ცოტა საკუთარ თავსაც მიხედეთ. პო, მართლა, რამდენიმე დღის წინ ვიღაც მომხიბვლელ ქალთან ერთად გიხილეთ.

— ჩემი საცოლვე გახლავთ, ბატონო პტი-პეიზან.

— ცოლის შერთვას აპირებთ? მომილოცავს. ძალიან კარგია, შეირთეთ. სამწუხაროდ, ცხოვრებაში თავად ვერ გამოვცადე ოჯახური ბედნიერების სიტკბო. განკარგულება გაცემულია. გენერალური დირექტორის კუთვნილ ერთი წლის ხელფასს მიიღებთ, მაგრამ ეს თანხა ორმაგად მოგეცემათ: თქვენ ხომ

ატომური ზარბაზნების განყოფილებასთან ერთად სამეანო მაშების განყოფილებასაც უნდა უხელმძღვანელოთ. ახლა კი, სასწრაფო შეკვეთა მაქვს ტელეფონით სანტ-იაგოსთან. კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ძვირფასო ბატონო ანაქსაგორ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ ცოტა ხნის წინ ბთ 122 სმ 31 ნომრად ცნობილი, ამჟამად კი გენერალურ დირექტორად აღზევებული არქილოქოსი, როგორც იქნა გამოვიდა ადმინისტრაციული შენობიდან. ლიფტამდე პტი-პეიზანის რეფერენტმა მიაცილა. ამ წმინდა სავანიდან გამოსვლა ვერ მოასწრო, რომ ერთი ზარ-ზეიმით მოუწყვეს შეხვედრა; გენერალური დირექტორები მხურვალედ იკრავდნენ გულში, დირექტორები მის დანახვაზე წელში ორად იხრებოდნენ, მდივანი ქალები მომხიბვლელი ღიმილით ესროდნენ მლიქვნელურ სიტყვებს, ფეხის წვერებზე შემდგარი ბუღალტრები შორიდან სასოებით შესცქეროდნენ, ცოტა მოშორებით ჩასაფრებული ობ 9 სმ ერთგული ძაღლის გამომეტყველებით შესცივინებდა. სწორედ ამ დროს ატომური ზარბაზნების განყოფილებიდან საკაცით გამოიყვანეს სასომიხდილი და გრძნობადაკარგული დირექტორი იეჭუტი, მისთვის უკვე ჩამოეცვათ შეშლილის პერანგი. ვიღაცამ ჩურჩულით თქვა, თავის კაბინეტში მთელი ავეჯი დაღეწათ. არქილოქოსის ფიქრები ახლა მხოლოდ თავის სახელზე გამოწერილ ჩეკს დასტრიალებდა. მისი მორთმევაც აღარ დაუხანებიათ. მთელ ამ ამბავში მხოლოდ ეს არის ერთადერთი ხელშესახები საგანო, გაიფიქრა ისევ და ისევ ეჭვებით შეპყრობილმა. მერე გენერალურმა დირექტორმა სამეანო მაშების განყოფილების ვიცე-დირექტორად ობ 9 სმ დანიშნა, ბთ 122 სმ 28, ბთ 122 სმ 29, ბთ 122 სმ 30 კი ბუღალტრებად დააწინაურა, ქვეშევრდომებს აპენცელ-ინეროდენის კანტონში სამეანო მაშების რეკლამასთან დაკავშირებით რამდენიმე საქმიანი მითითება მისცა და წავიდა.

დაღლილი, მშვიერი, უეცარი განდიდებით დაბნეული, თავის სიცოცხლეში პირველად ჩაჯდა ტაქსში და ქალბატონ ბილერისკენ გაემართა.

მოკრიალებული ცა გადაფარებოდა სიცივისაგან გათოშულ ქალაქს. დღის სინათლეზე მკვეთრად მოჩანდნენ სასახლეები, ეკლესიები და ხიდები. პრეზიდენტის სასახლეზე აღმართული დროშა თითქოს ცას ნიჭყინვიაო. მდინარე სარკესავით პრიალებდა. თითოეული ფერი სუფთა და გამჭვირვალე იყო, არც ერთი მათგანი არ ერწყმოდა სხვას. ქუჩებსა და ბულვარებზე გრძელი, სწორი ჩრდილები გაწოლილიყო.

არქილოქოსი კაფეში შევიდა. კარებზე მიმაგრებული ზარი ჩვეულები-სამებრ აწკარუნდა. არნოლფმა გაცრეცილი პალტო გაიხადა.

ქალბატონი ბილერი ბოთლებითა და ორთომელებით სავსე დახლის უკან იდგა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა გაოცებულმა ქალმა და კამპარი დაისხა.

— ბატონო არნოლფ! რა დაგემართათ? ძალზე დაღლილი, გაფითრებული და უძილო ჩანხართ. სულ არ გელოდით ახლა. განა ამ დროს შუა მუშა-

ობაში არ უნდა იყოს? შეგემთხვავთ რამე? ვინმე ქალთან ხომ არ იყავით ან ცოტა გადაკრულში ხომ არა ხართ? იქნება სამსახურიდან დაგითხოვეს?

— არა, პირიქით, — თქვა არქილოქოსმა და კუთხეში მიჯდა. ოგიუსტმა რძე მოუტანა.

განცვიფრებულმა ჟორჟეტამ ჰკითხა, რას ნიშნავს ეს „პირიქით“, სიგარეტს მოუკიდა და მზის სხივებს თეთრი ბოლქვები შეაბოლა.

— ამ დილით ატომური ზარბაზნებისა და სამეანო მაშების განყოფილებების გენერალურ დირექტორად დამნიშნეს. თვითონ პტი-პეიზანმა წარმადგინა ამ თანამდებობაზე, — ქშენით მოახსენა არქილოქოსმა.

ოგიუსტმა სტუმარს ჯამით ვაშლის ფაფა, მაკარონი და სალათი მიართვა. ეტყობა, ახალ ამბავს დიდად არ გაუკვირვებია ჟორჟეტა.

— კი მაგრამ, რისთვის? — ესლა ჰკითხა არქილოქოსს დუდუნით.

— შემოქმედებითი სოციალიზმის პრინციპების გამო.

— მშვენიერი დასაწყისია. როგორ გაატარეთ დრო თქვენს ბერძენ ლაზმანთან?

— უკვე დავნიშნე, — მორცხვად თქვა არქილოქოსმა და გაწითლდა.

— ძალიან ჭკვიანურად მოქცეულხართ, — შეუქო ვაჟკაცობა მაღამ ბილერმა.

— რა ხელობის ქალია?

— შინამოსამსახურე.

— ეტყობა, თბილი ადგილისთვის მიუგნია, რომ ასეთი ძვირფასი ქურქით დადის, — ჩაიქირქილა ოგიუსტმა.

— ხმა ჩაიწყვიტე, — შეუღრინა ქმარს ჟორჟეტამ.

საბრალო არქილოქოსს კი ჯერ ისევ სიზმარში ეგონა თავი. აღტაცებით უყვებოდა ჟორჟეტას, რა უცნაურად წაეწყო იმ დღეს ერთმანეთზე ყველაფერი; უცნობი მამაკაცები მეგობრულად ხელს უქნევდნენ მანქანებიდან და ავტობუსებიდან, პრეზიდენტმა, ეპისკოპოსმა მოზერმა და მხატვარმა პასაპ-მაც კი თავი დაუკრეს, ხოლო ამერიკის ელჩმა ჰელოო, მიაძახა.

— შეხედე ერთი, — წამოიძახა ჟორჟეტამ.

არნოლფი განაგრძობდა:

— ვეჭილი დიუტური და ერკიულ ვაგნერიც მომესალმნენ, თუმცა ცოტა არ იყოს უცნაურად. ორივემ თვალი ჩამიკრა მხოლოდ.

— მაშ, თვალი ჩაგიკრეს! — გაიმეორა ჟორჟეტამ.

— კარგი ჩიტი კი გიპოვნია, — ჩაიბუტბუტა ოგიუსტმა.

— ენა ჩაიგდე! — ისევ დაუცაცხანა ჟორჟეტამ ქმარს. შემცბარი ოგიუსტი, გაკნაჭულ ფეხებზე ჯერაც ცხელი წყლის ოხშივარი რომ ასდიოდა, ღუმელს იქით გადაბარგდა.

— რაც შენი საქმე არ არის, იმაში ცხვირს ნუ ჩაყოფ. კაცებს ასეთი ამბებისა არაფერი გაგეგებათ! ალბათ მალე შეირთავთ ქლოეს, არა? — კვლავ მიუბრუნდა ჟორჟეტა არქილოქოსს, თან კამპარი გადაჰკრა.

— ვფიქრობ, რაც შეიძლება დავაჩქარო ეს საქმე.

— ძალიან ჭკვიანურია. ქალზე მამაკაცმა ჯიქურ უნდა მიიტანოს იერიში. განსაკუთრებით ქლოესთანა ქალზე. სად აპირებთ დასახლებას?

არქილოქოსმა ამოიოხრა და მიუგო, ჯერჯერობით არაფერი არ ვიციო, თან მაკარონსა და ვაშლის ფაფას სანსლავდა.

— ჩემს უბადრუკ სადგომში ისეთი მყრალი ჰაერი და წყლის ისეთი ხმა-
ურია, რომ, ცხადია, იქ ვეღარ გავჩერდები. ალბათ პირველ ხანებში პანსიონ-
ში მოგვიხდება ცხოვრება.


— აბა, ეს როგორ გეკადრებათ, ბატონო არქილოქოს, — გაიცინა ჟორ-
ჟეტამ, — თქვენისთანა ფულიანი კაცისათვის ძალზე უხერხული იქნება ასე-
თი რამ. იქირავეთ ნომერი „რიცში“, ზუსტად თქვენთვისაა შედგამოჭრილი,
და ისიც იცოდეთ, დღეიდან ჩემთანაც ორმაგ ფასს გადაიხდით. გენერალურ
დირექტორებს ტყავი უნდა გააძროს კაცმა, აბა სხვა რის მაქნისი არიან, მა-
გათი ძვალი არ იჭმევა და რბილი, — თქვა ჟორჟეტამ და ისევ შეივსო ჭიქა
კამპარით.

არქილოქოსი წავიდა. კაფეში „ოგიუსტთან“ მცირე ხნით სიჩუმე ჩამო-
ვარდა. მადამ ბილერი ჭიქებს რეცხავდა, ოგიუსტი ღუმელს უკან მიუხეიბუ-
ლიყო.

— რა კარგი ვინმე უშოვნია, — თქვა ბოლოს ოგიუსტმა და გაკნაჭული
ფეხები მოიფხანა. — როცა Tour de France-ში მეორე ადგილი ავიღე, მეც
შემეძლო დამეთრია ერთი ასეთი ძვირფასქურქიანი ლამაზმანი. იმ ჩიტუნის
ვინმე ბარონი ფონ ციუნფტიგი მფარველობდა. ბარონი მულტიმილიონერი
გახლდათ, ბელგიაში ნახშირის მალაროები ჰქონდა. ეჰ, ახლა მეც რომელღიმე
განყოფილების გენერალური დირექტორი ვიქნებოდი.

— ნუ მიედ-მოედები რაღაცას, — შეუცაცხანა ქმარს ჟორჟეტამ და ხე-
ლები ტილოზე შეიმშრალა. — შენ სულ სხვა ყალიბის კაცი ხარ. ასეთი ქალი
შენ არ გამოგყვებოდა. ნუთუ ვერა გრძნობ, რომ მარბილი გაკლია. არქილო-
ქოსს რომ უყურებ, ეგ კაცი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, გული ყო-
ველთვის მიგრძნობდა ამას. გარდა ამისა, ბერძენია. აი, ნახავ, რა ამბები
დატრიალდება. არქილოქოსი ჯერ კიდევ იტყვის თავის სიტყვას. ქლოე კი
მართლაც რომ დიდებული ქალია. გასაკვირი არ არის, რომ ბოლოს და ბოლოს
გადაუწყვეტია თავის ხელობას შეეშვას. ძალიან ძნელია დიდხანს მისდომ ამ
საქმეს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებასაც
რომ ვერ ანიჭებს ადამიანს?! ასეთი ქალი ცდილობს, რაც შეიძლება დროუ-
ლად შეეშვას ამ ამბავს. მეც ამაზე ვოცნებობდი ოდესღაც. მართალია, ბევ-
რისთვის ოცნება ოცნებად რჩება და საბრალოებს, როგორც იტყვიან ღობის
ძირში ამოხდებათ ხოლმე სული, მაგრამ ზოგიერთს ღმერთი გადმოხედავს და
გადმოუგდებს თავის წილ შენისთანა „ოგიუსტს“. ჰოდა, გყავდეს და დატკბი
ამიერიდან მთელი შენი სიცოცხლე მისი ტიტლიკანა ფეხებისა და ყვითელი
მაისურის ცქერით. Eh bien¹, რადგან წარსულზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა
გითხრა, რომ ჩემი ახლანდელი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. მე ხომ მულ-
ტიმილიონერი თაყვანისმცემელი არა მყოლია, ამხელა პროფესიონალური გა-
ქანებითაც ვერასოდეს დავიკვებხნოდი. მე მხოლოდ წვრილი ბურჟუები და
ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკები დამიდიოდნენ. ცოტა ხანს, სულ რაღაც
თოთხმეტეოდე დღე, ერთი არისტოკრატიც მყავდა, გრაფი დოდო ფონ მალ-
ხერნი. თავისი საგვარეულო შტოს უკანასკნელი ნაშთიერი გახლდათ. საბრალო,
დიდი ხანია მიწამ შეჭამა. ქლოე კი მიაღწევს თავისას. რაკი თავისი არქილო-
ქოსი იპოვა, კაცადაც აქცევს, აი, ნახავ.

¹ ძალიან კარგი (ფრანგ.).



არქილოქოსი ტაქსით საერთაშორისო ბანკისაკენ გაემართა, იქიდან კი ტურისტულ ბიუროში, დე ლ'ეტას სანაპიროზე. უზარმაზარი დარბაზის კედლები გეოგრაფიულ რუკებსა და პლაკატებს აეჭრებინა: „ეწვიეთ შვეიცარიას“, „გვეწვიეთ მზიურ სამხრეთში“, „ერ-ფრანსის თვითმფრინავები რიოში ჩაგიყვანთ“, „მწვანე ირლანდია“ და ა. შ. აქ მოსულებს ზრდილობიანად ეგებებიან, ისმის საბეჭდი მანქანის კაკუნი. დარბაზი ნეონის შუქითაა გაჩახახახებული. ირგვლივ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე უცხოელები ირევნიან. არქილოქოსი ერთ-ერთ თანამშრომელთან მივიდა და საბერძნეთში წასვლის სურვილი გამოთქვა. მარშრუტიც ამცნო. კორფუს, პელოპონესის და ათენის დათვალიერება მსურსო. ბიუროს თანამშრომელმა უპასუხა, ჩვენი ფირმა სამწუხაროდ სატვირთო გემებით ექსკურსიებს არ აწყობსო. ამაზე არქილოქოსმა საკმაოდ მკვახედ მიუგო, რომ გაემგზავრება „იულიათი“ და ახლავე დაუკვეთავს კაიუტა-ლუქსს თავისთვის და მეუღლისათვის.

თანამშრომელმა განრიგი გადაშალა და ესპანელ ისუტენიორს დონ რუისს რომელიღაც მატარებლის გასვლისა და ჩამოსვლის დრო აუწყა. კარგა ხნის შემდეგ არქილოქოსს მიუბრუნდა და აცნობა, „იულიაზე“ თავისუფალი ადგილები აღარ გვაქვსო. მერე კი მთელი თავისი ყურადღება ვილაც ქაიროველ ვაჭარზე გადაიტანა.

არქილოქოსი ტურისტული ბიუროდან გამოვიდა. იქვე ტაქსი უცდიდა.

— ვინ არის ყველაზე საუკეთესო მკერავი მთელ ქალაქში? — ჰკითხა მძღოლს მცირე ხნის ფიქრის შემდეგ.

— ო' ნეილ-პაპერერი ბიკინის პროსპექტზე და ფატი სენტ-ონორეს ქუჩაზე, — მიუგო გაოცებულმა მძღოლმა.

— საუკეთესო პარიკმახერი ვილაა?

— ყოზე, ოფენბახის სანაპიროზე.

— რომელი ქუდების მაღაზია ითვლება საუკეთესოდ?

— გოშენბაუერისა.

— სად შეიძლება კაცმა საუკეთესო ხელთათმანები შეიძინოს?

— დე შტუტც-კალბერმატენტან.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა არქილოქოსმა, — დამატარეთ ეს მაღაზიები.

ჯერ ო'ნეილ-პაპერერთან შეიარეს ბიკინის პროსპექტზე, მერე ფატისთან სენტ-ონორეს ქუჩაზე, ყოზესთან ოფენბახის სანაპიროზე, ხელთათმანების მაღაზიაში დე შტუტც-კალბერმატენტან და, ბოლოს, თავსამკაულის მაღაზიაში გოშენბაუერთან. ვის ხელში აღარ გაიარა არქილოქოსმა! საბრალოს წმენდნენ და ხეხავდნენ, ბანდნენ და ასუფთავებდნენ, ზომაგდნენ და ახლებით მოსავდნენ. ტაქსში ყოველ ჩაჯდომაზე გენერალური დირექტორი სულ უფრო და უფრო მოხდენილი და სურნელოვანი ხდებოდა. სულ ბოლოს გოშენბაუერის მაღაზიიდან გამოვიდა. თავზე იდენის ფირმის მოვერცხლისფერო ქუდი ეხურა. საღამოს არქილოქოსი კვლავ გამოცხადდა დე ლ'ეტას სანაპიროზე ტურისტულ ბიუროში. დაუდევრად მიაგდო ფანჯრის რაფაზე მოვერცხლისფე-

რო ქუდი და აუღელვებლად შეუკვეთა „იულიაზე“ ორსაწლიანი კაიუტალუქსი იმავე თანამშრომელს, რომელმაც სულ რამდენიმე საათის წინ უარით გაისტუმრა... თანამშრომელი ბლანკის შევსებას შეუდგა.

— „იულია“ ზღვაში მომავალ პარასკევს გადის მარშრუტით: კორფუ, პელოპონესი, ათენი, როდოსი და სამოსი, — აცნობა მან არქილოქოსს და გვარი ჰკითხა.

არნოლფმა ორი ბილეთის ფული გადაიხადა და წავიდა. ესპანელი სუტენორი ჯერ ისევ ბიუროში დაბორილობდა და ტურისტულ პროსპექტებს ათვალეირებდა, დროდადრო კი საქმეს აწყობდა ზოგიერთ მანდილოსანთან. ეს მანდილოსნებიც ვითომ პროსპექტების თვალეირებით იყვნენ გართული და ისე სჩრიდნენ ასიგნაციებს თხელ, ნატიფ ხელებში, რომ მისკენ არც კი იხედებოდნენ.

— სამარცხვინოა პირდაპირ, ბატონო, — მიმართა თანამშრომელმა დონ რუისს ესპანურად (ესპანურს იგი საღამოს კურსებზე სწავლობდა). — გამოგეცხადება უეცრად ვილაც მეეზოვე ან მებუხრე და მოგთხოვს ორ ადგილს „იულიაზე“. ამ გემით კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ არისტოკრატები და მაღალი წრის ხალხი მგზავრობს. მაგალითად, ამ რეისით „იულიათი“ ჰესენის უფლისწული, მისის და მისტერ უიმენები და სოფი ლორენი მიემგზავრებიან. მაგრამ როცა ასეთ ვაჟბატონს ზრდილობიანად უარით გაისტუმრებ — რასაც, სხვათა შორის, კაცთმოყვარეობით აკეთებ, რადგან იცი, რომ ასეთ საზოგადოებაში იგი ტაკიმასხარას მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს, — ეს თავხედი ლორდივით გამოპრანჭული ბრუნდება, ფულს მულტიმილიონერივით აფრიალებს, და შენც იძულებული ხარ, ბილეთები მისცე. აბა, მე რა შემიძლია ვიღონო მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ. სამი საათი საკმარისია ამ ნაძირალასათვის, რომ სანაგვე ყუთიდან ამობობლდეს და მაღალ საზოგადოებას კენწეროში მოექცეს. ამ საქმეს კარგი სუნი არ უდის, ესე იგი რაღაც მოხდა. ოთხში ერთია: ბანკის გაძარცვა, გაუპატიურება, მკვლელობა ან პოლიტიკა.

— მართლაც რომ აღმაშფოთებელი ამბავია, — მიუგო ამაზე დონ რუისმა ესპანურად (ესპანურს ისიც საღამოს კურსებზე სწავლობდა).

ამასობაში უკვე ჩამობნელდა. ქუჩები ლამპიონებმა გააჩახჩახა. არქილოქოსი ახალ ხიდზე გადავიდა და კიუნეკეს ბულვარისკენ გაემართა. აქ ძველი და ახალი პრესვიტერიანული ეკლესიის ეპისკოპოსი ცხოვრობდა.

უეცრად ვიქტორიანული სტილით ნაგები შენობის წინ, ტროტუარის კიდზე ჩამომჯდარი ბიბი შენიშნა. დაჭმუჭნილი ქუდი ეხურა, ტანსაცმელი მთლად შემოგლეჯოდა და არყის სუნით ყარდა. ელექტრონის ბოძს მიყრდნობილი იქვე თხრილიდან ამოღებულ გაზეთს კითხულობდა.

— ეს როგორ გამოპრანჭულხარ, ჩემო ძმაო? — ჰკითხა ბიბიმ ძმას, გაკვირვებისაგან დაუსტვინა, ენა გააწკლაპუნა, თითები გაატკაცუნა და საგულდაგულოდ დაკეცა გაზეთი. — ბრწყინვალე ჭინჭებია.

— გენერალურ დირექტორად დამნიშნეს, — უთხრა არნოლფმა.

— უყურე ერთი!

— სამეანო მაშების განყოფილებაში ბუღალტრად აგიყვან, თუ პირობას მომცემ, რომ წესიერად მოიქცევი. ხომ იცი, რომ მე, უპირველეს ყოვლისა, წესრიგის კაცი ვარ.

— ჩემო არნოლფ, შენც ხომ იცი, რომ მე კანცელარიის კაცი არა ვარ, მოდი მაგას შევეშვათ. ახლა კი შენს გაზრდას, ეგებ ცოტა ფული გამიხერხო.

— რაშია საქმე?

— გოტლიბი კედლიდან გადმოვარდა. ხელი მოიტეხა.

— რომელი კედლიდან?

— პტი-პეიზანის კონცერნის კედლიდან.

არქილოქოსს თავის სიცოცხლეში პირველად მოერია სიბრაზე.

— გოტლიბს არა აქვს უფლება პტი-პეიზანი ძარცვოს, — აუწია მან ხმას. ბიბი გაოცდა. — მას საერთოდ არავის ძარცვის უფლება არა აქვს, მით უმეტეს პტი-პეიზანისა. ის ხომ ჩემი მფარველი ანგელოსია, და, რადგან შემოქმედებითი სოციალიზმის მომხრეა, გენერალურ დირექტორადაც დამნიშნა. შენ კი თავხედობა გყოფნის და პტი-პეიზანის ნაწყალობევე ფულსა მთხოვ.

— პირველად და უკანასკნელად შევეხეთ შენს კერპს, ძმაო არნოლფ, — დამაჯერებელი ხმით უთხრა ძმას ბიბიმ, — გოტლიბმა უბრალოდ ბედი სცადა. მას ჩილეს ელჩის გაქურდვა უნდოდა. კარგი სარფიანი საქმე კი იყო, მაგრამ სახლის ნომერი შეეშალა. ზომ იცი, როგორი გამოუცდელი და უმწიკვლოა ჯერ საბრალო ბავშვი. მაშ, იძლევი მაყუთს? — ბიბიმ არქილოქოსს ძმურად გაშლილი ხელისგული გაუწოდა.

— არა, — უთხრა არქილოქოსმა, — ასეთ ხულიგნობას ხელს ვერ დავაფარებ, ახლა კი უნდა წავიდე, ეპისკოპოსთან მაგვიანდება.

— მე აქ მოგიცდი, ძმაო არნოლფ! — წყნარად უთხრა ბიბიმ და კვლავ აუღელვებლად გაშალა გაზეთი, — მოდი, ერთი საერთაშორისო მდგომარეობას გადავხედავ, გავიგებ, რა ხდება დღეს.

ჩასუქებულმა, ლოყებლაჟღაჟა ეპისკოპოსმა მოზერმა არქილოქოსი თავის სამუშაო კაბინეტში მიიღო. შავ ანაფორას თეთრი გახამებული საყელო უმშვენებდა. ოთახში თამბაქოს ბოლი ტრიალებდა, პატარა ლამპა ოდნავ ბუტავდა. კედლების გასწვრივ თაროებზე, სასულიერო და საერო წიგნები იყო ჩამწკრივებული. მძიმე ფარდაჩამოფარებულ მაღალ ფანჯარაში ქუჩის ლამპიონების შუქი ატანდა. არქილოქოსს ბიბი გაახსენდა, მაგრამ უმალ მოეშვა მასზე ფიქრს და ეპისკოპოსს თავისი ვინაობა მოახსენა. აქამდე უმცროსი ბუღალტერი ვიყავი, დღეს კი ატომური ზარბაზნებისა და სამეანო მაშების განყოფილებების გენერალურ დირექტორად დამნიშნესო, განუცხადა მასპინძელს. ეპისკოპოსმა მოზერმა კეთილი მზერა შეანათა სტუმარს.

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, — ჩიფჩიფით მიუგო მოხუცმა, — მამა ტიურკერის ქადაგებებს ესწრებით ხოლმე წმინდა ელოიზის ეკლესიაში, ხომ არ შევმცდარვარ? ძველ და ახალ პრესვიტერიანელთა მრევლი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, ყოველთვის გულთან ახლოს მიმაქვს მისი ამბები. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ეპისკოპოსმა გენერალურ დირექტორს მაგრად ჩამოართვა ხელი და მოხერხებულ სავარძელზე მიუთითა, თვითონ კი საწერ მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა. არქილოქოსმა მადლობა გადაუხადა და დაჯდა.

— ვიდრე თქვენს სათქმელს მეტყობდეთ, მინდა საკუთარი გული გადაგიშალოთ,— ისევ წაიჩიფჩიფა ეპისკოპოსმა.— სიგარას ხომ არ ინებებთ?

— გმადლობთ, არ ვეწევი.

— მაშინ იქნებ ღვინო ან არაყი მიირთვათ?

— არა ვსვამ.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, გავაბოლოებ. როცა ეწევი, უფრო გიადვილდება გულითადი საუბარიცა და აღსარების თქმაც. ლუთერმა თქვა: „გაბედულად შესცოდეთ“, მე კი ვიტყობდი: „გაბედულად მოსწიე“ და „გაბედულად შესვი“-მეთქი. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

ეპისკოპოსმა წიგნებს უკან გადამალული ბოთლი გადმოიღო და ჭიქა არაყით შეივსო.

— როგორც გენებოთ, — თქვა ცოტა არ იყოს ნირწამხდარმა არქილოქოსმა.

ეპისკოპოსმა მოზერმა „დანემანის“ ფირმის ძვირფას სიგარას მოუკიდა.

— ძვირფასო ძმაო! ნება მიბოძეთ, ასე მოგმართოთ. ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო, ერთად დავმსხდარიყავით და აქეთურზე თუ იქითურზე გვესაუბრა. — ეპისკოპოსმა სიგარას ბოლი ბოლქვებად გამოუშვა. — მაგრამ ღმერთო ჩემო, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გადატვირთულები ვართ ჩვენ, ეპისკოპოსები. იძულებული ხარ მოინახულო მოხუცთა თავშესაფრები, მოაწყო ახალგაზრდული ბანაკები, სამადლო დაწესებულებებში გაამწესო ზნედაცემული ქალები, თვალყური ადევნო საკვირაო სკოლებში მეცადინეობას და კონფირმაციისათვის მზადებას, გამოსცადო საეკლესიო თანამდებობაზე მისაღები პირები, გაუმასპინძლდე ახალპრესვიტერიანელებს და დროდადრო მღვდლებიც შეახურო. ეპისკოპოსს აუარებელი საქმე აქვს. ჩვენი ძვირფასი ტიურკერი ხშირად მესაუბრებოდა ხოლმე თქვენზე. გაგებული მაქვს, რომ არც ერთი ქადაგება არ გაგიცდენიათ და ამ საქმეში არაჩვეულებრივ კეთილსინდისიერებას იჩენთ.

არქილოქოსმა ამის პასუხად მიუგო, ღვთის ტაძარში სიარული ჩემთვის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენსო.

ეპისკოპოსმა მოზერმა ხელახლა დაისხა არაყი.

— დიახ, ვიცი და უდიდეს სიხარულსაც განვიცდი. ახლა კი მომისმინეთ: ორი თვის წინ უფალმა მიიბარა ძველი და ახალი პრესვიტერიანული საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს ერთ-ერთი ღრმადპატივცემული წევრის სული. და აი, ვფიქრობ, თქვენთვის ხომ არ შემოგვეთავაზებინა ეს საპატიო ადგილი. გენერალურ დირექტორობასთან ამის შეთავსება ადვილია; მხოლოდ უნდა ვეცადოთ ხოლმე, რომ განსაკუთრებით არ გავუსვათ ხაზი თქვენს მოღვაწეობას ატომური ზარბაზნების განყოფილებაში. ჩვენ ისეთი ხალხი გვჭირდება, ვინც ვაჟკაცობას იჩენს არსებობისათვის ძნელსა და ხშირად მკაცრ ბრძოლაში, ბატონო არქილოქოს.

— კი, მაგრამ, ბატონო ეპისკოპოსო...

— რაო, თანახმა ხართ თუ არა?

— ეს ჩემთვის მოულოდნელი პატივია...

— ესე იგი, შემიძლია თქვენი კანდიდატურა საერთაშორისო საეკლესიო საბჭოზე წამოვაყენო.

— თუ თქვენ მიგაჩნიათ...

— არ დაგიმაღავთ, მსოფლიო საეკლესიო საბჭო დიდი სიამოვნებით, დიახ, შეიძლება ითქვას, დიდი სიხარულით იღებს ყველა ჩემს წინადადებას. მე მეტად თავნება არქიელს მეძახიან. მინდა გითხრათ, რომ საბჭოს წევრები არაჩვეულებრივად კეთილი ქრისტიანები არიან. ძალიან უხარიათ, როცა ვცდილობ, თავიდან ავაცილო ხოლმე მათ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხი. ხანდახან საბჭოს წევრთა ბედიც დამაფიქრებს ხოლმე. ეს ღვთით მომადლებული ნიჭი კი სამწუხაროდ, არამც თუ ყველა მოკვდავს, სხვათა შორის, თვითონ მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრებსაც არ გააჩნიათ. საბჭოს მორიგი სხდომა, სადაც თქვენ კანდიდატად წარსდგებით, მაისში ჩატარდება სიდნეიში. თითოეული ასეთი მოგზაურობა ღვთით ნაბოძები წყალობაა პირდაპირ. გაეცნობით ახალ ქვეყნებს, ადამიანებს, უცხოურ ადათ-წესებს, დაინტერესდებით პრობლემებით, რაც აწუხებს კაცობრიობას ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კონტინენტზე. რა თქმა უნდა, მოგზაურობის ხარჯებს ძველი და ახალი პრესვიტერიანული ეკლესია გაიღებს.

— მართალი გითხრათ, ცოტა მეუხერხულეა ..

— ჩემი სათქმელი მოვათავე, — წაიჩიფჩიფა ეპისკოპოსმა. — ახლა თქვენი ჯერია. მოდი, კუკუშალობანას თამაშს თავი დავანებოთ. მგონი მიგიხვდით ჩემთან მოსვლის მიზეზს. განზრახული გაქვთ ჯვარი დაიწეროთ და თქვენი ბედი უმწვენიერეს ქალს დაუკავშიროთ. გუშინ ეროვნულ იმუხეუმთან დაგინახეთ და მოგესალმეთ, მაგრამ იძულებული ვიყავი სწრაფად შემეხვია იქვე მივარდნილ მოსახვევში. ერთი მომაკვდავი მოხუცი ქალი მყავდა მოსანახულებელი. საცოდავი, რომ იტყვიან ნამდვილი წმინდანია.

— დიახ, ჯვრის დაწერას ვაპირებ.

— რას იტყვით, ხომ გამოვიცანი?

— დიახ, გამოიცანით, არაფერი მეთქმის.

— კაი სანდომიანი ქალი კი ჩანს, — წაიდუღუნა მან, — ბედნიერებას გისურვებთ. ჯვრისწერას როდისთვის აპირებთ?

— ხვალისთვის, და თუკი მოხერხდება, წმინდა ელოიზის ეკლესიაში. თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, თუ ჯვარს პირადად თქვენ დაგვწერდით.

ეპისკოპოსმა რატომღაც დაირცხვინა.

— კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი თვითონ ამ ეკლესიის მღვდლის მოვალეობაა, — თქვა მან, — ტიურკერი ყოველთვის შესანიშნავად უძღვება ხოლმე ჯვრისწერას, და, სხვათა შორის, ზარივით წკრიალა ზმის პატრონიცაა.

— ძალიან გთხოვთ, დაუშვათ ჩემთვის ეს გამონაკლისი, — სთხოვა არქილოქოსმა, — მით უმეტეს, რომ ამიერიდან მეც საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრი უნდა ვიყო.

— ჰმ, მოასწრებთ კია ხვალამდე ყველა საქმის მოგვარებას? — ჰკითხა ეპისკოპოსმა. იგი აშკარად ვერ გრძნობდა თავს თავის ქერქში.

— ვეჭილ დიუტურს რომ მივმართო?

— მაშინ თანახმა ვარ, რომ ჯვრისწერა ხვალ შუადღის სამი საათისთვის დაგნიშნოთ წმინდა ელოიზის ეკლესიაში. თუ შეიძლება, მითხარით თქვენი საცოლის გვარი, ვინ არის, რას აკეთებს.

ეპისკოპოსმა ყველაფერი ჩაიწერა.

— ბატონო ეპისკოპოსო, — წამოიწყო არქილოქოსმა, — ჩემი ქორწინება საკმაოდ მიზეზია საიმისოდ, რომ ცოტა ხნით საქმეებს მოგწყვიტოთ, მაგრამ ჩემ-

თვის იგი ყველაფერზე მნიშვნელოვანი მაინც არ არის. გთხოვთ მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ ამგვარ ლაპარაკს, რადგან, აბა, სხვა რა შეიძლება იყოს ამქვეყნად უფრო დიდებული, ვიდრე ორი მოსიყვარულე არსების შეუღლება. და, მაინც ამ წუთში ერთი უფრო საჭირბოროტო საკითხი მაწევს გულზე ლოდოდ.

— ყველაფერი გამანდეთ, ძვირფასო გენერალური დირექტორო! — გაამხნევა ეპისკოპოსმა, — თამამად, თამამად! გადაიგდეთ ლოდი გულიდან. ეგ თქვენი ტვირთი, გულზე რომ გაწევთ, ძალზე ბუნებრივი, მე ვიტყვოდი, მეტი-მეტად ადამიანური ტვირთია.

— ბატონო ეპისკოპოსო, — წამოიწყო მსოფლიო სევდით შეპყრობილმა არქილოქოსმა, სავარძელში გასწორდა და ფეხიც კი შემოიღო ფეხზე, — მაპატიეთ, თუ სისულელეებსა ვროშავ. არ დაგიმალავთ, ჯერ კიდევ დღეს დილით ერთი ლარიბ-ლატაკი ვინმე ვიყავი, კვირას, თქვენთან შეხვედრისას, კონფირმაციის დღისთვის შეკერილი კოსტუმი მეცვა. ახლა კი უცბად ო'ნეილ-პაპერერისა და ფატის ტანსაცმელში დავიჯგიმები. ძალიან მრცხვენია თქვენი, ბატონო ეპისკოპოსო; ალბათ გგონიათ, რომ ვერ გავუძელ ტკბილი ცხოვრების ცდუნებას.

— პირიქით, — გაეღიმა ეკლესიის მსახურს, — სასიამოვნო გარეგნობა, ლამაზი ტანსაცმელი ყოველთვის იმსახურებს შექებას, განსაკუთრებით ჩვენს დროში როცა ზოგიერთ წრეებში, სადაც ნიპილიზმს ქადაგებენ, განზრახ დაუდევრად იცვამენ, მათხოვრულადაც კი. ო, როგორ ვერ ვიტან ამ შარვლის ზემოდან ამოჩაჩულ ზიზილ-პიპილო პერანგებსა და სხვა ამგვარ საზიზღრობას. კოპწია ჩაცმულობა და ქრისტიანული რწმენა, ჩემო კარგო, არასდროს არ გამორიცხავდა ერთმანეთს.

— ბატონო ეპისკოპოსო! — არქილოქოსს ხმაზე გამბედაობა დაეტყო, — ბუნებრივია, ჭეშმარიტ ქრისტიანს შეშფოთება და მწუხარება დაეუფლება, უბედურება უბედურებაზე რომ დაატყდეს თავს. ასეთი ადამიანი იობივით იგრძნობს თავს, შვილების დაღუპვის შემდეგ სილატაკე და კეთროვანება რომ არგუნა ბედმა წილად. ასეთ შემთხვევაში კაცს მაინც შეუძლია ინუგეშოს თავი, რადგან ყველა უბედურება ხომ მის მიერ ჩადენილი ცოდვების საზღაურია მხოლოდ. მაგრამ თუკი პირიქით მოხდა? თუკი ერთ ბედნიერებას მეორე მოსდევს? აი, სად არის, ჩემის აზრით, დამალული ადამიანის ჭეშმარიტი შიშისა და შეშფოთების სათავე, რადგან ბედნიერების ჯაჭვის მიზეზთა ახსნა მის გონებას აღარ ძალუძს. ასეთ შემთხვევაში ჩვენს თავს ძალაუნებურად ვუსვამთ შეკითხვას: არსებობს კი ადამიანი, ვინც მხოლოდ ბედნიერებას იმსახურებს?

— ჩემო ძვირფასო ბატონო არქილოქოს, — გაუღიმა ბერძენს ეპისკოპოსმა მოზერმა, — სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ასეთი სასწაულები თითქმის არ ხდება. მოციქულ პავლეს უბრძანებია: „ადამიანი არის არსება, დღენი-ადაგ, რომ მოთქვამსო“. დიახ, ჩვენ ყველანი მოვთქვამთ ამა თუ იმ უბედურების დროს. მაგრამ ყველა უბედურება ტრაგედიად არ უნდა აქციოს კაცმა. წელან ძალზე მოსწრებულად და მჭევრმეტყველურად ბრძანეთ, იობს უნდა მივბადოთო. ტიუკერიც ასე იტყოდა. თქვენ მეკითხებით, რა უნდა ქნას კაცმა, როცა ერთ ბედნიერებას მეორე მოსდევს და ბედნიერებათა მთელ ჯაჭვს ქმნისო. ჰოდა დამიჯერეთ, ასეთი ამბები ცხოვრებაში არ ხდება.

— ბატონო ეპისკოპოსო, ვფიცავ, თავად მე შემემთხვა ასეთი რამ, — წამოიძახა არქილოქოსმა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. თანდათან ჩამობნელდა, დღე ჩაიფერფლა. გარედან ჩამიჩუმი არ ისმოდა. დროდადრო მხოლოდ მანქანის ხმაური ან გამვლელთა ყრუ ნაბიჯები თუ არღვევდა საღამოს მყუდროებას.

— დიახ, დიახ, ღმერთმა თითქოს ჩემთვის მოიცალაო. ყოველ ნაბიჯზე ბედნიერება მისაფრდება, — ჩუმად განაგრძობდა ყოფილი ბუღალტრის თანაშემწე. მის უზადოდ შეკერილ კოსტუმს საღილეში გარჭობილი ქრიზანთემა ამშვენებდა (იდენის ფასონის მოვერცხლილი ქუდი, გაქათქათებული თეთრი ხელთათმანები და მოხდენილი ბეწვის ქურქი შემოსასვლეში დაეტოვებინა).

— წარმოიდგინეთ, ბატონო ეპისკოპოსო, „ლე სუარში“ გამოვაქვეყნე საქორწინო განცხადება. სულ მოკლე ხანში გამომეცხადა მომხიბლავი ქალიშვილი. ქალიშვილს ერთის ნახვით შევუყვარდი. რასაკვირველია, მეც მომელოტრფობის ალი. ყველაფერი ისე აეწყო, როგორც უხეირო კინოფილმებში ხდება ხოლმე. ამაზე კიდევაც მეუხერხულება ლაპარაკი. ქალიშვილთან ერთად სასეირნოდ მივდივარ და წარმოიდგინეთ, მოულოდნელად მთელი ქალაქის ყურადღებას ვიპყრობ. მესალმებით თქვენ, ბატონო ეპისკოპოსო, მესალმება ბევრი სხვა ცნობილი პიროვნება და თვით პრეზიდენტიც კი. დღეს კი თავბრუდამხვევ წარმატებას მივალწიე სამსახურშიაც და სასულიერო სარბიელზეც. სულ ცოტა ხნის წინ სრული არარაობა ვიყავი. და აი, გუშინდელი უმცროსი ბუღალტერი, დღეს გენერალური დირექტორი და საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრი ვხდები. — ყოველივე ამის ახსნა არაფრით არ შეიძლება, სწორედ ამიტომ ვარ ასე შეშფოთებული.

ეპისკოპოსი სდუმდა. ახლა ის მთლად დაუძლურებული, მიხრწნილი ბებრის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დიდხანს იჯდა ასე, ერთ წერტილს მიშტერებული; ჩამქრალი სიგარა საფერფლეზე ჩამოედო.

— ბატონო არქილოქოს, — როგორც იქნა დაარღვია სიჩუმე ეპისკოპოსმა. ამჯერად უკვე აღარ ჩიფჩიფებდა, მტკიცე ხმით ლაპარაკობდა, — ყველაფერი, რაც თქვენ ახლა გამანდეთ, მართლაც საოცარი და უჩვეულოა. რაც შეეხება ამ ამბების გამომწვევ მიზეზებს — (აქ ეპისკოპოსს ხმა აუკანკალდა და ისევ ჩიფჩიფი დაიწყო) — მიმაჩნია, რომ არ ღირს ამაზე ტვინის ჭყლეტა, უცნობ მიზეზებს არ უნდა მივცეთ ხოლმე მნიშვნელობა, რადგან ისინი ადამიანის შესაძლებლობების სფეროს განეკუთვნება, (ამ სფეროში კი ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ). არსი სულ სხვა რამეშია; უფალმა მოწყალე თვალთ გადმოგხედათ და ყოველ წუთში გრძნობთ ამ წყალობის მადლს. ახლა უმცროსი ბუღალტერი კი არა, გენერალური დირექტორი და საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრი ბრძანდებით. ამიერიდან თქვენზეა დამოკიდებული, შესძლებთ თუ არა დაამტკიცოთ, რომ ყველა ამ წყალობას სამართლიანად იმსახურებთ. გარდა ამისა მოვალე ხართ, ისევე მორჩილად იგუოთ თქვენი ახლანდელი ხვედრი, როგორც ადრე თავზე დამტყდარ ყველა უბედურებას იტანდით. აი, ეს არის, რის თქმაც ძალმიძს. შესაძლოა, ძალიან რთული გზის გავლა მოგიხდეთ, მაგრამ ეს ხომ ბედნიერების გზაა. ბედნიერების გზით სიარული კი, მოგეხსენებათ, რჩეულთა ხვედრი გახლავთ. უზენაესიც იშვიათად იმეტებს ადამიანებისათვის ამ წყალობას, რადგან უბედურების გზა ჩვეული გზაა და უფრო იოლი სავალია, ვიდრე ბედნიერებისა. ახლა კი კარგად ბრძანდებო-

დეთ. — ეპისკოპოსი წამოდგა, — ხვალ ისევ შევხვდებით ერთმანეთს წმინდა ელოიზის ეკლესიაში. მანამდე კი, იმედია, ბევრ რამეზე აგეხილებათ თვალი. როგორი გზითაც არ უნდა წარიმართოს შემდგომში თქვენი ცხოვრება, მინდა ჩემი დღევანდელი შეგონება ღრმად ჩაიბეჭდოთ გულში. მე კი ისღა დამრჩენია, თქვენი თავი უფალს შევავედრო.

ეპისკოპოსს მოზერთან საუბარი დამთავრდა. წიგნებით გაჭედებულ სქელ ფარდებჩამოფარებულ ოთახში თამბაქოს ბოლისგან სუნთქვა ჭირდა. არქილოქოსი გარეთ გამოვიდა. ბიბი კვლავ ეპისკოპოსის ფანჯრებქვეშ ატუზულიყო და მოთმინებით კითხულობდა გაზეთს. არქილოქოსმა უხმოდ ჩაუთვალა ძმას საჭირო თანხა და თავიდან მოიშორა. ამის შემდეგ საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრს სურვილი აღეძრა დაუყოვნებლივ წასულიყო სენ-პერის ბულვარზე, მაგრამ გიიომის მოედანზე იეზუიტების ტაძრის საათმა ექვსჯერ დაჰკრა, და, რადგან საცოლესთან რვა საათისთვის უნდა მისულიყო, გადაწყვიტა, მოეცადა მანამდე. თან გულისტკივილით გაიფიქრა, რომ ქლოეს მთელი ორი საათი კიდევ მოუხდებოდა ჯაფა სხვის ოჯახში. არქილოქოსმა გადაწყვიტა ქლოესთან ერთად დღესვე გადასულიყო სასტუმრო „რიცში“, და ყველაფრის თადარიგი წინასწარ დაიჭირა. შეუკვეთა ოთახები, ერთი მეორე სართულზე, ერთიც მეექვსეზე. არქილოქოსი შიშობდა, ერთის მხრივ ქალს არ მოსცხებოდა ჩირქი, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარ სახელსაც უფრთხილდებოდა. ეს საქმე რომ მოაგვარა, ვეჭილ დიუტურს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ. უთხრეს, ვეჭილი საქმეზეა წასული, რომელიღაც სახლი მის ახალ მფლობელზე უნდა გადააფორმოსო. ამრიგად, არქილოქოსის განკარგულებაში კიდევ საათნახევარზე მეტი რჩებოდა. ქლოეს ყვავილები უყიდა და მაშინვე ვახშმის თადარიგს შეუდგა, მაგრამ ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ ასეთ ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილს „ოგიუსტთან“ კაფეში არ მიესვლებოდა: ო'ნეილ-პაპერერის კოსტუმი ვერაფრით ვერ ეხამებოდა ბატონი ბილერის ყვითელ მაისურს! აღარც უაღკოპოლო სასმელების რესტორანში უნდოდა ქლოეს წაყვანა. დიდი ფიქრის შემდეგ არჩევანი ისევ „რიცზე“ შეაჩერა. თან მტკიცედ გადაწყვიტა, ვახშამზე ალკოპოლიან სასმელს არ გავაჭაჭანებინებო და აფორიაქებული სინდისი ცოტა დაიმშვიდა. „რიცში“ მაგიდა წინასწარ შეუკვეთა, და, რადგან ყური მოჰკრა, აქვე ახლოს, ჩალიჩას მხატვრულ სალონში პასაპის გამოფენა გაიხსნათ, იქით მიაშურა. აქ მხატვრის უკანასკნელი ნამუშევრები გამოეფინათ (სამოცგრაფუსიანი კუთხეები, ელიფსები და პარაბოლები). არქილოქოსს ხელში თეთრი ვარდების თაიგული ჩაებლუჯა და ნათელ დარბაზში ჯიქურ მიაბრუნებდა ამერიკელი ტურისტების, ჟურნალისტებისა და მხატვრების ტალღას, თან აღტაცებით ათვალიერებდა ყველა სურათს. და აი, ერთ-ერთი ფერტილოს წინ იგი მონუსხულივით შედგა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ტილოზე განსაკუთრებული არაფერი იყო. გაარჩევდით ცისფერი კობალტითა და ჟანგმიწის საღებავით შესრულებულ ორ ელიფსსა და ერთ პარაბოლს. აჭარხალებულმა არქილოქოსმა ყვავილები ნერვიულად ჩაებლუჯა და დაჟინებით მიაშტერდა სურათს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჭირის ოფლში გახვითქული და სიცივისაგან

აკანკალებული არნოლფი ტყვიანაკრავით გავარდა დარბაზიდან. მხატვრის მისამართი იქვე სალაროსთან მდგარ, შავ სმოკინგში გამოწყებულ ჩალიჩას ჰკითხა, ღიმილითა და ხელების ფშვნეტით რომ ეგებებოდა მნახველებს. არქილოქოსი პირველსავე შემხვედრ ტაქსში შევარდა. სალონის მეპატრონე ერთხანს წყნარად ადევნებდა თვალყურს მის ფაციფუცს, მაგრამ, როცა დაინახა, რომ არქილოქოსი მანქანაში ჩაჯდა, ისევე უპალტოდ გამოვარდა გარეთ, ტაქსი დაიჭირა და დაედევნა. სალონის მეპატრონეს თავისი დარდი აწუხებდა. ეშინოდა, არქილოქოსს პასაპისგან ჩუმად არ შეეძინა სურათი და თვითონ საშუამავლო გასამრჯელო არ დაეკარგა. პასაპი ქალაქის ძველ უბანში ფიუნებრის ქუჩაზე ცხოვრობდა, ამიტომ მანქანამ მარშალ ფიოგელის პროსპექტზე გაუხვია (მას კვალდაკვალ ჩალიჩას ტაქსი მისდევდა). გაჭირვებით მიიწევდნენ წინ, რადგან სწორედ ამ დროს ფარკის მომხრეებს შუა ქუჩაში ხალხმრავალი დემონსტრაცია მოეწყობო. ჰაერში ანარქისტის პორტრეტებისა და დროშების ტყე აღმართულიყო. უზარმაზარ ტრანსპარანტებზე ათასნაირი წარწერა მოჩანდა: „ძირს პრეზიდენტი!“ „გააუქმეთ ლოზანის ხელშეკრულება!“ და სხვა ამის მსგავსი.

სადღაც ახლოს თვითონ ფარსკი წარმოსთქვამდა სიტყვას. ისმოდა საშინელი ყიჟინა და ღრიანცელი. ამას ზედ სტვენა და ცხენების ფლოქვების ხმაური ერთოდა. პოლიციელებმა რეზინის ხელკეტები და სახანძრო შლანგები მოიმარჯვეს. ორივე ტაქსი, გენერალური დირექტორისაც და სალონის მეპატრონისაც, წყლის ნაკადში მოხვდა და ერთიანად გაიწუწა. ჩალიჩას, თავისდა საუბედუროდ, ცნობისმოყვარეობა ვერ დაეძლია, ფანჯრის მინა ჩამოეწია და თავადაც ერთიანად გალუმპულიყო.

ვრენერისა და პოტის მალაზიასთან მანქანებმა ქალაქის ძველი უბნისაკენ შეუხვიეს. ყიჟინისა და გნიასისგან გაოგნებული მძღოლები დედის სულს უტრიალებდნენ გამვლელ-გამომვლელს. მალე ძველი შენობები და საეჭვო სახელის მქონე სახლები გამოჩნდა. ოღრო-ჩოღრო ქუჩები ზევით-ზევით მიიკლანებოდნენ. აქა-იქ, შავი ფრთოსნების გუნდივით შეჯგუფებულიყვნენ მეძავი ქალები, გამომწვევად უხმობდნენ გამვლელებს და ღამურებივით წრიბინებდნენ. ჯოჯოხეთურად ციოდა. ფიუნებრის ქუჩაზე ოდნავ ბჟუტავდნენ ლამპიონები. მანქანა № 43 სახლთან გაჩერდა. აქ ცხოვრობდა პასაპი. მანქანაზე აღმასივით მოელვარე ყინულის ლოლუები ეკიდა და რომელიღაც ზღაპრულ ურჩხულს დამსგავსებოდა. არქილოქოსი ტაქსიდან თაიგულით გადმოვიდა და მძღოლს სთხოვა, დალოდებოდა. გენერალურ დირექტორს უმაღლეს გარს შემოერთყნენ ქუჩის ბიჭები და შარვალზე დაუწყეს ქაჩვა. როგორც იქნა დააღწია აბეზრებს თავი, მაგრამ მაშინვე მთვრალსა და გაავებულ მეკარე ქალს ჩაუვარდა კლანჭებში. მასაც დიდი ვაი-ვაგლახით დაუძვრა ხელიდან და გრძელ კიბეს შეუყვა. დამპალ და მონჯლრეულ კიბეზე ასვლა არცთუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. საბრალო არქილოქოსს რამდენჯერმე ჩაუტყდა საფეხური და მოაჯირს ჩაბლაუჭებული ჰაერში გამოეკიდა; უკუნეთ სიბნელეში გუმანითლა მიიკვლევდა გზას სართულიდან სართულისაკენ და გაუჩორკნავ მოაჯირზე ხელისგულები სულ გადაეტყავა. რაც შეეძლო, თვალებს აჭყეტდა, რომ რომელიმე კარებზე პასაპის გვარი ამოეკითხა. არქილოქოსს ქოშინითა და ქშენით ფეხდაფეხ მისდევდა ჩალიჩა, მაგრამ გენერალური დირექტორი მას ყურადღების ღირსად

არ ხდოდა. შენობაში ჯოჯოხეთურად ციოდა. ვილაც ფორტეპიანოზე უკრავდა, საიდანღაც ფანჯრების რახა-რუხი ისმოდა. რომელიღაც სართულზე ქალის წივილ-კივილი და მამაკაცის ღრიალი აქცევდა ყველაფერს, საშინელი სიბინძურისა და უზნეობის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. არქილოქოსი კი კვლავ ზევით-ზევით მიიწევდა. ერთგან ისევ ჩაემტვრა კიბე და მუხლებამდე ჩავარდა, მერე ობობას ქსელში გაეხვია. ზიზღით მოიშორა შუბლიდან მსუქანი, ნახევრად გაყინული ობობა. ფატისთან და ო'ნეილთან შეძენილი კოპწია ბეწვის ქურქი და კოსტუმი მტვერში ამოეგანგლა, შარვალი გაეხა. კიდევ კარგი, ყვავილები მაინც უვნებლად გადაურჩა ამ ორომტრიალში, და აი, როგორც იქნა, სხვენისაკენ მიმავალ ვიწრო, მოღრეცილი კიბეების ბოლოს ჩამოძარცული კარები დაინახა. ზედ ცარცით დიდი ასოებით ირიბად ეწერა მხატვრის გვარი. არქილოქოსმა დააკაკუნა. ორი სართულით ქვევით სიცივისაგან გათოშული ჩალიჩა ბაბანებდა. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. არქილოქოსმა რამდენჯერმე დააბრაზუნა. კაციშვილი არ ჩანდა. გენერალურმა დირექტორმა სახელური ჩამოსწია. კარები გაიღო. უზარმაზარ სხვენს ერთმანეთზე მიჯრილი ხის კოჭებიანი ჭერი და ოღრო-ჩოღრო იატაკი ჰქონდა. ირგვლივ აფრიკული კერპები. ჩამწკრივებულიყვნენ; ძირს ეყარა სახატავად გამზადებული ტილოები, ცარიელი ჩარჩოები, ქანდაკებად წოდებული, უცნაურად დახლართული მავთული. გავარვარებული რკინის ლუმელს ზემოდან დაგრეხილი მილი ედგა, იქვე ეყარა ღვინისა და ვისკის ცარიელი ბოთლები, ზეთის საღებავების გამხმარი ტუბები, მოთხუპნული შუშები და ფუნჯები. ოთახი სავსე იყო კატებით. იატაკსა და სკამებზე წიგნები იყო მიყრილ-მოყრილი. პასაპი შუაგულ ოთახში ადგა მოლბერტთან. მისი ოდესღაც თეთრი სამუშაო ხალათი ახლა ფერადი ლაქებით იყო აჭრელებული. მხატვარი რაღაც პარაბოლებსა და ელიფსებს ჩაჰკირკიტებდა; ლუმელთან არქილოქოსმა ფაშფაშა ქალი შენიშნა. ქალს გრძელი, ქერა თმა გაეშალა, ხელები კეფაზე შემოეწყო და დედიშობილა იჯდა დანჯღრეულ სკამზე. საეკლესიო საბჭოს წევრი ადგილზე გაქვავდა (ის ხომ თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა შიშველ ქალს) და სუნთქვა შეეკრა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა პასაპმა.

არქილოქოსმა მხატვარს თავისი ვინაობა მოახსენა. თან ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა გაიფიქრა: განა ამ კვირია არ იყო, ქუჩაში დიდის ამბით რომ მომესალმაო.

— რაზე გარჯილხართ?

— თქვენ შიშველი დაგიხატავთ ჩემი საცოლე ქლოე, — ძლივს ამოღერდა ბერძენმა.

— ჩაიცვი, — უბრძანა პასაპმა ქალს და ისიც მაშინვე გაუჩინარდა შირმის უკან.

პასაპს პირში ჩიბუხი გაერჭო, ბოლქის სქელ ბოლქვებს ჭერში უშვებდა და არქილოქოსს ყურადღებით ათვალიერებდა.

— მერე რა გნებავთ? — ჰკითხა ბოლოს.

— ბატონო ჩემო, — ომახიანად დაიწყო არქილოქოსმა, — მე თქვენი ხელოვნების ტრფიალი გახლავართ, აღტაცებით ვადევნებ თვალყურს თქვენს წარმატებას, მეოთხე ადგილიც კი მიგიჩინეთ ჩემს ზნეობრივ მსოფლწყობაში.

— რა მსოფლწყობა, რის მსოფლწყობა? რა სისულელეებსა როშავთ, —

წამოენთო პასაპი და პალიტრაზე კობალტისა და ჟანგმიწის ახალი მთები და-
აყენა.

— მე ჩვენი დროის ღირსეული ადამიანების სია შევადგინე. ეს ჩემი
საიმედო ზნეობრივი საყრდენი გახლავთ.

— მერე ჩემგან რას მოითხოვთ?

— ბატონო ჩემო, მიუხედავად თქვენდამი დიდი პატივისცემისა და აღტა-
ცებისა, იძულებული ვარ ახსნა-განმარტება მოგთხოვოთ. ალბათ დამეთანხმე-
ბით, არც ისე ხშირად ხდება, რომ კაცმა თავისი საცოლვე ვენერას სახით და-
ხატული, შიშველი იხილოს. მაშინაც კი, როცა საქმე აბსტრაქტულ მხატვრობას
ეხება, დაკვირვებულ ადამიანს შეუძლია ამოიცნოს ესა თუ ის პიროვნება.

— მართალსა ბრძანებთ, — დაეთანხმა პასაპი, — სამწუხაროდ ჩემი კრიტი-
კოსები ჯერ კიდევ არ ამალლებულან აქამდე, — მან კვლავ დაკვირვებით აათ-
ვალიერ-ჩაათვალაიერა არქილოქოსი, მერე მიუახლოვდა, კუნთებზე ხელი ისე
აუსვ-დაუსვა, როგორც ჯიშთან ცხენს სინჯავენ ხოლმე, რამდენიმე ნაბიჯით
უკან დაიხია და თვალები მოჭუტა.

— ახლავე ტანთ გაიხადეთ, — უბრძანა გენერალურ დირექტორს, თან
ვისკი დაისხა, დალია და კვლავ დატენა ჩიბუხი.

— კი მაგრამ... — არქილოქოსი შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია.

— არავითარი მაგრამ, — დასჭექა პასაპმა და თავისი პატარა შავი მომნუს-
ხველი თვალები ისე მრისხანედ შეავლო არქილოქოსს, რომ უკანასკნელს ენა
ჩაუვარდა.

— არესის მოდელად მინდა გამოგიყენოთ.

— არესი ვილაა?

— ძველი ბერძნების ომის ღმერთი გახლავთ, — აუხსნა პასაპმა, — წლე-
ბის მანძილზე ვეძებდი შესაფერის მამაკაცს, ჩემი ვენერას ღირსეულ ანტი-
პოდს, და აი, როგორც იქნა ვიპოვე. წარმოდგენილი მაქვს, როგორ აენტებით,
როგორ ათრთოლდებით სიამოვნებისაგან ომის საშინელებებისა და სისხლი-
ანი ხოცვა-ჟლეტის დანახვაზე. ერთი სიტყვით, პირწავარდნილი მტარვალ
ხართ. ბერძენი ბრძანდებით?

— რასაკვირველია, მაგრამ...

— აი, ხომ ხედავთ.

— ბატონო პასაპ, — ბოლოს და ბოლოს ხმა აიმაღლა არქილოქოსმა, —
თქვენ ცდებით. მე არც მტარვალ გახლავართ და არც სისხლიანი ხოცვა-ჟლე-
ტის მოტრფიალე — ერთი მშვიდობისმოყვარე კაცი ვარ, ძველი და ახალი
პრესვიტერიანული საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრი. სპირტიან სას-
მელებს არ ვეკარები, თამბაქოს არ ვეწევი და თან ვეგეტარიანელიცა ვარ.

— ყველაფერი ეგ სისულელეა, — უთხრა პასაპმა, — სად მსახურობთ?

— გენერალური დირექტორი გახლავართ ატომური ზარბაზნებისა და...

— აი, ხომ ხედავთ, მივხვდი, — გააწყვეტინა პასაპმა, — ნამდვილი ომის
ღმერთი ბრძანებულხართ. ამიტომ არ შეიძლება მტარვალ არ იყოთ. ჯერ-
ჯერობით უბრალოდ ხელ-ფეხი გაქვთ შეკრული, არ მოგცემიათ შემთხვევა,
გამოგემყდებინათ თქვენი ნამდვილი ბუნება. სინამდვილეში კი, ლოთობა
და გარყვნილება სისხლში გაქვთ გამოყოლილი. ამაზე უკეთეს არესს სად
ვიშოვიდი? აბა, აბა, სასწრაფოდ გაიხადეთ, სალაყბოდ არა მცალია. ჩემი
ხელობა ხატვანა და არა ლაქლაქი.

— არ გავიხდი, სანამ ოთახში ეგ ქალი იქნება, — გაჭიუტდა არქილოქოსი.

— აბა, კატრინ, ახლავე მოუსვი აქედან, შენი სცხვენია, — დაუყვირა მხატვარმა ქალს, — ხვალ კი ისევ დამჭირდები, ჩემო ფუნჩულაგ! — ქერათმიანმა ფუნჩულამ რამდენიმე წამში ჩაიცივა და მხატვარს დაემშვიდობა. კარის ზღურბლზე გათოშულ, აკანკალებულ ჩალიჩას შეეჩეხა.

— წინააღმდეგი ვარ, — ჩახლეჩილი ხმით შესძახა სალონის მეპატრონემ, — დიახ, ბატონო პასაპ, წინააღმდეგი ვარ, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ...

— ახლავე დაიკარგეთ აქედან!

— სიცივისაგან ვკანკალებ, — წამოიკვნესა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ჩალიჩამ, — ჩვენ ხომ შევთანხმდით...

— იმდენი იკანკალებთ, სანამ მოგბეზრდებათ.

ქალმა კარი გაიხურა და კიბეებზე ქუსლების ბაკა-ბუკით ჩაირბინა.

— თქვენ ჯერ კიდევ არ გავიხდიათ შარვალი? — მიუბრუნდა არქილოქოსს განრისხებული მხატვარი.

— ამ წუთში, — მიუგო გენერალურმა დირექტორმა და შარვალი ჩაიხადა. — პერანგიც უნდა გავიხადო?

— ყველაფერი.

— ყვავილები სად დავაწყო? საცოლეს უნდა მივართვა.

— იატაკზე დაყარეთ.

საეკლესიო საბჭოს წევრმა საგულდაგულოდ გაიბერტყა მტვერსა და ნაგავში ამოგანგლული ტანსაცმელი და სკამის ზურგზე გულდაგულ გადაკიდა. დედიშობილად დარჩენილი ძაგძაგმა აიტანა.

— სკამი ღუმელისაკენ მოსწიეთ.

— კი მაგრამ...

— ადით სკამზე და მოკრივესავით დადექით, მკლავები სამოცი გრადუსით მოხარეთ, — უბრძანა პასაპმა — ღმერთმანი, სხვაგვარი ომის ღმერთი ვერც კი წარმომიდგენია.

დანჯღრეულ სკამზე აფოფხებული არქილოქოსი გადმოვარდნაზე იყო.

— ძალიან კი გასქელებულხართ, — ჩაიბურტყუნა გაბრაზებულმა მხატვარმა. — სიმსუქნე მხოლოდ ქალსა შეენის და ისიც არა ყოველთვის. მაგრამ არა უშავს, ამას ეშველება, ქონს მოგაშორებთ. მთავარი თავი და ტორსია. კარგია, რომ მკერდზე ხშირი ბალანი გაქვთ, უტყუარი ნიშანი — მეომარი სულისა. ფეხებსაც არა უშავს რა. ეგ სათვალეები კი მომაცილეთ, თორემ ყველაფერი წყალში ჩამეყრება.

პასაპმა ხატვა დაიწყო. ხატავდა სამოც გრადუსიან კუთხეებს, ელიფსებსა და პარაბოლებს.

საეკლესიო საბჭოს წევრი კვლავ მოკრივესავით იდგა.

— ბატონო ჩემო, ველი თქვენს ახსნა-განმარტებას... — ისევ წამოიწყო მან.

— ენა გააჩუმეთ, — დაიგრგვინა პასაპმა, — აქ მხოლოდ მე მაქვს ლაპარაკის უფლება. რა არის იმაში არაბუნებრივი, რომ თქვენი საცოლე შიშველი დავხატე. ბრწყინვალე ქალია. ალბათ იცით, რა გულმკერდის პატრონია, არა?

— ბატონო ჩემო...

— მარტო მისი თეძოები რადა ღირს! ანდა ჭიპი!

— ძალიან გთხოვთ...

— დალახვროს ეშმაკმა, მოკრივესავით დადექით, — დასჭყვივლა არქილოქოსს მხატვარმა და ტილოზე ჟანგმიწის საღებავი და ცისფერი კობალტი დაახვავა.

— საოცარი ამბავია, თქვენი საცოლვე გახდილი არ გინახავთ და ჯვარს კი იწერთ?

— ჩემი თეთრი ვარდები ნუ გადამითელეთ ფეხით.

— ნეტავი თქვენ, მოგცლიათ ერთი. თქვენი საცოლვე კი უნაკლო ვინმეა. მისი ბრწყინვალე სხეულისა და კანის შემხედვარე, ისე ავცუნდრუკდი, რომ კინალამ უხამს ნატურალისტად ან პირწუწკ იმპრესიონისტად არ გადავიქეცი. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, არასოდეს არ დამიხატავს ქლოესთანა ღვთაებრივი ქალი. ზღაპრული ზურგი, ნაქანდაკარი მხრები, ყველაფერ ამას ორი პატარა ბორცვი აგვირგვინებს უკან, ჩვენი დედამიწის ნახევარსფეროებს რომ მოაგონებს კაცს. ასეთი რამის დანახვაზე ძალაუნებურად ცელქი აზრები მოგდის თავში. კარგა ხანია ხატვას ასეთი დიდი სიამოვნება აღარ მოუნიჭებია ჩემთვის. საერთოდ კი, ქალების ხატვა არ მიყვარს: იშვიათად თუ დავხატავ, ისიც წელან რომ მყავდა, ისეთ ფუნჩულას! შემოქმედისათვის ქალი დიდი გერაფერა შთაგონების წყაროა. სულ სხვა საქმეა მამაკაცი. განსაკუთრებით მაშინ მიყვარს ზოლმე მუშაობა, როცა მამაკაცის აღნაგობა სილამაზეზე საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს არ ემთხვევა. ქლოე ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია. მასში ყველაფერი უზადოდაა შერწყმული. ფეხები გინდა, მკლავები, თუ გედივით მოღერებულ ყელი. მერედა, რა ქალური და ნაზი პირისახის პატრონია. თავის დროზე აკი გამოვაქანდაკე კიდევ. აი, შეხედეთ, — და პასაპმა არქილოქოსს რაღაც უცნაურად დაგრეხილ მავთულზე მიუთითა.

— კი მაგრამ...

— წესიერად დადექით, — უბრძანა პასაპმა საეკლესიო საბჭოს წევრს, რამდენიმეჯერ უკან დაიხია, ყურადღებით შეათვალიერა სურათი, შეასწორა რომელიღაც ელიფსი, ტილო მოღებრტიდან ჩამოხსნა და ახალი მიამაგრა. — ახლა კი დაიჩოქეთ, — უთხრა მხატვარმა არნოლფს, — აი, ასეთი უნდა იყოს არესი ბრძოლის შემდეგ! სხეული წინ გადმოხარეთ! ახლავე უნდა მოვათავო ყველაფერი, ბოლოს და ბოლოს სახლიკაცად ხომ ვერ ჩამოგისვამთ აქ?

გავარვარებული ღუმელისგან სანახევროდ დახრუკულ და ფეტვის მარცვალავით დაბნეულ არქილოქოსს ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი წართმეოდა.

— და მაინც მინდა ამიხსნათ, — წაილულლულა მან, მაგრამ სათქმელი ვეღარ დაამთავრა. სხვენზე მთლად გათოშილი, ყინულის ლოლუასავით გაშეშებული ჩალიჩა შემოვარდა. საბრალოს თავისი დარდი აწუჭებდა, ეშინოდა პასაპს მის უჩუმრად არ გაეყიდა რომელიმე სურათი. მხატვარი გაცოფდა.

— გაეთრიეთ აქედან! — დაუღრიალა სალონის მეპატრონეს და ისიც ტყვიანაკრავივით გავარდა დერეფანში, სადაც არქტიკული სიცივე იდგა.

— მე ერთი ახსნა-განმარტება გამაჩნია მხოლოდ, ეს არის ჩემი ხელოვნება, — უთხრა პასაპმა და ხატვა განაგრძო. თან დროდადრო ვისკის წრუპავდა. უეცრად ხელის ერთი აქნევით ჩამოაგდო მხრებზე შემომჭდარი აბეზარი კატა და არქილოქოსს მიუბრუნდა:

— გაკმაყოფილებთ თუ არა ეს ახსნა-განმარტება, ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენი საცოლის შიშველი სხეულიდან მე შედევი

შევექმენი. ყველაფერი სრულყოფილი გამომივიდა: პროპორციებიც, სივრცობრივი გადაწყვეტაც, რიტმიც, ფერიც და ხაზების პოეზიაც. ეს ხომ ჟანგმიწისა და ცისფერი კობალტისაგან ნაგები მთელი სამყაროა! თქვენ ხელში ჩავარდნილ ქლოეს კი სულ სხვა ბედი მოელის. თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია, აღეძვრება კი საერთოდ ამ მშვენიერ ქალს თქვენ წინაშე გაშიშვლების სურვილი? და თუ ქლოე მაინც გახდა თქვენი ცოლი, ერთი რამ ნაღდად არ ასცდება: აუცილებლად იქცევა წვრილშვილიან დედიკოდ. იქნება ახლა მაინც მიხვდეთ, რომ ბუნების ხელით შექმნილ ამ შედეგს თქვენგან უწერია მოსპობა-განადგურება. მე კი იგი აბსოლუტის დონემდე ავიყვანე, გავაკეთილშობილე, სრულყავი, ოცნებად ვაქციე.

მხატვრის სიტყვებმა არქილოქოსს ოდნავ შვეება მოჰგვარა.

— ცხრის თხუთმეტი წუთია უკვე! — შესძახა უცბად შეშფოთებულმა.

— მერე რა?

— რვა საათზე ქლოესთან უნდა ვყოფილიყავი, სენ-პერის ბულვარზე მელოდება, — მოწიწებით წარმოთქვა არქილოქოსმა და სკამიდან ჩამოსვლა დააპირა. სკამის გარშემო კატები მოკალათებულნიყვნენ და კრუტუნებდნენ.

— ნუ გეშინიათ, მოიცდის, წყნარად იდექით! — დაუყვირა მას პასაჰმა, — ხელოვნება თქვენს სასიყვარულო საქმეებზე ცოტა უფრო ძვირად მიღირს. — პასაჰი აუჩქარებლად განაგრძობდა ხატვას. უეცრად სიჩუმეში კვნესა გაისმა. თეთრთათება ნაცრისფერი კატა არქილოქოსს მხარზე ასცოცებოდა და ბასრი ბრჭყალები ხორცში ჩაესო.

— ჩუმად, არ გაინძრეთ, — უბრძანა პასაჰმა.

— კატა...

— კატა კია შექების ღირსი, სამწუხაროდ, თქვენზე ვერ იტყვის ამას კაცი, — აღშფოთდა მხატვარი. — რა ჯანდაბამ გაგიზარდათ ამხელა ღიპი. მით უფრო, რომ სპირტიან სასმელებს არ ეტანებით.

სხვენზე კვლავ გამოჩნდა ჩალიჩა. საბრალო მთლიანად გაყინულიყო. ხმა ისე ჩახლეჩოდა, რომ კაცი ვერ გაიგებდა, რას ბურტყუნებდა. როგორც გამორკვა, თურმე ოთახში შემოსვლას ითხოვდა.

— ვინ შეგეხვეწათ, ჩემი კარების წინ აიტუზეო. სახელოსნოში კი არ შემოგიშვებთ, — მტკიცედ უთხრა პასაჰმა.

— რა გენაღვლებათ, ხომ მდიდრდებით ჩემი წყალობით, — ხრინწიანი ხმით თქვა სალონის მეპატრონემ, თან ცხვირის მოხოცვას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ხელი ვერა და ვერ ამოიღო ჯიბიდან, შარვალზე მიყინვოდა.

— სწორედ რომ პირიქითაა ყველაფერი, ეს თქვენ მდიდრდებით ჩემი წყალობით. ახლავე გაეთრიეთ აქედან! — დაიღრიალა მხატვარმა. სალონის მეპატრონე მესამედ გაუჩინარდა.

ამ ამბების შემყურე არქილოქოსს ველარ გაებედა კრინტის დაძვრა. პასაჰმა ვისკი გადაჰკრა, რამდენიმე სამოცგრადუსიანი კუთხე, პარაბოლა და ელიფსი მოხაზა, მთებად დაახვავა კობალტი და ჟანგმიწა და ნახევარი საათის შემდეგ გენერალურ დირექტორს უფლება მისცა. ტანთ ჩაეცვა.

— ეს თქვენთვის მიჩუქებია, შეგიძლიათ წაიღოთ, — მხატვარმა არქილოქოსს ხელში მავთულის ქანდაკება მიაჩეჩა, — საწოლთან დაიდგით. გქონდეთ ჩემგან საქორწინო საჩუქრად. დროდადრო მაინც გაიხსენებთ ხოლმე თქვენი მეუღლის სილამაზეს, როცა დაბერდება და ჩამოტყნება. შეშრება თუ არა,

ერთ-ერთ თქვენს პორტრეტსაც გამოგიგზავნით. ახლა კი ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოთ აქ, ჭირის დღესავით მეზიზღებიან საეკლესიო საბჭოს წევრები და გენერალური დირექტორები. განა ისინი კი სალონის მეპატრონეებზე ნაკლები გაიძვერები არიან? თქვენი ბედი, რომ ზედგამოჭრილი ომის დმერთი ხართ, ამან გიშველათ, თორემ, მერწმუნეთ, დედისობილას დიდი ხანია პანდურის კვრით გისროდით გარეთ, ყინვაში!

არქილოქოსი მხატვრისგან წამოვიდა. ერთ ხელში თეთრი ვარდების თაიგული ეპყრა, მეორეში კი მავთულისგან გამოქანდაკებული საკუთარი საცოლის შიშველი სხეული.

ოკრო-ბოკრო კიბეზე სალონის მეპატრონეს შეეფეთა. ორპირ ქარში მდგარი ჩალიჩა სულმთლად გათოშლიყო. საბრალოს ცხვირზე წვეტიანი ლოლო ეკიდა.

— აი, ხომ ხედავთ, — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მან. მისი სიტყვები ყინულოვანი ნაპრალიდან აღმომხდარი ხმის ექოსავით გაისმა. — ასეც ვიცოდი, რომ სურათს მოგყიდდათ. მე წინააღმდეგი ვარ.

— ეს ჩემი საქორწინო საჩუქარი გახლავთ, — მშვიდად აუხსნა არნოლფმა და ფრთხილად ჩაუყვა კიბეს, ყვავილები და მავთულის ქანდაკება ხელს უშლიდა მოძრაობაში. აღშფოთებდა დღევანდელი სადამოს უაზრობა. აი უკვე ცხრა საათი სრულდებოდა, მაგრამ ამ კიბეზე ნაბიჯის აჩქარება ფუჭი ოცნება იყო. სალონის მეპატრონე ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

— გრცხვენოდეთ, — ძლივს გასაგონად წაიბურტყუნა ჩალიჩამ, — მშვენივრად მესმოდა, პასაჰს რომ მოახსენეთ, საეკლესიო საბჭოს წევრი ვარო. საგანგაშო ამბავია პირდაპირ, განა შეიძლება კაცს ასეთი მოვალეობა ეკისროს და დედისობილა გაუჩერდეს მხატვარს დასახატად.

— ერთი, თუ შეიძლება, ეს ქანდაკება დამიჭირეთ ცოტა ხნით, — თხოვნით მიმართა არქილოქოსმა ჩალიჩას მეხუთე და მეოთხე სართულებს შორის, საიდანაც ქალის კივილი და მამაკაცის ღრიალი ისმოდა, — მხოლოდ ერთი წუთით დამიჭირეთ, ფეხი გამეჩხირა საფეხურებს შორის.

— არ შემიძლია, — დაიწრიპინა ჩალიჩამ, — გასამრჯელო თუ არ გადამიხადეს, თითსაც ვერ დავაკარებ ხელოვნების ვერც ერთ ნიმუშს.

— მაშინ ყვავილები მაინც გამომართვით!

— არც ეგ შემიძლია, ხელები მთლად გათოშილი მაქვს, — მოიბოდიშა სალონის მეპატრონემ.

რის ვაი-ვაგლახით დაასრულეს ტანჯვის გზა და ქუჩაში გამოვიდნენ. ლოლოებჩამოკიდებული მანქანა ვერცხლისფრად ბზინავდა. მხოლოდ რადიატორს არ ედო ყინულის ფენა, რადგან მოტორი ჩართული ყოფილიყო. მანქანაში ციოდა. გათბობა გამიფუჭდაო, — თქვა გათოშილმა მძღოლმა.

— სენ-პერის ბულვარზე თორმეტ ნომერში მიმიყვანეთ, — უთხრა მძღოლს არქილოქოსმა. გუნებაში უხაროდა, რომ მალე სატრფოს ნახავდა. ის-ის იყო მანქანა ადგილიდან უნდა დაძრულიყო, რომ ფანჯარაზე სალონის მეპატრონემ მოაკაკუნა, შეიძლება თქვენთან ერთად წამოვიდეთ? არქილოქოსმა ფანჯრის

მინა ჩამოსწია და თავი გაყო, რადგან ვერ მიხვდა, რას ბუტბუტებდა აისბერგად ქცეული ჩალიჩა. აისბერგმა კი მოახსენა, ნაბიჯი ვერ გადამიდგამს, ქალაქის ამ უბანში კი ტაქსები იშვიათად დადისო.

არქილოქოსმა ამაზე უპასუხა: ისედაც დამაგვიანდა, კარგა ხანია უკვე სენ-პერის ბულვარზე უნდა ვყოფილიყავიო. ამ სიტყვებმა ჩალიჩა საბოლოოდ აღაშფოთა და არქილოქოსს დაექადნა, — როგორც ქრისტიანსა და საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრს უფლება არა გაქვთ ბედის ანაბარა მიმატოვოთ, იცოდეთ, მალე ტროტუარს მივეყინები და კაციშვილი ველარ ამაგლეჯსო. არქილოქოსს სხვა გზა აღარ ჰქონდა და მანქანის კარი გაუღო.

— აქ თითქოს ცოტა უფრო თბილა, — შენიშნა სალონის მეპატრონემ და არქილოქოსს გვერდით მიუჯდა. — იმედია, მალე გავლხვები.

მაგრამ აი, უკვე სენ-პერის ბულვარს მიაღწიეს და ჩალიჩა კვლავ ყინულის ლოლოებით დამშვენებული იჯდა მანქანაში. მალე არქილოქოსი მანქანიდან გადმოვიდა და ჩალიჩა იძულებული გახდა, უკან გადმოჰყოლოდა, რადგან მძღოლმა განაცხადა, საშინლად გავიყინე და სანაპიროზე ველარ გავალო.

არქილოქოსი და ჩალიჩა ამურებითა და დელფინებით დამშვენებულ ჩუქურთმიან ალაყაფის კართან შეჩერდნენ. კარები ქვის ორ უზარმაზარ სვეტზე იყო ჩამობმული. ერთ-ერთ სვეტზე მიმაგრებული წითელი ფარანი ამჟამად არ ენთო. არქილოქოსმა ძველებურ ზარს ჩამოჰკრა ხელი. არავინ გამოხმაურებია. ბულვარზე ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ შორიდან აღწევდა ფარკის მომხრეების ყიჟინა.

საჩუქრებამოღლიაგებული არქილოქოსი საშინლად წუხდა, რომ დააგვიანა.

— ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, ბატონო ჩემო, — მიუბრუნდა იგი ჩალიჩას, ჭიშკარი გააღო და მტკიცე ნაბიჯით ეზოში შევიდა. სალონის მეპატრონე მას ფეხდაფეხ მიჰყვა. არქილოქოსმა შეატყო, აბეზარი თანამგზავრის თავიდან მოშორება არც ისე იოლი საქმე იქნებოდა და ჯიქურ ჰკითხა, რა გნებავთ ჩემგანო. სალონის მეპატრონემ მიუგო, ტელეფონით ტაქსის გამოძახებას ვაპირებო.

— კი მაგრამ, მე თვითონ არ ვიცნობ მასპინძლებს რიგიანად...

— თქვენ, როგორც საეკლესიო საბჭოს წევრი...

— კარგი, კარგი, წამობრძანდით, — გამოსცრა კბილებში არქილოქოსმა.

ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. სალონის მეპატრონე ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სამრევლოს ზარივით ყვარუნებდა. ნაძვები და თვლები არ იძვროდნენ. ცაზე ვერცხლისფერი ირმის ნახტომი გაწოლილიყო. წითელ-ყვითელი, დიდრონი ვარსკვლავები თვალისმომჭრელად კიაფობდნენ. ხეების შიშველ ტოტებში ოქროსფრად განათებული ფანჯრები მოჩანდა. არქილოქოსი და ჩალიჩა როკოკოს სტილის შენობასთან შეჩერდნენ. მაღალი სვეტები ველური ვაზის ხვიარა ტოტებს დაეფარა. ნათელ ღამეში ყველაფერი ეს მშვენივრად ჩანდა. არქილოქოსი და მისი თანამგზავრი ღამაზად ხვეულ კიბეს აუყვნენ. შესასვლელი გაჩახჩახებული იყო, მაგრამ არსად ჩანდა მფლობელის ვინაობის აღმნიშვნელი აბრა. კარებს ზვევით მძიმე ზარი ეკიდა მხოლოდ. დარეკეს, მაგრამ კარები ამჯერადაც არავინ გააღო. სალონის მეპატრონემ დაიწუწუნა, ამ ყინვაში ერთი წუთი კიდევ რომ მომიხდეს აქ დგომა, სულიც გამძვრებაო. არქილოქოსმა კარის სახელური ჩამოსწია. კარები იგაიღო.

— შევიხედავ შიგნით და ახლავე დავბრუნდები, — უთხრა ჩალიჩას, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯიქურ მიჰყვა უკან.

— თქვენ რა, ჭკუიდან შეიშალეთ?

— ამ სიცივეში გარეთ ხომ ვერ ვიდგები?..

— გაიგეთ, რომ მე თვითონ არ ვიცნობ სახლის პატრონებს.

— როგორც ქრისტიანი...

— რაკი ეგრეა, მაშინ აქ მომიცადეთ, — უბრძანა არნოლფმა. ახლა ისინი ჰოლში იდგნენ. ასეთი ავეჯი არქილოქოსს მხოლოდ პტი-პეიზანთან ენახა. კედლები ლამაზი სარკეებით იყო მორთული, ყველგან ყვავილებიანი ლარნაკები იდგა, საამო სითბო იღვრებოდა ირგვლივ. სალონის მეპატრონემ მხოლოდ ახლა აწყო გალხვობა. ტანსაცმლიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი.

— ხალიჩაზე ნუ დგახართ! — შეჰკივლა ჩალიჩას შემხედვარე საეკლესიო საბჭოს წევრმა.

— ნება თქვენია, — მიუგო სალონის მეპატრონემ საშინლად დაბნეულ არქილოქოსს და ქოლგების დასადებ თაროსთან გაჩერდა, თან ინატრა, ნეტა ერთი ტელეფონზე დარეკვა მეღირსოს და სხვა არაფერი მიხდაო.

— მასპინძელს ვთხოვ, დარეკვის ნება დაგროთ, — უთხრა არქილოქოსმა.

— გევედრებით, ნულარ აგვიანებთ.

— ეს ქანდაკება მაინც დამიჭირეთ, — სთხოვა ჩალიჩას გენერალურმა დირექტორმა.

— გასამრჯელოს გარეშე არ შემიძლია.

არნოლფმა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში ჩალიჩას ფეხებთან მიადო და სასტუმრო ოთახის კარი შეაღო. ოთახში ტახტი, პატარა მაგიდა, კლავესინი და ლამაზი სავარძლები იდგა მხოლოდ. არქილოქოსმა ჩაახველა. ეტყობოდა, ოთახში არავინ იყო. უცბად კარებს უკან ნაბიჯების ხმა გაისმა. ალბათ მისტერ უიმენიაო, გაიფიქრა არქილოქოსმა, კარებთან მივიდა და დააკაკუნა.

— მობრძანდით! — მოისმა შიგნიდან.

არნოლფი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, მის წინ ვეჩილი დიუტური იდგა.

ვეჩილი დიუტური დაბალ-დაბალი, სხარტი მამაკაცი იყო. პირისახეს შავი ულვაშები უმშვენებდა, ჭალარა თმა თეთრ ფაფარს მიუგავდა. ახლა იგი მოქროვილ ჩარჩოებიანი სარკეებით მორთულ ოთახში იდგა დიდ ლამაზ მაგიდასთან. ჭერზე საშობაო ნაძვის ხესავით განათებული მრავალსანთლიანი ჭალი ეკიდა.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდით, ბატონო არქილოქოს, გთხოვთ დაბრძანდეთ. — ვეჩილმა მისალმების ნიშნად არნოლფს თავი დაუკრა და ხელით სავარძელზე ანიშნა, თვითონ კი მის პირდაპირ ჩამოჯდა. მაგიდაზე საბუთები იყო გაშლილი. არქილოქოსი გამოუტყდა, არაფერი მესმის, რა ხდებაო.

— ჩემო ძვირფასო გენერალურო დირექტორო, — გაუღიმა ვეჩილმა არ-

ქილოქოსს, — მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა ბედნიერება, პირადად გადმომეცა თქვენთვის ეს სახლი. მოგახსენებთ, შენობა მშვენივრად გამოიყურება და არც დაგირავებულია. დასავლეთის ფრთაზე სახურავია მხოლოდ შესაკეთებელი.

არქილოქოსმა ამაზე მიუგო, მართალია, ამ ბოლო ხანში ბედი ძალიან მანებვირებს და ამას როგორღაც შევეჩვიე კიდევ, მაგრამ ამ ამბავმა მაინც ძალიან გამაოცაო.

— იქნება თქვენ მაინც ამიხსნათ... — შეევედრა ვექილს.

— სახლის ყოფილმა პატრონმა არ მოისურვა ვინაობის გამჟღავნება.

არნოლფმა განაცხადა, მშვენივრად ვიცი, სახლი ცნობილ არქეოლოგებს ბატონ და ქალბატონ უიმენებს ეკუთვნითო და დასძინა: ეს ის უიმენები გახლავან, საბერძნეთში გათხრების დროს ოქროს სვეტებით და ძვირფასი ქანდაკებებით შემკული ხავსმოკიდებული უძველესი ტაძარი რომ იპოვესო.

ვექილი ცოტა არ იყოს, შემცბარი ჩანდა, ერთხანს გაოგნებული შესცქეროდა არქილოქოსს და თავს აკანტურებდა. ბოლოს განუცხადა, საიდუმლოს გამჟღავნების უფლება არა მაქვს, ყოფილი მეპატრონის სურვილია, სახლი ვინმე ბერძენს ეკუთვნოდეს და ძალზე ბედნიერად თვლის თავს, რომ ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებითო.

— ამ საყოველთაო კორუფციისა და უზნეობის ხანაში, — განაგრძო შემდეგ ვექილმა, — როცა ყველაზე შემადრწუნებელი ბოროტმოქმედებაც კი ბუნებრივად ითვლება, როცა ყოველივე მოწინავე დასაღუპავადაა განწირული და კაცობრიობა ძალმომრეობას უბრუნდება, ჩვენ, იურისტები, სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავვარდნილიყავით და სამართლიანობის ყოველგვარი რწმენა დაგვეკარგა. მაგრამ, საბედნიეროდ, დროდადრო ჯერ კიდევ ვხვდებით ხოლმე მოწმე ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობის გამოვლენისა, — აქ ვექილმა არქილოქოსს ამ დიდებული სახლით დასაჩუქრების მაგალითი მოუყვანა.

— ყველა საბუთი მზადაა, მხოლოდ თქვენი თვალის გადავლება და ხელისმოწერაა საჭირო. სახლის სხვა მფლობელის ხელში გადასვლასთან დაკავშირებული გადასახადები, — მოგეხსენებათ, სახელმწიფო გაუმადლარი მოლოქია, — უკვე გადახდილია. — დაასრულა ვექილმა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, — უთხრა არქილოქოსმა.

დიუტურმა ხმამალლა წაიკითხა საბუთები, საეკლესიო საბჭოს მრჩეველმა კი ყველა მათგანს ხელი მოაწერა.

— ამიერიდან სახლი თქვენი კუთვნილებაა, — ვექილი ადგა. არქილოქოსიც წამოდგა.

— ბატონო ჩემო, — ზარ-ზეიმით დაიწყო მან, — ნება მიბოძეთ გამოვხატო ის სიხარული, რაც თქვენმა გაცნობამ მომანიჭა. დიდი ხანია პატივს გცემთ და გაფასებთ. მახსოვს, როგორ თავგამოდებით იცავდით საბრალო მღვდელს, როგორ შესძახეთ მაშინ: „ხორცმა დათრგუნა მისი სულიო“. — თქვენი სიტყვები სამუდამოდ ჩამებეჭდა თავში.

— როგორ გეკადრებათ, — მიუგო დიუტურმა, — მე მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე. იმ მღვდელს კი მაინც მოჰკვეთეს თავი. ეჰ, დღემდე ვერ მომინელებია ეს საშინელი ამბავი. რა არ ვიღონე, რომ სასიკვდილო განაჩენი თორმეტი წლის კატორღით შეეცვალათ, მაგრამ ამაოდ. თუმცა ყველაზე დიდი საშინე-

ლებისაგან მაინც ვიხსენი იგი. ისიც ხომ შეღავათია, რომ სახრჩობელაზე არ მოუხდა ფართხალი საბრალოს.

არქილოქოსმა ვექილს სთხოვა, რამდენიმე წუთი კიდევ დამითმეთო. დიუტურმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

— პატივცემულო დიუტურ, ძალიან გთხოვთ ჩემი ქორწინებისათვის საბუთები თქვენ მოამზადოთ.

— ყველაფერი უკვე მზად გახლავთ, — მიუგო ვექილმა. — თქვენმა მომხიბლავმა საცოლემ უკვე იზრუნა ამაზე.

— რასა ბრძანებთ, — წამოიძახა გახარებულმა არნოლფმა, — კი მაგრამ, განა თქვენ იცნობთ ჩემს საცოლეს?

— მაქვს პატივი.

— მე მგონია, დამეთანხმებით, რომ ფრიად მომხიბვლელი არსებაა, არა?

— სავსებით გეთანხმებით.

— იცით, ასე მგონია, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ დადის-მეთქი დედამიწის ზურგზე.

— მეჯვარეებად ვინ გინდათ წაიყვანოთ?

არნოლფი გამოუტყდა, ამის თაობაზე არც კი მიფიქრიაო. მაშინ დიუტურმა ურჩია, კარგი იქნებოდა, ამერიკის ელჩი და უნივერსიტეტის რექტორი წაგეყვანათო მეჯვარეებად. არნოლფი შეეყოყმანდა. — ორივე მოწმე უკვე თანახმაა, — აუწყა ვექილმა, — თქვენ არავითარი თადარიგის დაჭერა არ მოგიხდებათ. ამ ქორწინებამ ფართო საზოგადოებრიობაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ყველგან მხოლოდ თქვენ წარმატებებზე ლაპარაკობენ, ჩემო ძვირფასო არქილოქოს!..

— კი მაგრამ, ეს ბატონები ხომ არ იცნობენ ჩემს საცოლეს? — ტანმორჩილმა ვექილმა თავის აქნევით უკან გადაიყარა მშვენიერი თეთრი თმა, უღვაშებზე ხელი გადაისვა და ცოტა არ იყოს მზაკვრული მზერა ესროლა არქილოქოსს.

— მე კი მგონია, იცნობენ.

— გასაგებია, — გაეხარდა არნოლფს. — ისინი ალბათ ჯილბერტ და ელიზაბეთ უიმენების ხშირი სტუმრები იყვნენ.

ახლა დიუტურის გაოცების ჯერი დადგა.

— დაე, ასე იყოს, — ამოღერდა მან ბოლოს. მეჯვარეების კანდიდატურას არქილოქოსი მაინცდამაინც არ აღუფრთოვანებია.

— უნივერსიტეტის რექტორი ყოველთვის იმსახურებდა ჩემს სიყვარულს და პატივისცემას, — თქვა მან.

— ძალიან სასიამოვნოა.

— ამერიკის ელჩი კი...

— რა, რაიმე პოლიტიკური მოსაზრებების გამო ხომ არ იკავებთ თავს?

— რასა ბრძანებთ, სრულიადაც არა, — მიუგო არქილოქოსმა დარცხვენით. —

აქ სულ სხვა ამბავია, და, აი, სახელდობრ რა: მისტერ ფორსტერ-მონროს ჩემს ზნეობრივ მსოფლწყობაში მეხუთე ადგილი აქვს მიჩენილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იგი ძველ პრესვიტერიანულ ეკლესიას ემხრობა. მე არ ვიზიარებ ამ ეკლესიის დოგმას საყოველთაო შენდობის თაობაზე. ღრმად მწამს, რომ ცოდვილს ჯოჯოხეთში ტანჯვა-წამება ელის.

დიუტურმა თავი გააქნია:

— არ მინდა რწმენა შეგაცვლევინოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ყოველივე ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. აბა მითხარით, რა კავშირია თქვენს ქორწინებასა და ჯოჯოხეთის წამებას შორის?

არქილოქოსმა შვებით ამოისუნთქა.


— მართალი გითხრათ, მეც ასე ვფიქრობ, — თქვა მან.

— ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ. — ვექილმა პორტფელი დაკეტა, — სამოქალაქო ქორწინება ზუსტად ორ საათზე შედგება, ქალაქის რატუ-შაში.

არნოლფი გასაცილებლად წამოდგა. ტანმორჩილმა ვექილმა წაილულულა, უმჯობესია აქედან გავალო, წითელი ფარდები გადასწია და აივანზე გასასვლელი მინის კარები გამოაღო. ოთახში ცივი ჰაერი შემოიჭრა. მალე დიუტურის აჩქარებული ნაბიჯების ხმა ღამის სიბნელემ შთანთქმა, არქილოქოსმა კი გაიფიქრა, როგორც ეტყობა, ვექილი უიმენების ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ცოტა ხანს კიდევ იდგა აივანზე, შეჰყურებდა ხეთა შიშველ ტოტებში გახლართულ მოციმციმე ვარსკვლავებს, მაგრამ მალე შესცივდა, ოთახში შებრუნდა, კარები ჩაკეტა და ესლა ჩაიდუღლუნა:

— როგორც ეტყობა, უიმენებს ძალზე ხელგაშლილად უცხოვრიათ...

არქილოქოსი ცნობისმოყვარეობით შეუდგა როკოკოს სტილის პატარა სასახლის დათვალიერებას. ერთ-ერთი ოთახიდან თითქოს ფრთხილი ნაბიჯები შემოესმა, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა. მთელი შენობა წერწეტა სანთლებითა და პატარა ნათურებით იყო გაჩირაღდნებული. არქილოქოსი დააბიჯებდა ოთახებსა და დარბაზებში, ფეხი ეფლობოდა ფაფუკ ხალიჩებში და თვალს ვერ აშორებდა გემოვნებით შერჩეულ ავეჯს. კედლებზე გაკრული ოქროსფერშროშანებიანი ძვირფასი შპალერი სიძველისაგან ალაგ-ალაგ გაცრეცილიყო. ოთახში ლამაზი სურათები ეკიდა, მაგრამ არნოლფი დარცხვენილი არიდებდა მათ მზერას: მშვენიერ შიშველ ქალებს დედიშობილა მამაკაცები იწვევდნენ სასიყვარულო პაემანზე. ქლოე კი ჯერჯერობით არსად ჩანდა. თავდაპირველად არქილოქოსი ალაღბედზე დადიოდა ოთახიდან ოთახში, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ამ ლაბირინთში ვიღაცის უხილავი ხელი უწევდა მეგზურობას. ფაფუკ ხალიჩებზე აქა-იქ ცისფერი, წითელი და ოქროსფერი ქალაღლისგან გამოჭრილი ვარსკვლავები გაეზნიათ. ალბათ ამ ვარსკვლავებს უნდა მივყვეო, — გაიფიქრა არქილოქოსმა. სრულიად მოულოდნელად ვიწრო ხვეული კიბე შენიშნა, საიდუმლო კარებთან რომ იწყებოდა. აქ, კიბის საფეხურებზეც ვარსკვლავები და კომეტები დაეყარათ! ერთგან სატურნსაც მოჰკრა თვალი. მერე არნოლფმა ქალაღლის მზე და მთვარეც დაინახა, მაგრამ რაც უფრო ზევით მიიწევდა, მით უფრო კარგავდა მხნეობას, სულ უფრო და უფრო ეძალებოდა კარგად ნაცნობი შიშის გრძნობა. სუნთქვაშეკრულს ნერვიულად ჩაებლუჯა თეთრი ვარდების თაიგული, მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელიდან რომ არ გაუგდია. ხვეული კიბე დამთავრდა და არქილოქოსმა თავი პატარა, მრგვალ მაღალფანჯრებიან ოთახში ამოჰყო. აქ დიდი საწერი მაგიდა, გლობუსი, მასიური სავარძელი, შანდალი და ერთი სკივრი იდგა. ავეჯი შუასაუკუნეების



დროინდელი იყო, რის გამოც მთელი ოთახი „ფაუსტის“ თეატრალურ დეკორაციას მოგაგონებდათ. სავარძელზე გაყვითლებული პერგამენტის ფურცელი ეგდო, ზედ პომადით ეწერა: „არნოლფის კაბინეტი“. არქილოქოსმა საწერ მაგიდაზე ტელეფონს მოჰკრა თვალი და უმაღლესი შემოსასვლელში დატოვებული, გალუმპული სალონის მეპატრონე გაახსენდა. ალბათ უკვე მთლად გალხვავდა — გაიფიქრა არქილოქოსმა, მაგრამ უმაღლესი გადაავიწყდა საბრალო ჩალიჩა. ვარსკვლავები და კომეტები კვლავ რომელიღაც ოთახისკენ უჩვენებდნენ გზას და არნოლფმაც იქითკენ გასწია. საძინებელ ოთახში უზარმაზარი, ძველებური ბალდახინიანი საწოლი იდგა. რენესანსის სტილის პატარა მაგიდაზე აქაც პერგამენტის ნაგლეჯი ეგდო წარწერით: „არნოლფის საძინებელი ოთახი“. ვარსკვლავებით მოჭედდომ გზას კი თავი და ბოლო არ უჩანდა. არქილოქოსი ახლაროკოკოს სტილის მშვენიერ ბუდუარს ათვალაიერებდა. წითელი აბაჟურების წყალობით ოთახში საოცრად ნაზი, სასიამოვნო სინათლე იღვრებოდა. ოთახი გემოვნებით შერჩეული ავეჯითა და სხვადასხვა სამშვენიესებით იყო მორთული. პატარა სავარძელზე დაგდებულ პერგამენტის ფურცელზე წაეწერათ: „ქლოეს ბუდუარი“.

უწესრიგოდ გაბნეული თოვლივით ქათქათა თეთრეულის, ლიფის და კორსეტის დანახვამ არქილოქოსი ძალზე დააბნია. გამოღებულ კარებიდან არქილოქოსმა შავი შორენკეცით მოპირკეთებულ სააბაზანოში შეიხედა. ზურმუხტისფერი, სურნელოვანი წყლით სავსე აუზს ოხშივარი ასდიოდა.

კომეტებითა და ვარსკვლავებით მოფენილ გზაზე არქილოქოსმა კიდევ ერთი კარი აღმოაჩინა და მკერდზე ფარივით თაიგულაფარებულმა რიხით შეაღო. ოთახის შუაგულში ბალდახინიანი განიერი საწოლი იდგა. ციურ მნათობთა გზა აქ წყდებოდა, თუმცა რამდენიმე მზე და მთვარე საწოლის თავსაც ამშვენიებდა. ოთახში არავინ ჩანდა. საწოლზე ფარდები იყო ჩამოფარებული. ბუხარში შეშა ტკაცუნობდა და ცეცხლის ალზე არნოლფის უზარმაზარი ჩრდილი ოქრომკედით ნაქარგ მეწამულისფერ ფარდაზე ეცემოდა. არქილოქოსი ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს, ფარდა ოდნავ გადასწია და შეიჭვივრიტა. თავდაპირველად გამჭვირვალე თეთრი მაქმანების ნისლი გაარჩია მხოლოდ, მერე გარკვევით ჩაესმა ვილაცის სუნთქვა. შეშინებულმა ბერძენმა სატრფოს სახელი წაიჩურჩულა, მაგრამ არავინ გამოპასუხებია. გრძნობდა, რომ რაღაც უნდა ეღონა. სადღაც, გულის კუნჭულს ერთი სურვილი უბურღავდა: დაეკრა ფეხი და აქედან გავარდნილიყო, დაბრუნებულიყო თავის უბადრუკ სადგომში. იქ აღარც ვარსკვლავებით მოჭედდომი გზა ექნებოდა გასასვლელი და აღარც მის თავისუფლებას ხელყოფდა ვინმე. საკუთარ თავთან მცირე ხნის ჭიდილის შემდეგ ფარდა კვლავ გადასწია და დაინახა, რომ ის, ვისაც ეძებდა, იქვე ლოგინში იწვა და, კუნაპეტივით შავი თმის ზღვაში ჩაძირულს, ეძინა.

არქილოქოსი შეკრთა, უღონოდ დაეშვა საწოლის კიდეზე და ქლოეს მორცხვად დაუწყო თვალაიერება. საშინელი დაღლილობა იგრძნო. მეწყერივით მოვარდნილი ბედნიერება ერთი წუთით არ აძლევდა გონზე მოსვლის საშუალებას. და აი, მეწამულისფერ, სიფრიფანა ფარდაზე გამოკვეთილი ჩრდილი ნელნელა დაიხარა მძინარე ქლოესკენ. არქილოქოსმა მოულოდნელად შეამჩნია, რომ ქალმა თვალები ოდნავ გაახილა. ეტყობა, კარგა ხანია უთვალთვალებდა მას თავისი ხშირი წამწამებიდან.

— ოჰ, არნოლფ, — შესძახა ქალმა ისეთი ხმით, თითქოს ეს-ესაა გაიღვიძაო. — ადვილად მომნახე? ხომ არ დაიბენი ოთახებში?

— ქლოე, კი მაგრამ, ქალბატონ უიმენის საწოლში რატომ ჩაწოლილხარ? — ცოტა არ იყოს შეკრთა არნოლფი.

— განა ეს საწოლი ახლა შენ არ გეკუთვნის? — გაიცინა ქლოემ და გაიზმორა.

— ჩვენმა ძვირფასმა ბატონმა და ქალბატონმა უიმენებმა უკვე იციან ყველაფერი? იციან, რომ ერთმანეთი გვიყვარს?

ქლოე ერთხანს შეყოყმანდა, პასუხი ვერ მოეძებნა.

— რასაკვირველია, — უთხრა ბოლოს.

— ალბათ ამიტომაც გადაწყვიტეს ამ სახლის ჩუქება.

— მათ რამდენიმე სახლი აქვთ ინგლისში.

— წარმოგიდგენია, ვერაფრით ვერ შევგუებივარ ყოველივე ამას. არ მეგონა, თუ ინგლისელები ისე პროგრესულად მოაზროვნენ იყვნენ, რომ შეეძლოთ შინამოსამსახურისათვის სასახლე ეჩუქებინათ.

— როგორც ჩანს, ზოგიერთ ოჯახში ასეთი ადათ-წესი ჰქონიათ, — აუხსნა ქლოემ.

არქილოქოსმა თავი გააქნია და საცოლეს აუწყა, ყველაფერთან ერთად ატომური ზარბაზნებისა და სამეანო მაშების განყოფილების გენერალურ დირექტორადაც დამნიშნესო.

— ვიცი.

— ამიერიდან ღმერთივით ხელფასი მექნება.

— მით უკეთესი ჩვენთვის.

— საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრადაც ამირჩიეს. მაისში სიდნეიში მომიხდება წასვლა.

— ეს ჩვენი საქორწინო მოგზაურობა იქნება.

— არა, საქორწინო მოგზაურობაში ჩვენ სხვაგან წავალთ, — არქილოქოსმა ჯიბიდან ბილეთები ამოიღო, — პარასკევს საბერძნეთში მივდივართ „იულიათი“. და უცბად, თითქოს მეხი გავარდამო მოკრიალებულ ცაზე, სახეშეშლილი არქილოქოსი ქალს მიუბრუნდა, — კი მაგრამ, საიდან იცი ჩემი სამსახურის ამბები?

ქლოე საწოლზე წამოჯდა. ისეთი მშვენიერი იყო, რომ არქილოქოსმა თვალები დახარა. ქალმა თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ღრმა ფიქრებში წასული კარგა ხანს შეჰყურებდა არნოლფს, მერე ამოიოხრა და კვლავ უსიტყვოდ მიესვენა ბალიშებზე.

— განა არ იცი, მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს, — უთხრა ბოლოს ქალმა უცნაური ხმით.

— გიხარია, რომ ხვალ უნდა დავქორწინდეთ? — ენის ბორძიკით ჰკითხა არქილოქოსმა.

— განა შენ კი არ გიხარია?

ბერძენი ისევ და ისევ ვერ ბედავდა ქლოესაკენ გახედვას. ქალს ახლა საბანიც გადაეხადა. არქილოქოსმა აღარ იცოდა სად წაეღო თვალები: ირგვლივ ყველგან შიშველი ქალღმერთებისა და ღმერთების სურათები ეკიდა. არქილოქოსი ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ სარივით გამხმარი ქალბატონი უიმენი ასეთი გემოვნების პატრონი იქნებოდა.

— უყურე ერთი ამ ინგლისელ ქალებს, — გაიფიქრა არქილოქოსმა, — კიდევ კარგი, რომ შინამოსამსახურეებს შესანიშნავად ექცევიან და მარტო ამისათვის შეიძლება აპატიოს მათ კაცმა დაუოკებელი ვნებათღელვანი.

დაღლილ-დაქანცული გენერალური დირექტორი ახლა მხოლოდ ერთხელ ოცნებობდა: შემძვრალიყო ლოგინში, ჩახუტებოდა ქლოეს და დაეძინა. ალბათ მთელი სიცოცხლე შეეძლო სძინებოდა ბუხრის ალით განათებულ ამ თბილ ოთახში.

— ქლოე, — წაიჩურჩულა მან, — ყველაფერი, რაც თავს გადაგვხდა, იმდენად უჩვეულოა, რომ ხანდახან გონება მერევა და ვფიქრობ: იქნებ მე სრულიადაც არა ვარ მე, იქნება სინამდვილეში ჩემი ადგილი სახურავქვეშ, ჭუჭყიან სხვეწხეა, და იქნებ შენც შორეული ზმანება ხარ მხოლოდ. ეპისკოპოსმა მოზერმა დღეს მითხრა: უბედურებას უფრო ადვილად ეგუებაო კაცის ბუნება, ვიდრე ბედნიერებას. ალბათ მართალს ამბობს. უბედურება კაცს არასოდეს მოულოდნელად არ ატყდება თავს, ყოველთვის წინასწარ აუწყებს ხოლმე ადამიანს თავის მოახლოებას. ბედნიერება კი შემთხვევის საქმეა. ამიტომაც მეშინია. რატომღაც მგონია, ჩვენი ბედნიერება ისევე უეცრად გაქრება-მეთქი, როგორც დაგვატყდა თავს. თითქოს ვიღაცამ ჩვენი აბუჩად აგდება გადაწყვიტა, ჩვენი, უბრალო ადამიანებისა.

— ნუ ფიქრობ ამაზე, ძვირფასო, — ნაზად უთხრა ქლოემ. — მთელი დღე გელოდი, და, აი, შენც აქა ხარ. ო, რომ იცოდე რა ლამაზი ხარ. გაიხადე პალტო. ო'ნეილ-პაპერერთან შეიძინე?

არქილოქოსმა პალტოს გახდა დააპირა და მხოლოდ ახალა შეამჩნია, რომ ყვავილები კვლავ ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული.

— აი, როგორი თეთრი ვარდები მოგიტანე, — არნოლფი თაიგულის მისაწოდებლად ლოგინზე გადაიხარა. ქალმა თავისი ნაზი მკლავები მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

— ქლოე, — წაილულულა არნოლფმა, — მე ხომ ჯერ არ გამიცვნია შენთვის ძველი და ახალი პრესვიტერიანული ეკლესიის ძირითადი დოგმები.

სწორედ ამ დროს კარებთან ვიღაცამ მორიდებით ჩაახველა.

საეკლესიო საბჭოს წევრი ელდანაკრავივით წამოხტა, ქლოემ კი ერთი შეჰკივლა და საბნის ქვეშ შერგო თავი. საწოლთან თავით ფეხამდე გასაწური სალონის მეპატრონე იდგა და კბილს კბილზე აცემინებდა. სველი თმა შუბლზე ჩამოსწეწოდა, უღვაშებზე წყალი ჩამოსდიოდა წანწკარით, ტანსაცმელი ერთიანად ტანზე მიჰკვროდა. ხელში მავთულის ქანდაკება ეჭირა. დატბორილ იატაკზე მის ფეხებთან სანთლების ალი ირეკლებოდა. გუბეში რამდენიმე ვარსკვლავი დაცურავდა.

— უკვე მთლად გავლხვი, — ამცნო არქილოქოსს სალონის მეპატრონემ. არქილოქოსი ვერ მიხვდა, რის თქმა უნდოდა ამით ჩალიჩას.

— გავლხვი და ქანდაკება მოგიტანეთ, — დააზუსტა აზრი მდევარმა.

— ახლა რა გნებავთ? — არქილოქოსი დარცხვენილი ჩანდა. ჩალიჩამ მიუგო, სრულიად არ ვაპირებ თქვენთვის ხელის შეშლას, იძულებული ვარ მოგმარ-

თოთ, როგორც ქრისტიანსა და საეკლესიო საბჭოს წევრს, და გთხოვთ, რომ ახლავე გამოიძახოთ ექიმი, რადგან მაღალი სიცხე მაქვს, მკერდში ჭვალი მადგას და წელიც საშინლად მტეხავსო. სალონის მეპატრონემ ხელები ისე გაასავსავა, რომ სახელოებიდან წყალმა ნიაღვარივით იხუვლა იატაკზე.

არქილოქოსი წამოდგა და ტანსაცმელი გაისწორა.

— კარგი, დე, ასე იყოს. ქანდაკება კი თუნდაც აი, აქ დადგით, — უთხრა ჩალიჩას.

როგორც გენებოთო, — მიუგო საბრალომ და მავთულის ქანდაკება კვნესითა და ვიშვიშით მიათრია საწოლამდე. თან არქილოქოსს შესჩივლა, შარდის ბუშტიც საშინლად მაწუხებსო.

— ჩემი საცოლვე გახლავთ, — გენერალურმა დირექტორმა ჩალიჩას საწოლში ამალღებული ადგილისკენ მიუთითა.

— როგორ არ გრცხვენიათ, — აღშფოთებულ სალონის მეპატრონეს წყალი ღვართქაფით გადმოსდიოდა ყველა ნასვრეტიდან.

— თქვენ, როგორც ქრისტიანს... — კვლავ წამოიწყო მან.

— რატომ არ გინდათ დაიჯეროთ, რომ ნამდვილად ჩემი საცოლვეა! — შეეცადა მის დაწყნარებას არქილოქოსი.

— ნუ გეშინიათ, ენას კბილს დავაჭერ, არსად არაფერი წამომცდება.

— ახლა კი გთხოვთ მიბრძანდეთ აქედან, — არქილოქოსმა ჩალიჩას კარებისკენ უბიძგა.

ბუღუარში სალონის მეპატრონემ კვლავ შეანელა ნაბიჯი. სკამზე დაყრილ თეთრეულს, ლიფსა და ტრუსებს შეავლო თვალი.

— ცხელი წყალი სწორედ რომ მომნათლავდა, — ჩალიჩამ არქილოქოსს კბილების კაწკაწით სააბაზანოსკენ მიუთითა, სადაც ზურმუხტისფერი წყლით სავსე აუზიდან სითბო და ოხშივარი ამოდებოდა.

— ტყუილად ნუ მთხოვთ...

— თქვენ, როგორც საეკლესიო საბჭოს წევრს...

— კარგი, კარგი, რაც გინდათ, ისა ჰქენით, — დანებდა არქილოქოსი.

ჩალიჩამ ტანთ გაიხადა და აუზში ჩაძვრა.

ოფლში გახვითქული, მთლად ქანცმილეული სალონის მეპატრონე კარგა ზანს ნებივრობდა ქაფქაფა წყალში, თან არქილოქოსს ევედრებოდა, არ მიმატოვოთ, შეიძლება გული შემიწუხდესო. მერე არქილოქოსი იძულებული გახდა პირსახოციტაც მაგრად დაეჭილა სტუმარი. უცბად სალონის მეპატრონე შეფუცხუნდა.

— რა გვეშველება, უცბად სახლის პატრონი რომ წამოგვადგეს თავზე? — დაიწუწუნა მან.

— სახლის პატრონი თავად გახლავარ, — მოახსენა არქილოქოსმა.

— კი მაგრამ, განა თქვენ არ მითხარით...

— სახლი ეს-ეს არის ჩემს სახელზე გადმოაფორმეს.

ეტყობოდა, სალონის მეპატრონეს მაღალი სიცხე ჰქონდა, მთელი ტანით ძაგძაგებდა.

— ვინც არ უნდა იყოს სახლის პატრონი, აქედან ახლა ფეხსაც ვერავინ მომაცვლევიანებს, — განაცხადა მან.

— დამიჯერეთ, ენდეთ ჩემს პატიოსან სიტყვას, — შეევედრა არქილოქოსი.

აუზიდან რომ ამოდითა, ჩალიჩამ საეკლესიო მრჩეველს თავისი პირუთვნელი აზრი ამცნო: მადლობა ღმერთს, ჭკუა-გონება ჯერ მთლად არ წამრთმევიან, ქრისტიან კაცს ასეთი ტყუილები არ გეკადრებათ, უსაზღვროდ იმედგაცრუებული ვარ, სხვებზე უკეთესი არაფრით ყოფილხართო.

არქილოქოსმა იქვე სააბაზანოში ჩამოკიდებული ცისფერხოლებიანი საბანაო ხალათი ჩამოიღო და სტუმარი გულდაგულ შეფუთნა.

— ახლავე ლოგინში ჩამაწვინეთ, — მოითხოვა ჩალიჩამ.

— კი, მაგრამ...

— თქვენ, როგორც საეკლესიო საბჭოს წევრი...

— კარგი, კარგი, ჩაგაწვენთ.

არქილოქოსმა სალონის მეპატრონე რენესანსის სტილის ოთახში შეიყვანა და საწოლში ჩააწვინა. თან ექიმის გამოძახებასაც შეჰპირდა.

— ჯერ ერთი-ორი ყლუპი კონიაკი დამალევინეთ, კონიაკი ყველაზე უკეთესი წამალია. თქვენ, როგორც ქრისტიანი... — კვლავ შეევედრა არქილოქოსს აბაბანებული სალონის მეპატრონე, რომელიც ვერა და ვერ გამთბარიყო.

არქილოქოსი შეჰპირდა, კონიაკს სარდაფში მოვძებნიო, და დაღლილ-დაქანცული ფეხათრევიტ გავიდა ოთახიდან.

ბერძენს დიდხანს არ უძებნია სარდაფში ჩასასვლელი კიბე. ქვემოდან ვილაცის გაბმული ღრიალი ისმოდა. ირგვლივ ყველაფერი გაჩახჩახებული იყო. სარდაფში ჩასულ არნოლფს ვარაუდი გაუმართლდა: ბიბი თავისი ტყუპებით იატაკზე გამოტილიყო და ყველანი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, რაღაც სიმღერას გაჰკიოდნენ. მათ გარშემო კი ცარიელი ბოთლების მთელი გროვა ეყარა.

— შეხედეთ, ბიბია არნოლფი მობრძანებულა, — დაიძახა აღფრთოვანებულიმა ბიბიმ.

არნოლფმა ბრაზმორევით ჰკითხა ძმას, აქ რას აკეთებთო.

— არაყსა ვხუხავთ და ვშარაფობთ, — მიუგო ბიბიმ.

— ბიბი, — არნოლფს ხმაში სიმტკიცე გამოერია, — ძალიან გთხოვთ, ჩემი სახლის სარდაფში ასე ნუ ღრიალებთ.

— ერთი ამას დამიხედეთ, — დაიჭიხვინა ბიბიმ, — როგორც ვატყობ, მშვენივრად მოყუჩებულხარ, ჩემო ძმაო. მომილოცნია. მაშ, ადი და პირდაპირ სამეფო ტახტზე დაბრძანდი, — ბიბიმ არნოლფს იქვე წითელი ღვინის გუბეში მდგარ ცარიელ კასრზე მიუთითა. შემდეგ კი ძმის მხრებსა და მკლავებზე მაიმუნებივით შესკუპებულ ტყუპებს მიუბრუნდა და უბრძანა, ბიბათქვენის პატივსაცემად, ჩვენ რომ ვიცით, ერთი ის ფსალმუნი დააგუგუნეთ, მერე კი აიფახეთ აქედანო.

— ვიყოთ მუდამ ერთგული და პატიოსანი, — წაიწრიპინეს ჟან-კრისტოფმა და ჟან-დანიელმა.

არქილოქოსი ამოდ ცდილობდა გონს მოსულიყო.

— ძმაო ბიბი, — მიმართა ძმას, — ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგელაპარაკო.

— შვილებო! ახლა კი მოკეტეთ! სმენა იყოს და გაგონება! — ჩაიდუღლუნა ბიბიმ. — ბიძათქვენმა ლექცია უნდა წაგვიკითხოს.

— არ იფიქრო, თითქოს მერცხვინებოდეს შენი, — დაიწყო არქილოქოსმა. — რაც არ უნდა იყოს, ჩემი ღვიძლი ძმა ხარ და თანაც ვიცი, სათნო გული გაქვს; თუმცა წყნარი და კეთილშობილი ადამიანი ხარ, მაგრამ ერთი ნაკლი გაქვს და ამიტომ მშობელი მამასავით მკაცრად უნდა მოგექცე. რითაც შემდეგლო, ყოველთვის გეხმარებოდი. ამას გამოდგა ყველაფერი. რაც უფრო მეტ ფულს გაძლევდი, შენც და შენი ოჯახიც სულ უფრო ღრმად ეფლობოდი ცხოვრების წუმპეში. ხომ ხედავ, იქამდისაც კი მიხვედი, რომ ჩემი ღვინის სარდაფში გაღეშილი გდიხარ.

— ჩემო ძმაო, შენ, მგონი, რაღაც გეშლება. ეს ხომ სამხედრო მინისტრის სარდაფია. აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი.

— მით უარესი შენთვის, — მიუგო დანაღვლიანებულმა არნოლფმა, — განა შეიძლება დაუკითხავად სხვის სარდაფში ჩასვლა? იცოდე, თუ ასე განაგრძე, კატორღა არ აგცდება. შენი ტყუპებით ახლავე შინ წადი, ხვალიდან კი პტიპეიზანთან, სამეანო მაშების განყოფილებაში დაიწყებ მუშაობას.

— ასეთ ყინვაში გარეთ მაგდებ? — ჰკითხა ნირწამხდარმა ბიბიმ.

— ტაქსს გამოვიძახებ.

— გინდა, რომ ბიჭები დამიცივდნენ, არა? — აღშფოთდა ბიბი, — ისედაც სულ ავადმყოფობენ. ჩვენს ფიცრულში დღენიადაგ სისინებს ქარი. ახლა თერმომეტრი მინუს ოც გრადუსს უჩვენებს. მაშინვე გაიყინებიან საცოდავები.

კედლის უკან რაღაცამ დაიგრუხუნა. სარდაფში მათიასი და სებასტიანი შემოცვივდნენ. ერთი თორმეტი წლის იქნებოდა, მეორე კი ცხრისა. მაშინვე ააბობდნენ ბიძიას მუხლებსა და მხრებზე, სადაც უკვე მოეკალათებინათ ტყუპებს.

— მათიას და სებასტიან, ბიძიას თუ ეთამაშებით, დანები ახლავე გადაყარეთ, — დაუღრიალა ბავშვებს ბიბიმ.

— ღმერთო ჩემო, აღარავინ დაგრჩათ წამოსაყვანი?! — ამოიოხრა ძმისშვილებით ალყაშემორტყმულმა არნოლფმა.

— ყველანი აქა ვართ. დედიკოც და მეზღვაური ბიძიკოც აქ არიან, — მიუგო ბიბიმ და არყის ბოთლი გახსნა. — რა თქმა უნდა, მაგდა-მარიაც აქ გახლავთ თავისი თაყვანისმცემლით.

— თავისი ინგლისელით?

— რათა ინგლისელით? — გაიკვირვა ბიბიმ, — ინგლისელი კარგა ხანია აორთქლდა, ახლა ჩემს გოგონას ჩინელი ყავს.

არქილოქოსი სარდაფიდან რომ ამობრუნდა, ჩალიჩას უკვე ეძინა. საბრალოს მაღალი სიცხე ჰქონდა და ძილში ბორგავდა. ექიმის გამოძახება უკვე გვიან იყო. დაღლილობისგან არაქათგამოცლილი არქილოქოსი ძლივს დაიდგა ფეხზე. სარდაფიდან კვლავ ღრიანცელი ისმოდა. არქილოქოსმა ველარ გაბედა ხელმეორედ გასდგომოდა ქლოეს საწოლ ოთახისაკენ მიმავალ ვარსკვლავებითა და კომეტებით მოჭედილ გზას და ტახტზე მიწვა. იქვე გვერდით, სავარძელზე ლიფი და კორსეტი ეგდო. არქილოქოსმა ო'ნეილ-პაპერერთან ნაყიდი პალტო გაიხადა, ზედ გადაიფარა და მაშინვე ჩაეძინა.

დაახლოებით დილის რვა საათი იქნებოდა, როცა არქიტოქოსი თეთრწინ-საფრიანმა მოსამსახურე გოგომ გააღვიძა.

— ბატონო ჩემო, სასწრაფოდ ჩაიცივით პალტო და მიბრძანდით. გვერდით ოთახში სახლის პატრონს სძინავს, — უთხრა გოგომ გენერალურ დირექტორს და საიდუმლო კარი გააღო, რის არსებობაზე არქიტოქოსს წარმოდგენაც არ ჰქონდა. კარი რომელიღაც ფართო დერეფანში გადიოდა.

— სისულელეს ნუ ლაპარაკობთ, სახლის პატრონი მე თვითონა ვარ. იმ საწოლში კი სალონის მეპატრონეს, ჩალიჩას სძინავს, — უთხრა არქიტოქოსმა.

— ო, მაპატიეთ, — გოგომ არნოლფს თავი დაუკრა.

— რა გქვია? — ჰკითხა არქიტოქოსმა.

— სოფი.

— რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტის, ბატონო.

— დიდი ხანია აქ მსახურობ?

— ნახევარი წელია.

— ქალბატონმა უიმენმა აგიყვანა?

— არა, ბატონო, მადმუაზელ ქლოემ.

არქიტოქოსმა გაიფიქრა, რაღაც გაუგებრობას აქვსო ადგილი, მაგრამ მოერიდა და გოგოსთვის აღარაფერი უკითხავს.

— ყავას ხომ არ იწებებთ, ბატონო ჩემო?

— მადმუაზელ ქლოე უკვე ადგა?

— მას ცხრა საათამდე სძინავს ხოლმე.

— მაშინ მეც ცხრა საათზე ვისაუზმებ, — განაცხადა არქიტოქოსმა.

— Mon dieu¹, ბატონო, — თავი გააქნია სოფიმ, — ცხრა საათზე ქალბატონმა აბაზანა უნდა მიიღოს.

— ათის ნახევარზე?

— მასაჟს უკეთებენ.

— ათ საათზე?

— მესიე შპაცი მოდის ხოლმე მასთან.

— ბატონი შპაცი ვილა? — გაიკვირვა არქიტოქოსმა.

— მკერავი.

— მაშ როდისღა მეღირსება ჩემი საცოლის ნახვა! — არქიტოქოსი სასო-წარკვეთილებამ მოიცვა.

— Ah non², — მტკიცედ უთხრა სოფიმ, — ხომ იცით, საქორწინო სამზადისია და მადმუაზელ ქლოეს ძალიან ბევრი საქმე აქვს.

— კარგი. ცოტას წავიხემსებ, ასეა თუ ისე, მშვიერი ხომ არ ვიქნები, — დამორჩილდა ბედს გენერალური დირექტორი.

საუზმე იმ ოთახში გაეწყობო, სადაც ვექილმა დიუტურმა სახლი არქიტოქოსის სახელზე გადაადგორმა. არნოლფს მაგიდასთან ჭადარა კამერდინერი ემ-

¹ ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

² რასა ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ (ფრანგ.).

სახურებოდა, საკმაოდ მედიდურად რომ ეჭირა თავი (მოულოდნელად სახლი კამერდინეობითა და მოსამსახურეებით აივსო).

არქილოქოსს მოართვეს კვერცხი, ლორი, რისთვისაც პირი არ დაუკარებია, თურქული ყავა, ფორთოხლის წვენი, ყურძენი, კარაქწასმული და კონფიტურიანი სურნელოვანი ფუნთუშები.

პარკიდან ფანჯრებში დღის სინათლე შემოიჭრა. დილიდანვე იხსულა საჩუქრების ნიაღვარმა. მოჰქონდათ ყვავილები, ბარათები, დეპეშები, ათასნაირი ფუთები. ჭიშკართან ხმამაღლა აჭყვიტინებდნენ საყვირს ავტოფურგონები. ჰოლი და მისაღები ოთახი საჩუქრებით იყო სავსე. რენესანსის სტილის ოთახში საწოლზე რომ აღარ დატეულიყო, პირდაპირ იატაკზე დაეყარათ. აქ ყველასგან მიტოვებული სალონის მეპატრონე იწვა და ბედს შერიგებული კბილს კბილზე აცემინებდა. ერთსაათიანი საუზმის შემდეგ არქილოქოსმა ხელსახოცით გულდასმით მოიწმინდა პირი. საბრალო ძალიან მოშიებულიყო და კარგა გვარიანადაც შენაყრდა. გუშინ ჟორჟეტას კაფეში რომ წაიხემსა, მას შემდეგ მთელი დღე ხომ არაფერი ჩასვლია პირში!

კარადაზე აპერიტივისა და ლიქიორის ბოთლები იყო ჩამწკრივებული, ყუთებით ელაგა სურნელოვანი სიგარები. აქ ნახავდით „პარტაგასს“, „დანემანს“, „კოსტა-პენს“ და სხვა ძვირფას სიგარებს. არქილოქოსს თავის სიცოცხლეში პირველად აღეძრა სურვილი ეგემა ეს აკრძალული ხილი, მაგრამ შეშინებულმა უმაღლ ხელი აიღო განზრახვაზე. გენერალურ დირექტორს საოცარ სიამოვნებას ჰგვრიდა ეს ადრიანი დილა, საამოდ უღიტინებდა კერძო მესაკუთრის უჩვეულო გრძნობა.

სარდაფში მოკალათებული ბიბის მხედრიონის აღვირახსნილმა ხორხოცმა მთელ სახლს თავზარი დასცა. სარდაფში რაღაცისთვის ჩასული მზარეული ქალი კაბაშემოგლეჯილი ამოვარდა: მეზღვაურ ბიძიკოს კინალამ იქვე გაეუპატიურებინა იგი. შეშინებულმა კამერდინერმა ყველას ამცნო, ავაზაკების ბრბო დაგვესხაო თავს, და ის-ის იყო პოლიციაში დარეკვა დააპირა, რომ არქილოქოსმა მოასწრო თქმა, ჩემი ნათესავები არიანო.

კამერდინერმა მოკრძალებით დახარა თავი.

არნოლფმა მას სახელი ჰკითხა.

— თომას მეძახიან.

— რამდენი წლისა ხართ?

— სამოცდათხუთმეტის გახლავარ, ბატონო ჩემო.

— დიდი ხანია ამ ოჯახში მსახურობთ?

— ათი წელია.

— ქალბატონმა უიმენმა აგიყვანათ?

— არა, მადმუაზელ ქლოემ.


არქილოქოსმა გაიფიქრა, კვლავ რაღაც გაუგებრობას აქვსო ადგილი, მაგრამ ამჯერადაც არაფერი უკითხავს, რადგან ცოტა არ იყოს მოერიდა ამ ჭალარა მოხუცისა.

— ცხრა საათზე ო'ნეილ-პაპერერი მოვა. საქორწინო ფრაკი უნდა შეგიკეროთ. ცილინდრი კი უკვე გამოგზავნა გოშენბაუერმა. — მოახსენა არქილოქოსს კამერდინერმა.

— კეთილი.



- ათ საათზე კი რატუშიდან გვეწვევა წარმომადგენელი, რალაც საქმეებია მოსაგვარებელი.
- კეთილი და პატიოსანი.
- თერთმეტის ნახევარზე ბატონი ვაგნერი უნდა მიიღოთ. იგი ლფიციალურად მოგილოცავთ მედიცინის მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდებას. ეს წოდება თქვენ იმ დამსახურებისთვის მოგენიჭათ, რაც მიგიძღვით სამეანო მაშების პრაქტიკულად დანერგვის საქმეში.
- დაველოდები ბატონ ვაგნერს.
- თერთმეტ საათზე ამერიკის ელჩი მობრძანდება და შეერთებული შტატების პრეზიდენტის მისალმებას გადმოგცემთ.
- ძალზე სასიამოვნო იქნება.
- პირველ საათზე მოეწყობა პატარა საუზმე მეჯვარეებისათვის, ხოლო ორს რომ ოცი წუთი დააკლდება, რატუშაში წახვალთ, სადაც შედგება სამოქალაქო ქორწინება. წმინდა ელოიზის ეკლესიაში ჯვრისწერის შემდეგ კი „რიცში“ დიდი წვეულება გაიმართება.
- კი მაგრამ, ვინ ითავა ყველაფერი ეს? — გაიკვირვა არქილოქოსმა.
- მადმუაზელ ქლოემ.
- რამდენი კაცია დაპატიჟებული?
- მადმუაზელ ქლოემ ვიწრო წრეში მოინდომა ქორწილის გადახდა და ამიტომ მართო უახლოესი მეგობრები მოიწვია.
- მეც ამ აზრისა ვარ.
- სუფრა მხოლოდ ორას კაცზე იქნება გაშლილი. არქილოქოსი ისევ დაიბნა.
- კარგი, — თქვა ბოლოს, — ამას ყველაფერს დავაზუსტებ. თორმეტის ნახევრისთვის ტაქსი გამომიძახეთ.
- როგორ, განა არ გინდათ, რობერტმა წაგიყვანოთ?
- რობერტი ვიღაა? — კითხვითვე უპასუხა არქილოქოსმა.
- თქვენი მძღოლი, — მიუგო კამერდინერმა, — ბატონი არქილოქოსი ხომ საუკეთესო წითელი ლიმუზინის მფლობელია მთელ ქალაქში.
- „რა საოცარია ყოველივე ეს“, — გაიფიქრა არქილოქოსმა.
- ო'ნეილ-პაპერერის გასტუმრების შემდეგ თორმეტის ნახევარზე არქილოქოსი „რიცში“ გაემგზავრა უიმენების მოსანახულებლად. ცოლ-ქმარი მდიდრული სასტუმროს პოლში იჯდა და ჟურნალებს ათვალიერებდა. ქმარი „არქეოლოგიურ მიმოხილვას“ ფურცლავდა, ცოლი კი ანტიკური სიძველეების აღმანახით იყო გართული. ირგვლივ ნაირ-ნაირი ფორმის სავარძლები იდგა, კედლებზე კი ჟამთა სიძველისგან გაშავებული ნატურმორტები ეკიდა.
- ბატონო და ქალბატონო უიმენ! — მიმართა ცოლ-ქმარს საშინლად ადელვებულმა არქილოქოსმა, თან გაოცებულ ქალბატონ უიმენს ორი ჯადვარი მიართვა.
- მთელი დედამიწის ზურგზე არ დაიარებიან თქვენისთანა შესანიშნავი ადამიანები.
- Well, — თქვა მისტერ უიმენმა, ჩიბუხი გააბოლა და „არქეოლოგიური მიმოხილვა“ განზე გადადო.
- ამიერიდან ჩემს ზნეობრივ მსოფლწყობაში თქვენ პირველ და მეორე ადგილებს დაიკავებთ!



— Yes, — თქვა მისტერ უიმენმა.

— მინდა იცოდეთ, რომ თავად პრეზიდენტზე და ძველ და ახალ პრესვიტერიანელთა ეპისკოპოსზე მეტად ვაფასებთ.

— Well, — გაიმეორა მისტერ უიმენმა.

— ისიც მინდა გითხრათ, რომ კეთილი გულით მოძღვნილი საჩუქარი ყოველთვის გულწრფელი მადლობის გრძნობას იწვევს.

— Yes, — თქვა მისტერ უიმენმა და გაკვირვებისაგან ენაჩავარდნილმა მეუღლეს მიაპყრო მზერა.

— Thank you very much¹.

— Well, — თქვა მისტერ უიმენმა, მერე ერთხელ კიდევ გაიმეორა აკვირებული „Yes“ და ჯიბიდან საფულე ამოიღო.

მაგრამ არქილოქოსი უკვე აორთქლებულიყო.

— რა შესანიშნავი ხალხია ეს ინგლისელები. ერთი ნაკლი კი აქვთ, ზომაზე მეტად თავდაჭერილები არიან. — გაიფიქრა არქილოქოსმა და წითელ ლიმუზინში გამოიჭიმა.

ჯვრისწერის დაწყებას წმინდა ელოიზის ეკლესიასთან ამჯერად მარტო ძველი და ახალი პრესვიტერიანელი ბებრუხუნა ქალების ჯგუფი არ უცდიდა; ემელ კაპელერის ქუჩაზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. გათოშილი ცნობის-მოყვარეები ტროტუარის გასწვრივ ჩამწკრივებულნი იყვნენ. ძველი ეკლესიის სარკმელებს უამრავი ხალხი მისწყდომოდა. კონკია ქუჩის ბიჭები შაბიამან-შეფრქვეული ყურძნის მტევნებივით ჩამოკონწიალებულიყვნენ ქუჩის ფარნებსა და შიშველ ხეებზე. მალე რატუშის მხრიდან მერკლინგის ბულვარზე მანქანების წყება გამოჩნდა. თავში მოქცეული წითელი ლიმუზინი გაჩერდა და ქლოე და არქილოქოსი გადმოვიდნენ.

ხალხის ბრბო შეშლილივით ღრიალებდა: „გაუმარჯოს არქილოქოსს!“ „ევივა, ქლოე!“ ქალბატონ ბილერსა და ოგიუსტს (ჩემპიონი, როგორც იქნა, შელოდა ველომობოლის ყვითელ მაისურს) გულიც კი აუჩუყდათ და აცრემლდნენ. ცოტა მოგვიანებით თეატრცხენებშებმული საზეიმოდ მორთული ეტლით პრეზიდენტიც მობრძანდა. ეტლს აქეთ-იქიდან შავ ცხენებზე ამხედრებული ლეიბგვარდიელები მოჰყვებოდნენ, თავზე თეატრპლუმაყიანი ოქროსფერი მუზარადები ეხურათ. ხალხმა წმინდა ელოიზის ეკლესიისაკენ იხუვლა. ეს ნაგებობა დიდი სილამაზით ვერ დაიკვივნინდა. სამრეკლო არა ჰქონდა და ფაბრიკას უფრო წააგავდა, ვიდრე ღვთის ტაძარს. ეკლესიის ერთ დროს თეატრად შეფეთქილი კედლები ახლა უბადრუკად გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, შენობა თანამედროვე საეკლესიო ხუროთმოძღვრების უადრესად უნიჭო ნიმუშს წარმოადგენდა. მის გარშემო მწუხარედ ირბეოდა რამდენიმე კვიპაროსი. ეკლესია ვერც შიგნიდან დაიტრაბახებდა დიდი ბრწყინვალეობით. აქ დაეხვავებინათ ძველი დანგრეული ეკლესიიდან გადმოტანილი ხარახურა, რომელიც თითქმის მუქთად შეეძინათ (ძველი ეკლესიის ადგილზე ახლა კინოთეატრის შენობა წამოეჭიმათ). მოკლედ ერთი ღარიბი, უბადრუკი სამლოცველო იყო და მეტი არაფერი. შიგნით ხის უბრალო მერხები იდგა. მერხების წინ კი უშნოდ ნაჩორკნი კათედრა აღმართულიყო ეულად. ფუტურო ხის ჯვარი კარების პირდაპირ

¹ დიდი მადლობელი ვარ თქვენი (ინგლ.).

კედელზე ჩამოეკიდათ. ეკლესიის მოყვითალო-მომწვანო ლაქებით აჭრელებულ-მა კედელმა და სათოფურებივით ვიწრო სარკმლებმა არქილოქოსს საკუთარი სადგომი გაახსენა. გარედან შემოჭრილ უღიმღამო მზის სხივებში მტვრის წვრილი ნაწილაკები ირეოდა. მაგრამ მალე ეს უბადრუკი, აშშორებული ეკლესია, სადაც იაფფასიანი ოდეკოლონის, ნივრისა და ბებრუცუნა ქალების მომყავო სუნი ტრიალებდა, მექორწილებით აივსო, უეცრად მთლად გამოიცივალა, განათდა და გალამაზდა: კიაფობდა ოქროს სამკაულები და ძვირფასი თვლები, ელავდა მარგალიტის მძივები, თეთრად ქათქათებდა გაშიშვლებული მხრები და გულმკერდი, ძვირფასი სუნამოს სურნელი ჭერში გადებულ ნახევრად დანახშირებულ ხის კოჭებს სწვდებოდა (ეკლესია ერთხელ რაღაც სასწაულით გადარჩენოდა ხანძარს).

ძველი და ახალი პრესვიტერიანელების სულიერი მამა, ეპისკოპოსი მოზერი კათედრაზე ავიდა. შავ ანაფორაში გამოწყობილი ერთობ ახოვანი ჩანდა. ეპისკოპოსმა ალაგ-ალაგ გაბზარულ კათედრაზე ოქროს ვარაყშემოვლებული ბიბლია ჩამოსდო, ხელები სალოცავად ალაპყრო და ხალხს გადახედა. ეტყობოდა, ელავდა. დაქდაქა პირისახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი. კათედრის წინ, ლამის ეპისკოპოსის ფეხით ნეფე-დედოფალი იჯდა. ქლოეს ბედნიერებისაგან უბრწყინავდა მიაშიტი, დიდი შავი თვალეები. საქორწინო თავსაბურში მზის სხივები უკიაფებდა. გვერდით დარცხვენილი არქილოქოსი გარინდულიყო. ო'ნეილ-პაპერერის ფრაკში გამოწყობილს, ძნელად იცნობდა კაცი. ძველ არქილოქოსს მხოლოდ ცხვირზე ცერად დაკოსებული მტვრიანი უჩარხოო სათვალე თუ გაგახსენებდათ. მუხლებზე გომენბაუერთან შეძენილი ცილინდრი და შტუტც-კალბერმატენტან ნაყიდი თეთრი ხელთათმანები დაეწყო.

ნეფე-დედოფლის უკან, ყველასაგან განმარტოებით, პრეზიდენტი იჯდა. კავალერიის გენერლის ოქრომკედით ნაქარგი მუნდირი საოცრად ეხამებოდა მის ნაოჭებით დაღარულ პირისახეს, წვეტიან მოკლე წვერს და თოვლივით თეთრ თმას. პრიალა ჩექმებიან გამხდარ ფეხებს შორის გრძელი ხმალი მოეჭცია. უკან მეჯვარეები ისხდნენ. ამერიკის ელჩს ყილეტზე ორდენები უკიაფებდა, უნივერსიტეტის რექტორსაც გამოეფინა თავისი ჩინ-მედლები. დანარჩენი სტუმრები ცოტა უფრო მოშორებით ისხდნენ ხის მერხებზე. აქ გახლდნენ პტი-პეიზანიცა და ვექილი დიუტურიც თავისი ბუმბერაზი მეუღლითურთ. პასაპიც მობრძანებულიყო. ფრაკი კი ჩაეცვა, მაგრამ ხელები ჩვეულებისამებრ ცისფერი კობალტით ჰქონდა დათხუპნილი.

ერთი სიტყვით, ეკლესიაში ქალაქის რჩეულ საზოგადოებას მოეყარა თავი (უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცები გაცილებით სჭარბობდნენ ქალებს).

ის-ის იყო ეპისკოპოსი თავისი საზეიმო ქადაგების დაწყებას აპირებდა, რომ ეკლესიაში დაგვიანებული ფარკის შემოვიდა. მოგეხსენებათ, ამ ცნობილ მეთამბოხეს არქილოქოსის ზნეობრივ მსოფლწყობაში უკანასკნელი ადგილი ეკავა. ყველანი ახალმოსულის უზარმაზარ თავს, გაფარჩხულ ულვაშებს და მხრებზე დაყრილ ცეცხლისფერ კულულებს მიაჩერდნენ. დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მისმა დაბაბმა და გახამებულ პერანგზე მიმაგრებულმა ლალისთვლიანმა ოქროს ორდენმა მიიპყრო.

— დღეს ჩემს ძვირფას მრევლს, პატივი რომ დაგვდო და ამ ზეიმზე მობრძანდა, მინდა სამოცდამეთორმეტე ფსალმუნის სიტყვებით მივმართო, — ჩიფჩიფით დაიწყო ეპისკოპოსმა მოზერმა, თან უხერხულობისაგან კათედრაზე აღვიღს ვერ პოულობდა. — ეს ფსალმუნი სოლომონზეა და ჩემს ქადაგებასაც სწორედ ეს მინდა დავუდო საფუძვლად. ფსალმუნში ნათქვამია: კურთხეულ იყოს ყოვლისშემძლე ღმერთი, ღმერთი ისრაელთა. რამეთუ მას ერთადერთს ძალუძს სასწაულის მოხდენა. ახლა წმინდა ქორწინების ძაფებით უნდა შევაკავშირო ორი არსება, — განაგრძობდა ეპისკოპოსი, — ისინი საყვარელნი და ძვირფასნი არიან არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასათვის, ვინც ამჟამად წმინდა ელოიზის ეკლესიაში იმყოფება. თავდაპირველად საპატარძლოზე მოგახსენებთ (აქ ეპისკოპოს მოზერს ოდნავ ენა დაება). უნაზესი სიყვარულით გვიყვარს იგი ყველა აქ დამსწრეს. განა ეს ნაზი არსება არ გვაზიარებდა ყველა ჩვენთაგანს ენით აუწერელ ბედნიერებას? — ეპისკოპოსი მოულოდნელად მჭევრმეტყველებამ გაიტაცა, — განა მისი წყალობით არ განვიცადეთ დაუფიწყარი წუთები? სწორედ ამიტომ მუდამ მაღლიერი უნდა ვიყოთ მისი. — ეპისკოპოსმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. — ახლა კი ნეფეზე მინდა მოგახსენოთ, — განაგრძო წმინდა მამამ და შვებით ამოისუნთქა. — დიახ, მხოლოდ მას, ამ ღირსეულსა და კეთილშობილ ადამიანს არგუნა განგებამ წილად თავისი საცოლეს უმანკო და სპეტაკი სიყვარული. მან, ჩვენი ქალაქის მოქალაქემ, სულ მოკლე დროში მიიბყრო მთელი ქვეყნის ყურადღება. მიუხედავად მდაბიო წარმოშობისა, ამ ადამიანმა დიდების მწვერვალს მიაღწია; გახდა გენერალური დირექტორი, საერთაშორისო საეკლესიო საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა საპატიო დოქტორი და აშშ-ს საპატიო კონსული. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ამქვეყნად ყველაფერი დროებითია, წარმატებაცა და ჩინ-მედლებიც. ჟამთა სვლა ყველაფერს ნაცარტუტად აქცევს. ყველაფერი არარაობაა მარადიული უზენაესის წინაშე. მიუხედავად ამისა, ჩვენი სასიძოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში ღვთის უდიდეს წყალობასთან გვაქვს საქმე (აქ ფარკსმა ხაზგასმით ჩაახველა). დიახ, უზენაესის წყალობასთან და არა ადამიანის მიერ ჩადენილ სიკეთესთან (ამჯერად პტი-პეიზანის ჩახველების ჯერი დადგა). როგორც საღვთო წერილი ამბობს: ეს ღვთით მონიჭებული წყალობა გახლავთ. დიახ, არქილოქოსის აღზევება ღვთიური გულმოწყალების შედეგია, და არა ადამიანისა. მართალია, ღმერთი თავის ნებას ადამიანის ხელით ახორციელებს და თავისი მაღალი მიზან-მისწრაფებების შესასრულებლად ადამიანურ სისუსტესა და მანკიერებებსაც მოიშველიებს ხოლმე, მაგრამ იგივე ღმერთია ისევ და ისევ ყველაფრის თავი და თავი. — აი, ასე ქადაგებდა ეპისკოპოსი მოზერი. და, კერძო ამბიდან რაც უფრო ზოგადზე გადადიოდა, რაც უფრო შორდებოდა თავისი ქადაგების ამოსავალ წერტილს, — ნეფედლოფლის დახასიათებას, მით უფრო ომახიანად გაისმოდა მისი ხმა. მან განაცხადა, უზენაესის წყალობით ეს ქვეყანა უაღრესად სრულყოფილად და ბრძნულადაა მოწყობილი, რამეთუ ღვთის ნება ბოლოს და ბოლოს ყოველთვის სიკეთედ შემოგვიტრიალდება ხოლმეო.

ქადაგება რომ დაამთავრა, ეპისკოპოსი კათედრიდან ჩამოვიდა და ჯვარი დასწერა ქლოესა და არქილოქოსს. ნეფე-დედოფალმა თანხმობის ნიშნად

„ღიანო“ წაიჭრჩულა, და აი, არქილოქოსი უკვე ხელკავით იდგა თავისი მშვენიერი მეუღლის გვერდით. ქალს უზარმაზარი შავი თვალები ბედნიერებისგან უციმციმებდა. მაგრამ სწორედ ამ დროს არქილოქოსს თითქოს თვალებიდან ლიბრი გადაეცალაო. ნელ-ნელა მოავლო თვალი საზენიმო თავყრილობას, რომლის წინაც ახლა უნდა ჩაევლო, თვალში ეცა მედიდური პრეზიდენტის მზერა; სწრაფად აათვალიერ-ჩაათვალიერა ბრილიანტებითა და ორდენებით მორთული ძლიერნი ამა ქვეყნისა. ფარქსის აჩეჩილი, ცეცხლისფერი ქოჩორიც დაინახა, არც მისი ბოროტი ღიმილი გამოპარვია. სწორედ ამ დროს პატარა დანჯღრეული ორღანის ხმა გაისმა: მენდელსონის საქორწინო მარშს უკრავდნენ. არქილოქოსმა იგრძნო, როგორი შურის თვალით შესცქეროდა მის ბედნიერებას მთელი ეს ბრბო. ღიან, არქილოქოსს უეცრად თითქოს თვალი აეხილაო, ყველაფერს მიხვდა. საბრალო გაფითრდა, შეტორტმანდა, პირისახეზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— მაშ, მეძავი შემირთავს ცოლად, — დაჭრილი ნადირივით დაიდრიალა შეძრწუნებულმა, ქალს ხელი გამოჰგლიჯა და გასასვლელისაკენ შეშლილივით გავარდა. შეშინებული ქლოე თავსაბურის ფრიალით გაეკიდა ქმარს. არქილოქოსი დამდურულივით მიჰქროდა ქუჩაში. ეკლესიასთან შეკრებილი ბრბო გამოქცეული სასიძოს დანახვისთანავე მიხვდა, რა ამბავიც დატრიალდა. ხალხში ხორხოცი ატყდა. გაქუცულ კვიპაროსებთან არქილოქოსმა ნაბიჯი შეანე-ლა. მხოლოდ ახლად მიხვდა, როგორ გამასხარავდა ამდენი ხალხის თვალში. ელვის სისწრაფით აუარა გვერდი პრეზიდენტის ეტლს, „როლს-როისების“ და „ბიუიკების“ გრძელ რიგს და ემილ კაპელერის ქუჩაზე გავარდა. დროდადრო ვინმე გადაუდგებოდა ხოლმე გზაზე და საბრალო მწევარმისეული ნადირივით ეხეთქებოდა აქეთ-იქით.

— გაუმარჯოს ჩვენი ქალაქის დამსახურებულ რქოსანს!

— წაეთრიე აქედან!

— გააძვრეთ ტანისამოსი! — გაისმოდა ირგვლივ.

არქილოქოსს ესმოდა ყურისწამლები სტვენა, ლანძღვა-გინება. აქეთ-იქიდან ქვებიც დაუშინეს. ქუჩის ბიჭები ყიყინით მისდევდნენ და სარმას უღებდნენ. არქილოქოსი ეცემოდა და, ვინ მოთვლის, მერამდენედ კვლავ დგებოდა. ბოლოს რომელიღაც ღარიბული სახლის სადარბაზოში შევარდა და კიბის ქვეშ შეძვრა. კუთხეში მიიკუნჭა და თავი ხელებში ჩარგო. ეგონა, სადაცაა გაათრელებული ხალხის ტალღა გადამივლის და წამლეკავსო. მაგრამ დრო გადიოდა და არავინ ჩანდა. გაიფანტნენ სასიძოს პოვნით იმედგადაწყვეტილი ქუჩის ბიჭებიც. არქილოქოსი რამდენიმე საათს იჯდა კიბის ქვეშ, საშინლად გაიყინა. ჩუმად ზღუქუნებდა, მერე ცივ სადარბაზოში სრულმა სიბნელემ დაისადგურა.

— თურმე ყველას საყვარელი ყოფილა, ყველასი — პრეზიდენტის, პასაპის, ვექილ დიუტურის, — მოსთქვამდა საბრალო არნოლფი. ერთი დარტყმით ჩამოემხო ზედ წლების მანძილზე შეკოწიწებული ზნეობრივი მსოფლწყობის შენობა და პატრონი თავისსავე ნანგრევებში ჩამარხა.

ბერძენი, როგორც იქნა, გონს მოეგო. უცნობ დერეფანში გაბარბაცდა, იქვე მდგომ ველოსიპედს დაეჯახა და, როგორც იქნა, გარეთ გავიდა.

დაღამებულისყო. ქურდული ნაბიჯებით დაუყვა გზას მდინარისაკენ. ლასლა-სით მიაბიჯებდა ჩაბჟუტულ ქუჩებსა და ჭუჭყიან შესახვევებში. ხიდქვეშ ძონძებში გახვეულ მათხოვრებს ეძინათ. თავზე გაზეთები წაეფარებინათ. მათი

ოხვრა და კვენესა არღვევდა ღამის სიჩუმეს. მაწანწალა ძაღლმა უნდილად შეუყეფა არქილოქოსს. ირგვლივ შემზარავი წრიბინით დაშლიგინობდნენ ვირთხები. ნაპირზე გადმოსულმა წყალმა არქილოქოსს ფეხები დაუსველა. სადღაც შორს გემის საყვირის გაბმული ხმა გაისმა.

— ამ კვირაში ეს უკვე მესამეა, — ჩახლეჩილი ხმით თქვა ვიღაც მაწანწალამ, — მიდი, მიდი, ძმაო, ისკუბე!

— როგორ არა, გაბედავს კია, — ჩახლეჩილივე ხმით შეეხმინა მეორე, — წყალი ყინულივით ცივია!

და მათმა ჭიხვინმა გააყრუა არემარე.

— ყულფში გაუყარე თავი, ყულფში, — ერთად აწკმუტუნდნენ მაწანწალები, — მაგაზე კარგ საქმეს ვერაფერს იზამ!

არქილოქოსი მდინარეს მოსცილდა და ძველ ქალაქში უაზროდ იწყო ხეტიალი. სადღაც შორს ხსნის არმიის დუდღუნა სიმღერა გაისმა. უცბად არქილოქოსმა ფიუნებრის ქუჩაზე ამოყო თავი, სადაც პასაპი ცხოვრობდა, და ფეხს აუჩქარა. აგერ უკვე რამდენიმე საათია უცნობ ქუჩებში დახეტიალობდა: გაიარა მდიდრული ვილების კვარტალი და ღარიბების უბანში აღმოჩნდა. სახლებიდან რადიოს ღრიალი ისმოდა, სამიკიტნოებში ფარკის მომხრეები მემბოხურ სიმღერებს გაჰკიოდნენ. სიბნელეში მოჩვენებებივით დამწკრივებულები ფაბრიკის კორპუსები და უზარმაზარი ბრძმელები. მხოლოდ შუალამისას მიაღწია არქილოქოსმა თავის სადგომს. სინათლე არ აუნთია, კარები მიკეტა და ზურგით მიეყრდნო. მთელი სხეული უკანკალებდა, ტალახში ამოთხვრილიყო, ო'ნეილ-პაპერერთან შეკერილი ფრაკი ნაფლეთ-ნაფლეთ ეკიდა ტანზე, გომენბაუერის ცილინდრი კარგა ხანია დაეკარგა. საპირფარეშოში კვლავინდებურად ჩხრიალებდა წყალი. მოპირდაპირე სახლის მტვრიან ფანჯრებში დროდადრო ინთებოდა სინათლეები, და არქილოქოსის ოთახში წამით კინოკადრებივით გაიელვებდა ხან ზეწარი (ზეწარში არნოლფს ძველი საგარეო ტანსაცმელი ჰქონდა გახვეული), ხან რკინის საწოლი, ხანაც სკამი და ფეხებმორყეული მაგიდა, რაზედაც ბიბლია იდო. გაურკვეველი ფერის კედლებზე დროდადრო მისი ყოფილი ზნეობრივი მსოფლწყობის კერბთა პორტრეტებიც ნათდებოდნენ. არნოლფმა ფანჯარა გამოაღო. მყრალი ჰაერი ახლა პირდაპირ ცხვირში ეცა, წყლის ჩხრიალი კი უფრო ხმამაღლა გაისმა. არქილოქოსმა ერთიმეორის მიყოლებით ჩამოგლიჯა კედლიდან სურათები. ფანჯრიდან ეზოში მოისროლა პრეზიდენტის, ეპისკოპოსის და ამერიკის ელჩის პორტრეტები, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბიბლიაც თან მიაყოლა. კედელზე მხოლოდ თავისი ძმის, ბიბის და მისი შვილების სურათი დატოვა. მერე სხვენზე ავიდა. იქ გრძელ თოკებზე გასაშრობად სარეცხი გაეფინათ. არქილოქოსმა ერთ-ერთი თოკი ჩამოხსნა. ძირს ჩამოყრილი თეთრეულისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე შებრუნდა თავის ოთახში.

მაგიდა შუა ოთახში დადგა, ზედ აბობლდა და თოკი კაუჭს გამოსდო, რაზედაც ნათურა ეკიდა. ხელით მოსინჯა კაუჭი, მაგრად თუ არის დამაგრებულიო, და ყულფიც გამოსკვნა.

ფანჯარა გაიღო და ყინულივით ცივმა ჰაერმა შუბლი აუწვა. აი, მან კისერი გაუყარა ყულფში და ის-ის იყო მაგიდისთვის ფეხი უნდა ეკრა, რომ მოულოდნელად ოთახის კარი გაიღო და ამომრთველმა გაიწკაპუნა.

ბერძენის წინ ჯერ კიდევ საზეიმო ფრაკში გამოწყობილი ფარკი იდგა.

მხრებზე ბეწვგამოკრული თბილი პალტო მოესხა, განიერ პირისახეზე გულ-გრილობა აღბეჭდოდა, მკერდზე ორდენი ეკიდა. ხანძარივით ანთებული თმა მთლად ყალყზე ედგა. ფარკსს თან ორი კაცი ახლდა. ერთ-ერთი მათგანი პტიპეიზანის რეფერენტი გახლდათ. მან კარის საკეტი გადაატრიალა და იქვე აიტუზა. ფარკსის მეორე მხლებელი ზორბა კაცი იყო, ტაქსის-მძღოლის ფორმა ეცვა და განუწყვეტლივ აღლაჭუნებდა საღებ რეზინს. მან ფანჯარა მიხურა და კარს სკამი მიადგა. ჯერ ისევ ყულფში კისერგაყრილი არქილოქოსი ფეხებ-მოყანყალეებულ მაგიდაზე ტორტმანობდა. სინათლის შუქზე საიქიოდან მოვლენილ მოჩვენებას დამსგავსებოდა. ფარკსი სკამზე დაჯდა და გულხელი დაიკრიფა. რეფერენტი საწოლზე ჩამოჯდა. სამივე დუმდა. ახლა ყრუდ ისმოდა საპირფარეშოს წყლის ჩხრიალი. ანარქისტი ყურადღებით ათვალთვლებდა ბერძენს.

— აბა რას გვიბრძანებთ, ბატონო არქილოქოს, — თქვა მან ბოლოს. — კაცმა რომ თქვას, ჩემი სტუმრობა მოულოდნელი არ უნდა იყოს თქვენთვის.

— ვიცი, რომ ქლოე თქვენი საყვარელიც იყო, — შეუღრინა არქილოქოსმა ფარკსს.

— რასაკვირველია, — დაემოწმა ფარკსი, — ბოლოს და ბოლოს ამ თვალწარმტაცი ქალის ხელობა ხომ ეს იყო!

— მიბრძანდით აქედან!

ანარქისტი არ განძრეულა.

— ქლოეს ყველა საყვარლისაგან თქვენ რაღაც საქორწინო საჩუქარი გერგოთ, — თქვა მან ბოლოს, — ახლა ჩემი ჯერია. ლუგინბიულ, მიართვი ძღვენი ჩემგან.

ზორბა ყმაწვილი ყბების ღლაჭუნით მიუახლოვდა მაგიდას და არნოლფს ფეხებთან კვერცხისმაგვარი ლითონის საგანი დაუდო.

— ეს რაღაა?

— სამართლიანობა.

— ეს ხომ ყუმბარაა!!

— გამოცანა გერგებათ, — გაიცინა ფარკსმა.

არქილოქოსმა ყულფიდან თავი გამოყო და ფრთხილად ჩამოვიდა მაგიდიდან. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ყუმბარა ფრთხილად აიღო ხელში: ცივი იყო და სინათლეზე ბრწყინავდა.

— რას მიბრძანებთ, რა ვქნა ამით?

ძველი ანარქისტი პასუხს აგვიანებდა. დაღვრემილ პირისახეზე არც ერთი ნაკვთი არ ერხეოდა: უზარმაზარი ხელები მუხლებზე დაეწყო.

— ვხედავ, თავის მოკვლა განგიზრახავთ, — მიმართა შემდეგ არქილოქოსს, — კი მაგრამ, რატომ?

არქილოქოსი დუმდა.

— ამქვეყნად ადამიანს ორი არჩევანი აქვს, — სიტყვების დამარცვლით თქვა ფარკსმა, — ან უნდა სული განუტევოს ან არა და ეს ქვეყანა უნდა გარდაქმნას.

— გაჩუმდით! — დაუყვირა არქილოქოსმა.

— როგორც გენებოთ, კი ბატონო, მიბრძანდით და ჩამოიხრჩეთ თავი.

— რა გინდათ ჩემგან, თქვით!

ფარკსმა გაიცინა.

— სიგარეტი მომეცი, შუბერტ! — მიუბრუნდა იგი პტი-პეიზანის რეფერენტს. ლუგინბიულმა ცეცხლი მოუკიდა უზარმაზარი, უხეშად ნაკეთები სანთებელათი. ფარკსმა გააბოლა; ნელა უშვებდა პირიდან ბოლის დიდრონ ცისფერ ბოლქვებს.

— როგორ მოვიქცე? — შესძახა არქილოქოსმა.

— მოიქცევით ისე, როგორც მე გიბრძანებთ.

— რისთვის?

— იმისათვის, რომ დავამხოთ ის საზოგადოებრივი წყობა, ასე რომ გაგამასხარავათ.

— ეს ხომ შეუძლებელია!

— პირიქით, ამაზე ადვილი არაფერია, — მიუგო ფარკსმა, — თქვენ მხოლოდ პრეზიდენტის მოკვლა გევალებათ. დანარჩენი ჩემზე იყოს! — ანარქისტმა თავის ორდენზე აათამაშა თითები. არქილოქოსი შებარბაცდა.

— ფრთხილად, ყუმბარა არ დაგივარდეთ, — გააფრთხილა იგი ძველმა ტერორისტმა, — ხომ იცით, მყისვე აფეთქდება.

— როგორ, თქვენ გინდათ, მკვლელი გავხდე?

— მერე რა მოხდა? შუბერტ, აჩვენეთ შენობის გეგმა.

პტი-პეიზანის რეფერენტი მაგიდასთან მივიდა და ქალაქის ფურცელი გაშალა.

— თქვენ პტი-პეიზანთან ხართ შეკრული! — იყვირა შეძრწუნებულმა არქილოქოსმა.

— სისულელეებს ნუ რომავთ! — გააფრთხილა ბერძენი ფარკსმა, — მე მისი რეფერენტი მოვისყიდე მხოლოდ. სულ რამდენიმე გროშად შეიძლება ასეთი ბიჭების შოვნა.

რეფერენტმა ფურცელზე გულმოდგინედ გააყოლა თითი.

— აი, პრეზიდენტის სასახლის გეგმა, — შეუდგა იგი ახსნა-განმარტებას, — ეს კედელი სამი მხრიდან აკრავს სასახლეს, მხოლოდ ფასადის მხარესა აქვს ოთხი მეტრი სიმაღლის რკინის მესერი. კედლის სიმაღლე ორი მეტრი და ოცდათხუთმეტი სანტიმეტრია. მარცხნივ ეკონომიკის სამინისტროა, მარჯვნივ — პაპის ნუნციუსის სასახლე. ეკონომიკის სამინისტროს ეზოს კუთხეში კედელთან კიბე დგას.

— ყოველთვის დგას ეს კიბე? — დაინტერესდა არქილოქოსი.

— ამაღამ კიბე იქ იქნება, დანარჩენი თქვენ არ გეხებათ, — მიუგო რეფერენტმა, — სანაპირომდე მანქანით მიგიყვანთ, აცოცდებით კედელზე, აიტანთ კიბეს და ბალში გადახვალთ. იქვე მაღალი ნაძვი დგას. ამ ნაძვის უკან დაიმალებით, ვიდრე მცველები არ გაივლიან. სასახლეს გარშემო შემოუვლით და დაინახავთ პატარა კარს, სადაც კიბის რამდენიმე საფეხური ადის. კარი დაკეტილი იქნება. აი, გასაღები.

— ამის შემდეგ რა უნდა ვქნა?

— პრეზიდენტის საწოლი ოთახი მეორე სართულზეა. მთავარ კიბეებს რომ აათავებთ, დერეფნის ბოლოს გახვალთ. ყუმბარა პირდაპირ საწოლისკენ ისროლეთ!

რეფერენტი გაჩუმდა.

— ყუმბარას რომ ვისვრი, მერე რა უნდა ვქნა?

— იმავე გზით დაბრუნდით უკან, — მიუგო რეფერენტმა, — მცველები

სასახლეში მთავარი შესასვლელიდან შეცვივდებიან. თქვენ საკმაოდ დრო დაგ-
რჩებათ იმისათვის, რომ ეკონომიკის სამინისტროს ეზო გადაჭრათ და გამო-
იქცეთ. სამინისტროსთან მანქანა დაგელოდებათ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ციოდა, წყლის ხმაური აღარ ისმოდა. ბიბი
თავისი ნაშიერებით ეულად ეკიდა ჭუჭყიან კედელზე.

— აბა, ასეთ წინადადებაზე რას იტყვით? — დაარღვია სიჩუმე ფარკსმა.

— არ მინდა, — დაიყვირა გაფითრებულმა და შიშისაგან აკანკალებულმა
არქილოქოსმა, — არა და არა.

ძველ მეამბოხეს ოღროჩოღრო იატაკზე სიგარეტი დაუვარდა. სიგარეტმა
ხრჩოლვა დაიწყო.

— თავდაპირველად ყველა ასე გაჰკივის, — თქვა ფარკსმა, — ჰგონიათ,
რომ სამყაროს გარდაქმნა სისხლის დაუღვრელადაც შეიძლება.

ხმაურით ძილგამფრთხალმა მეზობელმა კედელზე მოუბრაახუნა. არქილო-
ქოსმა ერთხელ კიდევ წარმოიდგინა ქლოესთან ერთად ხელკავით როგორ მი-
აბიჯებდა გათოშილ ქალაქში. მდინარეზე ნისლი ჩამოწოლილიყო, მხოლოდ
ღამის ლამპიონები და გემების უზარმაზარი ჩრდილები მოჩანდა. გაახსენდა,
როგორ ესალმებოდნენ ტრამვაებიდან და მანქანებიდან ლამაზი, მდიდრულად
ჩაცმული მამაკაცები. მერე ძვირფასი თვლებით მორთული, შავ ფრაკებსა და
სამეჯლისო კაბებში გამოწყობილი სტუმრები წარმოუდგა თვალწინ. ცხად-
ლივ დაინახა მათი მოკიაფე ორდენები, თეთრი პირისახე და მზის სხივებში
მოცეკვავე მტვრის ნაწილაკები. გაახსენდა სტუმრების მზაკვრული, იქედნური
ღიმილი. ხელახლა განიცადა სირცხვილიცა და ძილ-ბურანიდან გამოსვლის ის
სასტიკი წამიც. გაახსენდა, როგორ გამოვარდა წმინდა ელოიზის ეკლესიიდან,
როგორ შეჩერდა კვიპაროსებთან და მერე ბარბაცით როგორ გავიდა ემილ
კაპელერის ქუჩაზე. გაახსენდა, როგორ ღრიალებდა, ხორხოცობდა და გაჰკიოდა
ხალხის ბრბო. გონების თვალით დაინახა ასფალტზე გაწოლილი გოლიათური
ჩრდილები. მოაგონდა, როგორ დაენარცხა მიწაზე, როგორ შეიღება მიწა სის-
ხლით, როგორ გამეტებით ურტყამდნენ მუშტებს, როგორ ესროდნენ ქვებს.
წარმოიდგინა, როგორ იწვა მოკუნტული უცხო სადარბაზოს კიბის ქვეშ, გარ-
კვევით ჩაესმა ყურში დადევნებული ბრბოს ფეხის ხმა.

— თანახმა ვარ! — თქვა ბოლოს.

მიიღო თუ არა არქილოქოსმა გადაწყვეტილება ამ ქვეყნისთვის სამაგი-
ეროდ მიეზღო, ფარკსმა და მისმა ბიჭებმა იგი იმყოფვე ტასიჩის სანაპიროსკენ
გააქანეს. აქედან კი დე ლატას სანაპირომდე სულ რაღაც ათიოდე წუთიღა თუ
იქნებოდა ფეხით სავალი (სწორედ იქ იდგა პრეზიდენტის სასახლე). ღამის სა-
მის თხუთმეტი წუთი იყო. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. წმინდა ლუკას
ტაძრის თავზე ნამგალა მთვარემ ამოახათა და გაყინულ მდინარეს ივაცრეცილი
სხივები მოჰფინა, მერე წმინდა ცეცილიას ყინულით დაფარულ შადრევანზე
წმინდანთა წვერებსა და თმის კულულებსაც გადაეფრქვია თავისი წილი ნათელი.
არქილოქოსი სასახლეებისა და სასტუმროების ჩრდილში მიაბიჯებდა. „რიცის“
შესასვლელთან გათოშილი კარისკაცი სცემდა ბოლოს. გზად არავინ შეხვედ-

რია. მხოლოდ ფარკის მანქანამ, ვითომცდა შემთხვევით, რამდენჯერმე ჩაუქროლა გვერდით. ტერორისტი ამოწმებდა, ასრულებდა თუ არა არქილოქოსის მის დავალებას. მერე მანქანა ეკონომიკის სამინისტროს შენობასთან გაჩერდა. როგორც ეტყობა, მძღოლმა პოლიციელს ყასიდად რაღაცა ჰკითხა. ამასობაში არქილოქოსს ეზოში შეპარვა უნდა მოესწრო. კედელზე კიბე დახვდა მიყუდებული. არნოლფმა თავისი ძველისძველი პალტოს ჯიბეში სახლიდან წამოღებული ყუმბარა მოსინჯა და კიბეზე აბობლდა. მერე კი ვიწრო კედელზე ჩამუხლულმა კიბეც აათრია, გალავანზე გადააგდო და თვითონაც პარკში გადაძვრა. ახლა იგი დიდი ნაძვის ქვეშ გაყინულ ბალახზე იდგა. ყველაფერი ისე აეწყო, როგორც რეფერენტმა უწინასწარმეტყველა.

სანაპირო ლამპიონებით იყო გაჩახჩახებული. სიჩუმეში რამდენჯერმე გაისმა მანქანის საყვირის ხმა, ალბათ ფარკი თუ დაჰქროდა ახლომახლო თავისი მანქანით. მთვარე ახლა პრეზიდენტის სასახლეს დასდგომოდა ჯიდასავით თავზე. ეს გახლდათ ბაროკოს სტილით ნაგები შენობა (ხელოვნებათმცოდნენი ხოტბა-დიდებით მოიხსენიებდნენ ამ შენობას და მის რეპროდუქციებსაც ხშირად ნახავდა ალბომებში კაცი).

ნამგალა მთვარის გვერდით უზარმაზარი მნათობი კიაფობდა, ზევით კი თვითმფრინავის საბორტო სინათლეები მიცურავდნენ. მოასფალტებულ გზაზე ნაბიჯები გაისმა. არქილოქოსი ნაძვის ხეს აეკრა და მიწამდე დაშვებულ ტოტებში შერგო თავი, ცხვირში წიწვის მძაფრი სუნი ეცა, ნემსებმა დაუკაწრა პირისახე. მწყობრი ნაბიჯით მისკენ ორი ლეიბგვარდიელი მოემართებოდა. არქილოქოსმა სიბნელეში თავდაპირველად მხოლოდ მცველების სილუეტები გაარჩია, მერე კი მთვარის შუქზე მხარზე გადადებული ხიშტიანი თოფები და გაფრიალებული თეთრი პლუმაჟებიც დაინახა. ისინი ნაძვთან შეჩერდნენ. ერთმა ტოტები თოფით გადასწია. არქილოქოსმა გაიფიქრა, ყველაფერი დამთავრდაო, და ყუმბარა მოიმარჯვა. მაგრამ მცველებმა ვერ შეამჩნიეს სუბთქვაშეკრული ბერძენი და გზა განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ მთვარის შუქით გაკაშკაშებულ ეზოში შეჩერდნენ. ელვარება გაჰქონდათ მათ ოქროსფერ მუზარადებსა და აბჯრებს. იქ დიდხანს არ შეყოვნებულან. მალე სასახლის მეორე მხარეს გაუხვიეს.

არქილოქოსი ნაძვს მოსცილდა და ელვის სისწრაფით გავარდა შენობის უკანა კედლისაკენ. აქაც ყველაფერი მთვარის შუქით იყო განათებული. არნოლფმა მკაფიოდ დაინახა შიშველი მტირალა ტირიფები, ტანწერწეტა ნაძვები, გაყინული გუბე და პაპის ნუნციუსის სასახლე. არქილოქოსმა მაშინვე იპოვა კარი, გასაღები მოარგო და გადაატრიალა... მაგრამ კარი არ გაიღო. როგორც ეტყობა, შიგნიდან გადაერაზათ. ბერძენი დაიბნა. ყარაული ყოველ წუთს შეიძლებოდა თავზე წამოსდგომოდა. მერე ისევ ეზოში ჩაბრუნდა და სასახლის კედელი შეათვალიერა. გვერდითი შესასვლელის ორივე მხარეს მარმარილოს შიშველი გოლიათები აღმართულიყვნენ: კასტორი და პოლუქსი უნდა ყოფილიყვნენ. მხრებით ეპყრათ მუცელგამობერილი აივანი (არქილოქოსის ვარაუდით, სწორედ ამ აივანზე გამოდიოდა პრეზიდენტის საწოლი ოთახი). ბერძენმა მტკიცედ გადაწყვიტა აივანზე აცოცებულიყო. ისე ძალიან უნდოდა ესროლა ყუმბარა პრეზიდენტისათვის, რომ უეცრად გული მიეცა. გოლიათს ჯერ ფეხზე ააცოცდა, მერე მუცელზე და მკერდზე. ჩაებლაუჭა მარმარილოს წვერსა და ყურებს, ბოლოს უზარმაზარ თავზე ააფოფხდა და

წელში გაიმართა. აქედან პირდაპირ აივანზე გადაძვრა, მაგრამ ამაოდ გაისარჯა. კარი აქაც დაკეტილი დახვდა, ფანჯრის ჩამტვრევა კი ვერ გაბედა, რადგან სიბნელეში კვლავ გაისმა ყარაულის ნაბიჯების ხმა. არქილოქოსი აივანის ცივ ფილებზე განერთხო. ლეიბგვარდიელებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს. აივანს გარშემო შემორტყმოდნენ შიშველი ქალებისა და მამაკაცების გოლიათური სხეულები. აქა-იქ ცხენის თავიც მოჩანდა. ყველა მათგანი, უცნაურ მდგომარეობაში გაეშეშებინა მოქანდაკეს: ისინი გააფთრებით იბრძოდნენ, ლამის ნაკუწ-ნაკუწად დაეგლიჯათ ერთმანეთი. ჯერ ისევ აივანზე გაწოლილმა არქილოქოსმა გაიფიქრა, ალბათ ამორძალებთან ბრძოლა არის გამოხატულიო. და აი, სწორედ იმ ადგილას, სადაც უამრავი სხეული იყო ერთად იგამოქანდაკებული, არნოლფმა პატარა მრგვალი სარკმელი შეამჩნია. სარკმელი ღია იყო და უცბად ისევ მარმარილოს სამეფოში ამოყო თავი. უზარმაზარ ტორსებს შორის მოქცეულ არქილოქოსს ტვინს უბურღავდა აზრი, ვაითუ ყუმბარა ამიფეთქდესო. შეშინებული მიცოცავდა გოლიათების მუცლებსა და არაბუნებრივად მოხრილ ზურგებზე, ერთხელ კინაღამ მიწაზე არ მოადინა ზღართანი, ბედზე მოასწრო და რომელიღაცა მეომრის ამოღებულ მახვილს ჩასჭიდა ხელი; დაფეთებული ბერძენი მერე ნაზად მომღიმარე მომაკვდავ ამორძალს ჩაუვარდა ხელებში.

მცველებმა მესამედ შემოუარეს სასახლეს და აივანის ქვეშ შეჩერდნენ.

არქილოქოსმა დაინახა, როგორ შედგნენ ლეიბგვარდიელები მთვარის შუქით გაკაშკაშებულ პარკში და სასახლის კედელს დაუწყეს თვალიერება.

— მგონი, ვილაც აძვრა ზევით, — თქვა ერთმა მცველმა კარგა ხნის თვალიერების შემდეგ.

— კი, მაგრამ სად არის? — იკითხა მეორემ.

— აი, იქ უნდა იჯდეს.

— სისულელეა. ეგ ღმერთების ქანდაკებათა ჩრდილებია მხოლოდ.

— ეს ღმერთები კი არა, ამორძალები არიან.

— ამორძალი რაღაა?

— ასე ეძახდნენ ცალმკერდიან ქალებს.

— ამათ რომ ორივე მკერდი აქვთ?

— ეტყობა, მოქანდაკეს დავიწყებია ეს ამბავი, — დაასკვნა პირველმა, — შე მაინც ეჭვი 'მაქვს, რომ იქ ვილაცა იმალება. დამაცადე, ახლავე ბელურასავით ჩამოვაგდებ ძირს. — მცველმა მხრიდან თოფი ჩამოიხსნა და არქილოქოსი მიზანში ამოიღო.

ბერძენი არ განძრეულა.

— შენ რა, გინდა ისროლო და მთელი სასახლე ააწრიოლო? — არ დაანება სროლა მეორემ.

— კი, მაგრამ, იქ ხომ აშკარად ვილაცა ზის.

— არავინაც არ არის. ძეხორციელი ვერ ავიდოდა იქ.

— ისე, კაცმა რომ თქვას, მართალი ხარ.

— აი, ხომ ხედავ, წამო, წამო, წავიდეთ აქედან.

მცველებმა თოფები მხარზე გადაიგდეს და მწყობრი ნაბიჯით დატოვეს იქაურობა. არქილოქოსი კი ისევ შეუდგა გოლგოთის გზას. როგორც იქნა,

ღია სარკმლამდე მიაღწია და სასახლეში გადაძვრა. და, აი, მოულოდნელად თავი მესამე სართულის მაღალჭერიან ცარიელ საპირფარეშოში ამოყო. საპირფარეშო ფანჯრიდან შემოჭრილ მთვარის შუქს გაეკაშკაშებინა. საშინელი დაღლილობა იგრძნო. კედლებზე ხოხიალისგან მტვერსა და ჩიტის სკინტლში ამოთხვრილიყო. ისე მოულოდნელად ამოყო თავი ღმერთების სამეფოდან პირდაპირ საპირფარეშოში, რომ მყისვე გამოფხიზლდა. ხვნივით გამოალო კარი და ფართო დერეფანში გავიდა. დერეფნის ორსავე მხარეს მთვარის შუქით განათებული დარბაზები მოჩანდა. არქილოქოსმა სვეტებს შორის თეთრი ქანდაკებები შენიშნა, ფრთხილად ჩავიდა მეორე სართულზე და ის დერეფანი მოძებნა, პტი-პეიზანის რეფერენტმა რომ მიანიშნა. მაღალი ფანჯრებიდან სანაპირო მოჩანდა; არქილოქოსი წუთით დააბრმავა გაჩახჩახებული ქალაქის ჩირაღდნებმა.


ეზოში ყარაულის შეცვლის საზეიმო ცერემონიალი მიმდინარეობდა. არნოლფმა დაინახა, როგორ მისცეს ერთმანეთს სამხედრო სალამი ჯარისკაცებმა, გაიჯგიმნენ, დეზები ააწკარუნეს და თავიანთ ადგილებისაკენ მწყობრი ნაბიჯებით გაეშურნენ. არქილოქოსი ფანჯარას მოსცილდა და ფეხაკრეფით გამართა პრეზიდენტის საწოლი ოთახისაკენ. ჩუმად შეალო კარი. მარჯვენა ხელში ყუმბარა ჩაებლუჯა. აივნის მაღალი კარიდან ოთახში მთვარის შუქი იჭრებოდა. ეს ის კარი იყო, წელან გარედან რომ ვერ გააღო. ოთახში შევიდა და იქაურობა მიათვალაიერ-მოათვალაიერა. უნდოდა ყუმბარა პირდაპირ საწოლისკენ ესროლა, მაგრამ ოთახში მისი მომავალი მსხვერპლის ხსენებაც კი არ იყო. შუაში ჭურჭლით სავსე კალათა იდგა მხოლოდ. არაფერი არ დაემთხვა ტერორისტების ნათქვამს. ეტყობა, მეამბოხეებსაც არ ჰქონდათ ყოველთვის სარწმუნო ცნობები.

დაბნეული არქილოქოსი ოთახიდან ისევ დერეფანში გამოვიდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ეპოვა თავისი მსხვერპლი.

ყუმბარა მოიმარჯვა და მესამე სართულზე ავიდა, იქიდან კი მეოთხეზე, შემოიარა სამეჯლისო დარბაზები და მდიდრულად მოწყობილი სასტუმრო ოთახები. დაათვალაიერა სხდომათა დარბაზი და პატარა სალონები. მდივნების ბიუროშიც შეიხედა, სადაც შალითაგადაფარებული საბეჭდი მანქანები იდგა.

სურათების გალერეიდან საჭურველთსაცავში მოხვდა, აქ გრძელლულიანი ზარბაზნები იდგა და კედელზე დროშები ეკიდა. არქილოქოსი შუბს დაეჯახა და სახელო გაიხია. ბოლოს მეხუთე სართულზე ავიდა და ქურდულად გაუყვა თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულ დერეფანს. უეცრად რაღაც სინათლე შეამჩნია. ეტყობა, ვიღაცამ ის-ის იყო აანთო შუქი. არქილოქოსმა მხნეობა მოიკრიბა და ფეხა განავრძო. ყუმბარა ძალას მატებდა. აი, მან პატარა დერეფანში გაუხვია, დერეფნის ბოლოში ნახევრად ღია კარი მოჩანდა. ოთახში სინათლე ენთო. არქილოქოსმა სწრაფად გაირბინა ფაფუკი ხალიჩებით მოფენილი დერეფანი. დაღლილობის გრძნობა თვალის დახამხამებაში გაუქრა, ოთახს რომ გაუსწორდა, ყუმბარა მოიმარჯვა და კარი შეალო...

მის წინ ხალათში გამოწყობილი პრეზიდენტი იდგა. ეს ყველაფერი სრულიად მოულოდნელად მოხდა. არნოლფმა ისღა მოახერხა, რომ ყუმბარა სწრაფად დამალა პალტოს ჯიბეში.



— ბოდიშს ვიხდი, — წაილულულა შეთქმულმა.

— აი, თურმე სადა ყოფილხართ, ჩემო ძვირფასო, პატივცემულო ბატონო არქილოქოს, — წამოიძახა პრეზიდენტმა და დაბნეულ ბერძენს ხელი ჩამოართვა. — მთელი საღამო გული მიგრძნობდა, რომ მოხვიდოდით. წელან შემთხვევით გამოვიხედე ფანჯარაში და დაგინახეთ, როგორ გადმოძვერით კედელზე. შესანიშნავი აზრია. მცველები ყველა წვრილმანსაც კი ეჭვის თვალით უყურებენ. ჩემი ბიჭები არაფრის გულისთვის არ შემოგიშვებდნენ. ახლა კი, მადლობა ღმერთს, უკვე აქა ხართ, ძლიერ მახარებს, თქვენი ნახვა. არა, მაინც როგორ მოახერხეთ სასახლეში შემოპარვა! სწორედ ახლა უნდა ჩამომეგზავნა კამერდინერი ქვევით. ერთი კვირა იქნება, რაც მეხუთე სართულზე დავსახლდი, აქ გაცილებით მეტი სიმყუდროვეა, ვიდრე ქვევით. რა თქმა უნდა, თავისებური ნაკლი ზემოთ ცხოვრებასაც აქვს: თუნდაც ის, რომ ლიფტი ყოველთვის არ მუშაობს.

— გვერდითი კარი ღია დამხვდა და იქიდან შემოვედი, — წაილულულა არქილოქოსმა. მიხვდა, რომ ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა. ახლა პრეზიდენტი უკვე ძალიან ახლოს იდგა მასთან.

— ყველაფერი მშვენივრად აეწყო, — გაიხარა პრეზიდენტმა, — ჩემმა კამერდინერმა, მოხუცმა ლუდვიგმა (სხვათა შორის მე მას ლუდვიგს ვეძახი, ისეთი გარეგნობის პატრონია, მას უფრო მოუხდებოდა პრეზიდენტობა, ვიდრე მე) სახელდახელოდ ვახშამი გაამზადა.

— რას ბრძანებთ, — თქვა არქილოქოსმა და ყურებამდე გაწითლდა, — ხელს არ შეგიშლით.

— სრულებითაც არ შემიშლით ხელს, — მეგობრულად უთხრა პრეზიდენტმა, — ჩემს ასაკში ადამიანს ცოტა სძინავს. ფეხები დღენიადაგ გაყინული მაქვს, რევმატიზმი სიცოცხლეს მიმწარებს, არ მასვენებს ზრუნვა პირადულსა თუ სახელმწიფოებრივ საქმეებზე. განსაკუთრებით შეწუხებული ვარ დღევანდელი მდგომარეობით: ხან სად ხდება სახელმწიფო გადატრიალება და ხან სად. ჩემს უკაცრიელ სასახლეში უსაშველოდ გრძელი ღამეები იცის, და აი, მეც ცოტათი შევნაყრდები ხოლმე ამ უდროო დროს. კიდევ კარგი, შარშან შენობაში ცენტრალური გათბობა გაიყვანეს.

— მართლაც ყველგან სასიამოვნოდ თბილა, — დაეთანხმა არქილოქოსი.

— ღმერთო ჩემო, ეგ რა მოგსვლიათ, — გაუკვირდა პრეზიდენტს, — მთლად მტვერში ხართ ამოგანგლული. ლუდვიგ, გაუწმინდე ტანსაცმელი, როგორც წესი და რიგია.

— პატივი დამდეთ, — მიმართა არქილოქოსს კამერდინერმა და ჯაგრისით დაუწყო მტვრისა და ჩიტის სკინტლის მოცილება. არქილოქოსმა უარის თქმა ვეღარ გაბედა. თან სული კბილით ეჭირა, ჯაგრისის ჩამოსმის დროს პალტოს ჯიბეში ყუმბარა არ ამიფეთქდესო, მაგრამ კამერდინერმა პალტო გახადა და არქილოქოსმა შვევით ამოისუნთქა.

— ძალიან გამსგავსებთ ჩემს კამერდინერს. იგი სენ-პერის ქუჩაზე მემსახურება, — წამოსცდა არქილოქოსს.

— ჩემი ღვიძლი ძმა გახლავთ, — მიუგო მოხუცმა, — ოცი წლით უმცროსია ჩემზე.

— მე მგონია, სალაპარაკო არ შემოგველევა, — უთხრა პრეზიდენტმა თავის მკვლელს და განათებულ დერეფანში გაუძღვა.

პატარა ოთახის ფანჯრები სანაპიროს გადასცქეროდა. ერკერში ქათქათა სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა. ზედ ძვირფასი ფაიფურის ჭურჭელი და მოელვარე ბროლის ჭიქები ეწყო. ოთახში სანთლები ენთო.

„ახლა ერთადერთი გამოსავალია დამრჩენია, უნდა მოვასრუო!“ — მტკიცედ გადაწყვიტა არქილოქოსმა.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, დაბრძანდით, — ნაზად შეეხო მის მკლავს სტუმართმოყვარე მოხუცი პრეზიდენტი, — თუკი მოვისურვებთ, შეგვიძლია პარკშიც გადავიხედოთ. იქ თეთრპლუმაყიანი ლეიბგვარდიელები დადიან. პირი ღია დარჩებათ, როცა გაიგებენ, რომ თვალსა და ხელს შუა ვიღაც შემოეპარათ ჩემთან. კიბის მოდგმა კი მშვენივრად მოგიფიქრებიათ, იცით, რატომ გამახარა ასე ძალიან თქვენმა მოხერხებულობამ? იმიტომ, რომ ხანდახან შუალამისას მეც მომიწევს ხოლმე კედელზე გადაძრომა ამ გზით. ოღონდ ეს ჩვენს შორის დარჩეს. დიახ, მოხუც პრეზიდენტსაც დაუდგება ხოლმე ხანდახან ასეთი წუთები. უკიბოდ ამის გაკეთება კი შეუძლებელია, რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თქვენ პატიოსანი კაცი ხართ და შემიძლია გაგანდოთ ეს ამბავი, პრესის წარმომადგენლებისთვის კი ასეთი რაიმეს ცოდნა საჭირო არაა. ლუდოვიკ, ერთი შამპანური დაგვისხი!

არქილოქოსმა პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა, თავისთვის კი გაიფიქრა, ახლა კი ნამდვილად მოვკლავო.

— დღეს ვახშმად შემწვარი ვარია მაქვს, — აცნობა ბერძენს გახარებულმა მოხუცმა, — მე და ლუდოვიკს ვარია და შამპანური ყოველთვის გვაქვს გადანახული. ზუსტად ღამის სამ საათზე გამეხსნება ხოლმე მადა. აი, ამასა ჰქვია სწორი კვება. კედლებზე ცოცვაში თქვენც კარგა გვარიანად მოგშივდებოდით.

— დიახ, საკნაოდ მომშივდა, — გულწრფელად აღიარა არქილოქოსმა. უცბად თვალწინ დაუდგა, რა ვაი-ვაგლახით გადაძვრა წელან კედელზე.

კამერდინერი ხელების კანკალით, მაგრამ ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას.

— ნუ ნიაქცევთ ყურადღებას, რომ ლუდოვიკს ხელები უკანკალებს. მე მისთვის რიგით მეექვსე პრეზიდენტი ვარ. იგი ჩემს წინამორბედებსაც ასევე ერთგულად ემსახურებოდა.

არნოლფმა ხელსახოცით გაწმინდა სათვალე. სჯობია ისევ ყუმბარა ვესროლო და ისე მოვკლა, ასე უფრო ადვილი იქნებაო, გაიფიქრა საბრალომ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რა უნდა მოემოქმედა.

„ხომ ვერ ავდგები და ვერ ვეტყვი ბებერს: მაპატიე, უნდა მოგკლა-მეთქი, და ყელში ხომ ვერ ვწვდები? — თავისთვის ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი. — არა, ჯერ კამერდინერს მოვკლავ, თორემ ის მცველებს იხმობს და ხელი შემეშლება! — დაასკვნა ბოლოს.

არქილოქოსი ჭამა-სმას იმიტომ შეუდგა, რომ ღრო მოეგო და ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა. მაგრამ ნერვ და მერვ საჭმელი ძალიან ეგემრიელა და პირი აღარ გაუჩერებია.

კეთილმა მოხუცმა პრეზიდენტმაც თითქმის მთლიანად მოიგო მისი გული. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მშობელ მამას ესაუბრებოდა, ვისაც შეიძლება ყველაფერი გაანდოს კაცმა.

— ძალიან გემრიელი ვარიკაა, — ვერ ნალავდა აღფრთოვანებას პრეზიდენტი.

— მართალსა ბრძანებთ, — დაეთანხმა არქილოქოსი.

— არც შამპანურია ურიგო.

— ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ამქვეყნად ასეთი გემრიელი საჭმელ-სასმელი არსებობდა, — გულწრფელად აღიარა არქილოქოსმა.

— მოდი, გულახდილად ვისაუბროთ. თქვენს მშვენიერ ქლოეზე ვილაპარაკოთ. თქვენ ხომ მის გამო შეგხვდათ ამდენი უსიამოვნება, — შესთავაზა არნოლფს მოხუცმა.

— დღეს წმინდა ელოიზის ეკლესიაში დიდი დავიდარაბა გადაიხდა თავს, — დაიწყო არქილოქოსმა, — სულ რაღაც ერთ წამში ამეხილა თვალები.

— დიახ, მეც სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, — დაეთანხმა პრეზიდენტი.

— როდესაც ეკლესიაში ორდენებით დამშვენებული დაგინახეთ, — განაგრძო არქილოქოსმა, — თავში უეცრად გამიელვა აზრმა: ჯვრისწერაზე მხოლოდ იმიტომ მობრძანდა, რომ ქლოე...

— ო, რით დავიმსახურე თქვენი ასეთი პატივისცემა? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

— თქვენ ჩენი სათაყვანებელი კერპი იყავით. რატომღაც ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი პრეზიდენტი სპირტიან სასმელს პირს არ აკარებს-მეთქი, — მორიდებით შენიშნა არქილოქოსმა.

— ეს ყველაფერი გაზეთების მონაჩმახია, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მოხუცმა, — მთავრობა ლოთობის წინააღმდეგ იბრძვის. ამის გამო ხელში რძით სავსე ჭიქას მაჩეჩებენ და ისე ნიღებენ სურათებს.

— ისიც ცნობილია, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით ძალიან მკაცრ ცხოვრებას ეწევით.

— ეს ჭორი კი ქალთა ორგანიზაციებმა შეთხზეს. თქვენ რა, არ გიყვართ სმა?

— არა ვსვამ და თან ვეგეტარიანელიც ვარ.

— კი მაგრამ, ახლა რომ შამპანურსაც და ქათამსაც კარგად მიირთმევთ?

— ჩემი იდეალები ერთი ხელის მოსნით გავატანე ქარს.

— ძალზე სამწუხაროა.

— ადამიანები დღენიადაგ თვალთმაქცობენ.

— ნუთუ ქლოეც ასეთია?

— თქვენ ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ, ვინც არის ქლოე.

— სრული ჭეშმარიტებაა, — დაიწყო პრეზიდენტმა და თეფშზე გამოხრული ძვალი დადო, თან შანდალი გვერდზე გასწია, რომ არქილოქოსი უკეთ დაენახა, — ჭეშმარიტება კი, მოგეხსენებათ, თუ მას დღის სინათლეზე გამოვიტანთ, ცოტა არ იყოს საჩოთირო ხდება. ეს მარტო ჩვენ, ადამიანებს არ გვეხება და სახელმწიფოზედაც ვრცელდება. ხანდახან მეც საშინლად მომინდება ხოლმე სასახლიდან გაქცევა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი რეზიდენცია ხუროთმოძღვრულ სიმახინჯედ მიმაჩნია და ეს საშინლად მაღიზიანებს. მინდა ხოლმე გაქცევით ვუშველო თავს, ისე როგორც თქვენ გაიქცეით დღეს წმინდა ელოიზის ეკლესიიდან. მაგრამ ამდენი გამბედაობა არ მოუცია ღმერთს ჩემთვის. ერთადერთი, რის უფლებასაც ვაძლევ ხოლ-

მე ჩემს თავს, ისაა, რომ ჩუმაღ გადავცოცდები კედელზე და ქუჩაში ვიბარები. რა თქმა უნდა, მე არავის დაცვას არ ვაპირებ, — განაგრძო პრეზიდენტმა, — ყველაზე ნაკლებად კი საკუთარი თავის დაცვაზე ვფიქრობ. საერთოდ ეს ისეთი საკითხია, რომ ამაზე ხმამაღლა არ მსჯელობენ. და თუ ხანდახან მაინც ლაპარაკობენ, მხოლოდ და მხოლოდ ღამით და ისიც მოწმეების გარეშე. ამ თემაზე საუბრისას ადამიანი თავს ვერ აღწევს ხოლმე გაცვეთილ სიტყვებს, თავისდაუნებურად იწყებს ზნეობის ქადაგებას, ეს კი არავის სჭირდება. სათნოება, ვნებები და ბიწიერებანი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ხშირად იქ, სადაც პატივისცემისა და სიყვარულის გამოვლინებას მოველით, ზიზღსა და სიძულვილს ვაწყდებით ხოლმე. ამიტომ, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, მინდა მხოლოდ ერთი რამ მოგახსენოთ: თქვენა ხართ ერთადერთი ადამიანი, ვისიც მშურს და ამავე დროს ვისი ბედიც გულწრფელად მაფიქრებს. მართალია, ქლოეს ბევრ მის თაყვანისმცემელთან ერთად ვინაწილებდი, — საოცრად ნაზი ხმით წარმოთქვა პრეზიდენტმა, ნერე წამით დადუმდა და ბიდერმაიერის სტილის სავარძელში გადაწვა, — ეს ქალი ბნელი, პირველყოფილ ვნებათა სამეფოს მბრძანებელი გახლავთ. ქლოე ყველაზე ცნობილი კურტიზანია ჩვენს ქალაქში და არაფრის შელამაზებას არ ვაპირებ, ამის ნებას არც ასაკი მაძლევს. უბრალოდ მინდა აღვნიშნო, რომ უსაზღვროდ მადლობელი ვარ ამ ქალისა. სწორედ მან განმაცდევინა სიყვარულით ტკბობის დაუვიწყარი წუთები და ამიტომ არავის მიმართ არ განვიცდი ესოდენ დიდი მადლიერების გრძნობას, როგორც ამ ქალის მიმართ. მაგრამ აი, მოულოდნელად მან ყველას ზურგი შეგვაქცია და თქვენთან გამოიქცა, და რაკილა თქვენი ბედნიერების ყაჟმა დაჰკრა, ისლა დაგვრჩენოდა მადლიერების გრძნობით გამოვთხოვებოდით ამ საოცარ ქალს.

მოხუცი პრეზიდენტი გაჩუმდა, მოვლილ წვერზე ხელი ჩამოისვა და მეოცნებე თვალებით გახედა სივრცეს. კამერდინერმა ჭიქები შამპანურით შეავსო. პარკიდან შიგადაშიგ ისმოდა მცველების ხმა და ჩექმების ბრაგაბრუგი.

არქილოქოსი სავარძლის ზურგს მიეყრდნო. უეცრად ფანჯარაში ეკონომიკის სამინისტროს წინ ფარკის მანქანა შეამჩნია და მხოლოდ მაშინდა გაახსენდა პალტოს ჯიბეში დამალული, ჯერ ისევ გამოუყენებელი ყუმბარა.

— რაც შეგეხებათ თქვენ, ჩემო კარგო და ძვირფასო, — ჩუმაღ განაგრძო პრეზიდენტმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ და სიგარეტს მოუკიდა, კამერდინერმა რომ მიაწოდა (მოწევა არქილოქოსმაც დაიწყო), — ძალიან კარგად მესმის, რამ გამოიწვია თქვენში გრძნობების ასეთი ქარტეხილი. აბა, რომელი მამაკაცი არ იგრძნობდა თქვენს ადგილზე თავს შეურაცხყოფილად. მაგრამ, როგორც იტყვიან, სწორედ ასეთ მძიმე წუთებში უნდა მოერიოს კაცი თავის თავს და ჩაიკლას გულში ეს ბუნებრივი გრძნობები. კარგად მოგეხსენებათ, რომ სწორედ ეს გრძნობები გახლავთ დედა ყოველგვარი ბოროტებისა. მერწმუნეთ, ამ დროს ვერავინ გაგიწევთ დახმარებას. მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს: თვალი უნდა დახუჭოთ არასასიამოვნო ამბებზე. რასაკვირველია, ნათი უგულებელყოფა არამც და არამც არ შეიძლება, მაგრამ ისინი წვრილმანად და არაარსებითად მოგეჩვენებათ, თუკი თავს ძალას დაატანთ და ქლოეს სიყვარულს ირწმუნებთ.

მსგავსი სასწაული, როგორც თქვენა გხვდათ წილად, მხოლოდ და მხო-

ლოდ სიყვარულის წყალობით თუ ხდება ხოლმე. სიყვარულის გარეშე კი იგივე სასწაული უბრალო ფარსი იქნებოდა მხოლოდ. როდესაც გულზე სიმძიმელი შემოგაწვებათ, უნდა წარმოიდგინოთ, რომ ხახადაღებულ უფსკრულში გაკიდულ ბეწვის ხიდზე გადიხართ, სწორედ ისევე, როგორც მაჰმადიანები გადიან ხმლის პირზე ალაჰის სამოთხეში შესვლისას. მგონი, სადღაც უნდა მქონდეს ანოკითხული ეს ამბავი. კიდევ გადაიდეთ ხორცი, — შესთავაზა პრეზიდენტმა თავის გაბითურებულ მკვლელს, — ვარიკა ძალზე გემრიელია, გემრიელი საჭმელი კი ყოველთვის მალამოსავით ედება დაბოლ-მილი კაცის გულს.

არქილოქოსს პირისახეზე სანთლების სასიამოვნო შუქი და ოთახში დატრიალებული სითბო ელანუნებოდა. კედლებზე ჩამოკიდულ მძიმე მო-ოქროვილ ჩარჩოებში ჩასმულ სურათებიდან აწ გარდაცვლილი სახელმწიფო მოღვაწეები და მხედართმთავრები იმზირებოდნენ. ჩაფიქრებული მისჩე-რებოდნენ არქილოქოსს ეს შორეული, მედიდური და მარადისობაში გა-დასული ადამიანები. არნოლფი ენით აუწერელმა სიმშვიდემ ნოიცვა ანაზ-დად. გრძნობდა, როგორ უბრუნდებოდა სულიერი წონასწორობა, იცოდა, რომ ეს სრულიადაც არ იყო გამოწვეული პრეზიდენტის სიტყვებით, რადგან აბა რას მიქვია ლიტონი სიტყვა! ეს ყველაფერი მამაშვილური მოპყრობის, მშობლიური რჩევა-დარიგების, კეთილი გულისა და თავაზიანი მოქცევის ბრა-ლი იყო.

— ღმერთმა მოწყალე თვალთ გადმოგხედათ, — უთხრა პრეზიდენტმა არქილოქოსს, — ხოლო თქვენ რით ახსნით ამ წყალობას, ეს უკვე თქვენი ნე-ბაა. და აი, წინ ორი გზა გიდევთ: ერთი სიყვარულისკენ მიდის. ვინც ამ გზით დადის, მან სიყვარულის სიდიადე უნდა იწამოს; ნეორე გზა კი ბორო-ტებისკენ სავალი გზაა. ამ გზით მხოლოდ ისინი დადიან, ვინც სიყვარულს განერიდა და ზურგი შეაქცია. ჩემი აზრით, სიყვარული ერთადერთი სასწა-ულია ამქვეყნად, რისი არსებობაც ნამდვილად შეიძლება იწამოს კაცმა. ბო-როტება კი ადამიანის მუდმივი თანამგზავრია. ცხოვრებაში ასე ხდება ხოლმე: ალალმართალი კაცი შეაჩვენებს ბოროტებას, მეოცნებე — მის აღმოფხვრაზე ოცნებობს, შეყვარებული ადამიანი კი უბრალოდ ვერ ამჩნევს მას. მხოლოდ ჭეშმარიტ სიყვარულს ძალუძს უდრტვინველად ნიილოს ბედის წყალობაცა და რისხვაც. ეს კი იოლი საქმე როდია. ეს ცხოვრება მწუხარებითა და უაზრო-ბითაა აღსავსე, და მხოლოდ შეყვარებულებს შეუძლიათ ჰქონდეთ რწმენა იმისა, რომ თვით ამ მწუხარებასა და უაზრობაშიც რალაცა აზრია ჩაქსოვილი.

პრეზიდენტი გაჩუმდა და არქილოქოსმა იგრძნო, რომ ქლოეზე სიძულ-ვილითა და შეძრწუნებით აღარ ფიქრობდა.

ოდნავდა ბჟუტავდა გაღეული სანთლები. პრეზიდენტმა არქილოქოსს პალტო ჩააცვა. ბერძენმა ჯიბეში კვლავ მოსინჯა საბედისწერო ყუმბარა. ლიფ-ტი არ მუშაობდა და მოხუცმა პრეზიდენტმა სტუმარი თვითონ ჩააცილა ფე-ხით მთავარ შემოსასვლელამდე. ლუდვიგი აღარ შეუწუხებია, რადგან კამერ-დინერს ფეხზე მდგომს ჩასძინებოდა. პრეზიდენტი არქილოქოსს არწმუნებდა,

ყველა ხელოვნებას შორის ყველაზე დიდი ხელოვნებაა, როცა ადამიანს შეუძლია ფეხზე მდგომმა დაიძინოსო. უკაცრიელი სასახლე ჩუმად გაიარეს და ფართო კიბეებს ჩაუყვნენ. არქილოქოსი დამშვიდდა, ბედს შეურიგდა და გულმა ისევ ქლოესაკენ გაუწია. პრეზიდენტი კი გამოცდილი მეგზურივით მიუძღოდა წინ: ხან ერთ დარბაზში ანთებდა სინათლეს და ხან მეორეში, და სტუმარს შესაფერის ახსნა-განმარტებებს აძლევდა.

— აქ სხდომებს ვთავმჯდონარეობ ხოლმე, — პრეზიდენტმა არქილოქოსი უზარმაზარ მდიდრულ დარბაზში შეიყვანა. — აქ თვეში სულ ცოტა ორჯერ მაინც პრემიერ-მინისტრებს ვითხოვ თანამდებობიდან. ამ შინაურულ სალონში კი ინგლისის დედოფალთან და მის უდიდებულესობასთან, — დედოფლის მეუღლესთან ერთად ჩაი დამილევია (ამბობენ, ეს ფერტილო, ამ სალონში რომე კიდია, ნამდვილად რაფაელს ეკუთვნისო). კინალამ ჩამეძინა, როცა მისმა უდიდებულესობამ საზღვაო ფლოტზე ჩამოაგდო საუბარი, რადგან ჩემი აზრით, ამქვეყნად არაფერია სამხედრო-საზღვაო საქმეებზე მოსაწყენი. სირცხვილის ჭამას საოქმო განყოფილების უფროსმა გადამარჩინა. მან გადამწყვეტ წუთში გამაღვიძა და სწორი პასუხიც მიკარნახა. ისე კი. სხვა ეხრივ ინგლისელებს არა უშავთ რა, საკმაოდ კარგი ხალხია, — დაასკვნა პრეზიდენტმა და ბერძენს ძველი მეგობარივით დაემშვიდობა. ორივე კმაყოფილი იყო გულითადი საუბრით. მთავარ შესავლელთან მოხუცმა ერთხელ კიდევ დაუქნია არნოლფს ხელი და კეთილად გაუღიმა.

ცოტა ხნის შემდეგ არქილოქოსმა უკან მოიხედა. სუსხიანი ღამის სიბნელეში აღნართული სასახლე ზიზილ-პიპილო ჩუქურთმებით აჭრელებულ უზარმაზარ სკივრს წააგავდა. მთვარე ღრუბლებს მიეფარა. მცველებმა არნოლფს სამხედრო სალამი მისცეს. ბერძენი ბალიდან გამოვიდა და დე ლ'ეტას სანაპიროსაკენ დაეშვა. უცბად დაინახა, რომ ეკონომიკის სამინისტროს შენობის მხრიდან მისკენ ფარკის მანქანა გამოემართა. არქილოქოსმა სასწრაფოდ შეუხვია პაპის ნუნციუსის სასახლისა და შვეიცარიის საელჩოსაკენ ეტერის შესახვევში. შტაბის ქუჩაზე პფიფერის ბართან ტაქსი დაიჭირა, ფარკსთან შეხვედრა აღარ უნდოდა. აქოშინებული შევარდა ქლოეს ჭიშკარში, თვალის დახამხამებაში გაირბინა პარკი, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიკრავდა გულში სატრფოს. როკოკოს სტილის შენობა გაჩახჩახებული იყო. შიგნიდან მთვრალეების ღრიანცელი გამოდიოდა. კარები ყურთამდე ღია დაეტოვებინათ. თამბაქოს ბოლი სქელ ყვითელ ღრუბლებად ადიოდა ჰაერში. მთელ სახლს ბიბი და მისი ნაშიერები დაპატრონებოდნენ. ყველგან, სავარძლებზე, მაგიდების ქვეშ ისხდნენ ან ეყარნენ ბიბის ძმაკაცები — ქალაქის ცნობილი ნაძირალები. ფანჯრებიდან ფარდები ჩამოეგლიჯათ და შიგ გახვეულიყვნენ. ვის არ ნახავდით აქ: ქურდბაცაცებს, მანათმავლებსა და სუტენიორებს. საწოლებზე ნახევრად შიშველი ქალები ეყარნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰკიოდნენ. სამზარეულოში ქურდებს მოეკალათებინათ. იქიდან განუწყვეტლივ ისმოდა პირის წკლაპუნი და ბოყინი. ნთქავდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ. საკუჭნაოები და ღვინის სარდაფი თითქმის უკვე გამოეცარიელებინათ. სასადილოში მათიასი და სებასტიანი ვილაცის ფეხის პროთეზებით ჰოკეის თამაშობდნენ. დერეფანში მეზღვაური ბიძია და საყვარელი დედოფლანების მიზანში სროლით ერთობოდნენ. ჟან-კრისტოფს და ჟან-დანიელს გა-

ხურებული კენჭაობა გაემართათ, თეოფილს და გოტლიბს მკერდზე კახპები მიეხუტებინათ და მათთან ერთად ნოაჯირებზე სრიალებდნენ.

უსიამოვნო წინათგრძნობით შეპყრობილი არქილოქოსი მეორე სართულზე ავარდა; გვერდი აუარა ოთახს, სადაც ისევ ბორგავდა სიცხისაგან გათანგული ჩალიჩა. ბუდუარში არავინ იყო. სააბაზანოდან მამაკაცის სიმღერის ხმა, წყლის დგაფუნის და მაგდა-მარიას გამკივანი კივილი ისმოდა.

არქილოქოსი ქლოეს საძინებელ ოთახში შევარდა. საწოლზე ბიბი მოკალათებულიყო ვიღაც დედიშობილა კახპასთან ერთად. არნოლფმა მთელი ოთახი გადაატრიალა, ნაგრამ ქლოე არსად ჩანდა.

— სად არის ქლოე?

— რაშია საქმე, ჩემო ძმაო? — ველარ დაფარა უკმაყოფილება ბიბიმ და სიგარა გააბოლა, — ერთი მითხარი, რა წესია საძინებელ ოთახში დაუკაკუნებლად შემოსვლა.

მაგრამ ბიბის სიტყვები პირზე შეაცივდა. ამაღლებული, ნაზი გრძნობებით შეპყრობილი არქილოქოსი მთელი სულითა და გულით მოიჩქაროდა შინსაკენ. ქლოესადმი უსაზღვრო ტრფობით ავსებოდა გული, ერთი სული ჰქონდა ენახა იგი. და აი, მოულოდნელად ამ შემზარავი სურათების მოწმე გახდა. თავადაც რომ არ მოელოდა, ისეთმა რისხვამ შეიპყრო უეცრად. ღმერთო, რა სისულელეს სჩადიოდა, წლების მანძილზე რომ არჩენდა ამ მუქთახორების ოჯახს! ღვიძლმა ძმამ არ დაინდო და ასე უსინდისოდ გაუპარტახა სახლ-კარი. უფრო კი ის აწვალებდა, რომ ქლოე საკუთარი სისულელის წყალობით დაკარგა, და შურისძიების მძვინვარე გრძნობამ იფეთქა მის გულში.

და აი, ახლა პასაპის წინასწარმეტყველება: არქილოქოსი ბერძნული ომის ღმერთად, არესად იქცა. ნირწამხდარი ბიბი შეშინებული შესცქეროდა ძმის სასწაულებრივ ფერიცვალებას. გაცოფებულმა არქილოქოსმა თვალისდახამხამებაში აიტაცა მავთულის ქანდაკება და პირდაპირ პირისახეში სთხლიშა ძმას, მის საქორწინო სარეცელზე ნებიერად რომ მოკალათებულიყო შიშველ კახპასთან ერთად. ბიბი ღრიალით წამოხტა, ნაგრამ დარტყმამ ყბაში უწია და უკანვე გადავარდა. გონს ნოეგო თუ არა, კარებისკენ გალასლასდა. არქილოქოსის მორიგი დარტყმით დარეტყვანებული იქვე, კარებთან ჩაიკეცა. ახლა კი ბიბის საყვარლის ჯერი დადგა. არნოლფი მას თმაში სწვდა, დერეფანში გამოათრია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მეზღვაურ ბიძიკოს მიახეთქა, ბიბის ყვირილზე საშველად რომ მორბოდა. ორივე ბრავაბრუგით ჩაგორდა კიბეზე. ხმაურზე ყველა კუთხე-კუნჭულიდან გამოცვივდნენ ჯიბგირები, ქურდები და ავაზაკები. თავისი ძმისშვილები, თეოფილი და გოტლიბი არნოლფმა ხვეული კიბიდან მოისროლა, საბრალო ჩალიჩას კი საწოლიანად მოადენინა ძირს ბრავგანი. მერე ერთი კარგა მაგრად მიბეჭა სებასტიანი და მათიასი, ტიტლიკანა მაგდა-მარია კი თავის ჩინელ თაყვანისმცემელთან ერთად ფანჯრიდან ბაღში გადაუშვა. არც დანარჩენებისათვის დაუყრია ხეირი. ჰაერში ზუზუნით დაქროდნენ პროთეზები და სკამის ფეხები; ირგვლივ სისხლის მადრევიანი ასხამდა. დედიკოს გული შედონებოდა. მამათ-მაგლები და ყალბი ფულის მჭრელები გირთხებივით წრიბინ-წრიბინით ეძებდნენ თავშესაფარს. არქილოქოსი, გინც კი ხელთ მოხვდებოდა, ყველას მუშტებით უმასპინძლდებოდა, ახრჩობდა, ფხაჭნიდა, სილას აწნავდა, პანლურს კრავდა,

იატაკზე ანარცხებდა და თავის ქალას უფშენიდა. ამ შეხლა-შემოხლაში ვიღაც კახპაც კი გააუპატიურა. მაგრამ არც მას შესცქეროდნენ გულხელდაკრეფილნი, უწყალოდ უბრაგუნებდნენ თავში ხის პროთეზებს, კასტეტებს, რეზინის ხელკეტებს. არქილოქოსი ეცემოდა და კვლავ დგებოდა. ყოჩაღად იგერიებდა ყველა შეტევას. პირიდან დუჟი გადმოსდიოდა. მთელ ტანზე მინის ნაფშვენები მიჰყროდა. მრგვალ მაგილას ფარად ხმარობდა. ლარნაკებს, სურათებს. და ასე განსაჯეთ, ჟან-კრისტოფსა და ჟან-დანიელსაც კი ყუმბარებივით ისროდა აქეთ-იქით. გააფთრებული ყრიდა ავაზაკებს თავისი გაპარტახებული სახლიდან, ჯიქურ მიიწევდა წინ, ბღღვირს ადენდა ყველაფერს, რაც კი გზაზე წინ დახვდებოდა, თან სართულებიანი გინებით უმასპინძლდებოდა ნაძირალებს.

და აი, როგორც იქნა, მარტოდმარტო დარჩა სახლში. იავარქმნილ კედლებზე ჩამოფხრეწილი შპალერი დროშასავით ფრიალებდა, ყინულივით ცივი ქარი სისინებდა და თამბაქოს ბოლს ფანტავდა. არქილოქოსმა ნაძირალების ბრბოს ფარკის ყუნბარა დაადევნა, და აფეთქებამ გაანათა მტრედისფერი ცა.

დიდხანს იდგა არქილოქოსი თავისი გაპარტახებული სასახლის შესასვლელთან და შესცქეროდა, როგორ ქარგავდა ვერცხლისფერი ძაფებით თელებსა და ნაძვებს ბაღში შემოპარული აისი. თბილი ქარი დაზუზუნებდა ხეებში. სახურავზე ყინულს დნობა დაეწყო. წყალი წვრილად მოწანწკარებდა მილებიდან. ისმოდა წვეთების გულისგამაწვრილებელი წკარუნი. ტყვიისფერი საავდრო ღრუბლები ზანტად მიცურავდნენ სახურავებისა და ხეების თავზე, წვიმა ცრიდა. არქილოქოსს კოჭლობით ჩაუარა გვერდზე ნახევრად შიშველმა, დაბეგვილმა ჩალიჩამ, სიცივისაგან კბილს კბილზე რომ აცემინებდა.

— თქვენ, როგორც ქრისტიანს... — წამოიწყო მან, მაგრამ არქილოქოსს მისკენ აღარ მიუხედაია. დაბინდული თვალები სივრცისათვის მიეპყრო. პირისახე სულ დალილავებული ჰქონდა, საქორწინო ფრაკი ძონძებადღა ეკიდა. სათვალე სადღაც დაკარგოდა.

პირველი დასასრული

არქილოქოსმა ძებნა დაუწყო ქლოეს.

— ღმერთო ჩემო, ბატონო არნოლფ, რა დაგემართათ? — მიეჭრა დახლის წინ ატუზულ არქილოქოსს შეშფოთებული ჟორჟეტა.

— ქლოე ვერ მიპოვია ვერსად, — მიუგო არქილოქოსმა და პერნო შეუკვეთა.

კაფე ხალხით იყო გაჭედილი. სტუმრებს ოგიუსტი ემსახურებოდა. არქილოქოსმა ჭიქა გამოსცალა და მაშინვე მეორე მოითხოვა.

— კი მაგრამ, ყველგან ეძებეთ, სადაც საჭიროა? — ჰკითხა ქალბატონმა ბილერმა.

— ყველგან, პასაბთან, ეპისკოპოსთან...

— დამშვიდდით, არსად დაგეკარგებათ ის თქვენი ქლოე, — ანუგეშა ბერძენი ჟორჟეტამ. — ქალები აგრე ადვილად რომ იკარგებოდნენ... ძალიან ხშირად სწორედ იქ აღმოჩნდებიან ხოლმე, სადაც ყველაზე ნაკლებად მო-

ელის კაცი. — ქალბატონმა ბილერმა არქილოქოსს მესამედ შეუვსო ჭიქა პერნოტი.

— მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, — გატეხა ნავსი, — მიუბრუნდა გახარებული ოგიუსტი ველოსპორტის გულშემატკივრებს, — ახლა მაინც გამოთვრება კარგა ლაზათიანად.

არქილოქოსს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ძეგნა. შემოირბინა მონასტრები, პანსიონები, კერძო ბინები, მაგრამ ქლოე თითქოს ცამ ჩაყლაპაო, მის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნო. არქილოქოსი საათობით დაბორილობდა თავის სასახლეში, დიდხანს იდგა ხოლმე პარკში შიშველ ხეებქვეშ. რტოები ირხეოდნენ. ცაზე ლეგა ღრუბლები მიიზღაზნებოდა. და აი, ერთ დღეს არქილოქოსი საშინელმა სევდამ შეიპყრო. უცბად საოცრად მოუნდა საბერძნეთში წასვლა, მისი ჟანგისფერი კლდეების, ჩამუქებული ნწვანე ჭალებისა და ოცნებადქცეული პელოპონესის ხილვა.

ორი საათის შემდეგ უკვე გემზე იყო. მიდამო „იულიას“ საყვირის გაბმულმა ღრიალმა შესძრა. ნისლში ატორტმანებული გემი საკვამურიდან ამოვარდნილი ბოლის ღრუბლებში გაეხვია. სწორედ ან დროს ნავსადგურში ფარკის დამქაშებით სავსე ავტომანქანა შემოიჭრა. ჰაერში ტყვიებმა გაიზუზუნა. აშკარად არქილოქოსს უმიზნებდნენ, მაგრამ გემის ანძაზე აფრიალებული მომწვანო-მოოქროსფერო სახელმწიფო ღრომა დაცხრილეს ნხოლოდ.

ბატონი და ქალბატონი იუმენებიც „იულიაზე“ აღმოჩნდნენ. არქილოქოსის ღანხავზე ცოლ-ქმარს აშკარა შიში დაეტყო.

შეზლონგებით მოფენილი გემბანი ხმელთაშუა ზღვის მადლიან მზეს გაეკაშკაშებინა.

— მქონდა პატივი, რანდენჯერმე მესაუბრა თქვენთან, — მოახსენა ცოლ-ქმარს არქილოქოსმა.

— Well, — წაიდუდუნა ბატონმა უიმენმა.

— იცით, მაშინ დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, — თქვა არნოლფმა და პატიება ითხოვა.

— Yes, — კვლავ დააკანტურა თავი ბატონმა უიმენმა.

ბერძენმა არქეოლოგებს თავისი სურვილი გაანდო და მოახსენა, სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას ჩემი სამშობლოს არქეოლოგიურ გათხრებშიო.

— Well, — დაეთანხმა ბერძენს ბატონი უიმენი და არქეოლოგიის ჟურნალი დახურა. მერე მოკლე ჩიბუხი დატენა და კიდევ ერთხელ მოიშველია ის აკვიატებული „yes“.

ასე და ამრიგად, არქილოქოსმა საბერძნეთში ამოყო თავი და ანტიკურ სიძველეებს პელოპონესის მიდამოებში დაუწყო ძეგნა. სამწუხაროდ, მისი ოცნება ამ მხარეზე არაფრით არ ჰგავდა სინამდვილეს. არქილოქოსი თავარა მზის ქვეშ თხრიდა ქვა-ღორღიან მიწას. განუწყვეტლივ ისმოდა ქვეწარმავლების სისინი. სადღაც შორს, თვალსაწიერთან თითო-ოროლა მოღრეცილ ზეთისხილის ხეს თუ მოკრავდა თვალს კაცი. ირგვლივ მხოლოდ დაბალი, შიშველი გორაკები და დანშრალი წყაროები გაბნეულიყო. მთელ არემარეზე სიმწვანის ნასახიც კი არ იყო. მიდამოს საათობით ჯიუტად დასტრიალებდა თავს ძერა, ვერა და ვერ შეძლო არქილოქოსმა მისი მოშორება. აი, უკვე

რამდენიმე კვირა იყო, ოფლში გაღვრილი ბერძენი პატარა ბორცვსა თხრიდა. საბრალოს ფრჩხილები მიწით ჰქონდა ამოვსებული, თვალეზე ჩირქიანი ჯიბ-ლიბოები ამოსვლოდა. ერთ დღეს მუშაობისგან სიქაგამოცლილნა ქვიშით დაფარული კედლის ნანგრევები შენიშნა. დედამიწას სიცხისგან აღმური ას-ლიოდა.

მისტერ უიმენის აზრით, ეს ზევსის ტაძარი უნდა ყოფილიყო, მისის უიმენი კი ამტკიცებდა, აფროდიტეს ტაძარიაო. ცოლ-ქმრის ყვირილი კარგა მანძილზე ისმოდა. ბერძენმა მუშებმა დროზე უშველეს თავს და მოუსვენს. არნოლფს კოლოების გუნდი დასტრიალებდა თავს ყურისწამლები ზუზუნით, პირისახეზე ქინქლა დახვეოდა და შიგ თვალეშიაც კი უძვრებოდა.

მოსაღამოვდა. სადღაც შორს სახედრის ყურისწამლები ყროყინი ის-მოდა.

სუსხიანი ღანე დაიჭირა. არქილოქოსი გათხრილ გორაკთან გაშლილ კარავში მიეგდო. ბატონი და ქალბატონი უიმენები კი ჩვეულებისამებრ იქვე ახლომდებარე უბადრუკი ქალაქისკენ გაეშურნენ, სადაც ღამეს ათევდნენ ხოლმე.

კარვის გარშემო ღამურები დაფრინავდნენ შლიგინით. სადღაც ახლოს რომელიღაც მტაცებელი ნადირის, ალბათ მგლის, ყმუილი ისმოდა. მალე ირგვლივ სიჩუმე ჩანოვარდა. არქილოქოსს ჩაეძინა. დილა-უთენია ძილში ვილაცის ჩუმი ნაბიჯის ხმა ჩაესმა, მაგრამ ბურანიდან ვერ გამოერკვა და ისევ ღრმა ძილს მისცა თავი. არქილოქოსი მხოლოდ ნაშინ წამოდგა, როცა ნარინ-ჯისფერი მზე ხრიოკი გორაკებიდან ამოგორდა და კარავს მიაღგა. ფეხში ძა-ლაგამოლეულმა არქილოქოსმა ძლივს მიაღწია გადათხრილ ბორცვამდე. ჯერ ისევ სუსხი იყო. ცაში კვლავ დაქროდა ძერა. მზე კარგად არ ამოწვერილი-ყო და ნანგრევებში ბნელოდა. არქილოქოსს მთელი სხეული სტეხდა, მაგ-რამ მაინც შეუდგა გათხრას. რიყრაყის შუქზე ქვიშის ამაღლებული მოგრძო ბორცვი გამოიკვეთა მის წინ. ნიჩბის რამდენიმე დარტყმა. და აი, არქილო-ქოსი რაღაც ნაგარს წააწყდა. მოულოდნელად ცნობისმოყვარეობამ შეიბყრო. გაიფიქრა, ნეტავ ზევსის ან სიყვარულის ქალღმერთის ქანდაკება ხომ არ ვიპოვეო. აინტერესებდა, არქეოლოგებიდან რომელი გამოდგებოდა მართა-ლი: ცოლი თუ ქმარი. არქილოქოსმა მუჭით დაუწყო ქვიშას გადაყრა და... უეცრად ქლოეს წააწყდა. კარგა ხანს იდგა სუნთქვაშეკრული.

— ქლოე, — ამოღერდა ბოლოს, — ქლოე, აქ საიდან გაჩნდი?

ქლოემ თვალეები დაათახულა, მაგრამ ადგომა არც უფიქრია.

— ძალიან უბრალოდ, კვალდაკვალ დაგედევნე. ჩვენ ხომ გემზე ორი ბილეთი გვქონდა, — მიუგო ქალმა.

მერე ისინი ტაძრის ნანგრევებზე ისხდნენ და მშობლიურ სივრცეს გასცქეროდნენ. ირგვლივ მოჩანდა მზისგან გადამწვარი ნოტიტვლებული გორაკები, თვალსაწიერზე გამოკვეთილი მოღრეცილი ზეთისხილის ხეები და მოკიაფე თეთრი ზოლი, — ეს უახლოესი ქალაქი იყო, სადაც ბატონი და ქალბატონი უიმენები იდგნენ ბინად.

— აი შეხედე, ესაა ჩვენი სამშობლო, — წამოიძახა ქლოემ.

— კი მაგრამ, მაინც სად იყავი? — ჰკითხა არქილოქოსმა, — მთელი ქვე-ყანა შევაწრიალე.

— ჟორჟეტასთან ვიმალებოდი ზევით.

შორს ორი მოძრავი წერტილი გამოჩნდა. ეს ცოლ-ქმარი უიმენები იყვნენ. ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ გადათხრილ გორაკს. ქლოე კი ამ დროს სიტყვას წარმოთქვამდა სიყვარულზე, ისევე როგორც ერთ დროს დიოტიმა სოკრატეს წინაშე. თუმცა ქლოეს სიტყვა არ იყო ისეთივე ღრმა და აზრიანი.

ქლოე სალონიკი, მდიდარი ბერძენი ვაჭრის შვილი, — ჩვენ ახლა მისი სოციალური წარმოშობაც კი ვიცით, — ერთი ჩვეულებრივი ქალი გახლდათ, საქმიანი და ცხოვრების ასავალ-დასავალის კარგად მცოდნე. მზე კი სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა. გრილი სიო ელამუნებოდა ქალის თმას. ჯორებზე გადამსხდარი ინგლისელები ტაატით უახლოვდებოდნენ გორაკს, ქლოე კი განაგრძობდა:

— ახლა უკვე იცი, ვინცა ვარ. ჩვენ შორის აღარაფერია დამალული. ყელში ამომივიდა ჩემი ხელობა. ალბათ მოგეხსენება, რომ ყოველგვარი საქმიანობა თავისებურად ძნელია და ადამიანისაგან კეთილსინდისიერებას მოითხოვს. არც ჩენი საქმე იყო იოლი. გამუდმებით ვოცნებობდი სიყვარულზე. ჩემი ერთადერთი სურვილი იყო, გვერდით ისეთი ადამიანი მყოლოდა, ჩემს ჭირსა და ლხინს რომ გაიზიარებდა. და აი, ზამთრის ერთ ცივ, მოქუფრულ დღეს სახლში ვიჯექი. ჩემი სასახლე სქელ ნისლში იყო გახვეული. „ლე სუარი“ გადავშალე და თვალში მეცა განცხადება: „ბერძენი ეძებს ბერძენს“. მაშინვე ვუთხარი საკუთარ თავს, რომ ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ ეს ბერძენი მეყვარებოდა და სხვა არავინ. გახსოვს ის კვირა დილა, ზუსტად ათ საათზე კაფეში რომ გამოვცხადდი წითელი ვარდით. ერთი წუთითაც არ მიფიქრია მაშინ ჩემი წარსულის დამალვა. პირიქით, მინდოდა ყველაფერი გცოდნოდა. ამიტომ ჩავიცვი, რაც კი რამ საუკეთესო მეზადა. მინდოდა ისეთი მეყვარებოდი, როგორიც იყავი, სამაგიეროდ, მეც ისეთად უნდა მიგეღე, რაც სინამდვილეში ვიყავი. დარცხვენილი უმწეოდ იჯექი მაგიდასთან და სათვალეს წმენდდი. ფინჯანში რძეს ოხშივარი ასდიოდა. და აი, მოხდა სასწაული: დაგინახე თუ არა, შემეყვარდი. შენ პატიოსან ქალიშვილად ჩანთვალე, რადგან ძალზე გამოუცდელი იყავი და წარმოდგენა არა გქონდა, რა რთულია ცხოვრება. ჟორჟეტა და მისი ქმარი ერთი წუთითაც არ მოტყუებულან, მაშინვე მიხვდნენ ყველაფერს, შენ კი აზრადაც არ მოგსვლია, რომ მე სხვანაირი ქალი ვიყავი. ნე კი ვეღარ გავბედე შენი ოცნებების დამსხვრევა. შემეშინდა, ჩემს აღსარებას საქმე არ გაეფუჭებინა და სამუდამოდ არ დამეკარგე. შენი ტრფობა ჩემდამი თანდათან სასაცილო ხდებოდა და, როცა წმინდა ელოიზის ეკლესიაში ბოლოს და ბოლოს თვალი აგეხილა, ეს სიყვარული საბნის ბუმბუტით გაქრა. გაქრა და მასთან ერთად შენი ზნეობრივი მსოფლწყობაც დაინსხვრა.

ღმერთს მაღლობას ვწირავ, რომ ყველაფერი ასე მოხდა. ძალიან გაგიძნელებოდა ჩემი სიყვარული, თუ არ გეცოდინებოდა სიმართლე. თუმცა კინადამ შევეწირეთ ამ სიმართლეს, მაგრამ მოგეხსენება, სიყვარული უძლევი და ყველაფერს აპარცხებს, თვით სიმართლესაც. და აი, იმ ბრმა უსუსური სიყვარულის ნაცვლად ჭეშმარიტად ღრმა, ძლიერი სიყვარული გარგუნა წილად ღმერთმა.

არქილოქოსი და ქლოე შინ კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ საბერძნეთიდან. ქვეყანაში გადატრიალება მომხდარიყო და ხელისუფლებას სათავეში ორდენებით დახუნძლული, ლაბაბიანი ფარკსი ჩასდგომოდა. ქუჩები ღროშებით იყო აჭრელებული, ყოველ ნაბიჯზე ხალხის ხმაშეწყობილი შეძახილები ისმოდა: „Ami, go home!“¹. მაგრამ ქვეყანას დოლარები სჭირდებოდა, და ფარკსიც დიდი პატივმოყვარე ვინმე განოდგა: დასავლეთის ბანაკში გადავიდა, სახრჩობელაში გააყოფინა თავი საიდუმლო პოლიციის უფროსს (პტი-პეიზანის ყოფილ რეფერენტს) და დე ლ'ეტას სანაპიროზე პრეზიდენტის სასახლეში მოკალათდა. აქ მას დღე და ღამე დარაჯობდნენ ოქროსჩაჩიანი და თეთრპლუმაყიანი ლეიბგვარდიელები, ასევე ერთგულად რომ იცავდნენ მის წინამორბედ პრეზიდენტებსაც. ახლა ფარკსი გულდაგულ ივარცხნიდა ცეცხლისფერ თმას და მოკლედ იჭრიდა უღვაშებს. სახელმწიფოში კვლავ ბურჟუაზიული წესწყობილება დანყარდა და რეჟიმიც საგრძნობლად შერბილდა. ფარკსმა ზომიერი პოლიტიკის გატარებას მიჰყო ხელი და ერთხელ აღდგომა დღეს წმინდა ლუკას ტაძარსაც კი ეწვია.

ქლოე და არქილოქოსი დიდხანს ვერ შეჰგუებოდნენ ახალ ცხოვრებას. ბოლოს თავიანთ სასახლეში კერძო პანსიონი გახსნეს. მათთან პირველმა შერისხულმა პასაჰმა დაიდო ბინა (ხელოვნების სფეროში ფარკსი რეალიზმის მტკიცე პოზიციებზე იდგა). აქვე ნახავდით თავის საქმეში ხელმოცარულ ვექილ დიუტურს, თანამდებობიდან გადაყენებულ ერკიულ ვაგნერს თავისი ზორბა მეუღლითურთ და ჩანოგდებულ პრეზიდენტს, ჩვეული თავაზიანობა რომ არ დაეკარგა და სამყაროს კვლავ ფილოსოფიური სიმშვიდით ჰვრეტდა.

პტი-პეიზანისათვის რეზინისა და საპოხი ზეთების კონცერნთან გაერთიანება საბედისწერო გამომდგარიყო. და ისიც. აქ მოკალათებულიყო.

ერთი სიტყვით, ქლოესა და არქილოქოსის სასახლეში გაკოტრებულთა მთელ არმიას მოეყარა თავი. ამ თავყრილობას მხოლოდ ეპისკოპოსი აკლდა. მან ღროზე უშველა თავს და წინარე უკანასკნელ ქრისტიანების ახალპრესვიტერიანელთა ბანაკში გადაბარგდა.

მდგმურები წყნარად და უზრუნველად ცხოვრობდნენ. ზაფხულის თბილ დღეებში პარკში დასეირნობდნენ, ჩვეულებრივ რძეს სვანდნენ, კვირაობით კი პერიეს გეახლებოდნენ და წმინდა ყოფითი, ცხოვრებისეული საკითხები აწუხებდათ მხოლოდ.

არქილოქოსს კი ვერა და და ვერ ეპოვა სულიერი სიმშვიდე. ერთ დღეს ძმის მოსანახულებლად ქალაქის გარეუბანში გასწია. ბიბის, დედიკოს, მეზღვაურ ბიძიას და ბავშვებს სახლის გარშემო პატარა ბაღი გაეშენებინათ. არქილოქოსის რისხვამ მათზე სასწაულებისამებრ იმოქმედა: მათიასი პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო, მაგდა-ნარიამ საბავშვო ბაღში აღმზრდელად დაიწყო მუშაობა; უმცროსი ბავშვების ერთი ნაწილი ფაბრიკაში ჩადგა სამუშაოდ, დანარჩენები კი ხსნის არმიაში შევიდნენ.

არქილოქოსს ბიბისთანაც დიდხანს ვერ დაუდგა გული.

მათ შემხედვარეს გულზე საშინელი სევდა შემოაწვა.

ყველაფერი აღიზიანებდა, პირში ჩიბუხგაჩრილი მეზღვაური ბიძი-

¹ ამერიკელებო, წაეთრიეთ შინ! (ინგლ.).

კოც, დედოკოც, საქსოვს რომ არ აგდებდა ხელიდან, და თავად ბიბიც კი, თუმცა ახლა იგი არქილოქოსის ნაცვლად კვირაში ორჯერ ესწრებოდა წიბვას წმინდა ელოიზის ეკლესიაში.

— დღეს რალაც ფერმკრთალი ნეჩვენებით, ბატონო არნოლფ, — უთხრა ერთ დღეს ჟორჟეტამ კაფეში დახლთან ატუზულ არქილოქოსს (არაყისა და ლიქიორის ბოთლებით სავსე დახლის ზემოთ ედელვაისების ჩარჩოში ახლა ფარქსის სურათი ეკიდა).

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგმთხვევიათ? — ჟორჟეტამ არქილოქოსს პერნო დაუსხა.

— საოცარია პირდაპირ, ყველანი რძის სმაზე არიან გადასული, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა არნოლფმა, — თქვენი ქმარი და ველომოყვარულე-ბიც კი შეეშვნენ სპირტიან სასმელებს.

— რას იზამ, ასე ყოფილა საჭირო, — ანოდერღა ოგიუსტმა, თან გულდასმით დაიზილა ცეცხლისფერი ღინღლით შებურთული შიშველი ფეხები. ველოჩემპიონს კვლავინდებურად ყვითელი მაისური ემოსა. — მთავრობა ლობასთან ბრძოლის მორიგ ღონისძიებას აწყობს. ესეც რომ არ იყოს, დაგავიწყდათ, რომ სპორტსმენი ვარ?

არქილოქოსმა შეამჩნია, რომ ჟორჟეტამ პერიე გახსნა და გულისტკივილით გაიფიქრა: ეჰ, ამასაც ხელი აუღიაო სმაზე.

ერთ დილას არქილოქოსი და ქლოე მეწამულისფერი ფარდებით მორთულ საწოლში ნებივრობდნენ. ბუხარში შეშას სასიამოვნოდ გაჰქონდა ტკაცატკუცი. სიჩუმე არქილოქოსმა დაარღვია:

— ჩემო ქლოე, კარგად იცი, რომ სრულიად არა ვარ ბედის უმადური, მდგმურებიც კნაყოფილი არიან ჩვენით. მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ყელში ამომივიდა ამდენი წესიერი და პატიოსანი ხალხის ყურება. უბრალოდ აღარ ძალმიძს მათი ატანა და მათ წრეში ტრიალი. თუმცა ყველანი ჩემს რწმენას ვაზიარე, იმათ კი პირიქით, მე მომაქციეს თავიანთ რჯულზე. ერთი სიტყვით, საბოლოო ჯამში ყველაფერი უცვლელი დარჩა. ამო გამოდგა ჩემი მეცადინეობა.

ქლოე წამოდგა.

— იცი, არც ერთი წუთით არ მავიწყდება ჩვენი სამშობლო, მისი ცა და ნანგრევები. გახსოვს, როგორ ჩავინარხე მაშინ ქვიშაში, რომ მოულოდნელად გამეხარებინე. წყნარად ვიწეჭი ბინდბუნდში და შევცქეროდი, როგორ დასტრიალებდა ნანგრევებს ძერა. უცბად ხელი რალაცა მაგარზე მონიხვდა, ქვა იყო, ორ ადგილას ამობურცული...

— სიყვარულის ქალღმერთი! — წამოიძახა არქილოქოსმა და საწოლიდან გადმოხტა. ქლოეც ადგა.

— ჩვენ მუდამ უნდა ვეძებდეთ სიყვარულის ქალღმერთს, — წაიჩურჩულა ქლოემ, — თორემ იგი ბედის ანაბარა მიგვატოვებს.

უხმოდ ჩაიცივეს და ჩაბარგება დაიწყეს.

მეორე დილით, დილის თერთმეტი საათისათვის სოფიმ საძინებელი ოთახის კარზე მიაკაკუნა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. როცა შეშინებული გოგო მდგმურებთან ერთად ოთახში შევარდა, იქ აღარავინ იყო.

სტეფენ კრეინი

ლექსები



სტეფენ კრეინს (1871—1900), როგორც უაღრესად თავისებურ პოეტს, თავიდანვე მიუქცევია ყურადღება და მტკიცე ადგილი დაუმკვიდრებია ამერიკის პოეტურ ანთოლოგიებში. შემდგენლები ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ანთოლოგიისა, საიდანაცაა ეს ლექსები გადმოღებული, შენიშნავენ: კრეინის პოეზია, რაც დრო გადის, უფრო მახლობელი და გასაგები ხდება.

ინგლისურიდან თარგმნა ოთარ ჩხეიძემ

და მივდიოდი უდაბნოში

და მივდიოდი უდაბნოში,
და მე ვგოდებდი,
„ღმერთო დიადო, განმაშორე მე აქაობას!..“
ხმა მომიგებდა, „უდაბნო არ არის ესე.“
და მე მოვთქვამდი,
„მაშ რა არის-თქო
ქვიშა ამდენი, სივარვარე, უსაზღვროება?!“
ხმა მომიგებდა, „უდაბნო არ არის ესე.“

ღმერთი მრისხანე

ღმერთი მრისხანე
ჭგვემდა კაცსა,
ჭგვემდა უწყალოდ,
ჭქუხდა, გრგვინავდა, დასცხრომდა მეხისტეხითა,
დაათრევდა და თავს უხლიდა დედამიწაზე.
მორბოდა ხალხი.
ვაებდა კაცი,
ფართხალებდა ღმერთის ფერხითა.
მოსთქვამდა ხალხი,
„უსასოა კაცი რაოდენ!..“
ანთუ, უკეთუ —
„უწყალოა რაოდენ ღმერთი!..“



შემომხვდა ვინმე


შემომხვდა ვინმე გზაჯვარედინზე,
 შემომანათა თვალნი კეთილნი,
 მითხრა, მიჩვენე ქმნილება შენი.
 და მეც ვუჩვენე
 ერთი მაშინვე.
 „შეგიცოდია“, ჩაიბუბუნა.
 წამოვარინე უმაღვე სხვაი.
 „შეგიცოდია“, ჩაიბუბუნა.
 და უცებ სხვაი წამოვარინე.
 „შეგიცოდია“, ჩაიბუბუნა,
 და ასე შემდეგ, ასე ბოლომდე
 იმეორებდა, „შეგიცოდია“.
 და მე შევყვირე გაბეზრებულმა,
 „ალარ მაქვს მეტი, მეტი ალარ მაქვს!..
 უფრო კეთილად მომავლო თვალნი,
 ჩაიბუბუნა უფრო კეთილად, —
 „სულო ცოდვილო.“

ადგილს უდაბურს

ადგილს უდაბურს
 ვკიდე თვალი,
 ჩაყუნცულიყო
 ველური ვინმე, დედიშობილა,
 ხელთ ეპყრა გული, თავისი გული,
 და ჭამდა... ჭამდა.
 „გემრიელია, მეგობარო?“ მე შევეკითხე;
 „მწარეა, მწარე!..
 „ოღონდ მე მომწონს,
 რადგან მწარეა,
 და რადგანაც გულია ჩემი!..
 „

შენ ჩემთან თავი მოგაქვს წმინდანად

შენ ჩემთან თავი მოგაქვს წმინდანად,
 რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, —
 მე არ მიხილავს შენი ცოდვანი;
 მაგრამ არიან სხვანი, ძვირფასო,
 მხილველნი შენი ბიწიერების.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ საფლავი

აგერ საფლავი კაცის ბოროტის,
აგერ აჩრდილიც განრისხებული;

აგერა ქალიც, მწუხარი ქალი
იების კონით,
აჩრდილი მკაცრად ხელს რომ აუკრავს, —
„არაა ღირსი ყვავილებისა!..“
ქალი ქვითინებს,
„მე ის მიყვარდა.“
მაგრამ აჩრდილი კვლავ უღმობელად
„არაა ღირსი!..“ გაუმეორებს.

საკითხავია, მაინც რაც არის, —
თუ ცხადი იყო აჩრდილი იგი,
ქალი მაშ ცრემლებს რაღად აფრქვევდა?

მ გ ზ ა ვ რ ი

და აი მგზავრი
შესდგა ბილიკს ჭეშმარიტების.
შედრკა. გაოცდა.
ბილიკზე შამბი მოდებუდიყო.
თქვა მაშინ მგზავრმა,
„აღარ უვლია ამ გზით არავის,
დიდი ხანია აღარ უვლია.“
მერე შენიშნა, ყოველი ღერი
დაჭდეუდიყო სხვადასხვა დანით.
„აი თუ რაო“, ჩაიბურტყუნა,
„თურმე სხვადაა გზა უამრავი.“

შორს მწვერვალები

შორს მწვერვალები შეყრილა ჯარად,
და მეჩვენება, —
მოემართება მთების ლაშქარი,
მოეშურება და მოიმღერის, —
მოვდივართ!..
მოვდივართ!..
მოვდივართ!..
მოვდივართ!..



მე მეწეოდა ღიადი მთები

მე მეწეოდა ღიადი მთები,
და მივცოცავდი დაუდგრომელად
სამეუფოში თოვლ-ყინულისა;
და ოდეს ჩემს წინ განუფინა უსაზღვროება,
განა რა შემჩნა საზღაურად ამდენი ჯაფის? —
დავშორებოდი ზვრებსა და ბალებს,
მე უსაშველოდ დავშორებოდი.

მიჰქროდა იგი

მიჰქროდა იგი ჰორიზონტისკენ.
და წრიალებდნენ ჰორიზონტები.
მე შემებრალა.
და მე მივკვივი, —
„ამათ არის,
შენ ვერასოდეს...“

„სტყუი!..“ მომძახის,
და მიჰქრის ისევ.

ვიდექი მაღლა

ვიდექი მაღლა,
დავყურებდი დაბლა ეშმაკებს, —
რბოდნენ, როკავდნენ,
ეფლობოდნენ ცოდვის ჭაობში;
ამოიხედა ერთმა ზევით და დამემანჭა, —
„მანდ რას უდგახარ, მეგობარო, ძმობილო ჩვენო?!“

იცოდა, ტყე თუ რას ბუბუნებდა

იცოდა, ტყე თუ რას ბუბუნებდა,
იცოდა ენა, სიმღერა ტყისა,
და იყო ჩუმი და უბედური.
თლონდ ერთს მაინც ესმოდა მისი,
იცოდა, მას რო ესმოდა ტყისა,
იცოდა, მას რო სურდა სიმღერა. —
და მშვიდდებოდა ამითი მაინც.



ცუდია ცუდი

„ცუდია, ცუდი!“ თქვა ანგელოსმა,
 „უნდა იცოცხლა ყვავილივითა,
 დაგეცხრო ბრაზი, ლეკვს რო სჩვევია.
 ბრძოლაში უნდა კრავს მგვანებოდი.“
 „რა ბრძანებაა“, უარობს კაცი,
 ვინც ანგელოსებს არ ებუება,
 „ისაა ცუდი, თვითონ თქვენთვისაც,
 ვინც თუ იცოცხლებს ყვავილივითა,
 ვინც ბრაზს დაიცხრობს, ლეკვს რო სჩვევია,
 ბრძოლაში ვინაც კრავს ემგვანება,
 ისაა ცუდი“.

ბევრმა იშრომა

ბევრმა იშრომა,
 აღაშენა გოდოლი მთაზე,
 მოუბა მწვერვალს;
 დაეშვა მერე ყველა ერთად, ველად ჩავიდა,
 და შემობრუნდა ყველა ერთად, შეავლო თვალი,
 „დიდებულია!..“ ყველამ ერთად ამოიძახა,
 და სიყვარულით მიაჩერდა ყველა ერთობლივ.

და შეზანზარდა მოულოდნელად,
 და გადმოემხოთ გოდოლი თავეზე,
 ნაკადულებად ადინდა სისხლი,
 სიკვდილს გადურჩა თითო-ორთა.

ერთხელაც ბრძენი მოვიდა ჩემთან

ერთხელაც ბრძენი მოვიდა ჩემთან,
 მითხრა, —
 „წავიდეთ, გზა კარგად ვიცი.“
 მე გამეხარდა, მე ავედევნე,
 და გავეშურეთ ორივე ერთად.
 და გავეშურეთ,
 და მივალწიეთ, —
 სად თვალთა ჩემთა დაჰკარგეს ძალი,
 სად მუხლთა ჩემთა დაჰკარგეს ღონე,
 ჩამოვეკიდე მეგობრის მკლავებს,
 მაგრამ მომესმა, —
 „ო, ვიღუპები...“

უშმაკები ჩემი გულიდან

ჩემი გულიდან ეშმაკები რო დაფრთხებიან,
გადმოცვივიან ფურცელზე და რბიან, როკავენ;
გადმოცვივიან ხმელ-ხმელნი და
აღივსებიან
კალამის წვერით;
და მელანში იტანჯებიან.
და მიკვირს მეტად, —
მელნის წვეთებს რა ძალა შესწევს,
გარეთ გამოაქვს გულის ჩემის იდუმალება.

დაეხეტება ტყეში ჭაბუკი

დაეხეტება ტყეში ჭაბუკი,
ლალი, თამამი და მოელვარე,
შედის უღრანში და რასა ჰხედავს, —
იქ ავაზაკი ჩასაფრებია,
ჩასაფრებია შმაგი, მძვინვარი,
თვალამღვრეული და აქენჩრილი,
ტყავის კონკებით, ბუნაგის სუნით,
მხეცი თუ კაცი გამხეცებული,
ჩასაფრებია, არც დააყოვნებს,
მოუქნევს მახვილს გახელებული.
„სერ“, აღტაცებით ეტყვის ჭაბუკი,
ამნაირ სიკვდილს ვეტრფოდი მარად,
ძველებურ სიკვდილს,
და ლეგენდები ვით მოუბნობენ, —
და მიხარიათ,
და მიხარიათ.“
და კვდება ასე, ასე ნეტარი,
სახენათელი კმაყოფილებით.

საზრდო ყრმათათვის, ტრადიცია აი რა არის

საზრდო ყრმათათვის, ტრადიცია აი რა არის,
რძე სიცოცხლისა აღუთათვის, — აი რა არის,
ოდონდაც არა, ვაჟკაცთათვის ხორცი არ არის,
მერე
და რას, — ჩვენ პო მარად აღუები ვართ.



ალმაცვრი მზე რუხი კედლების

ალმაცვრი მზე რუხი კედლების,
და გაცრეცილი ცის გარინდება.

მამათ ჩვენო, ჰიმნი ძლიერი,
საგალობელი მღელვარებათა,
ყვირილი, გვემა, ფლოქვთა თქარუნი,
წკრიალი ზართა, ბორბალთ გრიალი,
მისალმებანი, დამშვიდობება,
მოწოდებანი სიყვარულისა,
ხმაც აღტაცების, სირეგვენისაც,
იქავე ოხვრა უკანასკნელი,
ჩურჩული ჩუმი გაფრთხილებისა,
განწირულობის ამოძახილიც,
დანაშაულის გამართლებანი,
ყვავილთ ცქრიალი,
კვნესაი ხეთა,
კრიახი ქათმის, ანათუ ბრძენთა
გაუთავები მოთქმა, ყაყანი:
„გვიხსენი, ღმერთო, ღმერთო, გვიხსენი!..“

ერთი შიშობდა

ერთი შიშობდა, დამარცხება არ ამცდებოდა,
მეორე მხოლოდ გამარჯვებას იმედოვნებდა.
და ერთი გახლდათ ამ ორთაგან უფრო ჭკვიანი.

□



ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე ჩიკვაძემ

თავი III

ანტიკატიური ალიანსი

ღმ დღიდან მოყოლებული ყველაფერი უკულმა დატრიალდა. მართალია, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში არც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები მსხდარან გულხელდაკრეფილნი, და თუმცა ისტორიკოსები ჩვეულებრივ კულისებმიღმა ხრიკებში უმეტესად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟორჟ ბონეს სდებენ ბრალს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნევილ ჩემბერლენის სახით მას ღირსეული ამფსონი ჰყავდა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უბრალო ეშმაკობით ფონს ვერ გავიდოდა, ამიტომ მან სერიოზულ ზომებს მიმართა და თავისი კაბინეტის წევრები აიძულა მიეღოთ ჩეხოსლოვაკიის დაქუცმაცებისა და გერმანიისათვის სუდეტის მხარის გადაცემის წინადადება, რაც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ყველას თითქოს უზომოდ მკაცრი და უღმობელი ეჩვენებოდა.

„პრემიერ-მინისტრმა გვიამბო თავისი ვიზიტის თაობაზე ბერკტესგადენში“, — წერდა დაფ კუპერი ინგლისის კაბინეტის სხდომის შესახებ, რომელიც 17 სექტემბერს გაიმართა ჩემბერლენის ლონდონში ჩამოსვლისთანავე. — „მან გვითხრა, ერთი შეხედვით ჰიტლერმა ჩემზე „ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი“ ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, სხვებისაგან იგი არაფრით გამოირჩევაო. ჩემბერლენი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა — ჰიტლერს ვილაციისთვის უთქვამს: ჩემბერლენი სულით-ხორცამდე მამაკაციაო“. მაგრამ ამ მოლაპარაკების ფაქტები კარგს არაფერს მოასწავებდა. საგულდაგულოდ დამუშავებული არც ერთი მოსაზრება, რომლითაც პრემიერ-მინისტრს უნდა ესარგებლა, მოლაპარაკებისას არ მოუხსენებიათ.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ კაბინეტის წევრები უნებლიეთ ბედს დამორჩილდნენ. გრძნობდნენ, მათაც ისევე აბამდნენ მახეში, როგორც ჟორჟ ბონე ფრანგებს. ჩემბერლენმა ავიაციის ექსპერტებს დაავალა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში მოხსენება მოემზადებინათ თავდაცვისუნარიანობის შესახებ, შემდეგ წარმოდგენილ მოხსენებას ავიაციის მინისტრ კინგსლი ვუდთან ერთად სა-

¹ დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1.

გულდაგულოდ გაუკეთა რედაქცია და შიგ ყველაფერი გაბერა და გააზვიადა¹.

მმართველ წრეებში ჰორაციო უილსონი დღენიადაგ ხმებს ავრცელებდა, ლონდონის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს შლანგების ნაკლებობის გამო მშვიდობიან პირობებშიც კი ძალზე გაუჭირდება ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა, საჭაერო თავდასხმების შედეგად გაჩენილი ხანძრების ჩაქრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კენედის ჩემბერლენმა სულ წვრილ-წვრილად აუწყა ყველაფერი და იმანაც პრემიერ-მინისტრის ასეთი მარჯვე ფანდები დიდად მოიწონა.

1938 წლის 18 სექტემბერს თეთრ სახლში ჩატარებული კაბინეტის სხდომის შემდეგ ჰაროლდ აიკსი წერდა: „პრეზიდენტს ჰგონია, ჩემბერლენი ძალ-ღონეს არ დაიშურებს მშვიდობის დასაცავად. ბრიტანეთი და საფრანგეთი, მისი ხატოვანი თქმით, „იუდას ხელებიდან სისხლს ჩამობანენ“.

ნემსის ყუნწშიც რომ გამძვრალიყვნენ, საქმე ომამდე არ უნდა მიეყვანათ. მართალია, საფრანგეთს შიშისაგან თავზარი ჰქონდა დაცემული, მაგრამ დალაღიეს კაბინეტის ზოგიერთი წევრი და საფრანგეთის პრესის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვდნენ ჩეხოსლოვაკიის მიმართ აღებული ვალდებულებები შეესრულებინათ, რაც თავად საფრანგეთის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. დაშოშმინების პოლიტიკის მომხრეებს კი ეს ხალხი სასწრაფოდ გზიდან უნდა ჩამოეშორებინა, რათა აურზაური არ ატეხილიყო.

დაშოშმინების პოლიტიკას მხურვალედ უჭერდა მხარს ჟორჟ ბონე, ვისაც იმხანად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთში მომუშავე ჰიტლერის კარგად გაწვრთნილ აგიტატორთან, ოტო აბეცთან. ბონე უკიდურეს მემარჯვენეებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქეზებდა, ამასთანავე, ხშირად ხვდებოდა ინგლისის ელჩს პარიზში ერიკ ფიპსს, რომელიც ბრიტანეთის დიპლომატიის ისტორიაში არც გამჭრიახობით გამოირჩეოდა და არც გულადობით. ფიპსთან საუბრისას ბონე არ მალავდა, რომ ყოველნაირად ეცდებოდა საფრანგეთს თავისი სიტყვა გაეტეხა და ჩეხები ღვთის ანაბარა მიეტოვებინა. ამიტომ, როცა 18 სექტემბერს დალაღიე და ბონე ლონდონში ჩავიდნენ, რათა ბერტრესგადენის შეხვედრის ამბები თავიანთი ყურით მოესმინათ (ისინიც იმიტომ მიიწვიეს, რათა პრემიერ-მინისტრს საფრანგეთის პოზიციის გარკვევა შეძლებოდა), ჩემბერლენს დიდი ჯაფა არ დასჭირვებია მათ დასარწმუნებლად, სუდეტელი გერმანელების თვითგამორკვევის პრინციპს თქვენც მხარი უნდა დაუჭიროთო.

¹ ლონდონის გაზეთ „ტაიმსის“ სამხედრო კორესპონდენტი ლიდელ ჰარტი თავის სტატიაში, რომელიც არ გამოქვეყნებულა, აღნიშნავდა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, ჩეხოსლოვაკია, რომელსაც ჩინებული სამხედრო-საჭაერო ძალები და სახმელეთო ჯარები ჰყავდა, ყველაზე საიმედო მოკავშირე იქნებოდა. ლიდელ ჰარტი ჩემბერლენისეული „დაშოშმინების“ პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა და იმ კომიტეტის წევრი იყო, რომელსაც სათავეში უინსტონ ჩერჩილი ედგა. ჰარტი წერდა: ჩვენ გავიგეთ, როგორ არწმუნებდა სერ კინგსლი ვუდი მინისტრებსა და ოპოზიციის ლიდერებს, ომი თუ დაიწყება, გერმანიას ძალუმს ინგლისზე იერიშის მისატანად ათას ხუთასი ბომბდამშენი თვითმფრინავი გამოიყვანოსო. გასათვალისწინებელია, რომ დიდი მსხვერპლის გაღება მოგვიხდება. სამ კვირაში ნახევარ მილიონზე მეტი კაცი დაგვეღუპებაო. მე დავეჭვდი, რადგან ვიცოდი, სამხედრო-საჭაერო სამინისტროს შტაბის ანგარიშით, გერმანიის ავიაციის ბომბდამშენთა საერთო რაოდენობა ათას ხუთასსაც კი არ აღემატებოდა და, სპეციალისტთა ვარაუდით, გერმანელებს ინგლისელების წინააღმდეგ ერთი მესამედის გამოყვანა შეეძლოთ მხოლოდ (ავტორის შენიშვნა).

მართალია, დალაღიე გერმანელებისათვის სუდეტის მხარის გადაცემის იდეას დაეთანხმა, მაგრამ სამაგიეროდ ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ტერიტორიის ხელშეუხებლობის გარანტია მოთხოვა ინგლისს. პრემიერ-მინისტრი ამაზე არც კი დაფიქრებულა, ცდილობდა, როგორმე გერმანიისათვის აღმოსაგლეთით მოჭმელების სრული თავისუფლება მიენიჭებინა, მაგრამ, რადგანაც დრო აღარ ითმენდა და ჩემბერლენი ჰიტლერთან მოსალაპარაკებლად გერმანიაში უკანვე უნდა გაბრუნებულიყო, მას დალაღიე აღარ გაუწბილებია. თუ საფრანგეთი ასე ჰაიჰარად აპირებდა ჩეხოსლოვაკიის მიმართ აღებული ვალდებულებების დარღვევას, განა ინგლისს არ შეეძლო ცოტა ხნის შემდეგ ასევე მოქცეულიყო? ამრიგად, ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა ჩეხებს ერთობლივი მოთხოვნები წაუყენეს, რომელშიც აღნიშნეს: „ჩვენ, ორივენი, დავრწმუნდით,— უკანასკნელ ხანებში ვითარება ისე დაიძაბა, რომ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში სუდეტელი გერმანელებით დასახლებული რაიონების დატოვება ფაქტიურად შეუძლებელია... და ჩეხოსლოვაკიის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა წარმოუდგენელი იქნება, თუ ეს რაიონები რაიხს არ გადაეცა“.

მეორე დღეს ნევილ ჩემბერლენმა ენა საოცრად მოიქარგა, კაბინეტის დაფეთებული წევრები რომ დაერწმუნებინა, უდროობის გამო თქვენთან მოთათბირება და განცხადების ტექსტის განხილვა ვერასგზით შევძელიო. ზოგიერთ მათგანს, ვინც შედავება დააპირა, ყურიც არ ათხოვა². ეს დათმობა ჩეხოსლოვაკიას საბედისწეროდ გამოუთხრისო ძირს,— აფრთხილებდნენ ისინი. მაგრამ ჩემბერლენმა მაინც თავისი გაიტანა და ფრანგებთან ერთად შემუშავებული განცხადების ტექსტი პრალაში გაგზავნა.

„არა, ბენეშს ჩვენს წინადადებას თავს არ მოვასვენე,— არწმუნებდა ყველას.— მე მინდა სასწრაფოდ გამცეს პასუხი, რადგან მე და ჰიტლერი შეთანხმებულები ვართ ბადგოდესბერგში შევხვდეთ ერთმანეთს.“

პარიზში ჟორჟ ბონეც მასავით ეფიცებოდა საფრანგეთის კაბინეტის წევრებს, ჩეხებს ჩვენ ძალას არ დავატანთო, მაგრამ კაბინეტის სხდომის დამთავრებიდან ზუსტად რამდენიმე წუთის შემდეგ საფრანგეთის ელჩს პრალაში — დელაკრუას ტელეფონით მითითება მისცა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ჩეხები აიძულე ინგლის-საფრანგეთის წინადადება მიიღონო. ინგლის-საფრანგეთის ლალატიით გაოგნებული ჩეხები პასუხს აყოვნებდნენ, აღშფოთებულ ჩემბერლენს კი, რაც დრო გადიოდა, მოთმინება უფრო და უფრო ელეოდა.

კარგ გუნებაზე ჩემბერლენი არც მაშინ დამდგარა, როცა ნიადაგ წინდახედულმა გერმანელებმა პრალიდან ბენეშსა და ლონდონიდან მასარიკს შორის გამართული სატელეფონო საუბრის საიდუმლო ჩანაწერი გაუგზავნეს, სადაც ისინი პრემიერ-მინისტრს ლანძღვა-გინებით უმასპინძლებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩემბერლენს მოთმინების ფიალა აეცხო, ახლა კი დროა ჩეხები შევაფუცხუნოო,— გადაწყვიტა. ეს ამბავი რომ გაიგო, ინგლისის პრემიერს ბონემაც მხარი აუბა. დელაკრუა და პრალაში ინგლისის ელჩი ნიუტონი 21 სექტემბერს, ღამის ორ საათზე, თავიანთი მთავრობების მითითებით, პრეზიდენტ ბენეშს ეახლნენ და გადასცეს დოკუმენტი, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული „განთიადისწინა დემარშის“ სახელითაა ცნობილი. ეს დოკუმენტი ულტიმატუმს უფრო ჰგავდა, რადგან მასში ნათქვამი იყო:

² მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ დაფ კუპერი, ვაჭრობის მინისტრი ოლივერ სტენლი და სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიშა (ავტორის შენიშვნა).

1. ინგლისისა და საფრანგეთის მიერ შემოთავაზებული წინადადება ომის და ჩეხოსლოვაკიაში გერმანელთა შეჭრის თავიდან აცილების უტყუარი გზაა.

2. თუ ჩეხები ამაზე უარს განაცხადებენ, ომის დაწყების მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.

3. უარყოფითი პასუხი ძირს გამოუთხრის საფრანგეთ-ინგლისის სოლიდარობას, რადგანაც ინგლისი ომში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

4. თუ ომი ასეთ ვითარებაში დაიწყება, საფრანგეთიც უარს განაცხადებს მასში მონაწილეობაზე, ე. ი. არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს³.

როდესაც ეს განცხადება ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს წაუკითხეს, იგი მუშტისოდენა გახდა. დიპლომატებსაც ძალზე გაუჭირდათ თავიანთი მისიის შესრულება, მათ გული ეთანადრებოდათ, რადგან იცოდნენ, რა მდგომარეობაშიც იყო ჩავარდნილი ბენეში. ბოლო დამეები მას თეთრად გაეთენებინა. თავგზააბნეული, როგორც ლიბერალურად მოაზროვნე ყველა ადამიანი, წინააღმდეგობასაც ვერ ბედავდა. იმის ნაცვლად, რომ საკუთარ ძალებს დაყრდნობოდა, ბენეშიმა მთელი იმედები მოკავშირეებზე დაამყარა. ეგონა, ისინი თავიანთ სიტყვას არასოდეს უღალატებდნენ, სტუმრები არ გააწბილა და სწორედ ისეთი პასუხი გასცა, როგორსაც მათი მთავრობები მოითხოვდნენ — მიიღო ულტიმატუმი და თავისი ქვეყნის დაქუცმაცებაზე თანხმობა განაცხადა.

დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, გონივრული იქნებოდა თუ არა, ჩეხების პრეზიდენტს მეტი სიმტკიცე რომ გამოეჩინა, ფარ-ხმალი არ დაეყარა და ბოლომდე გაეგრძელებინა ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. როგორც შემდგომ გამოირკვა, იმ ტანჯვასა და შეურაცხყოფას, რაც ჩეხებს 1939 წელს აგემეს, სჯობდა მათ მტრისა და მოკავშირეებისათვის 1938 წელსვე გაეწიათ გაბედული წინააღმდეგობა. ინგლის-საფრანგეთის „განთიადისწინა დემარშამდე“ ბენეში ცდილობდა გაეგო, დაეხმარებოდა თუ არა საბჭოთა კავშირი მათ გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში. მან საბჭოთა კავშირის დესპანი მოიწვია და ასეთი კითხვები დაუსვა: „გამოვა თუ არა საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიის დასაცავად, თუ საფრანგეთიც გამოგვეჭომაგო. იმოქმედებს თუ არა საბჭოთა კავშირი ერთა ლიგის დაფუძნების შესახებ ვერსალის ხელშეკრულების მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად?“. ბენეშს მაშინვე პირდაპირ და დაუფარავად უპასუხეს, რომ საბჭოთა კავშირი დანაპირებს არ უღალატებსო, მაგრამ ბენეშიმა რატომღაც საბჭოთა დესპანი სასწრაფოდ დაითხოვა და კარგა ხანს პირზე ხაგსი მოიკიდა, შემდეგ კი, სანამ ნიუტონსა და დელაკრუას შეხვდებოდა, კლიმენტ გოტვალდს, ჩეხი კომუნისტების ლიდერს ჰკითხა: გერმანია თავს რომ დაგვესხას და ფრანგებმა თავიანთი ვალდებულებები არ შეასრულონ, საბჭოთა კავშირის დახმარების იმედი უნდა ვიქონიოთ თუ არაო? ბუნებრივია, გოტვალდმა უპასუხა: აჯობებდა ამ შეკითხვით თავად რუსებისთვის მიგემართათო.

მაგრამ ბენეშს ასეთი რამ გულშიაც არ გაუვლია. მას იმისი დარდი როდი

³ ერთხანს ამტკიცებდნენ, განსაკუთრებით — ჟორჟ ბონე, თითქოს ჩეხოსლოვაკიის მთავრობა თავად მოითხოვდა ასეთ ულტიმატუმს, რათა თანამემამულეები დაერწმუნებინა, რომ სხვა გზა არ არსებობდა და ბედს უნდა დამორჩილებოდნენ. მაგრამ პრადის არქივებში ამის დამადასტურებელი ფაქტები ვერ აღმოვაჩინე. დელაკრუა აღნიშნავს, რომ მისი მოხსენება ამის თაობაზე (რომელიც ახლა საფრანგეთის არქივებში ინახება) დამახინჯებული და თვითნებურად შეცვლილია (ავტორის შენიშვნა).

ჰკლავდა, ვაითუ დახმარებაზე რუსეთმა უარი გვითხრასო, უფრო დასტურის მიღებისა და ჩეხოსლოვაკიის ერთხელ და სამუდამოდ რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევისა ეშინოდა. ამიტომ შესწირა ზვარაკად გერმანელებს სუდეთის მხარე. იმხანად ბენეში აგრერიგად თავგზააბნეული რომ არ ყოფილიყო, შექმნილ ვითარებას უთუოდ უკეთ შეაფასებდა. მაგრამ უდავოა, 1939 წელს რომელი უჩეხოსლოვაკიოდ ჩაბმას სჯობდა ინგლისსა და საფრანგეთს ჩეხოსლოვაკია, როგორც თავისი მოკავშირე, გერმანიისათვის 1938 წელს დაეპირისპირებინათ. ჩეხები ამ შეტაკებისათვის მომზადებული იყვნენ. ისინი აღშფოთებით შეხვდნენ ბენეშის მიერ ინგლის-საფრანგეთის გეგმის მიღებას, რამაც მთავრობის გადადგომა გამოიწვია. პრემიერ-მინისტრის პოსტზე მილან გოჯი იან სუროვიმ შეცვალა. დადგა ჩეხოსლოვაკიაში ჟამი გოდებისა, ჟამი განკითხვისა.

* *

ინგლისში კი არაფერი შეცვლილა. იქ ყველაფერი ჩემბერლენის გეგმით და მისი ნება-სურვილისამებრ მიდიოდა. პრემიერ-მინისტრს ისღა დარჩენოდა, კიდევ ერთხელ ხლებოდა გერმანიაში ჰიტლერს და ახალი ამბავი ეხარებინა, ბალკანეთისაკენ გზა ხსნილი გაქვთო. უკვე დრო იყო, ინგლისსა და გერმანიას ერთმანეთთან შორსგამიზნული ხელშეკრულება დაედოთ.

გერმანიის კანცლერი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მეორედ 1938 წლის 22—24 სექტემბერს, გოდესბერგში შეიკრიბნენ. ჩემბერლენმა გერმანიაში ისევ ის ხალხი წაიყვანა, ვინც პირველი შეხვედრის დროს ახლდა. თან გაიყოლა აგრეთვე იურიდიული საკითხების ექსპერტი ფორინ ოფისიდან, რომელსაც ჰიტლერთან მოლაპარაკების დროს ყოველგვარი ხელშეკრულების იურიდიული დასაბუთება შეეძლო.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც მთელ ევროპასა და თვით გერმანელ ხალხსაც მოსალოდნელი იქნებოდა საფრთხე გულზე მძიმე ლოდოდ აწვა, ნევილ ჩემბერლენი ღრმად იყო საკუთარ თავში დარწმუნებული და ალტაცებას ვერ მალავდა ჰიტლერთან შეხვედრით.

ამჯერად გერმანელები ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ, რათა ღირსეულად შეხვედროდნენ ინგლისელებს. ბერტესგადენში მათ დასახვედრად გაფაციცებით ემზადებოდნენ. გოდესბერგში საბატიო ყარაული გაამწკრივეს. ორკესტრმა შეასრულა დიდი ბრიტანეთის ჰიმნი — „უფალო, ჰფარვიდე მეფეს“, ხოლო ოტელ „პეტესბერგის“ ოთახებში, რომლის ფანჯრები რაინს გადაჰყურებდა და, სადაც დელეგაციის წევრებს ბინა მიუჩინეს, რა კოსმეტიკური საშუალებები აღარ გამოფინეს: თმის საგანგებო ზეთი, ცხილის ფხვნილი, ათასგვარი სუნამო და ნელსაცხებელი. პირველი ვიზიტის დროს გადაღებულ ფოტოსურათებზე ჩემბერლენს, რომელიც ჰიტლერთან შესახვედრად მდინარეზე ბორნით გადაჰყავდათ, ისეთი უშფოთველი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ ეს-ესაა სილამაზის პრიზი არგუნესო. ახლა ნამდვილად შეეძლო გულდამშვიდებული ყოფილიყო; განა იმიტომ არ მონიჭაროდა ჰიტლერთან, რომ ეხარებინა: ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის თხოვნით ჩეხოსლოვაკიის დაქუცმაცებას ამიერიდან წინ აღარ აღუდგებიან და ჩეხოსლოვაკიამ „ამბუტაციაზე“ თანხმობა განაცხადაო?

გავიდა ცოტა ხანი და ჩემბერლენი პირველად ჩასწვდა ჰიტლერის ნამდვი-

ლი ბუნების არსს. აცნობა თუ არა პრემიერ-მინისტრმა, საქმე გაჩარხულია და სუდეტის მხარე ამიერიდან თქვენს ხელშიაო, ერთბაშად ყველაფერს ნათელი მოეფინა.

— ეს ხომ არ ნიშნავს მოკავშირეთა გადაწყვეტილებას, გერმანული სუდეტის რაიონი გერმანიას გადასცენ?, რაზედაც ჩეხებიც თანახმანი არიან?“

— სრული ჭეშმარიტებაა“. — უპასუხა ჩემბერლენმა, თან მოლოდინად იქცა, საცაა მადლობას გადამიხდისო.

ჰიტლერმა თავი გაიქნია. „სამწუხაროდ, მე ეს უკვე აღარ მაკმაყოფილებს“, — განაცხადა მან.

ჩემბერლენი სახტად დარჩა, საქციელი წაუხდა. საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. ნუთუ მთელი ეს ხანი გერმანელთა ინტერესების დასაცავად ინგლისელებს, ფრანგებსა და ჩეხებს კრიჭაში იმიტომ ედგა, რომ ბოლოს ასეთი პასუხი მოესმინა?

სინამდვილეში, ჰიტლერმა ჩემბერლენს ალლო აულო თუ არა, მაშინვე ინანა, პირველ შეხვედრაზე ამ ბებრუცუნას ასე ლმობიერად რომ მოექცა. მის მიმართ ზიზღი გულს ცეცხლივით შემოენთო, ამას აღარც მალავდა. თვალის ერთი შევლება და, ჰიტლერს შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ არ ცდებოდა. ამ ცოტა ხნის წინათ ჰიტლერი ამბობდა, თუ ინგლისი ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ტერიტორიის ოკუპაციაში წინააღმდეგობას გამიწევს, ვინ იცის, იქნებ დავფიქრდე და ჩემს განზრახვაზე ხელიც ავიღოო. მაგრამ პირველსავე შეხვედრაზე ჩემბერლენის დამოკიდებულებამ და საქციელმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ჰიტლერი, რამდენიც არ უნდა ეყბუდათ მის გენერლებს, ინგლისელები გერმანელების წინააღმდეგ გალაშქრებას მაინც ვერ გაბედავდნენ. ვინ მისცა მათ საამისო ძალა და ნებისყოფა. ჰიტლერს რაც კი მოეპრიანებოდა, ყველაფრის ჩადენის უფლება ჰქონდა, ინგლისელები ბუზსაც ვერ აუფრენდნენ. მაშ, თუ ასეა, რატომ უნდა დაუკრას კვერი ინგლის-საფრანგეთის გეგმას "სუდეტის მხარის გადაცემის თაობაზე? განა თავად არ ძალუძს საკუთარი გეგმის წამოყენება? პოლონეთსა და უნგრეთს ცეცხლს შეუკეთებს. ჰოდა, ისინიც ადგებიან და „ტერიტორიულად კუთვნილ მიწებს“ მოითხოვენ. ჰიტლერსაც ხომ სწორედ ეს უნდა; ჩეხოსლოვაკიას, როგორც სახელმწიფოს, მაშინვე ბოლოს მოუღებს და რაიხს დაუმორჩილებს. მართალია, ჰიტლერი საქვეყნოდ დღენიადაც იმას გაიძახოდა, მე მინდა რაიხს გერმანელები და გერმანული მიწები დავუბრუნოო, მაგრამ სინამდვილეში მთელი ჩეხოსლოვაკიის ხელში ჩაგდება ედო გულში.

„რაც არ უნდა იყოს, — ეუბნებოდა ახლა ჰიტლერი ჩემბერლენს, — პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ 1 ოქტომბრამდე უნდა გადაწყდეს“. ფიურერს ჩემბერლენის წინადადებანი უკვე აღარ აკმაყოფილებდა.

მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში მთელი მსოფლიო შიშმა მოიცვა. გარდუვალი ომის საფრთხე ყველას თავზარსა სცემდა. ჩემბერლენის გოდესბერგიდან დაბრუნებამდე ინგლისელებმა და ფრანგებმა ჩეხებს უფლება მისცეს თავიანთი არმია საბრძოლველად გაემზადებინათ. ინგლისმა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სათადარიგო ნაწილები გაიწვია და ხომალდები საბრძოლველად განალაგა. საფრანგეთმა ჯარები მაჟინოს ხაზის საბრძოლო პოზიციებზე გადაისროლა. გერმანიამ მთელ ძალებს თავი მოუყარა ჩეხოსლოვაკიაზე გასალაშქრებლად.

მაგრამ სინამდვილეში ეს აშკარა ბლეფი იყო და სხვა არაფერი. როგორც შემდგომ გამოირკვა, ბრიტანეთი და საფრანგეთი ომში ჩეხოსლოვაკიის გულის-

თვის კი არა, საკუთარი ინტერესების დასაცავადაც არ ჩაერეოდნენ. ადოლფ ჰიტლერმა, ეს ამბავი რომ გაიგო, ნაცისტ ბოსებს გული გაუკეთა: იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩემბერლენი მის წინაშე ქედს მოიხრიდა, ხოლო გერმანელ გენერლებს, რომლებსაც თავად უკეთ მოეხსენებოდათ საკუთარი არმიის ავიცა და კარგიც, ცხრაპირი ტყავი გააძრო, ფარ-ხმალს რომ ყრიდნენ და ფიურერის ძალასა და ალღოს არ ენდობოდნენ. ჰიტლერმა მოსვენება დაკარგა, როცა ინგლისელთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეზერვისტების მობილიზაცია შეიტყო⁴ (მას ტყუილად როდი ეშინოდა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა, ამ ფლოტმა 1918 წელს გერმანიას კუდიტ ქვა ასროლინა და მუსლებზე დააჩოქა იგი), მაგრამ საფრანგეთსა და ინგლისიდან სასიხარულო ცნობები მოდიოდა. ამავე დროს, გერმანიის დაზვერვა ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელთა გულისხნადების გაგებას მშვენივრად ახერხებდა. ბოლოს და ბოლოს, თუ გაჭირდებოდა, ჰიტლერს შეეძლო ხელი აეღო თავის განზრახვაზე, თუმცა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ასეთი რამ არ მოხდებოდა.

ამრიგად, სულ რამდენიმე დღეში მსოფლიო უფსკრულის პირას დადგა. საამისოდ ფაქტიურად არავითარი საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ ჰიტლერის ღვარძლიანმა თავდასხმებმა პრეზიდენტ ბენეშზე, სპორტპალასში, 26 სექტემბერს, ხალხს მაინც შიშისზარი დასცა. ბენეშის მიმართ წარმოთქმული ლანძღვა-გინების ტირადების შემდეგ (ჩემბერლენს რამდენიმე მაამებელი სიტყვა რომ აჩუქა) ჰიტლერმა განცლებული აუდიტორიის წინაშე თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დააგვირგვინა: „მაგრამ ამასთანავე, მე მინდა ვაუწყო გერმანელ ხალხს, რომ გერმანული სუდეტის საკითხმა მოთმინება დამაკარგვინა. მე ბატონ ბენეშს წინადადებით მივმართე ცხოვრებაში გაეტარებინა მის მიერ კარგა ხნის წინათ დადებული პირობა. ახლა მან უნდა გადაწყვიტოს, დაიწყება თუ არა. ან ამ წინადადებაზე თანხმობა უნდა განაცხადოს და გერმანელებს ბოლოს და ბოლოს თავისუფლება მიანიჭოს ან კიდევ თავისუფლებას ჩვენ თავად მოვიპოვებთ“. ეს გახლდათ წინასწარ გამიზნული მუქარა, დემოკრატიული ქვეყნების დასაშინებლად⁵.

პრეზიდენტმა რუზველტმა ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც იმდენჯერ მოიხსენია სიტყვა „მშვიდობა“, რომ ზოგიერთმა იგი დაშოშმინების პოლიტიკის ფარულ მიმდევრად მიიჩნია.

რომის პაპი ხალხს მოუწოდებდა, დავა მოლაპარაკებისა და კომპრომისის გზით გადაეჭრათ.

ინგლისის კაბინეტშიც დიდი აურზაური ატყდა. კაბინეტის ზოგიერთ წევრს ღრმად სწამდა, რომ ინგლისს მტკიცე პოზიცია უნდა დაეკავებინა. ჩემბერლენს უკვე მოესწრო ჰიტლერის შეურაცხყოფის ჩაყლაპვა და მონელება, ამიტომ იყო, რომ ყველას ამშვიდებდა და აშოშმინებდა: „მართალია, ალბათ უფრო გონივრული იქნებოდა ჰიტლერისათვის გვეგრძობინებინა ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება — არავითარ დათმობაზე რომ არ წავიდოდით, მაგრამ მოდით, თავდაპირველად ჩვენი ფრანგი მეგობრების აზრიც გავარკვიოთ“.

გადაწყდა — დალაღიე და ბონე მეორე დღეს ლონდონში მიეწვიათ.

⁴ რუსებმაც გაამზადეს სამხედრო-საზღვაო ფლოტი — ინგლისის ისტორიკოსთა უმრავლესობა ცდილობს დაივიწყოს ეს ფაქტი (ავტორის შენიშვნა).

⁵ ჰიტლერი დემოკრატიულ ქვეყნებად ინგლისს, საფრანგეთსა და აშშ-ს თვლიდა (მთარგმნელის შენიშვნა).


პრემიერ-მინისტრს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შიშით გულგატეხილ ფრანგებს არ გაუჭირდებოდათ მისი კაბინეტის საომრად შემართული წევრების დამშვიდება, რადგანაც საგანგებო მოხსენებაში, რომელიც 1938 წლის 24 სექტემბრით იყო დათარიღებული, ინგლისის ელჩი პარიზში, ფიქსი იტყობინებოდა: „თუ გერმანიის აგრესია ესოდენ უღმობელი, სისხლიანი და ხანგრძლივი (ამას მოჰყვა ჩეხების ვაჟკაცური წინააღმდეგობა) არ იქნა და საფრანგეთის საზოგადოებრიობა უკიდურესად არ ააღელვა, ომის მომხრენი საფრანგეთში ფეხს ვერ მოიკიდებენ. ამიტომ, მე ვფიქრობ, მისი უდიდებულესობის მთავრობა უთუოდ ჩახვდება, რა შეიძლება მოჰყვეს აქ მყოფი პატარა, მაგრამ ლაგამაწყვეტილი და მოღალატე ჯგუფების უბრალო წაქეზებასაც კი. საფრანგეთში რჩეული ხალხი ომის წინააღმდეგ ილაშქრებს“.

მაგრამ ჩემბერლენი არც აპირებდა ომის მომხრეთა წახალისებას, ინგლისელები იქნებოდნენ ისინი, ფრანგები თუ ჩეხები. ის კი არა და, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საფრანგეთის პრემიერსა და მის საგარეო საქმეთა მინისტრს ერთგულ მოკავშირეებად გაიხდიდა, თუ თავისი უძღურებისა და, აქედან გამომდინარე, ომის თავიდან არიდების აუცილებლობის მტკიცება დასჭირდებოდა. ჩემბერლენმა სწორად შეაფასა ბონეს პოზიცია. ლონდონში გამგზავრებამდე, 25 სექტემბერს, კვირა დღეს, ბონე ამერიკის ელჩს საფრანგეთში, უილიამ ბულიტს შეხვდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ამ შეხვედრის თაობაზე მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ბულიტი წერდა: „ბონეს ღრმად სწამს, რომ ინგლისის მთავრობა ჩეხოსლოვაკიის გულისათვის ომს ვერ გაბედავს. თავად კი ძალ-ღონეს არ დავიშურებ მშვიდობის უზრუნველსაყოფად. დღეს დიდებულ გუნებაზე ვარ, რადგან ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერას ვგრძნობ“.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს თურმე აზრი შეეცვალა. ახლა მან „ხელშეკრულებათა სიწმინდესა“ და „საფრანგეთის ღირსებაზე“ დაიწყო ლაპარაკი. იგი გვიან გაეცნო გოდესბერგში ჰიტლერის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს, რასაც თვით ჩემბერლენმაც კი დიქტატი უწოდა, რამეთუ ჰიტლერს ნებავდა ჩეხთა ევაკუაცია სუდეტის ტერიტორიიდან 1 ოქტომბერს დაწყებულიყო, თანაც მთელი ავლა-დიდება, საქონელი და იარაღი მათ ადგილზევე უნდა დაეტოვებინათ. დალადიემ, რომელიც ლონდონში ჩამოსვლამდე საომრად იყო შემართული, ამ მოთხოვნებს უღმობელი და შეუწყნარებელი უწოდა.

ინგლისელები და ფრანგები გოდესბერგში ჩატარებული შეხვედრის შედეგების განსახილველად ლონდონს 25—26 სექტემბერს შეიკრიბნენ. უილიამ სტრენგი წერდა: „ჩემ სიცოცხლეში პირველად დავესწარ ასეთ ავბედით მოლაპარაკებას“.

როცა ადოლფ ჰიტლერი გოდესბერგში ჩემბერლენს ცხრაპირ ტყავს აძრობდა, მაშინ პრემიერ-მინისტრმა შეკამათებას გაჩუმება არჩია და შეურაცხყოფა უნმოდ გადაყლაპა, მაგრამ ახლა მთელი ჯავრი ედუარდ დალადიეზე ამოიყარა, ამას კი პრეზიდენტი, რაც მართალია, არ მოელოდა. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა წინასწარ გადაწყვიტა, ფრანგებთან თავი ქედმაღლურად დაეჭირა და რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ დაეყაბულებინა ისინი. დალადიეს ურჩობამ კი სიძულვილი და ანტიპატია ფრანგებისადმი კიდევ უფრო გაუმძაფრა. ჩემბერლენს ნიკრისის ქარები სტანჯავდა, სადილად ღვინო დაეღია და ახლა ტკივილისაგან სიმწირის ოფლს ასხამდა. შესაძლოა, სახეზეც სწორედ ამიტომ



წამოწითლდა, იქნებ ბოლშევიკთა და დალადაიეს ცივად იმიტომაც მიმართა: გერმანია ჩეხოსლოვაკიას ასე ჰაიჰარად რომ დაესხას თავს, ერთი მითხარით, თქვენ რას აპირებთო“⁶.

დალადაიე: ჰიტლერი ისეთ ვითარებას ქმნის, აგრესიის პროვოკაციას თავადვე წამოიწყებს.

ჩემბერლენი: მერედა, რა უნდა ვილონოთ?

დალადაიე: თვითეულმა ჩვენთაგანმა თავისი ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს.

ჩემბერლენი: ესე იგი, საფრანგეთი გერმანიას ომს უცხადებს, არა?

დალადაიე: სრული ჭეშმარიტებაა, საფრანგეთი ნაკისრ ვალდებულებას უთუოდ შეასრულებს. უკვე ბრძანება გავეცი, ერთი მილიონი ფრანგი ჯარისკაცი სალაშქროდ მზად არის.

ჩემბერლენი: მერედა, საფრანგეთის გენერალურ შტაბს აქვს კი რაიმე გეგმა? თუ აქვს, არ შეიძლება ჩვენც გავეცნოთ?

დალადაიე: საფრანგეთი ჩეხოსლოვაკიას ხმელეთზე უშუალო დახმარებას ვერ აღმოუჩენს, მაგრამ შეუძლია გერმანიის არმია საფრანგეთის საზღვართან და მაჟინოს ხაზთან მიიტყუოს და ამით ჩეხოსლოვაკიას ხელი გაუმართოს.

ახლა ფინანსთა მინისტრმა, ჯონ საიმონმა დაიწყო დაკითხვა. იგი პროფესიით იურისტი გახლდათ და ყველას კარგად მოეხსენებოდა სასამართლო პროცესებზე მოწმეთა უღმობელი, ჯვარედინი დაკითხვის მისეული წესი.

ჯონ საიმონი და შინაგან საქმეთა მინისტრი სამუელ ჰორი თავგამოდებული მიმდევრები იყვნენ „დაშოშმინების“ პოლიტიკისა, რომელსაც ჩემბერლენი ახორციელებდა.

საიმონი: როცა საფრანგეთის არმიას თავისი ვალის მოსახდელად იწვევენ, ხომ არ ნიშნავს ეს მაჟინოს ხაზთან მხოლოდ თავდაცვითი ნაგებობების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებას და ომის გამოუცხადებლად იქ ჯარების ჩაყენებას? იქნებ საფრანგეთის მთავრობა აპირებს ომი გამოუცხადოს გერმანიას და თავისი სახმელეთო ჯარები აამოქმედოს?

დალადაიე: ვითარებას გააჩნია.

⁶ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრები შეშფოთებული იყვნენ იმის გამო, რომ საფრანგეთის ჯარების გენერალურ შტაბს ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად გეგმა შემუშავებული არ ჰქონდა და სამხედრო-პოლიტიკურ საკორდინატო კომიტეტს 1938 წლის მარტიდან მოყოლებული ერთი სხდომა არ ჩაეტარებინა (სწორედ იმ თვეს იყო დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბი რომ შეიკრიბა და გადაწყვიტა — ინგლისი მიმდინარე წელს ომისათვის მზად არ არისო, მაგრამ ისინი არც მომავალს უყურებდნენ იმედის თვალთ, რასაც სამხედრო დაგეგმარებაში არსებული ნაკლოვანებებით ხსნიდნენ).

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების დროს ასეთი უსიამო ვითარება მხოლოდ იმიტომ კი არ ჩამოვარდნილა, რომ ინგლისელებმა სტუმრებს ჯიქურ და მოურიდებლად მიაყარეს შეკითხვები, — ასეთ ვითარებას ჩემბერლენისა და საიმონის მტრული განწყობილება იწვევდა ფრანგების მიმართ. თავის მოხსენებაში ლორდ სტრენგი ამ შეხვედრას ავბედითსა და სათაკილოს უწოდებს, დალადაიე კი — შეურაცხმყოფელს.

ძალაუნებურად კაცი იფიქრებს, ჩემბერლენსა და მის აპოლოგეტებს გულში ავი ზრახვები ხომ არ ედოთ და ასე იმიტომ ხომ არ იქცეოდნენ?! მას შემდეგ დალადაიე სულ იმას გაიძახოდა, ამ მოლაპარაკების დროს ინგლისელებს ჩემთვის მხარი რომ აებათ, ომის ფასადაც რომ დამჯდომოდა, მაინც გავილაშქრებდი ჰიტლერის მოთხოვნათა წინააღმდეგო, და მაშინ, მისი აზრით, ჰიტლერი ან სულ აიღებდა ხელს თავის გადაწყვეტილებებზე, ანდა გერმანიაში შეთქმულთა მსხვერპლი გახდებოდა (ავტორის შენიშვნა).

ს ა ი მ ო ნ ი: გამოიყენებთ თუ არა საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს გერმანიის წინააღმდეგ მის ტერიტორიაზე?

ახლა კი დალაღიე შედგა ყალყზე. შეკითხვებზე მეტად, აშკარად მტრულმა დამოკიდებულებამ და მიმართვის უხეშმა ტონმა გაახელა. ბოლშა ყელში მოეხიზნა. როცა საიმონმა უთხრა: კიდევ გავიმეორებ ჩემს შეკითხვას, რადგან, გატყობთ, ვერ მიმიხვდითო, დალაღიემ მკვახედ მოუჭრა: „მე მგონი, სასაცილო უნდა იყოს საფრანგეთის სახმელეთო ჯართა მობილიზაცია, თუ მათ თავდაცვით ნაგებობებში უსაქმოდ გამოვამწყვდევთ, ასევე სასაცილო იქნება ჰაერში გულხელდაკრეფილი ფრენა. ჰიტლერის ამასწინდელი დატრაბახების მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, თავდაცვითი ნაგებობების გერმანული სისტემა გაცილებით სუსტია. ზიგფრიდის ხაზის რიგიანად გასამაგრებლად კიდევ რამდენიმე თვე გვჭირდება⁷, ამიტომ, მე ვფიქრობ, ჩვენი ჯარების თავმოყრის შემდეგ გერმანიას ხმელეთით უნდა შევუტოთ; ხოლო, რაც შეეხება სამხედრო-საჰაერო ძალებს, შევძლებთ განვახორციელოთ თავდასხმა გერმანიის მნიშვნელოვან სამხედრო და სამრეწველო ცენტრებზე, რასაც ჩვენი თვითმფრინავები ადვილად მიწვდებიან, საზღვარგარეთ გაგრცელებული ცნობილი ლეგენდების მიუხედავად“.

მტანჯველი სიჩუმე გამეფდა. ჩემბერლენს გუნება სულ წაუხდა. ფრანგებისაგან იგი ამას არ მოელოდა. კიდევ უფრო მეტად ჩამოუშვა ცხვირი, როცა გულმოსულმა დალაღიემ სიტყვა ბანზე აუგდო და პრობლემის მორალურ მხარეზე დაიწყო ლაპარაკი. ჩემბერლენს, საიმონსა და ჰორს ეს სრულებით არ ეჭაშნიკათ, რამეთუ მოტივები, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, დალაღიემ სასწორზე შეაგდო.

„ამჯერად მე ამ საკითხის მორალური მხარე უფრო მაინტერესებს, ვიდრე სტრატეგიული, — სიტყვა გააგრძელა დალაღიემ. — მეც ბარბაროსივით ვაპირებდი ამ ქვეყნის (ჩეხოსლოვაკიის) განღვრას ისე, რომ თავად ჩეხებს აინუნშიც არ ვაგდებდი. მზად ვიყავი აქ მცხოვრები სამი მილიონ ნახევარზე მეტი კაცი, ჰიტლერისათვის გადამეცა. თუმცა ამის გაკეთება ძალზე გამიჭირდებოდა, რადგან მაშინ უმძიმესი და, შესაძლოა, რამდენადმე სამარცხვინო ამოცანა მეკისრებოდა, მაგრამ, მე მგონი, იმის დავიწყებას, რაც ჩვენ ოცი წლის წინათ ვიხილეთ, მაინც ეს ჯობდა. ახლა ვითარება იცვლება. ჰიტლერს ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგანი უკვე აღარ აკმაყოფილებს, მაშ, რა გზას უნდა დავადგეთ? მე ვერ დავეთანხმები ჰიტლერის მიერ გოდესბერგში წამოყენებულ მოთხოვნებს“.

საუბარში საიმონი ჩაერია. შეკითხვაზე, რას აპირებს საფრანგეთი ჰიტლერის მიერ გოდესბერგში წამოყენებული მოთხოვნების უარყოფის შემთხვევაში, დალაღიემ უპასუხა, საფრანგეთს შეუძლია ინგლის-საფრანგეთის გეგმის საფუძველზე ახალი მოლაპარაკება წამოიწყოსო.

ჩემბერლენი თავს ძალას ატანდა, რომ არ აბობოქრებულიყო: „დარწმუნებული ვარ, ბატონი ჰიტლერი ამ წინააღმდეგაზე უარს განაცხადებს. გერმანელები რამდენიმე დღეში შესაძლოა პრალაში შევიდნენ⁸. ამიტომ ინგლისის მთავრობა წინასწარ უნდა იცოდეს, რა პოზიციას დაიკავებენ ფრანგები. მე ხელთა მაქვს ზოგიერთი შემაშფოთებელი ცნობა — მან მაგიდაზე ქალაქების დასტა ააშრი-

⁷ საფრანგეთის სადაზვერვო ბიუროს ცნობა სავსებით სწორი იყო (ავტორის შენიშვნა).

⁸ ინგლისელებსა და ფრანგებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ გერმანელები ადვილად მოუღებდნენ ბოლოს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ძალებს. თვით გერმანელთა სამხედრო ხელმძღვანელობა კი ამ შესაძლებლობას არასდროს იზიარებდა (ავტორის შენიშვნა).

ალა — საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა მდგომარეობისა და საფრანგეთის მრეწველობის მიერ მათი მომარაგების შესაძლებლობათა თაობაზე. განა ძალუძს საფრანგეთს საჰაერო თავდასხმების დროს თავი დაიცვას და ეფექტური საპასუხო დარტყმები მიაყენოს მოწინააღმდეგეს? საფრანგეთის პრესა და ბეჯითებით ირწმუნება, რომ საფრანგეთი ჯერ ომისათვის მოუმზადებელია. ის რომ ჩეხოსლოვაკიას დაეხმაროს და ამასობაში თავად ძირი გამოეთხაროს, სასურველი იქნება განა?!”

ახლა დალადიემ იგრძნო თავი შეურაცხყოფილად, ყბა დაუგრძელდა და იფეთქა: „რაკილა ასეა, მაშინ თქვენ თვითონ ბრძანეთ, როგორ იმოქმედებს დიდი ბრიტანეთის მთავრობა? მართლა ფარ-ხმალის დასაყრელად ხომ არ არის მომზადებული? მართლა ხომ არ აპირებს ჰიტლერის მიერ გოდესბერგში წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას და პრალაზე ზემოქმედების მოხდენას? მთხოვთ, საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის განწყობილებას ფრანგულ გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებში ნუ აურევთ,— მან წამით შეიცადა, ჩემბერლენს გამომწვევად გადახედა და შემდეგ დასძინა: — მე ვაცხადებ, რომ საფრანგეთს შეუძლია თავისი სამხედრო-საჰაერო ძალთა მობილიზაცია და გერმანიაზე იერიშის მიტანა. მაგრამ არც რუსების დავიწყება გვმართებს. რუსეთი თვითონვე დაიცავს თავის ღირსებას გერმანიასთან უთანხმოების დროს⁹.“

დალადიე ყურადღებას არ აქცევდა თავისი პრემიერის ასეთი უეცარი განრისხებით გვარიანად თავზარდაცემულ ჟორჟ ბონეს, რომელიც მის დაშოშმინებას ლამობდა. იმ დროს, როდესაც ინგლისის გაოგნებული მინისტრები ამკარა შეშფოთებით მისჩერებოდნენ დალადიეს, მან ჩემბერლენს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა: „კეთილი, ნება მომეცით სამი შეკითხვა დაგისვით: ეთანხმებიან თუ არა ინგლისელები გოდესბერგში ჰიტლერის მიერ წამოყენებულ ვარიანტს? აიძულებენ თუ არა პრალას, მიიღოს ეს მოთხოვნები? თქვენ როგორ გგონიათ, საფრანგეთი უჭმად უნდა იჯდეს და სეირს შორიდან უყუროს?“

ნევილ ჩემბერლენს ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ხელს არ აძლევდა და სიტყვა ბანზე აუგდო: „ჩეხებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ეთანხმებიან თუ არა გოდესბერგში ჰიტლერის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს; ფრანგებმაც თვითონ უნდა განსაჯონ, როგორ მოიქცნენ მოკავშირეთა გადაწყვეტილების შემდეგ. ერთი კია, ინგლისელებს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ თავიანთი და ჩეხების აზრი.“

ატყდა სკამების გაწევ-გამოწევა. სანამ გაიყრებოდნენ, ერთმაც და მეორემაც ზიზღით გადახედეს ერთმანეთს.

გვიან საღამოს ჩემბერლენი, ჯონ საიმონი და ჰორაციო უილსონი მეორედლის მოქმედების გეგმის შესამუშავებლად დაუნიგ-სტრიტ 10-ში შეიკრიბნენ.

⁹ დაეხმარებიან თუ არა რუსები ჩეხოსლოვაკიას, თუ იგი თავის დაცვას გადაწყვეტს, და თუ საფრანგეთიც შეასრულებს პრალის მიმართ აღებულ ვალდებულებებს? საბჭოთა ელჩმა პრალაში ბენეში დაარწმუნა, სსრკ უთუოდ გაილაშქრებს ჩეხოსლოვაკიის დასაცავად. ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში თავის მოწინააღმდეგეებად საფრანგეთი, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი მიაჩნდა. რუსეთმა კრიზისის დროს ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა: სამხედრო-საზღვაო ფლოტი მზადყოფნაში მოიყვანა და თვითმფრინავები რუმინეთის გავლით სლოვაკიის აეროდრომებზე გადაისროლა. რაღა თქმა უნდა, ასე არც ერთი ქვეყანა არ მოიქცეოდა, კონკრეტული ჩარევა რომ არ ჰქონოდა გამიზნული. ამჟამად პრალაში არსებული დოკუმენტები სავსებით ადასტურებენ დადებული ხელშეკრულებებისადმი რუსეთის ერთგულებას (ავტორის შენიშვნა).

სინდისის ქენჯნით შეწუხებული დალადიეს სიკერპემ მათ მთელი შრომა წყალში ჩაუყარა. ისინი ძალიან გვიან მიხვდნენ, რომ დიდებულად გამიზნული კომპანია, რომელიც მარტო თმის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ გერმანიასთან ხანგრძლივ შეთანხმებასაც უზრუნველყოფდა, ბეწვზე ეკიდა. ჩემბერლენის კაბინეტის წევრები აღშფოთებული იყვნენ დალადიეს მოქმედებით. გადაწყდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, საფრანგეთის პრემიერისათვის კისერი მოეგრისათ.

როგორც სარწმუნო დოკუმენტებიდან ირკვევა (ჩემბერლენი ამას ყოველთვის გუბანით გრძნობდა), ინგლისელებს საფრანგეთის ბანაკში ვიღაც მოკავშირე ჰყავდათ. 26 სექტემბერს, დილაუთენია, ჟორჟ ბონემ პარიზში დარეკა და ერიკ ფიპსის მეშვეობით ინგლისელებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი გზა შესთავაზა. ინგლისის მთავრობას ერთი რამ ევალეობდა მხოლოდ — დალადიე უნდა დაერწმუნებინა, რომ ისინი ჰიტლერის მიმართ მტკიცე პოზიციას დაიკავებდნენ და ურთიერთშეთანხმებულ, გადამჭრელ ზომებს მიიღებდნენ. „პრემიერი თავის სიტყვას უკან წაიღებს, — თქვა მან. — უბრალოდ, ხალხს თვალს უხვევს, აქაო და, რაც კი რამ შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებო“.

ფიპსთან საუბრის შემდეგ ჩემბერლენი მიხვდა, რომ სწორედ ამ პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა. იმ დილით, ცოტა მოგვიანებით მოლაპარაკება რომ განაახლეს (ამ შეხვედრაზე ჩამოვიდა საფრანგეთის გენერალური შტაბის გენერალი მორის გამელენიც), ინგლისელებმა სასწრაფოდ შეცვალეს თავიანთი ტაქტიკა. ჩემბერლენი სტუმრებს გულთბილად მიეგება. მან იგრძნო, რომ პრემიერი საგონებელში იყო ჩავარდნილი და გული გაუკეთა, ინგლისსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ჰიტლერის შანტაჟს წინ აღუდგეს; მერე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ გაგზავნიდა თავის წარმომადგენელს გერმანიაში და სასწრაფოდ აცნობებდა ჰიტლერს მოკავშირეთა ახალ გადაწყვეტილებას. რაინსკანცლერთან გასაგზავნ უსტარში იგი დაჟინებით მოითხოვდა სუდეტის მხარისა და მისი მოსახლეობის რაინთან მიერთების გეგმის განხორციელებას. ამრიგად, ეს პრობლემა გერმანიის, ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის მიუკერძოებელი წარმომადგენლებისაგან შემდგარი სპეციალური საერთაშორისო ორგანოს ზედამხედველობით უსისხლოდ და უმტკივნეულოდ გადაწყდებოდა.

„ჰიტლერმა რომ ქვა ააგდოს და თავი შეუშვიროს?“ — მიუბრუნდა პრემიერ-მინისტრს დალადიე.

„მაშინ იბულებული ვიქნებით ულტიმატუმი წავუყენოთ. ჩვენი წარმომადგენელი მოახსენებს, რომ თუ გაჭირდა, საფრანგეთი და ინგლისი ერთად ჩაებმებიან თმში ჩეხოსლოვაკიის დასაცავად.“

დალადიე ყურებს არ უჯერებდა. ჩემბერლენს გაოცებული მისჩერებოდა, ნუთუ ინგლისელებმა მართლა შეიცვალეს აზრი, შეხედულება, პოლიტიკა და ფრანგებს მხარში ამოუდგნენო. იგი პრემიერ-მინისტრს მიუბრუნდა.

„დიდი სიამოვნება მომანიჭა ამ განცხადებამ. ვის გაგზავნას აპირებთ თქვენს წარმომადგენლად?“

ნევილ ჩემბერლენს წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა:

„ჩემს ერთგულ მეგობარსა და მრჩეველს, სერ ჰორაციო უილსონს.“

* *

ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი თათბირის დაწყებამდე, 26 სექტემბერს, დილაუთენია ჩემბერლენმა თავის რეზიდენციაში, დაუნინგ-სტრიტ 10-ში უილსონი იხმო და უთხრა: ეს უსტარი ჰიტლერს უნდა გადასცეო.

პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილ უსტარში, რომელსაც იგი გერმანიის რაიხსკანცლერს უგზავნიდა, ნათქვამი იყო, რომ უილსონი, როგორც ჩემბერლენის პირადი წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი პირი, უფლებამოსილია ფიურერთან მოლაპარაკება აწარმოოს. უილსონს ჰიტლერისათვის ჩეხოსლოვაკიის მთავრობის განცხადებაც უნდა გადაეცა. ჩეხები ჰიტლერს ატყობინებდნენ, რომ საგულდაგულო განხილვის შემდეგ მათ უარყვეს გოდესბერგის მოთხოვნებიანი. გარდა ამისა, უილსონს ჩააბარეს აგრეთვე ჯონ საიმონის მიერ ინგლისის კაბინეტის სხდომის მსვლელობისას შედგენილი მოკლე მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საკითხის დეტალურად გარჩევის შედეგად დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ჩეხების მიერ გოდესბერგის დიქტატის მიღება, ამიტომ ჩეხები გამოებნო მას. ქვეტექსტში იგრძნობოდა: თუ გერმანია ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმას გაბედავდა, ომში შეიძლება საფრანგეთიც ჩაბმულიყო და მაშინ დიდი ბრიტანეთიც მხარში ამოუდგებოდა თავის მოკავშირეს. ჩემბერლენსა და უილსონს ეგონათ, ამ მემორანდუმით გერმანელებს „ულტიმატუმს“ უყენებდნენ და პრემიერ-მინისტრმა დაწვრილებით განუმარტა თავის თანაშემწეს, რა ვითარებაში უნდა გადაეცა იგი ჰიტლერისათვის. მემორანდუმის წაყენება მაშინ იქნებოდა მიზანშეწონილი, თუ ჰიტლერი გონივრულად არ მოიქცეოდა.

აი, რას ფიქრობდა უილსონი ამ ახალი დავალების შესახებ:

„ეს დავალება სრულებით არ მეჭაწნიკა. მთელი ზაფხული თავგადადებული ვიბრძოდი მშვიდობის შესანარჩუნებლად და მაინცდამაინც მე არ გამიგზავნეს ჰიტლერისათვის ომის მუქარით აღსავსე ულტიმატუმის წარსადგენად? განა ვერ ვგრძნობდი რა მძიმე პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ბოლოს და ბოლოს, რა დიდი ფინზე მე გახლდით. ბევრს ჩემი სახელი არც კი გაეგონა. ჰოდა, აი ასეთ კაცს მხვდა წილად ულმოებელ დიქტატორთან მოლაპარაკება“.

უილსონი საპეციალურ თვითმფრინავში ჩაჯდა, კროიდონში რომ ელოდებოდა. მან გაიყოლა კლერკი ფორინ ოფისიდან, ვაითუ რაიმე დოკუმენტის ჩაწერა დამჭირდესო. უილსონი ცალკე მოკალათდა და მთელი გზა „ულტიმატუმს“ იზებირებდა, რათა მისი გადაცემის დროს ჰიტლერისათვის „თვალი არ მოეშორებინა“. ტემპელგოფის აეროპორტში მას ნევილ ჰენდერსონი შეეგება, საელჩოში ჩაიზე მიიპატიჟა და შეატყობინა, ჰიტლერს ხუთ საათზე რაიხის კანცელარიაში შეხვდებითო.

ოთხ საათსა და 40 წუთზე უილსონი, ჰენდერსონი და საელჩოს პირველი მდივანი სერ აივორ კირკპატრიკი, რომელმაც გერმანული ჩინებულად იცოდა, საელჩოს შენობიდან გამოვიდნენ და გეზი რაიხის კანცელარიისკენ აიღეს. შემოდგომის მშვენიერი დღე იდგა. უილსონმა, საითაც არ გაიხედა, ყველგან ყავისფერხალათიანი ხალხი და ესესელები დაინახა. ქუჩაში, ყოველ ნაბიჯზე, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცებს აწყდებოდა. რაზმებს წინ ჩვეულებრივი ორკესტრი მიუძღოდა. ბავშვობაში გერმანელთა ასეთი ორკესტრები ინგლისის ქუჩებშიც ხშირად მინახავს, ხმაურით იკლებდნენ იქაურობას, გაბღენ-

ძილები დადიოდნენო,— თქვა უილსონმა. კირკპატრიკმა აუხსნა, ისინი დღეს სა-
ღამოს ერთ-ერთ უზარმაზარ დარბაზში, სპორტპალასში ჰიტლერის მნიშვნელო-
ვანი სიტყვის მოსასმენად გერმანიის სხვადასხვა კუთხიდან ბერლინში ჩამოსუ-
ლი ნაცისტები დელეგატები არიანო. ამან უილსონზე დიდი შთაბეჭდილება მოახ-
დინა. თითქოს ყველგან ომის სუნი ტრიალებდა¹⁰.

უილსონი ჰიტლერის კაბინეტში რომ შედიოდა, გულში ფიქრობდა, ალბათ
ამ მოლაპარაკებასაც ისე ჩავატარებ, როგორც სხვა მოლაპარაკებები ჩამიტარე-
ბიანო, შესაძლოა ცოტა კი გამიჭირდესო. მისი აზრით, ნაცისტთა ლიდერი ბო-
ბოქარ პროფკავშირულ მოღვაწეს ჰგავდა, ხელსაყრელ გარიგებას რომ ცდილობს
და სჯერა, თავისას მაინც გაიტანს.

„სხვა დიქტატორებივით,— იგონებდა იგი,— ჰიტლერსაც მაგიდა უზარმაზა-
რი ოთახის ბოლოს ედგა. სანამ მიუახლოვდებოდით, მთელი ოთახი უნდა გაგვე-
ლოთ. ამ ხნის განმავლობაში იგი წუთით თვალს არ გაშორებდათ. ნამდვილ გა-
მოცდას გიტარებდათ. ჰიტლერი პატარა დივანზე იჯდა. ამ შეხვედრას სხვებიც
ესწრებოდნენ¹¹. ჰიტლერს ისე ახლოს მივუჯექი გვერდით, ერთმანეთს თითქმის
მუხლებით ვეხებოდით. დანარჩენები გარს შემომეხვივნენ. უპირველეს ყოვლისა,
მე მას პრემიერ-მინისტრის ბარათი გადავეცი და შმიდტმა (ოფიციალურმა თარ-
ჯიმანმა გერმანელთა მხრიდან) მისი შინაარსი დამსწრეთ უთარგმნა. ჰიტლერს
გაეღიმა, რადგან წერილში ჩემს სტატუსზე იყო ლაპარაკი, და, როგორც შევა-
ტყვე, ესიამოვნა კიდევ“.

ეს იყო ვეფხის სახეზე ათამაშებული ღიმილი, უკანასკნელი ღიმილი, რო-
მელიც უილიამ უილსონმა იხილა, რადგანაც ახლა შმიდტი უილსონის მიერ ჩა-
მოტანილი მეორე ბარათის თარგმნას შედგომოდა. ჩეხები გოდესბერგში წამოყე-
ნებულ მოთხოვნებზე უარს აცხადებდნენ. შმიდტმა პირველი ორი წინადადების
თარგმნაც კი ვერ მოასწრო, ჰიტლერი ანაზღაოდ ზე წამოიჭრა, ირგვლივ მიმოი-
ხედა და ბრიტანეთის გაოცებულ დესპანს დაუღრიალა: „მამ ასე, არა? ბოლოს
და ბოლოს, გადაწყდა! ახლა კი მართლა მუსრს გავავლებ ჩეხებს!“

ჰიტლერი კარისკენ გაემართა, გაბრაზებული ხელებს აქნევდა. „მოგეხსენე-
ბათ, როცა დიქტატორი ფეხზე დგება, მისი ლაქებიც უმაღ ზეზე წამოიჭრები-
ან ხოლმე. თურმე ასეთი ჩვეულება ჰქონიათ,— იგონებს უილსონი,— ყველა და-
ფაცურდა. რიბენტროპიც სკამიდან წამოვარდა. ჰიტლერი ფეხებს აბრახუნებდა
და სულ ცოფებს ყრიდა. მაგრამ მე წარბიც არ შემეხრია. ნევილ ჰენდერსონმა
წამოდგომა დააპირა, მაშინვე შევაჩერე და გულში გავიფიქრე: მე ხომ ინგლი-
სელი ვარ; ჰიტლერი თავსედურად იქცევა; ასეთ ვითარებაში ადგილიდან ფეხს
არ მოვიცვლი-მეთქი. ჰიტლერი შეცბუნდა. კართან მივიდა, ეტყობოდა დრამა-
ტული ენსტიით აპირებდა კაბინეტიდან გასვლას, მაგრამ ანაზღაოდ მიხვდა, რომ

¹⁰ ეს საგულისხმო ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა რეალურად
ვერ აფასებდა ბერლინში შექმნილ ვითარებას, რამეთუ იმხანად იქ საომარი განწყობილება სულაც
არ სუფევდა, რასაც ჰიტლერი ჩინებულად გრძნობდა. მისი ბრძანებით, უილსონის ჩამოსვლის მე-
ორე დღესვე ვილჰელმშტრასეზე ტანკებითა და კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცებით სავსე
ჯავშნოსანი ბრიგადა ჩაატარეს. ამ სპექტაკლს ჰიტლერი თვალს თავისი კაბინეტიდან ადევნებდა,
მაგრამ განრისხებული და აბოზოქრებული, მაშინვე მოშორდა ფანჯარას, აღფრთოვანების ნაცვლად
ხალხი დემონსტრაციას შიშითა და ძრწოლით შეჰყურებდა (ავტორის შენიშვნა).

¹¹ იქ იყო: რიბენტროპი, ჰიტლერის სამხედრო თანაშემწე პოლკოვნიკი რუდოლფ შმუნდტი,
პირადი ადიუტანტი, რომელიც მის უმნიშვნელოვანეს თათბირებს ყოველთვის ესწრებოდა, აგ-
რეთვე ვეიცზეკერი და რამდენიმე მდივანი (ავტორის შენიშვნა).

მე ფეხზე არ ვიდექი, შეჩერდა, უკან გამობრუნდა და თავის ადგილზე დაჯდა“.

მართალია, ამჯერად ჰორაციო უილსონი არ დამფრთხალა, მაგრამ სულ მალე შიშისაგან გული კინალამ ბუდიდან ამოუვარდა, რადგან ჰიტლერმა მხოლოდ თავისი ანლოზლებისათვის კარგად ცნობილი გაბრაზების ერთ-ერთი სცენა გაითამაშა. ამას იგი აქტიორისათვის დამახასიათებელი ბრწყინვალე ოსტატობით ასრულებდა და კაცი ვერ შეატყობდა, მართლა გაბრაზებული იყო თუ არა. მერე დადგა „დიდი მძვინვარების წუთი“. უილსონი და ჰენდერსონი ჰიტლერს არწმუნებდნენ, ჩეხების მიერ გოდესბერგის წინადადებების უარყოფა აბა რა ყურადსაღებიაო. პირობა მისცეს, რომ ჩეხებს უთუოდ დაიყაბულებდნენ. ისინი ჰიტლერს პირველი წერილის იმ აბზაცზე მიუთითებდნენ, სადაც პრემიერ-მინისტრი ჩეხებისა და გერმანელების წარმომადგენელთა თავშეყრას მოითხოვდა და ატყობინებდა, რომ „სინხარულით შეუდგებოდა ინგლისის მთავრობის დელეგაციის შერჩევას“.

ჰიტლერმა იტყურობა ლანძღვა-გინებით აიკლო, შემდეგ ჩემბერლენსა და უილსონს აბუჩად აგდება დაუწყო. სულ ქუჩური სიტყვებით ითათხებოდა. „ვინ მიგდია ბრიტანეთის წარმომადგენელი, — ღრიალებდა იგი; ჩემბერლენსაც ერთი გვარიანად შეუკურთხა და დასძინა: — თუ ამით ჩემს დაშინებას აპირებს, ჭკუიდან გადასულა და ეგ არისო!“.

უილსონი მას თავზარდაცემული შეჰყურებდა. „თუ ბატონი ჰიტლერი ამას პრემიერ-მინისტრზე ამბობს, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — ძალიან ცდება. იგი ჭკუიდან კი არ გადასულა, მშვიდობის შესანარჩუნებლად იბრძვის“.

ჰიტლერმა უილსონს ზევიდან გადმოსხედა და განაგრძო: „მისი ლაქიათა¹² შეხედულებები რაში მაინტერესებს. მე ჩემი ხალხის ბედი მალეღვებს მხოლოდ, იმ უწმინდურმა მამათმავალმა ბენეშმა რომ ამოხოცა და ჯვარს აცვა. აბა, ამას როგორ ავიტან! ეგ ყოველგვარ ზღვარს სცილდება და წესიერ გერმანელს უთუოდ მოთმინებას დააკარგვინებს! ხომ გაიგეთ, თქვე ღორო, რეგვენო!“ მერე ფიურერი უეცრად შეჩერდა, ალბათ მისვდა, რომ ღრმად შეტოპა და დასძინა: „კეთილი, აგრე იყოს. ჩეხებს მხოლოდ იმ პირობით შევხვდებით, თუ ჩვენს მემორანდუმზე (გოდესბერგის) თანხმობას განაცხადებენ. ვადას პირველ ოქტომბრამდე ვიძლევი (იგულისხმება ჩეხების ევაკუაცია სუდეტიდან)“. შემდეგ ჰიტლერი კვლავ აბობოქრდა: „პირველ ოქტომბერს ტერიტორია დაცლილი უნდა დამხვდეს, სულერთია, მოლაპარაკების გზით მოხდება ეს თუ ძალის მეშვეობით! აირჩიეთ. მაგრამ იცოდეთ, ერთ-ორ დღეში ჩეხების თანხმობა უნდა მაცნობოთ, არადა ყველაფერს აღვგვი პირისაგან მიწისა. აი ასე! მოსაფიქრებლად ორ დღეს ვაძლევ: ესე იგი ოთხშაბათამდე კიდევ ვადროვებ“.

„ოთხშაბათს ნაშუაღამევს, არა?“ — შეეკითხა ჰენდერსონი.

„არა, ნაშუადღევს ორი საათისათვის!“

ჰიტლერის საქციელის გამოსახატავად მრავალი სიტყვის გამოწახვა შეიძლება, მაგრამ ყველაზე ზუსტად მის მოქმედებას სიტყვა „ულირსი“ მიესადაგება. იგი არა მარტო ილანძღებოდა, ზიზღით ლაპარაკობდა, უმართებულოდ მსჯელობდა, ამასთანავე დაუნდობლად თათხავდა ჩეხებს და რა წინადადებაც არ უნდა.

¹² კაბინეტის სახელზე დაწერილ ოფიციალურ მოხსენებით ბარათში, რომელსაც უილსონი მდივან ქალს, საგარეო-საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს კარნახობდა, აღნიშნული იყო, რომ „ფიურერის მიერ ბატონი ჩემბერლენისა და უილსონის მისამართით ნათქვამი ეპითეტების საქვეყნოდ გამეორება შეუძლებელიაო“ (ავტორის შენიშვნა).

შეგეთავაზებინათ, გადაწყვეტილებას მამაზეც იერიც ვერ შეაცვლევინებდა. უილსონს მშვენივრად ახსოვდა ლონდონიდან ბერლინამდე დაზეპირებული ის ინსტრუქციები და სიტყვები, რომლებიც ჰიტლერისათვის მხოლოდ მაშინ უნდა მოეხსენებინა, თუ იგი „გონივრულად“ არ მოიქცეოდა.

„ამკარა იყო, ჰიტლერი „გონიერების“ გამოჩენას სრულებით არ აპირებდა, — წერდა უილსონი, — მაგრამ ანაზღად ბერლინის ქუჩებში მოთარეშე გერმანელთა ორკესტრები და ყავისფერხალათიანი დელეგატები დამიდგა თვალწინ. გამახსენდა ის დიდმნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც იმ საღამოს სპორტპალასში უნდა წარმოეთქვა და გულში გავიფიქრე: მე რომ ახლა ის მივასხალო, რასაც ასეთ შემთხვევაში ვაპირებდი, შეიძლება თავგზა დაკარგოს და მაშინ უთუოდ ომში ჩათრეულები აღმოვჩნდებით. ავდექი და ჩემებურად გადავწყვიტე“.

ამრიგად, უილსონს ჰიტლერისათვის არ უთქვამს ის, რასაც მან და ჩემბერლენმა იმ საღამოს „ულტიმატუმი“ უწოდეს. შემდგომ უილსონი წერდა: „ამის გულისათვის ლონდონში რომ დავბრუნდი, ერთი მაგრად შემახურეს. კაბინეტის ზოგიერთმა წევრმა კუდიტ ქვა მასროლინა!¹³ რა დამავიწყებს ჰიტლერთან საუბარს, ისიც კი მაკადრა: თუ გასურთ ჩვენზე ჩემი აზრი გაიგოთ, მობრძანდით დღეს საღამოს სპორტპალასში და მომისმინეთო. მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: მოსვლით ვერ მოვალ, მაგრამ, თქმა არ უნდა, რადიოთი მოვისმენთ-მეთქი“.

ჰიტლერი სპორტპალასში ჩვენებისათვის ულტიმატუმის წასაყენებლად ისე გაისტუმრეს, კრინტიც არ ღაუძრავთ, რომ ინგლისელები და ფრანგები გერმანიის ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდნენ. ეს დოკუმენტი ჰიტლერისათვის სპორტპალასში გამოსვლამდე რომ წარედგინათ, განზრახვაზე ხელს თუ არ აიღებდა, ეჭვგარეშეა, ცოტა გონს მაინც მოვიდოდა. მეორე დღეს გვიანლა იყო თითზე კბენანი. განცხადებას ყავლი გაუვიდა, ამას თვით სერ ჰორაციო უილსონიც მისგდა. „ამჯერად ჰიტლერი უფრო დამშვიდებული მოვიდა, — წერდა უილსონი, — მაგრამ უგუნებობა მაინც ეტყობოდა. წარმატება მივულოცე, თუმცა ეს ამბავი აინუნშიც არ ჩაუგდია. შემდეგ ულტიმატუმი გადავეცი. ეტყობა, არც კი შეუმჩნევია“.

უილსონი ანგარიშიში მოტყუვდა. განცხადება თავის დროზე რომ წარედგინა, ჰიტლერი ცოტა ყურებს გამოიბერტყავდა, დასავლეთის სახელმწიფოებს კი უთუოდ ასცდებოდათ ის დამცირება, რომელიც მათ მიუნხენში იგემეს.

1938 წლის 28 სექტემბერს ჩემბერლენი ინგლისის პარლამენტის პალატის წარმომადგენელთა წინაშე სიტყვით გამოვიდა და დამსწრეთ სუდეტის პრობლემის მოსაწესრიგებლად მიუნხენში ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციის მოწვევის ამბავი აუწყა (ამ განცხადებას ოცდაათიანი წლების ყველაზე საჩინო დრამატულ მომენტად თვლიან). ამან ჩემბერლენის მოწინააღმდეგეებიც კი

¹³ დაფ კუპერმა განაცხადა: „ჩვენ მოვისმინეთ უილსონის ანგარიში გერმანიაში მოგზაურობის შესახებ. უილსონმა არ გადასცა ჰიტლერს ის მნიშვნელოვანი საბუთი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, ომში მონაწილეობას მიიღებდნენ. ასე რომ, ჰიტლერი ისე გაეშურა სპორტპალასში, ჩვენი საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ არა იცოდა რა. მეორე დღეს, როცა ჩასწორებული განცხადება წარუდგინეს მას უკვე ყავლი გასული ჰქონდა“. დაფ კუპერს არ განუმარტავს, რას გულისხმობდა „ჩასწორებულ“ განცხადებაში, მაგრამ გამოსვლის ტექსტი მეტყველებს, რომ მას ქება-დიდება გამოუთქვამს ჰიტლერის მისამართით, რამაც ინგლის-საფრანგეთის განცხადება მთლად გააბიაბრუა (ავტორის შენიშვნა).

საგონებელში ჩააგდო — ეგებ, ლონდონის თავზე ყუმბარების წვიმასა და იმპერიის მოსალოდნელ განადგურებას მართლა დაშოშმინების პოლიტიკა სჯობდესო. ჩემბერლენს, უილსონსა და მის მომხრეებს გერმანელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხელთ ჰქონდათ არა მარტო გერმანელთა საჭირო ძალთა განადგურებელი ულმოხელი თავდასხმების პერსპექტივებით გაპირობებული მნიშვნელოვანი არგუმენტები, პრემიერ-მინისტრს იმის თქმაც შეეძლო, რომ სახელმწიფოები — ბრიტანეთთან თანამეგობრობის წევრები, რომელთა ხელმძღვანელები იმხანად სიდნეიში (ავსტრალია) არაოფიციალურ კონფერენციას ატარებდნენ, მხარს არ უჭერდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი ბრიტანეთის მთავრობის ასეთ მეურვეობას. იმპერიის მთავრობები, კანადის უმაღლესი კომისარის ვინსენტ მასის მეთაურობით, ძალზე შეშფოთებულები იყვნენ, ხოლო თავად მასი იმედს არ კარგავდა — იქნებ, ჩემბერლენი დათმობაზე წავიდესო. ავსტრალიამ მტკიცე უარი განაცხადა ევროპის საქმეებში ჩარევაზე. ხოლო სამხრეთ აფრიკა გერმანიასთან ომში ჩათრევის ყოველგვარ ცდას აშკარად მტრულად ეკიდებოდა. დაფ კუპერი და ჩემბერლენის სხვა მოწინააღმდეგეები იმათ მოსაზრებებს აინუნშიც არ აგდებდნენ, ეს ეჭვები და აზრთა სხვადასხვაობა უმაღვე გაიფანტება, როგორც კი ინგლისის მთავრობა მტკიცე პოზიციას დაიკავებსო, — ფიქრობდნენ ისინი. მაგრამ კაბინეტის წევრთა უმრავლესობას მაინც გული ეთანაღრებოდა. როგორც კი ჩემბერლენმა გაკვრით აღნიშნა, ცენტრალური ევროპის ერთი პატარა ქვეყნის გარშემო ატეხილი დავის გამო ინგლისის იმპერიას დაცემის საფრთხე ემუქრებაო, მისი ნათქვამი მაშინვე დაიჯერეს.

ჩემბერლენის პოლიტიკის სისწორეში დაეჭვებულთ დიდ იმედებს არც ამერიკა უნერგავდა. მართალია, მათ ფრანკლინ რუზველტი აგულიანებდა, მაგრამ გუმანით გრძნობდნენ, და არც შემცდარან, რომ ამერიკა ომის დაწყების შემთხვევაში უთუოდ განზე გადგებოდა. „თუ ევროპის ლიბერალურ და ტოტალურ ქვეყნებს შორის ომი გაჩაღდა, — განაცხადა ჰერბერტ ჰუვერმა, — დემოკრატიის შენარჩუნების ერთადერთი გზა განზე გადგომაა“.

ასეთი აზრები ჰიტლერის საქციელით ძალზე შეშფოთებულ საზოგადოებაზე უფრო ე. წ. „მმართველი დაჯგუფების“ წევრებს აღელვებდა. ჩემბერლენი მთელ იმედს მათზე ამყარებდა, ეგონა დაშოშმინების პოლიტიკის გატარებაში მხარს აუბამდნენ, მაგრამ ისინიც საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებაზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. დაცემული იმპერიისა და კომუნიზმის მსხვერპლადქცეული ევროპის აჩრდილები მოსვენებას უკარგავდა მათ. მაგრამ ყველაზე მეტად ომისა ეშინოდათ. არმაგედონის წინასწარმეტყველნი ამოდ არ დამშვრალან. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: გერმანიასთან „ურთიერთობის“ დამყარების ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მომხრე თომას ჯოუნსი, კონსერვატიული პარტიის ზოგიერთი ლიდერის უახლოესი მეგობარი, 1938 წელს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო ჰიტლერის მიზნებისა და ზრახვების წინააღმდეგ მტკიცედ გალაშქრება, მაგრამ სულ მალე მან კვლავ დამშოშმინებელთა რიგებში ამოჰყო თავი. პოლკოვნიკ ლინდბერგის მიერ გამართული სპექტაკლებით დაშინებული, კვლავ ძველი გზისაკენ შემობრუნდა. 29 სექტემბერს იგი თავის დღიურში წერდა: „ლინდბერგთან საუბრის შემდეგ კვლავ შევუერთდი იმათ, ვინც მშვიდობის დასაცავად იბრძოდა. მის მიერ დახატულმა სურათმა და სიტყვებმა — ომი დემოკრატიულ ქვეყნებს ბოლოს მოუღებ-სო, ერთხელ და სამუდამოდ გამტეხა წელში“.

რადგანაც ჰიტლერის მიერ დათქმული ვადა 28 სექტემბერს, ნაშუადღევს ორ საათზე იწურებოდა, თემთა პალატის უზომოდ შეშინებულმა წევრებმა თავი შუადღისას მოიყარეს. ჩემბერლენს მათთვის ჰიტლერთან მოლაპარაკების ანგარიში უნდა ჩაეზარებინა. პრემიერ-მინისტრმა ჯერ ისაუბრა უილსონის ვიზიტზე ბერლინში, მერე იმ ბარათზე ჩამოაგდო სიტყვა, რომელიც ჰიტლერს გაუზავნა. არც ის დაუმაღავს, მუსოლინის რომ მიმართა თხოვნით, ეგებ შენ მაინც მოახდინო ჰიტლერზე რაიმე ზემოქმედება, რათა თავიდან ავიცილოთ კატასტროფა, რომელიც ევროპას ემუქრებაო.

ეს ეპიზოდი შესანიშნავად დაგვისურათხატა პარლამენტის წევრმა, ჩემბერლენის პოლიტიკის უღმობელმა მოწინააღმდეგემ, ჰაროლდ ნიკოლსონმა: „1938 წლის 28 სექტემბერს ორ საათსა და 15 წუთზე ტრაფალგარის მოედანი გადავჭვრით და უაიტჰოლს ჩავუარეთ. მივუახლოვდით პარლამენტის შენობას. შადრევნების გარშემო მტრედები ღულუნებდნენ. ბავშვები საკენკს უყრიდნენ. ჩემმა თანამგზავრმა შენიშნა: „ბავშვები და მტრედები სასწრაფოდ ქალაქიდან უნდა გავიყვანოთ“. პარლამენტის შენობის წინ ხალხი ირეოდა. ცოცხალი ყვავილებით ამკობდნენ პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლს. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ხალხი შეშინებული და ცნობისმოყვარე თვალებით შემოგვეყურებდა.

თემთა პალატაში: ბატონი ჩემბერლენი დინჯად ავიდა ტრიბუნაზე და მოხსენების ტექსტი მოიმარჯვა. ყველა მოლოდინად იქცა... მან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაიწყო მოვლენათა თხრობა. მშვიდი, დარბაისლური ტონით ლაპარაკობდა. პალატა სულგანაბული უსმენდა... ასეთმა ქრონოლოგიურმა თანმიმდევრობამ ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ჯერ მოგვახსენა, თუ როგორ შეხვდა უკანასკნელად ბატონ ჰიტლერსა და სენიორ მუსოლინის. საათს შევხედე. ხუთის თორმეტი წუთს უჩვენებდა. პრემიერ-მინისტრმა ზუსტად ერთი საათი ილაპარაკა. მე შევნიშნე, რა გაფაციცებით გადასცემდნენ მთავრობის წევრები ერთმანეთს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბლანკიან ქალაქს. სერ ჯონ საიმონმა პრემიერ-მინისტრს სიტყვა შეაწყვეტინა და ქალაქი მიაწოდა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემბერლენმა პენსზე მოიმარჯვა და დოკუმენტის კითხვას შეუდგა. ვიგრძენით, სახის გამომეტყველება შეეცვალა, თავი ასწია და ზემოდან დაცემულმა სინათლემ სახე გაუნათა. ახლა აღარც დაღლილობა ეტყობოდა და აღარც მღელვარება. გამარჯვებულს, ათი წლით გაახალგაზრდავებულს ჰგავდა. „ბატონმა ჰიტლერმა გერმანიის მობილიზაციის 24 საათით გადავადებაზე ესაა თანხმობა განაცხადა, მიუნხენში კონფერენციაზე მიწვევს მუსოლინისთან და დალაღიესთან ერთად“. მე მგონი, ამაზე დრამატულ მომენტს ჩემს სიცოცხლეში არ მოვსწრებოვარ. რამდენიმე წამით პალატა სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა. შემდეგ კი მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, ჩემბერლენს ყველანი წარმატებას ულოცავდნენ. აჩოჩქოლებულ დარბაზში ნიკოლსონი არ განძრეულა მხოლოდ, თავი მოიფხანა: ფეხზე არამც და არამც არ ავდგებიო, — გაიფიქრა. ჩემს უკან მჯდომმა ლიდელმა (პარლამენტის წევრი კონსერვატიული პარტიიდან) ჩუმად წაუსისინა: „ჩქარა ადექი, შე უზრდელო, შენაო!“

უინსტონ ჩერჩილმა ზიზლით¹⁴ გადადგა ნაბიჯი წინ. უცხოელი სტუმრებისა

¹⁴ ჩერჩილის სიმულვილს ჩემბერლენისადმი კარგად გამოხატავს იმ დღეს მის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „მთავრობას უნდა აერჩია ან თავლაფის დასხმა ან ომი. მან თავლაფის დასხმა ამჯობინა, თუმცა ომს მაინც ვერ ასცდა“ (ავტორის შენიშვნა).

და დიპლომატიებისთვის განკუთვნილ ლოჯაში გამოჭიმულ კენედის გაბადრულ სახეზე ეტყობოდა, რომ ჩემბერლენის საქციელით აღტაცებული იყო. პრემიერ-მინისტრმა ამერიკის ელჩსა და თავის დაახლოებულ პირებს ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ჩაუკრა სიტყვა. კენედიც იდგა და ირწმუნებოდა, რომ არ იქნებაო. ყველას, ვინც იქ ჩემბერლენს ყურს უგდებდა, ეგონა ჰიტლერისაგან ცნობის მიღება მოვლენათა გაუთვალისწინებელი დამთხვევა იყო და სხვა არაფერი, მაგრამ ეს შემთხვევით არ მომხდარა: ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ სიტყვაში გამოსვლამდე ჩემბერლენმა წინასწარ იცოდა მიუნხენის კონფერენციის მზადების ამბავი, გარდა ამისა, ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ეს ამბავი თავისი გამოსვლის დროს უნდა ეუწყებინა ხალხისთვის.

27 სექტემბერს, საღამოს, როცა სერ ჰორაციო უილსონი ფიურერთან შეხვედრის შემდეგ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — „შინ კუდამოდებული ჩამოვიდა“, რათა კაბინეტისათვის მოეხსენებინა, ჰიტლერმა იმედები გაგვიცრუაო, ზოგიერთი მინისტრი მას გაბოროტებული შეხვდა, სამაგიეროდ პრემიერ-მინისტრი გამოექომაგა. შემდეგ კი გვერდზე გაიხმო და უთხრა: ნუ სწუხარ, მე მგონი, ძალიან სწორად მოიქეციო. მალე იგი კვლავ თავის კაბინეტში გამოიძახა: „მე ყველაფერი ავწონ-დავწონე. ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო, მე, ჰიტლერი, მუსოლინი და დალადიე ერთმანეთს შევხვედროდით. საჭირო ზომები უკვე მიღებულია“.

ჩემბერლენმა დახმარებისათვის თავის „კეთილ მეგობარს“, ბენიტო მუსოლინის მიმართა და 28 სექტემბერს, დილის 7 საათზე ბერლინში იტალიის ელჩის სენიორ ატოლიკოს მეშვეობით მოლაპარაკება დაიწყო. საუზმისათვის უკვე ყველაფერი შეთანხმებული იყო, ხოლო ერთი საათის შემდეგ რომიდან ლონდონში ცნობა აფრინეს, ჰიტლერმა შეხვედრაზე თანხმობა განაცხადაო.

უდავოა, ნევილ ჩემბერლენი დროის შერჩევის ბრწყინვალე ოსტატი გახლდათ.

* *

მიუნხენში კონფერენციის ჩატარების ცნობას მთელი დასავლეთი ევროპა აღფრთოვანებით შეხვდა. ჩემბერლენისა და უილსონის გარდა, რომლებსაც არსებითად არ სჯეროდათ სამხედრო შეტაკებათა გარდუვალობა, მოსალოდნელი იყო საფრთხე უმრავლესობას მაინც შიშისზარს სცემდა. ეკლესიებში გრძელდებოდა წირვა მშვიდობისათვის. პრეზიდენტი რუზველტი და ვატიკანის პაპი ხალხს მშვიდობის დასაცავად მოუწოდებდნენ. ბევრი გულისფანცქალით მოელოდა შეხვედრის შედეგებს. ყველას ეშინოდა, ჰიტლერის უკანასკნელ მოთხოვნებს ან კიდევ — ჩემბერლენისა და დალადიეს საბოლოო პოზიციას მსოფლიო კრიზისსა და ომში არ ჩაეთრია.

მაგრამ შიშის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. 29 სექტემბერს, როცა ედუარდ დალადიე, როგორც საფრანგეთის დელეგაციის მეთაური, მიუნხენში გაფრინდა, ჟორჟ ბონე აშშ-ს ელჩს, ბულიტს ეთათბირებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა და ამას არც მალავდა. ბულიტმა ვაშინგტონს აცნობა, ბონე გვარწმუნებს „საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარება ჩეხოსლოვაკიას... ბენეში ხმას ვერ ამოიღებს. იმის გუ-

ლისათვის, რომ შვიდი მილიონი ჩეხი სამ ნახევარ მილიონ გერმანელზე ვაბათონოთ, ბენეშს ნებას არ მივცემთ ორმოცი მილიონი ფრანგი სასიკვდილოდ გაიმეტოს და მან ეს შესანიშნავად იცის“. ცნობამ, მიუნხენში „ქირურგები“ ჩეხოსლოვაკიის სხეულის აკუწვას იწყებენო, მათი მეზობლების ყურამდეც მიიღწია. უნგრეთმა და პოლონეთმა, სისხლის სუნი რომ ეცათ, ჯარები სასწრაფოდ ჩეხოსლოვაკიის საზღვართან განალაგეს და პრალაში წარსადგენად თავიანთი ულტიმატუმი შეადგინეს.

პოლონეთის კონსულმა საინტერესო განცხადება გააკეთა: ჩეხოსლოვაკიის საზღვრის ჩაკეტვამ თავად ჩეხოსლოვაკია გააბა ისეთ მახეში, საიდანაც თავს ვეღარ დააღწევს, რამეთუ პოლონეთი და უნგრეთი საზღვარს არ გახსნიან, თუ ჩეხოსლოვაკია ამ ორი სახელმწიფოს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებსო. ბონემ უპასუხა: ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, შეიძლება ამან ომი თავიდან აგვარიდოსო.

ლონდონში ჩეხოსლოვაკიის დესპანი იან მასარიკი საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს და მიუნხენში კონფერენციის ჩატარების ამბავი აუწყეს. „ამ კონფერენციაზე ხომ ჩემი ქვეყნის ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს, — თქვამან, — თქვენ კი, მგონი, ჩვენს მოწვევას სულაც არ ფიქრობთ, არა?“

მას მკაცრად ჩაჩარეს პირში ბურთი: ამ კონფერენციას მხოლოდ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ დაესწრებიანო, — გააფრთხილეს.

„თუ აგრეა, მაშ, ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირიც უნდა მიიწვიოთ. ბოლოს და ბოლოს, ჩემს ქვეყანასთან ხელშეკრულება რუსეთსაც ხომ აქვს დადებული“, — გაწიწმატდა იგი.

შემცბარმა ლორდმა ჰალიფაქსმა უპასუხა, რუსების მოსაწვევად დრო ვერ მოვიხელთეთო, და თან დასძინა, თუ დაჟინებით მოვითხოვთ ამ კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობას, ჰიტლერს შეუძლია აზრი შეიცვალოსო, მაგრამ ის აღარ უთქვამს, უილსონის რჩევით ჩემბერლენმა რუსეთი მიუნხენის კონფერენციის მონაწილეთა სიიდან რომ ამოშალა¹⁵.

მასარიკმა საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანს გადახედა, რომელსაც სახეზე ადამიანის ფერი არ ედო და წყნარად გადაულაპარაკა: „თუ თქვენ ჩემს ერს მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს სწირავთ, ტაშს მე პირველი დაგიკრავთ, თუ არა და, ღმერთი იყოს თქვენი განმკითხავი“.

მიუნხენის კონფერენცია ადოლფ ჰიტლერის, ბენიტო მუსოლინის, ედუარდ დალადიეს და ნევილ ჩემბერლენის მონაწილეობით 1938 წლის 29 სექტემბერს დაიწყო და ლამის სამის ნახევრამდე არ დამთავრებულა, სანამ მთავრობებმა შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს. ფაქტიურად ყველაფერი ერთ საათში გადაწყდა, რადგან ოთხივე სახელმწიფოს ხელმძღვანელი დარწმუნდა, რომ ჩეხოსლოვაკიის დაქუცმაცებას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. შემდეგ კი გაჩაღდა ვაჭრობა ცალკეულ დეტალებზე.

ადოლფ ჰიტლერს მრავალრიცხოვანი დელეგაცია ახლდა, მათ შორის: საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი და მოქმედი არმიის მარშალი გერმან გერინგი. გერინგს თოვლივით ქათქათა სამხედრო ფორმა ეცვა და ფართო მკერდზე მედლები უჟღარუნებდა. მუსოლინის თავისი სიძე, საგარეო საქმე-

¹⁵ მთელი ამ კრიზისის განმავლობაში რუსები მოითხოვდნენ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად თავიანთი ვალდებულებების შესრულებას (ავტორის შენიშვნა).

თა მინისტრი გრაფი ჩიანო ჩამოეყვანა. დალაღიეს თან ახლდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი, გაქნილი ცინიკოსი ალექსის ლეჟე, რომელიც ამ კონფერენციას ეჭვის თვალთ უყურებდა. ნევილ ჩემბერლენი, როგორც ყოველთვის, სერ ჰორაციო უილსონთან ერთად იყო ჩამოსული.

სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, მთელ მსოფლიოსთან ერთად ჩემბერლენიც გულისფანცქალით ელოდნენ მის შედეგებს. კონფერენცია ფებერჰაუზში ტარდებოდა. მისაღებში პრალის ორი ემისარი განაჩენს უცდიდა. მეორე საათი იწურებოდა, მაგრამ კაცი არ აპირებდა დოქტორ ვოიტერ მასტნის (ჩემოსლოვაკიის დესპანი ბერლინში) და ჰუბერტ მასარჟიკის (ჩემოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი) მიპატიჟებას. მოლაპარაკების დაწყებიდან ოცი საათის შემდეგ სერ ჰორაციო უილსონი მისაღებში გამოვიდა.

„თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, — თქვა მან და მხიარულად გაიღიმა. — მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ პრაქტიკულად ერთმანეთთან საერთო ენა უკვე გამოვანხეთ.“

დოქტორმა მასტნიმ კუშტად იკითხა: „მერე და, რა ბედი გველის?“

„არც ისე ცუდად გაქვთ საქმე, ბატონი ჰიტლერი დათმობაზე წავიდა“. სერმა ჰორაციომ ჩემბერლენის წინ მაგიდაზე რუკა გაშალა. ჩემბერლენმა რუკას თვალი შეავლეს თუ არა, ელდა ეცათ: ჩამოსაჭრელად გამიზნული ჩემოსლოვაკიის ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი წითელი მეღვინით იყო შემოხაზული.¹⁶ მასტნიმ რუკას თვალი ვერ მოსწყვიტა, ბოლმა ყელში მოეხეზინა და იფეთქა: „პირდაპირ აღმაშფოთებელია! ეს უღმობელოება და, ამავე დროს, სულელური ბოროტმოქმედებაა. თქვენ ჩვენს ქვეყანასაც ღალატობთ და თავდაცვის საშუალებასაც გვართმევთ. შეხედეთ ერთი: აი, ჩვენი თავდაცვის ხაზი — აი, აქ, აქაც, აქაც, — მან თითი რუკას დაადო. — ყველაფერი ნაცისტებისათვის გადაგიციათ და ეგ არის!“

უილსონს სახეზე ღიმილი გაუქრა: „ვწუხვარ, მაგრამ კამათს აზრი არა აქვს. მოსმენის დროც კი აღარ მრჩება, უკანვე უნდა შევბრუნდე“.

ესა თქვა და გამწარებულ და სასოწარკვეთილ ჩემბერლენს მაშინვე გაეცალა. ამ დროს ბრიტანეთის დელეგაციას კიდევ ერთი წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საპატიო წევრი ფრენკ ეშტონ გუეტკინი შემოემატა, თუმცა სჯობდა, მაშინ მიუნხენში ფეხი სულაც არ ჩამოედგა. იგი იმ ზაფხულს რენსიმენს ახლდა ჩემოსლოვაკიაში და სუდეტელ ნაცისტთა ლიდერს, კონრად ჰენლაინს არ გასჭირვებია, თვალსა და ხელს შუა გაეცურებინა იგი. საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილ მოხსენებაში ეშტონ გუეტკინი ჰენლაინს ახასიათებდა, როგორც „გულანდილ და პატიოსან ადამიანს“, ეს ნაცისტი კი სწორედ მაშინ ჰიტლერის მითითებით აქტიურ ცილისწამებლურ კომპანიას ატარებდა. ეშტონ გუეტკინი მისაღებ ოთახში შევარდა, რათა უილსონის სიტყვები დაედასტურებინა — მოლაპარაკება დამთავრდა და საერთო ენა გამოვანხულიაო. „უფრო მძიმე შედეგებისთვის უნდა მოემზადოთ, ვიდრე თქვენ ვარაუდობდით“, — დაუმატა მან.

„თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, მარტო ჩვენ კი არა, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთსაც არ დაადგება კარგი დღე, — უპასუხა ჰუბერტ მასარჟიკმა. — ჩვენ ხომ სულით ხორცამდე გვყიდით, მაგრამ თქვენს უშიშროებასაც რომ ძირს

¹⁶ ჰიტლერმა მხოლოდ ის დათმო, რომ 1 ოქტომბრის ნაცვლად ევაკუაცია 10 ოქტომბრისათვის გადაიტანა (ავტორის შენიშვნა).

„უთხრით?! ბოლოს და ბოლოს, გვაძლევთ თუ არა ხმის ამოდების უფლებას?“

„სხვა რომ არა იყოს რა, გულახდილობისათვის მაინც უნდა გადაგვიხადოთ მადლობა, — მკაცრად შეეკამათა ინგლისელი, — განა ასე ადვილია ბატონ ჰიტლერთან მოლაპარაკება? თუ ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, მაშინ თქვენი ურთიერთობა გერმანიასთან თავად მოაწესრიგეთ. არ ვიცი, შესაძლოა ფრანგებმა უფრო თავაზიანად გამოხატონ თავიანთი სათქმელი, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩვენს აზრს ისინიც იზიარებენ. ახლა მათ ჩეხოსლოვაკიის დარდი სულაც არა აქვთ.“

„თუ ასეა, ღმერთმა ხელი მოუშართოთ!“ — წამოიძახა მასტინი.

მოლაპარაკება დამთავრდა. ჰიტლერმა მიიღო ის, რაც სურდა. არც ნევილ ჩემბერლენი, სერ ჰორაციო უილსონი და ჟორჟ ბონე დარჩენილან გულდაწყვეტილი. მიუნხენში შეთანხმების მიღწევის ცნობამ ინგლისსა და საფრანგეთში, ამერიკასა და იტალიაში, თვით გერმანიაშიც კი ხალხს გულიდან ჯავრი გადაჰყარა. ომი თავიდან იქნა აცილებული! იმედგადაწურული გერმანელი ხალხი, შიშით რომ მოელოდა მოვლენების განვითარებას და ჰიტლერის მიერ ომის დაწყებას, დაუფარავი სიხარულით ესალმებოდა ჩემბერლენსა და დალადიეს, ამავე დროს ხოტბას ასხამდა ფიურერის სიბრძნესა და გამჭრიახობას. გერმანელმა გენერლებმა, ჰიტლერის წინააღმდეგ გალაშქრებას რომ აპირებდნენ, განზრახვაზე ხელი აიღეს და, ცოტა არ იყოს ზიზღით, მაგრამ მაინც მოწიწებით უკრავდნენ თავს იმ კაცს, რომელმაც უბრძოლველად მოახერხა ომის მოგება. თვით პრეზიდენტ რუზველტისთანა ნაცად სახელმწიფო მოღვაწესაც კი ეგონა, მიუნხენის შეხვედრამ საერთაშორისო ცაზე საავდრო ღრუბლები გადაჰყარა და ნევილ ჩემბერლენს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. კენედიმ დეპეშა სასწრაფოდ დაუნინგ სტრიტ 10-ში აფრინა. მართალია, კენედი მხარს უჭერდა ჩემბერლენის მთელ საქმიანობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიხვდა, რომ მომავალში ამას სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.

„დეპეშის მიღებისთანავე სასწრაფოდ დაუნინგ სტრიტ 10-ს მივაშურე, მაგრამ წესისამებრ დეპეშა ჩემბერლენს კი არ გადავეცი, თვითონ წავუკითხე. ვგრძნობდი, ერთ მშვენიერ დღეს ეს დეპეშა რუზველტს სულს აუფორიაქებდა, ამიტომ მისი შენახვა გადავწყვიტე“, — იგონებდა მოგვიანებით კენედი.

მიუნხენში ჩადენილმა ბოროტმოქმედებამ მხოლოდ ჩეხებსა და ზოგიერთ შორსმჭვრეტელ ადამიანს ატკინა გული. როცა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელს გადაწყვეტილება ოფიციალურად წაუკითხეს, რაძენიმე დელეგატს ელდა ეცა. ედუარდ დალადიემ, ვინაც თავს დამნაშავედ გრძნობდა (ჩემი თავი იუდა მეგონაო, უთქვამს მას მოგვიანებით), სცადა ლაჩარვით აერიდებინა თავი ამ სანახაობისათვის. იგი თავისი დელეგაციის წევრებს გამოუტყდა, ჩეხთა წარმომადგენლებს თვალს ვერ ვუსწორებო. ისინი კი ისხდნენ და მოთმინებით ელოდნენ თავიანთ განაჩენს. ალექსის ლეჟემ დალადიეს მოზრდილი ჭიქით ბრენდი მიაწოდა, მიირთვით, სასმელი დარღს შეგიმსუბუქებთო.

ნევილ ჩემბერლენს დალადიესავით სინდისი როდი ქენჯნიდა. ამ ცოტა ხნის წინათ მან უდარდელი ტონით საფრანგეთის პრეზიდენტს დაავალა, ჩეხოსლოვაკიაში გაფრენილიყო და მიღებული გადაწყვეტილება ბენეშისათვის პირადად ეცნობებინა. პრემიერ-მინისტრი ვერ მიხვდა, რატომ აენტო ფრანგს თვალები ბრაზით, როცა ამ მისიის შესრულებაზე ცივი უარი განაცხადა (შემდეგ დალადიეს უთქვამს, იმ დღეს მერჩივნა მიწა გამხეთქოდა და თან ჩავეტანეო). ვიდ-

რე საფრანგეთის პრემიერი ძალას იკრებდა, ჩემბერლენმა დელეგაცია კონფერენციის დარბაზში შეიყვანა, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ ჰიტლერი და მუსოლინი ტრიუმფით გამოვიდნენო.

„ჩვენ შეგვიყვანეს დარბაზში, სადაც მანამდე კონფერენცია მიმდინარეობდა, — წერდა შემდეგ მასარჟიკი. — იქ დაგვხვდნენ ჩემბერლენი, დალადიე, სერ ჰორაციო უილსონი, ლეჟე, ეშტონ გუეტკინი. გულისშემალბონებელი ვითარება სუფევდა, გეგონებოდათ ჩვენთვის განაჩენი უნდა გამოეტანათ. ფრანგები აშკარად ნერვიულობდნენ და ცდილობდნენ თავი ღირსეულად დაეჭირათ. გრძელი შესავალი სიტყვის შემდეგ ბატონმა ჩემბერლენმა ტექსტი დოქტორ მასტნის გადასცა“.

მასტნიმ დოკუმენტის კითხვა დაიწყო, რომლის შინაარსი მან შესანიშნავად იცოდა. ჩემბერლენმა სიტყვა ჩაურთო, გადაწყვეტილება შეიძლება გულსატკენი იყოს, მაგრამ მისი შემწეობით ომს გადავურჩითო. შემდეგ კვლავ დასძინა: ასეთუ ისე, დიდი სახელმწიფოები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენო. მასტნი და მასარჟიკი ხედავდნენ, რომ ჩემბერლენი წამდაუწუმ ამთქნარებდა, ეტყობოდა ლაპარაკი კანტიკუნტად ესმოდა.

„დალადიესა და ლეჟეს შევეკითხე, — წერდა მასარჟიკი, — ჩვენი მთავრობის რაიმე განცხადებას ან თანხმობას ხომ არ ელოდებით-მეთქი. დალადიე აშკარად აღელდა. ბატონმა ლეჟემ კი მიპასუხა, ოთხ სახელმწიფო მოღვაწეს საამისოდ რო აღარ დარჩათო. მერე სასწრაფოდ, თითქოსდა სხვათაშორის, დაუმატა: რა საჭიროა პასუხი, როცა გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ჩვენმა მთავრობამ სწორედ იმ დღეს გაგზავნა ბერლინს წარმომადგენელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.¹⁷ ჩები ოფიცერი შაბათს უნდა ჩამოსულიყო პირველი ზონის ევაკუაციის ჩატარებასთან დაკავშირებული დავალების დასაზუსტებლად. მისი აზრით, მსოფლიო საფრთხის წინაშე იდგა. ეს ფრანგი საკმაოდ უხეშად გველაპარაკებოდა.“

გადაწყვეტილება რომ გამოაცხადეს, მასტნის ყველას თვალწინ გული ამოუჯდა, მასარჟიკსაც თვალზე ცრემლი მოადგა. „განა ესმით რას სჩადიან: ჩვენც გვლუბავენ და თავსაც იღუპავენ“, — გადაულაპარაკა თანამემამულეებს.

სერ ჰორაციო უილსონმა ჩემბერლენს გადახედა, მთქნარებისაგან ყბა რომ მოქცეოდა. „წავიდეთ, ბატონებო! — თქვა მან. — უკვე გვიანაა, ალბათ ყველანი ძალიან დაღლილები იქნებით“.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ჩემბერლენი მიბრუნდა და კარისკენ გაეშურა, დალადიეც გაჰყვა.

დილის სამ საათზე სასტუმროში („წელიწადის ოთხი დრო“) დაბრუნებული ლეჟე წინა დღის ამბებს უამბობდა საფრანგეთის დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, სამხედრო-საჰაერო ძალთა ატაშის მოადგილეს კაპიტან პოლ სტელინს.

სტელინმა, ისევე როგორც ლეჟემ, შესანიშნავად იცოდა ამ შეთანხმების სრული ტრაგიკულობა. ერთ დროს იგი პრალაში მუშაობდა. იქ გაიცნო და შეიყვარა ჩებები, ალტაცებული იყო მათი ვაჟკაცური შემართებით, ჯარით, შეიარაღებით, თავდაცვითი ნაგებობებით. თანაც ჩებებს, როგორც საფრანგეთის მოკავშირეებს, დიდ პატივს სცემდა. იქნებ ვითარებაში ვერ ერკვეოდა და ამი-

¹⁷ საერთაშორისო კომისიის მუშაობაში ევაკუაციისა და ტერიტორიის გადაცემის განსახილველად ოთხი სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას (ავტორის შენიშვნა).

ტომ იყო ასე შეშფოთებული? სტელინი მშვენივრად გრძნობდა, რა საბედისწერო იყო საფრანგეთისა და მთელი ევროპისთვისაც ეს უსისხლო დამარცხება, მაგრამ მაინც სჯეროდა, რომ სხვა გზა არ არსებობდა. იმხანად საფრანგეთი ომისათვის მომზადებული არ იყო, ამიტომ არც გამარჯვების იმედი უნდა ჰქონოდა. თუმცა საკითხის ეს მხარე ყველასათვის ნათელი იყო, მაგრამ მიუნხენის კონფერენციას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დროებით თავიდან იქნა აცილებული ომი, რომელიც სტელინს, ისევე როგორც ყველა ფრანგს, შიშისზარსა სცემდა. „ასეა თუ ისე, ამ შეთანხმებამ ცოტა სული მოგვათქმევინა“, — უთხრა მან ლეჟეს.

ლეჟეს ერთხანს ხმა არ ამოუღია, ბოლოს უპასუხა: „რა თქმა უნდა, სული მოგვათქმევინა! ოღონდ ეს იმას ნიშნავს, რომ მარცხი მოგივიდეს“.

ისტორიამ დაადასტურა, რომ ეს საკმაოდ სწორი შედარება გახლდათ.





ქან-ქაკ რუსო

ქიულნი ანუ ახალი ელთიჯა

თარგმნა ნიკა აბიაშვილმა

XXV წერილი

ქიულისაგან

საყვარელო მეგობარო, თქვენი ყარიბობის ამბავი ძალზე მომხიბვლელია; შევიყვარებდი მის ავტორს, თუნდაც ნაცნობები არ ვიყოთ! ოღონდ ცოტათი უნდა დაგტუქსოთ ერთი ადგილის გამო, და მიხვდებით, რომელია ის ადგილი, თუმცა უნებლიეთ მაცინებდა თქვენი ეშმაკობა, — თქვენ ამოეფარეთ ტასოს ზურგს, როგორც ქვის კედელს. ნუთუ ვერ ხვდებით, ხალხისათვის და სატრფოსათვის ბარათების წერა სხვადასხვაგვარი საქმე რომ არის? სიყვარული ისეთი მხდალი რამაა, ისე მგრძნობიარეა, — იგი მოითხოვს უფრო მეტ პატივისცემას, ვიდრე წესიერება გვიკარნახებს. და განა არ იცოდით, ეს სტილი ჩემს სულსკვეთებას რომ არ შეჰფერის? ეგების, ჩემს განაწყენებას ცდილობდით? მაგრამ, ვგონებ, ძალზე გავაჭიანურე ამ უმნიშვნელო საგანზე ლაპარაკი, თანაც ისე გაოგნებული ვარ თქვენი მეორე წერილით, რომ არ ძალმიძს გამოწვლილვით გიპასუხოთ პირველ მათგანზე. მაშ ასე, მეგობარო ჩემო, ვალე სხვა დრო და ჟამისთვის გადავდოთ, ახლა კი ვიკმაროთ ჩვენ-ჩვენი საქმეები, — ისინი მცირე საზრუნავს როდი გაგვიჩენენ.

წინასწარ ვგრძნობდი, თუ რაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდით. ჩვენ ხომ ასე კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, — მაშ ნუთუ საჭიროა ახსნა-განმარტება ყველაზე მარტივ ჭეშმარიტებათა გამო! თუკი ოდესმე ხელს აღგვაგებს სათნოება, მერწმუნეთ, ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ მხნეობა გვიღალატებს, ანდა მსხვერპლის გაღება ვერ შევძელით¹. უეცარი თავდასხმის დროს ერთ-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 1.

¹ როგორც მალე გახდება ნათელი, საეჭვოა, ოდესმე წინასწარმეტყველება ასე რომ არ დამთხვეოდეს მოსახდენ ამბებს.

ბაშადვე იწყებთ წინააღმდეგობის გაწევას; და ვიმედოვნებ, ჩვენ გავიმარჯვებთ, როგორც კი მოწინააღმდეგე გვაიძულებს იარაღს ვკიდოთ ხელი. უფრო საშინელია ის საფრთხე, რაც ჩაგისაფრდება ძილის დროს ანდა საამური-მყუდროების წიაღში. მაგრამ ყველაზე საშიშარია ხანგრძლივ ტანჯვა-წამებათა აუტანელი უღელი; სული უფრო ადვილად უძლებს მწვავე ნაღველს, ვიდრე გაჭიანურებულ სევდას. აი, მეგობარო ჩემო. რაოდენ მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიხდება ამიერიდან. მოვალეობა ჩვენგან გმირულ შემართებებს კი არ მოითხოვს, არამედ გმირულ სიმტკიცეს განუწყვეტელ ტანჯვა-წამებათა წინაშე.

ძალზე კარგად ვგრძნობდი წინასწარ ყოველივე ამას. ელვასავით გაიციალა უდარდელი ბედნიერების ჟამმა. დადგა ჟამი სიღუბჭირისა, და, ვინ იცის, როდისღა განქარდება იგი! ყველაფერი მალეღვეებს და მადარდიანებს; სულს დაეუფლა საშინელი ურვა-წუხილი. ასე მგონია, სატირალი არაფერი მაქვს-მეთქი, უსიამოვნო ცრემლები კი უნებლიეთ დაპალუბით მომცვივა თვალთაგან. მომავალი არ მაშინებს გარდუვალი ვაი-ვაგლახით; მაგრამ მასულდგმულებდა იმედი, ის კი დღითიდღე ქრება. ვაგლახმე! აბა რად ვაპკუროთ წყალი ფოთლებს, როცა თავად ხე ძირშია მოკვეთილი?

ვგრძნობ, საყვარელო მეგობარო, რომ ველარ გავუძლებ ძნელზე ძნელ კიდევანობას! იმე აღარ ძალმიძს უშენოდ სიცოცხლე — ყველაზე უფრო აი რა მაძრწუნებს. დღეში ასგზის მაინც დავხეტილობ იმ სანახებში, სადაც ერთად გვივლია ბევრხელ. ოღონდ იქ ველარ გხედავ. გელოდები დათქმულ საათზე, მაგრამ დრო-ჟამი მიქრის, შენ კი არ ჩანხარ. ირგვლივ ყოველი შენ თავს მაგონებს, თითქოს ჩამძახის, რომ დამეკარგე. შენ ვერ მიხვდები ამ საშინელ წამებას. მხოლოდ გული გეტყვის, შორს რომ ვარ შენგან. აჰ, ნეტავი გაცოდინა, რომ განშორება უფრო აუტანელია იმისთვის, ვინც რჩება, მაშინ მიხვდები, ჩემს მდგომარეობას შენი ყოფა რომ ჯობია.

რომ შემძლებოდა ჩივილი. ჩემთა ტანჯვათა გამომჟღავნება, გულის გადაშლა, შვებას ვიგრძნობდი. მაგრამ უნდა ჩავახშო ყოველი ჩემი კვნესა — და მხოლოდ ზოგჯერ ფარულად აღმოვუტევებ ოხვრას — დაიკოს მკერდზე მიხუტებული. უნდა შევიკავო ცრემლი. უნდა გავიღიმო. თუმცა ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებას.

Sentirsi, on Dei, morir;

E non poter mai dir:

„Morir mi sento!..“¹

და რაც ყველაზე უარესია, ეს გულისტკივილი აარჯლებს ჩემს დარდს, და რაც უფრო მეტად მანადვლიანებს შენი მოგონება, მით უმეტეს ესაღბუნება ჩემს სულს და გულს მისი მოხმობა. მარქვი, მეგობარო ჩემო, საყვარელო მეგობარო. განაღა იცი, თუ რაოდენ სათუთ გრძნობას აღმიძრავს გულში კაეშანი და რა ძალ-ღონეს ჰმატებს სიყვარულს ურვა-წუხილი?

ბევრი რამ მსურდა მემცნო თქვენთვის, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ

¹ ოი, ღმერთებო, სიკვდილისა ჟამს
თუნდ ერთხელაც კი ნუ იტყვი ამას:
„მე ვკვდები!..“ (იტალ.).

იმაზე, ჯობს დავიცადოთ-მეთქი, სანამ ზუსტად არ მეცოდინება, სად იმყოფებით ამჟამად, საერთოდ არ შემიძლია განვაგრძო წერა — ისე შეძრწუნებულია ჩემი სული. ნახვამდის, მეგობარო ჩემო! ვამთავრებ წერილს, მაგრამ უწყოდეთ — თქვენზე ფიქრს კი ვერ მოვათავებ.

ბ ა რ ა თ ი

უცნობი მენავის ხელით გიგზავნი ამ ბარათს ჩვეულებრივი მისამართით, რათა გამცნოთ, რომ გადავწყვიტე დავევანო გამოღმა ნაპირას, მეიერიში: თავს შევიქცევ თუნდაც იმ მიდამოთა შორიდან ცქერით, მიახლოებას რომ ვერ ვუბედავ.

X XVI წერილი

ქ ი უ ლ ი ს ა დ ე ი

ო, როგორ შეიცვალა ჩემი ყოფა ამ რამდენიმე დღეში! ახლოსა ვარ თქვენგან, მაგრამ რაოდენი სიმწარე ურევია ამ სიხარულში! შემომეჯარა მწარე ფიქრები! წინასწარ ვჭვრეტ უამრავ სახიფათო დაბრკოლებას! ო, ყიული! ზენაარსის რა საბედისწერო საბოძვარი ყოფილა მგრძნობიარე სული! ვინც ამ საბოძვარს ფლობს, ამ სამშეოში მარტოოდენ შეჭირვება და ვაი-ვარამი აქვს გამზადებული. იგი ტაროსისა და წლის დროთა უბადრუკი სათამაშოა; მის ბედ-იღბალს განაგებენ მზე თუ ნისლი, პირქუში თუ ელვარე ზეცა, და ქართა ნება-სურვილით ის ან კმაყოფილია, ანდა სულით მჭმუნვარე. იგი ცრურწმენათა მსხვერპლია, და სულელური ცრურწმენანი გადაულახავ ზღუდეს აღმართავენ მისი გულის სამართლიან მისწრაფებათათვის. ადამიანები დასჯიან მას თამამ შეხედულებათა გამო, იმის გამო, რომ ყოველივეს სინდისიერად განიკითხავს, თანაც უგულვებელყოფს პირობითობას. ამრიგად, თვითონვე იგდებს თავს ზიფათში. აინუნშიაც არ მოუვა კეთილგონიერება და ეთაყვანება ყოველივე იმის ღვთაებრივ მშვენიერებას, რაიც კეთილშობილურია და თვალწარმტაცი, მაშინ, როდესაც აუცილებლობის მიძიმე ბორკილით ყოველგვარ უკეთურობასთანაა მიჯაჭვული. იგი მოისურვებს კიდევ უზეშთაეს ნეტარებასა და განცხრომას, მაგრამ დაივიწყებს, ადამიანი რომ არის; მისი გული და გონება წამდაუწუმ ერჩოლებიან ერთმანეთს, ხოლო უკიდევანო საწადელი მარტოოდენ დაუსაბამო გულნაკლულობას განუმზადებს.

აჰა, ვითარ შთამაგდო ესრეთს იწროებაში ჩემმა დამთრგუნველმა ყისმათმა და ჩემმა დიდებით მმოსავმა ტრფიალებამ, ჩემმა მოძულე მამაშენმა, შენაც თავად—სიცოცხლის ჩემის სიხარულმა და გულის დარღმა. შენ რომ არ იყო ამქვეყნად, ოი, ჩემო შავბედითო სიყვარულო, ვერასოდეს შევიგრძნობდი, თუ რაოდენ გაუსაძლისი ყოფილა წინააღმდეგობა მაღალის სულის მექონ ადამიანსა და დაბალ საზოგადოებრივ მდგომარეობას შორის. მე ხომ არხეინად ვიცხოვრებდი, და იგულსავსეც მოვწყდებოდი საწუთროს, არც კი გავიფიქრებდი, რა წონა და ფასი მაქვს-მეთქი ამ ქვეყანაზე. მაგრამ რაილა ბედენაა, შენ შემოგყურებდე და ხსნა არსით ჩანდეს შენს დასაუფლებლად, შენს სათაყვანოდ, — ღვთაებად ვსახავდე, თავად კი უბრალო მოკვდავი ვიყო! მეტრფოდეს ვინმე და არ კი გამაჩნდეს ბედნიერების უფლება! შენთან ვცხოვრობდე ერთ ქვეყანაში და არ შემეძლოს შენთან ერთად სიცოცხლე! ოი, ყიული, არ ძალმიძს შენზე ხელი ავიდო! ო, ჩემო სვე-ბედო, ძალი არ შემ-

წევს შენ გგანაგებდე. აბა რა საშინელ შინაბრძოლაში გამხვიე, მე ხომ ვერა-სოდეს დავიოკებ ვერც ჩემს სურვილებს, ვერც ჩემს უმწეობას!

ეს რა უცნაური და წარმოუდგენელი ამბავია — მას მოღმა, რაც თქვენს ახლოს დავესახლე, ჩემი გონება მარტოოდენ შავბნელი აზრებითაა აღსავსე. იქნებ, თვით ეს მიდამო მგვრის კაეშანს. რა პირქუში, დაღვრემილი ადგილია; მაგრამ იგი ყველაზე უფრო შეჭფერის ჩემს გუნება-განწყობილებას. და, მართლაც, ვერც კი ავიტანდი უფრო ნაკლებად შავბნელ მიდამოებში სიცოცხლეს. პიტალო კლდენი ჩამწკრივებულან ნაპირ-ნაპირ და გარს ერტყმიან ჩემს სავანეს, ასე მიუსაფარი რომაა ზამთრობის ჟამს. ჰეა, ჩემო ქიული! აბა რას ვაქნევ სხვა არემარეს, რად ვინატრო წლის სულ სხვა დრო-ჟამი, თუკი ბედმა მარგუნა შენზე ხელის აღება! —

რალაცნაირი უსაშველო მღელვარება არ მაყენებს ერთ ადგილას. სულ სადღაც მივისწრაფი. სულმოუთქმელად დავძვრები მთებში. ვცოცავ კლდეებზე, სწრაფად დავაბიჯებ ამ სანახებში, მაგრამ პირქუში ლანდშაფტი ყველგან მხოლოდ ეხმაურება ჩემს უწყალო სევდას. უკვე არსაით ჩანს ამწვანებული კორდი, ბალახი ჩაყვითლდა და დაჭკნა, ხეებს ფოთლები ჩამოსცვივდათ. ზენა ქარმა და გამთოშავმა ბორიომ მორეკეს თოვლის ნამქერი და დაზვინეს ყინულთა მთები; ირგვლივ მკვდარია მთელი ბუნება, ისე როგორც იმედი ჩემს გულსა შიგან.

აქვე, სანაპიროზე, კლდეთა შორის გამოვნახე განმარტოებული კუთხე — მომცრო მოედნისებრი რამ ადგილი, საიდანაც მოჩანს ღვთივკურთხეული პატარა ქალაქი, თქვენი საცხოვრისი. თავადვე განსაჯეთ, რაგვარის მოშურნეობით მივაპყრობ ხოლმე მზერას ჩემი გულისთვის ესდენ საიასალო მიდამოებს. პირველ დღეს დიდხანს ვცდილობდი თქვენი სახლის პოვნას; მაგრამ შორს მიკარგულიყო, და ყოველივე ცდა ამო აღმოჩნდა — ჩემი დამაშვრალი თვალეები წარმოსახვამ მოიფადილა. ანაზღად მღვდლისკენ გავეშურე, ჭოგრიტი ვთხოვე და მისი წყალობით თვალი ვკიდე — უკეთ — დავიჯერე, თითქოს თქვენ სახლს ვხედავდი უკვე. და მას შემდეგ მთელი დღეები იმ ბიამან ადგილას ვარ შეფარებული და ვჭვრეტ ღვთივკურთხეულ კედლებს, რომელთა შიგნით დავანებულა ჩემი სიცოცხლის დასაბამი და სიხარული. ავდრის ჟამსაც კი, დილდილობით მივდივარ იქ და მხოლოდ შეღამებისას ვბრუნდები უკან. ხმელი ფოთლებისა და ფიჩხის კოცონი, თანაც სწრაფი სიარული მიფარავენ სასტიკი სიცივისაგან. ისე შემიყვარდა ეს უდაბური სავანე, რომ აქ მომაქვს ხოლმე საწერელი და ქალაღი, და აჰა ხელვყავ შენდა წერად ქვაზე, ახლომდებარე ტინი კლდიდან ყინულის ლოდს რომ ჩამოუხეთქია.

ჩემო ქიული, სწორედ აქ განიცდის შენი ბედშავი მეგობარი, იქნებ უკანასკნელ სიხარულსაც კი, ამ საწუთროში მას რომ არგუნეს. ცდილობს შენს სანთიობოში ფარულად შემოჭრას — ჰაერისა და სქელ-სქელ კედელთა შიგნით, შენი წარმტაცი ნაკვთები კვლავ განაცვიფრებენ მას, უნაზესი მზერა შთაბერავს სიცოცხლეს მის მოქანცულ გულს; მის ყურთ შთაესმის შენი საყვარელი ხმის ბგერანი, სურს გაკადნიერდეს და კვლავ ჩაგიკრას გულში, დატკბეს იმ მომხიბვლელი ნეტარებით, მას ჟამსა შინა რომ იგემა წარაფში. მხოლოდ ეგ არის მარტოოდენ ვნებათა ღელვით ჟინატეხილი, მშფოთვარე სულის ბედითი ბოდვა. აქ ვაიძულებ თავს გონს მოეგოს და

ვცდილობ საერთოდ წარმოვიდგინო შენი უმწიკვლო არსებობა. შორიდან ვადევნებ თვალყურს, თუ როგორ ატარებ მთელ დღეს ნაირფეროვანი საქმიანობით, — ოდესღაც ხომ ბედმა გამიღიმა და გავხდი ამ ამბის მოწამე, — გხედავ საზრუნავით დატვირთულს, და მიასკეცდება შენი პატივისცემა. ხოლო შენი დაუშრეტელი სიქველე გულს მიჩუყებს და აღტაცებას მგვრის. აი ამ წუთს, განთიადისას, ვეუბნები ჩემ თავს, იგი იღვიძებს-მეთქი მშვიდი ძილისაგან, პირისახე ვარდივით ალყავებია, სულს დაუფლებია ჩუმი სიხარული, შემოქმედს შესწირავს მთელ დღეს, რაიცა არ იქნება დაკარგული სათნოებისთვის. აჰა, ისა დგას დედამისის საწოლ ოთახში, მშობლებს უზიარებს თავისი გულის მთელ სინაზეს; ეხმარება მათ მეოჯახეობაში; იქნებ, ანუ-გეშებს კიდევ დაუღევარ მსახურს, ფარულად არიგებს და ჭკუას ასწავლის, ხოლო, შესაძლოა, ესარჩლება კიდევ შემცოდეს. აგერ გულდასმით შედგომია ხელსაქნარს; გონებას იმდიდრებს და იფართოებს სასარგებლო ცოდნით, იფაქიზებს დახვეწილ გემოვნებას, ტკბება ხელოვნების ნატიფი ქმნილებებით, და ცეკვა-თამაშით ივითარებს ბუნებრივ სინარნარეს. ანდა ვხედავ სადა და ლამაზ ხილაბანდს მის კოხტა თავზე, თუმც სულაც არ სჭირდება იგი. ხანდა-ხან აქედან თვალსა ვკიდებ, თუ როგორ ეთათბირება ჩემი ყიული პატივისცემ მოძღვარს, ოდეს სურს გაიკითხოს უპოვარი ოჯახი, სირცხვილეული რომ ითმენს სილატაკეს. ხან ხელს უწვდის ანდა ნუგეშსა სცემს ბეჩავ ქვრივს და ყველასაგან მივიწყებულ ობოლს. ზოგჯერ გონივრული და მოკრძალებული სიტყვით ხიბლავს დარბაისლურ საზოგადოებას; დროდადრო, დობილთა შორის მომღხინარე, განსმჯელობისა და ზნეკეთილობის გზასა ზედან აყენებს დაუდგრომელ სიყმაწვილეს. ჟამითიჟამად... აჰ, მხოლოდ ნუ გამიჯავრდება! ჟამითიჟამად ვხედავ წარმოვიდგინო, თუ რას ფიქრობ ჩემზე. ვხედავ, შენი გულთბილი მზერით როგორ ჩასცქერი ერთ-ერთ ჩემ ბარათს; ალერსიან და მიბნედილ თვალებზე გატყობ, შენი სვებედნიერი მეგობრისათვის გასაგზავნი ბარათის სტრიქონებს რომ თხზავ და გულითადი მღელვარებით მოუთხრობ მის ამბავს შენს დაიკოს. ო, ყიული! ყიული! ნუთუ ჩვენი შეუღლება შეუძლებელია! ნუთუ გზანი ჩვენი ცხოვრებისა გაიყრებიან და სამუდამაჟამოდ განვმორდებათ ერთმანეთს? არა, ამ საშინელ აზრს აღარასოდეს გავივლებ გულში! უცებ, მოსიყვარულე გულის პატრონი, მძვინვარე ვხდები. ხელქმნილი დავძრწი მღვიმიდან მღვიმეში; ჩემს უნებლიეთ იგულიდან აღმოვუტევებ კვნესას და გოდებას. ვბრდღვინავ, როგორც გაშმაგებული ძულომი. ყველაფერსა ვიქმ — გარდა ერთისა: არ ძალმიძს შენზე ხელი ავიღო. დამერე რას არ ჩავიდენ, რას არ ვიზამ, ოლონდ კი შენ დაგეუფლო ანდა უმაღსული დავლიო!


ამ სიტყვებით დავამთავრე წერილი და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას ველოდი, როცა ანაზღად სიონიდან მომივიდა შენი ახალი უსტარი. იგი აღსავსეა საშინელი სევდით, ჩემ ვაი-ვარამს რომ აოკებს! ხშირად გითქვამთ და აი გასაოცარი მაგალითიც იმისა, რომ მართლაც არსებობს სულთა ჩვენთა კავშირი შორ მანძილზე. გამოგიტყდებით, თქვენი დარდი უფრო მომთმენარეა, ხოლო ჩემი ბევრად მძვინვარე, მაგრამ ერთმა და იმავე გრძნობამ ხომ ადამიანის ზნე-ხასიათის დარად უნდა მიიღოს ელფერი, და ვინც უფრორე მეტსა ჰკარგავს, სწორედ ყველაზე უფროისად ის იტანჯება, მაგრამ რას ვამბობ — ჰკარგავს-მეთქი! განაღა-თუ შესაძლოა ასეთი დანაკლისი! დასასრულ უწყო-

დე, ქიული ჩემო, ჩვენ ერთმანეთისათვისა ვართ გაჩენილნი, — ესაა ზენა-არსის გარდაუვალი ნება-სურვილი, უმაღლესი კანონი, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ; ცხოვრების მთელი მიზანი ხომ ისაა — შევუკავშირდეთ იმ ადამიანს, ვინც ამ ცხოვრებას საამურად გადააქცევს ჩვენთვის. ვხედავ. გულსევდიანი ვხედავ, თუ როგორ ცდები, როცა განუხორციელებელ გეგმებს ეპოტინები. იმედოვნებ დაძლიო გადაულახავი დაბრკოლებანი, — უგულვებელყოფ ერთადერთ საშუალებას მიზნის მისაღწევად; კეთილშობილური აღფრთოვანებით აღტყინებული — უგუნური ხდები; შენი სათნოება მარტოოდენ სიგიჟეა და სხვა არაფერი.

აჰ, უკეთუ მუდამჟამს შეგეძლოს ასეთი ახალგაზრდა და თვალწარმტაცი დარჩე, როგორც ახლა ხარ, ზენაარსს მხოლოდ იმას შევევედრები, სამარადისოდ ბედნიერი იყო, — წელიწადში მარტო ერთხელ გინახულვდი, მთელ სიცოცხლეს ამ კლდეთა შორის გავატარებდი, გაგაღმერთებდი და შორიდან ვუმზერდი შენ სახლს. მაგრამ, ვაგლახ-მე, შეხედე, როგორ მაღიად, სულმუდამ შეუჩერებლივ რბოლავს ეს მნათობი; ის მიქრის, წლები გარბიან, დროჟამიც იწურება, შენს სილამაზეს — თვით შენს სილამაზესაც კი — ბოლო მოეღება. დადგება ჟამი, და იგი დაჭკნება და გაქრება — ასე დასცვივა ფურცელი მოუწყვეტელ ყვავილს. მე კი ამასობაში დავიტანჯები, ჰმუნვით აღვსილი. სინორჩეს ჩემსას გულმდულარე ცრემლთა ნაკადი დაალტობს, ზაფრა გასტანჯავს. აბა იფიქრე, ჩემო ქიული, განცხრომის რამდენი წელი დაგვეკარგა ამოდ. კარგად იფიქრე, მათ ველარ დავაბრუნებთ, — ხოლო ახლა თუ ვერ მოვიცალეთ ამისთვის, ასე იქნება შემდგომ წლებშიც, რაცლა გვშთენია საარსებოდ. ო, შენ ბრმობილი ხარ, მოყვარევ ჩემო! მიელტვი ამოდ ბედნიერებას და იმედი გაქვს იმ დროჟამისა, როცა უკვე აღარ ვიქნებით ამ ქვეყანაზე. ზრუნავ შორეულ წარსულზე და ველარ ამჩნევ, ჩვენ რომ ვიდაგებით და ტრფიალებისა და ტანჯვათაგან დადაგული ჩვენი სულები კნინდება და იშრიტება წყაროს წყალივით. გონს მოეგე, ვიდრე გვიან არ არის. გონს მოეგე, ჩემო ქიული, ცდომილება დამლუბველია. ხელი ალაღე ყოველნაირ შენს გულსთქმას და იგემე ბედნიერება. მოვედ, ო, სულო ჩემო, გულს ჩაეკარ შენს მეგობარს, დაე შეერთდეს არსების ჩვენის ორივე ნახევარი! მოვედ და ჩვენი კიდევანობის მფარველის ჩვენთა ფიცთა მოწამის — ზენაარსის წინაშე აღვუთქვათ ურთიერთს — ვიცოცხლოთ და მოვკვდეთ ერთმანეთისათვის. ვიცი, სილარიბე რომ ვერ შეგაძრწუნებს. ამას ჩემი რჩევა-დარიგება როდი სჭირია. მაშ, ვიყოთ ბედნიერნი, და თუნდაც ლუკმაპური გვენატრებოდეს. აჰ, რა საუნჯეს მოვიპოვებდით! ნუ შეურაცხყოფთ კაცობრიობას, ნუ ვიფიქრებთ, თითქოს დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდეს კუნჭული ორი უბედური მიჯნურისათვის. მკლავი მერჩის და ღონეც, ჩემი შრომით მოპოვებული პური სანადიმო ხორაგეულზე გემრიელი მოგეჩვენება. და განათუ უგემური იქნება სიყვარულით შენელებული საზრდელი! ეჰა, ჩემო სათუთო, სასურველო საყვარელო, ნუთუ ბედმა გვარგუნა მხოლოდ წამიერი ბედნიერება. ნუთუ ისღა გინებს გაეყარო საწუთროს ისე, არ განიცადო ნეტარება?

ო, ქიული, მხოლოდ ერთს დავუმატებ. კარგა უწყით, ძველად ლევკადეს კლდე უბედურ შეყვარებულთა უკანასკნელი დასაყრდენი რომ იყო. აქ ბევრია მისი მსგავსი: კლდე ციცაბოა, წყალი ღრმა, — მე კი სასოწარკვეთილი ვარ.

(გაგრძელება იქნება)



ზურაბ კიკნაძე

შენიშვნები ჰერმან ჰესეს ბროშურაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“¹

გერმანელი მწერლის ამ მცირე ნაშრომს ვაკავშირებთ მის ეპოქალურ რომანთან *Das Glasperlenspiel* („თამაში რიოში მარგალიტებით“), თუმცა ისინი თავისი მნიშვნელობით ერთმანეთის შეუწონადია. ბროშურა პრაქტიკულ მიზანს ემსახურება, ხოლო რომანი, მძიმე პრობლემატიკით დატვირთული, მოგვითხრობს ადამიანის შემოქმედებით უნართა და სულიერ ღირებულებათა მომავალ ტრაგიკულ ბედზე.

რომანში აღწერილი პროვინცია, კასტალიად სახელდებული, სადაც თავშესაფარი უპოვია და სინთეზში მოქცეულა კაცობრიობის სულიერი კულტურის სხვადასხვა გამოვლინებანი, შეიქმნა ძველი ევროპის შუაგულში ე. წ. „ფელეტონური“ (სხვანაირად „გაზეთური“) ეპოქის შემდეგ. მაგრამ რომანში რეტროსპექტულად წარმოდგენილი ეს ეპოქა სწორედ ის დროა, რომლის შვილი თავადვე იყო ჰ. ჰესე, ოღონდ მასზე მაღლა მდგომი, როგორც ყოველადიდი შემოქმედი, ვითარცა ზედროულ კულტურულ ღირებულებათა ორგანულად ამოვსებელი და მატარებელი პიროვნება.

ერთმა თანამედროვე ფრანგმა სოციოლოგმა იმ ეპოქას, სადაც ახლა კაცობრიობას უხდება ცხოვრება და გერმანელი მწერლის მხატვრულმა გუმანმა დიდი ხნის

წინათ განვლილ პერიოდად და კაცობრიობის უკეთესი ნაწილისთვის გადალახულად წარმოსახა, „მოზაიკური“ (ორგანულის საპირისპიროდ) კულტურის ხანა უწოდა გერმანული რომანის გამოქვეყნებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ დაწერილ წიგნში (ა. მოლი, კულტურის სოციოლოგია, პარიზი, 1967; მოსკოვი, 1973).

მხატვრული განჭვრეტა და მეცნიერულ-სტატისტიკური ანალიზი თანადროული მსოფლიო კულტურის ტენდენციების ერთ-სა და იმავე სურათს გვიშლის თვალწინ. საკმარისია მოვიტანოთ ცალკერძ მწერლისეული და ცალკერძ მეცნიერისეული განსაზღვრებანი იმ კულტურისა, რომელსაც ერთი „ფელეტონურს“ არქმევს, ხოლო მეორე — „მოზაიკურს“:

„გულახდილად რომ ვთქვათ, შეუძლებელია ცალსახა დეფინიცია იმ პროდუქტისა, — წერს ჰესე, — რომლის მიხედვითაც ჩვენ სახელს ვარქმევთ მთელს ეპოქას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ფელეტონი“, ვითარცა განსაკუთრებულად პოპულარული სახე პუბლიკაციებისა ყოველდღიურ გაზეთებში, მილიონობით იწარმოებოდა და წარმოადგენდა განათლებას მოწყურებული საზოგადოების სულიერ-საზრდოს...“

ხოლო სოციოლოგი წერს: „რიგითი ადამიანის გონებრივ კვებაში დღეს გაცილებით

¹ Hermann Hesse, Eine Bibliothek der Weltliteratur, Reclam Leipzig,

დიდი როლი უჭირავს იმას, რასაც იგი აფიშაზე კითხულობს, ან რადიოთი ისმენს, კინოში ან ტელევიზორში ნახულობს, რასაც გაზეთში კითხულობს სამსახურისკენ მიმავალი ან რასაც თანამშრომლებთან და მეზობლებთან საუბარში შეიტყობს...“ „აუცილებელია შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ჩვენ მოზაიკური კულტურის გარემოცვაში ვცხოვრობთ, რომ სწორედ ეს კულტურა განსაზღვრავს ჩვენს ქცევებს და რომ კარგად ორგანიზებული და უნივერსალურ ლოგიკაზე დაფუძნებული აზროვნება ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ ის დაკარგული იდეალია, რომლის გამო მხოლოდ სინანული თუ გვმართებს“.

მაინც როგორია ეს კულტურა? სოციოლოგი ირონიისა და თითქოს სინანულის გარეშე აღნიშნავს სავალალო ფაქტს: „კულტურის ის სახე, როგორიც შეიძლება წარმოვიდგინოთ კბილის ექიმის მისაღებში დახვავებული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით, საბოლოო ჯამში უფრო სარწმუნო პორტრეტი იქნება დღევანდელი კულტურისა, ვიდრე თანამედროვე ხელოვნებათა მუზეუმში ან პოლ ვალერის თხზულებათა სრული კრებული“.

ასეთია სოციოლოგის განაჩენი. მაგრამ ადამიანის სულიერი ძალა და მისი ინტელექტუალური მისწრაფებანი იმ თვისებისაა (და ამაშია მისი გამართლება), რომ იგი მუდამ მიმართულია უხეში ფაქტებისა და ტენდენციების წინააღმდეგ და მათი დაძლევის ძალიც შესწევს. და ჰესემაც თავის რომანში ხორცი შეასხა იდეალურ კასტალიას, როგორც რეაქციას დეგრადირებული კულტურის წინააღმდეგ. იხსნიდა თუ არა გარესამყაროსაგან მოწყვეტილი კასტალია—ინტელექტუალური ელიტის სამშობლო—ორგანულ და სინთეზურ კულტურას, სხვა საკითხია. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რასაც თავად ავტორი აღიარებს: „ბევრს პოეზით იმგვარი ყაიდის ადამიანთ, რომელთათვისაც კასტალია ისეთივე რეალობაა, როგორც ჩემთვის“, ან კასტალია „არის არა მომავალში ნაგულები, არამედ მარადიული, პლატონისეული, სხვადასხვა ხარისხით უკვე ამქვეყნად დიდი ხნის წინათ აღმოჩენილი და ხილული იდეა“. ამგვარად, კასტალია—მითურ მუხათა წყაროსთვალი — ყოველი ადამიანის ბუნებაში ძვეს პოტენციურად, იგია „წყარო დაბეჭდული“, რომლის მხოლოდ-და გახსნაა საჭირო. ეს აქტი კი უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალური ხასიათი-

საა და კულტურის ხსნაც გაღვიძებულ ინდივიდთა ხვედრია.

აქ ცხადდება არსებითი განსხვავება მეცნიერის ცივ, მხოლოდ ფაქტებზე დამყარებულ განსჯასა და მწერლის იმედიან განცდას შორის.

„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში“, ბუნებრივია, ეს პრობლემატიკა მთელი სისავსით არ დგას, მაგრამ ის კი იგრძნობა, რომ მისი სული კასტალიიდან არის მონაქროლი. ბროშურა პოპულარულ ასპექტში გვისახავს ორგანულად განვითარებული ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ საშუალებას.

„იმ გზათაგან, — წერს ჰესე, — რითაც ადამიანის ნამდვილი ფორმირება (Bildung) მიიღწევა, ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო მწერლობის შესწავლა, თანდათანობითი ათვისება იმ უსაზღვრო საუნჯისა, გარდასულმა დრომ მრავალი ხალხის მოაზროვნეთა და მწერალთა ნაშრომების სახით რომ დაგვიტოვა. ეს გზა უსასრულოა, ვერავინ შესძლებს ოდესმე ბოლომდე შეიცილოს თუნდაც ერთი რომელიმე დიდი კულტურული ხალხის მთელი მწერლობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელი კაცობრიობის ლიტერატურულ მონაგარზე. მაგრამ თუკი ერთხელ მაინც მოვახერხეთ და ბოლომდე ჩავწვდით რომელიმე დიდი მოაზროვნის ან პოეტის თხზულებას, მიზანი ერთგვარად უკვე მიღწეული იქნება — ჩვენ შევიძენთ არა მკვდარ ცოდნას, არამედ დაგვეუფლება ამ სულიერ სამყაროსთან თანაზიარობის ცოცხალი განცდა. მთავარი ის კი არ არის, რომ რაც შეიძლება მეტი წავიკითხოთ, არამედ მსოფლიო მწერლობის შედეგრთა საშუალებით, რომელთა კითხვაში გავატარებთ ჩვენს თავისუფალ დროს, სრული წარმოდგენა შევიქმნათ კაცობრიულ ფაქტებსა და მისწრაფებებზე, გავიმსჭვალთ კაცობრიობის სულიერი ცხოვრებითა და ვიგრძნოთ მისი გულისცემა. ამაში მდგომარეობს ბოლოს და ბოლოს ცხოვრების აზრი, რამდენადაც იგი არ იქნება ჩაყენებული მხოლოდ ყოველდღიურ, უხეშ საჭიროებათა სამსახურში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგვფანტოს, დაგვაბნოს კითხვამ; პირიქით უნდა დაგვაუნჯოს, გზა კი არ უნდა აგვირიოს და უსარგებლო ოცნებებში კი არ უნდა ჩაგვძიროს, არამედ უფრო სრულყოფილი და უფრო მაღალი აზრი უნდა მიაწოდოს ჩვენს წარმავალ ცხოვრებას“.

მწერალი ანგარიშს უწევს მისი თანადროული ცხოვრების ტენდენციებს და ეპოქის სულს, მის მიერ „ფელეტონურის“ სახელით მონათლულს, და ამიტომაც გულისტკივილით დასძენს: „თანადროული მსოფლიო წიგნებისადმი ერთგვარ გულგრილობას იჩენს. ბევრ ახალგაზრდას ნახავთ, სასაცილოდ და არასაჭიროდაც რომ მიაჩნია წიგნების სიყვარული და ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრებას რომ ამჯობინებს მას. მათი ფიქრით, კაცის სიცოცხლე იმდენად ხანმოკლეა, რომ არ ღირს წიგნების კითხვას შეეწიროს ძვირფასი სასიცოცხლო დრო. ისინი ამჯობინებენ, მრავალი საათი გაატარონ კაფეებში და საცეკვაო მოედნებზე და კიდევ პოულობენ საამისოდ დროს. შესაძლებელია, დღეს უმაღლეს სასწავლებლებსა და წარმოებებში, ბირჟებზე და გასართობ ადგილებში „რეალური“ ცხოვრება დუღდეს, მაგრამ ნამდვილ ცხოვრებასთან უფრო ახლოს მაშინ ვიქნებით, როცა მოვახერხებთ და ყოველდღიურად ორიოდ საათის განმავლობაში რომელიმე უძველეს ბრძენთან ან პოეტთან დავრჩებით პირისპირ. იქნებ, ბევრი კითხვა საზიანოდ იყოს და, შესაძლოა, წიგნები უპატიოსნო კონკურენციას უწევდნენ ცხოვრებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე არავის დავუშლიდი წიგნებისადმი ერთგულებას“.

ადამიანის ჭეშმარიტი განვითარება და ფორმირება, რაც უპირატესად სერიოზული და გააზრებული კითხვით მიიღწევა, ჰესეს აზრით, უსასრულო პროცესია თავისთავად. ერთსა და იმავე დროს იგი მიზნის აღსრულებაც არის და გაუთავებელი სწრაფვაც. მიზანი ყოველთვის ახლოა, მაგრამ არსად ამოიწურება. შეცნობა წარსული კულტურის მონაპოვართა, რომელიც საწილობრივ წიგნებშია დაუნჯებული, ეხმარება ადამიანს, რომ ამაო ცხოვრებას მნიშვნელოვანი აზრი მიანიჭოს, ახსნას წარსული, ხოლო მომავალს უშიშარი მზადყოფნით წარუდგეს. ადამიანი უნდა შეეცადოს, შეკრას წრე დასაბამიდან თანადროულამდე, რათა კაცობრიული კულტურა, რამდენადაც შესაძლებელია, ზედროულობაში წარმოიდგინოს და საკუთარი ცხოვრების არსად განიცადოს.

ამ მცირე ბროშურის ავტორის, მწერლისა და თავად დაუღალავი მკითხველის პათოსი მიმართულია გააზრებული და არჩევითი კითხვისაკენ, როგორც ნამდვილი განვითარების საწინდრისაკენ. „კითხვა მაღალი აზრით, — წერს იგი, — მხოლოდ და

მხოლოდ მსოფლიო მწერლობის შედეგებიდან ისწავლება და არა გაზეთებიდან ან ყოველდღიური შემთხვევითი ლიტერატურიდან“.

როდესაც ჰესე მსოფლიო ლიტერატურის რჩეულს სთავაზობს გერმანელ ახალგაზრდას, თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ენაზე არსებობს თარგმნილი ლიტერატურის გარკვეული მარაგი, საიდანაც იგი შედეგებს გამოარჩევს. ხოლო რაც უფრო სრული იქნება ეს მარაგი, ცხადია, მით უფრო თავისუფალი იქნება არჩევანი და სუბიექტური თვალსაზრისისგან დაზღვეული. თავისთავად მდიდარ გერმანულ ორიგინალურ მწერლობას გვერდში უდგას კიდევ უფრო მდიდარი თარგმნილი ლიტერატურა, რასაც ადასტურებს ბროშურაში მოხსენებული სხვადასხვა ხალხის მწერლობანი და მათი შედეგები, მწერლობის ჩასახვიდან მოყოლებული ავტორის თანადროულ ხანამდე. ჩვენც მივყვებით ბროშურის გეგმას და ამ თვალსაზრისით გადავხედავთ ჩვენს მწერლობას — აღმოჩნდება თუ არა იქ ის მარაგი, რაიც თავისუფალი არჩევანის საშუალებას მოგვცემს. ვამბობთ — ზოგადად ჩვენს მწერლობას, რადგან ვგულისხმობთ, რომ რომელიმე ხალხის სიტყვიერი შემოქმედება — ასე იყო განსაკუთრებით ძველად და ახლაც ასეა — არ შემოიფარგლება მხოლოდ ორიგინალური, ეროვნული მარაგით; თავის მშობლიურ ენაზე ყოველ ერს უნდა მოეპოვებოდეს ყველაფერი ღირებული (და არა მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი შედეგები), რაც კი ოდესმე შექმნილა კაცობრიობის ცნობიერი ისტორიის მანძილზე. სადაო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სიტყვა უცხო, ხმარებული სხვა ხალხის მწერლობის მიმართ, მხოლოდ შედარებითია და მისი მოჩვენებითი აბსოლუტური მნიშვნელობა მაშინვე უქმდება, როგორც კი რომელიმე ნაწარმოები იმ „უცხო“ მწერლობისა ჩვენს ენაზე იწყებს ახალ არსებობას. ამის მაგალითები ძალზე ბევრია.

ჰესესეული „მსოფლიო მწერლობის ბიბლიოთეკა“ იმ აუცილებელ მინიმუმს შეიცავს, რომელიც ავტორმა შეარჩია გერმანულ ენაზე უკვე არსებული ნათარგმნი ლიტერატურიდან. როგორც დავინახავთ, ეს მინიმუმიც არ არის სავსებით წარმოდგენილი ქართულ ენაზე, ჯერ კიდევ მთლიანად არ შემოღწეულა ჩვენს მწერ-

ლობაში, ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი არ
გამოვლინებულა ჩვენთვის,
რაც არ შეიძლება თავის დაღს არ აჩვენე-
დეს არათუ მწერლობას ჩვენსას, არამედ
სალიტერატურო მხატვრულ ენასაც.

ჰესე ძველითგან იწყებს, ab ovo, რო-
გორც იტყვიან: „ჩვენ ვიწყებთ კა-
ცობრიული სულის უძველესი და
უწმინდესი ქმნილებებით, რელიგი-
ური და მითოსური წიგნებით. გარ-
და ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობი-
ლი ბიბლიისა, ჩვენი ბიბლიოთეკის
დასაწყისში ადგილს ვუთმობ ძველ-
ინდური სიბრძნის იმ ნაწილს, რო-
მელსაც ვედანტას ანუ „ვე-
დების ბოლოს“ უწოდებენ, უპა-
ნიშადებიდან გამოკრეფილი
ადგილების სახით. აქვე უნდა
მოვიხსენიოთ ბუდას სიტყ-
ვანი და არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანი გილგამეში, დიდე-
ბული სიმღერა დიდ გმირზე, რო-
მელმაც სიკვდილს გამოუტახადა
ბრძოლა. ძველი ჩინეთიდან გამოვარ-
ჩევთ კონფუციუსს საუბ-
რებს, ლაო-ძის, დაო-დე-ძინს და
დიდებულ ჯუან-ძის იგა-
ვებს. ყოველივე ეს ქმნის საკა-
ცობრიო მწერლობის მთავარ აკორ-
დებს. მათში საცნაურია: კანონისა
და ნორმისაკენ სწრაფვა, როგორც
ეს სამაგალითოდ არის გამოხატუ-
ლი ძველ ალექმასა და კონფუციუს
ნააზრევში; წინათგრძნობით აღსავსე
ძიებანი ამქვეყნიური ყოფიერების
უკმარობისაგან თავის დასახსნელად,
როგორც ეს გაცხადებულია ინდურ
სიბრძნესა და ახალ ალექმასში; იდუ-
მალი ცოდნა მშფოთვარე, მრავალ-
ფერად გამოვლენილი სამყაროს მი-
ღმური ჰარმონიისა, ღმერთების სა-
ხით წარმოდგენილი ბუნებისა და
სულიერ ძალთა წინაშე მოწიწება და,
თითქოს უკვე ჩვენი თანადროული
შეგნება იმისა, რომ ღმერთები მხო-
ლოდ სიმბოლოებია და რომ ადამი-
ანის ძალა და უძლურება, სიხარული
და ტანჯვა ადამიანისვე ხელთაა; გან-
ყენებული აზრის ყველა მიმონრა,
პოეტური აღმაფრენა, წუხილი წუ-
თისოფლის წარმავლობის გამო, ნუ-
გეშინი და იუმორი — ეს ყველაფერი
ამ რამდენიმე წიგნშია უკვე გამოხა-
ტული. მათ რიცხვს მიეთვლება ავ-

რეთვე ჩინური ლირიკის
რჩეული“.

ამ ჩამოთვლაში უკვე ჩანს თავად ჰესეს
ინტერესები, ვითარცა მკითხველისა და
მწერლისა, მისი მიკერძოება კაცობრიული
კულტურის გარკვეულ რეგიონებისადმი.
ინდური, ძველჩინური და ქრისტიანული —
სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავებულ
ეპოქებსა და ქვეყნებში ჩასახული კულტუ-
რების სინთეზის მაგალითი მოცემულია
თუნდაც შემოხსენებულ რომანში „თამაში
რიოში მარგალიტებით“. ამგვარი მიკერ-
ძოება ობიექტურადაც გამართლებულია. ვინ
უარყოფს, რომ ბიბლიის წიგნები, ეს მარ-
თლაც „უძველესი და უწმინდესი დადასტუ-
რება კაცობრიული სულისა“, დასავლური
ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძველია. არ
არსებობს ერი, რომლის წარსული და
აწმყო დაკავშირებული ყოფილიყოს ქრის-
ტიანობასთან და ეს გრანდიოზული „ეპოსი“
არ ჰქონოდა მშობლიურ ენაზე. ქართვე-
ლისთვის საამაყოა, რომ ახალი ერის გა-
რიყრაზე იგი ეზიარა ამ წიგნების სიბრძნეს
და საუკუნეების განმავლობაში ახალ-ახალი
თარგმანები გამოდიოდა ქართველ სწავ-
ლულთა ხელიდან. ბიბლია ჩვენთვის, ისე
როგორც ყოველი ქრისტიანული ერისათ-
ვის, მშობლიური წიგნი იყო და არასოდეს
ჩათვლილა უცხო ლიტერატურად, როგორც
დღეს ვუწოდებთ ხოლმე სხვა ხალხის
მწერლობის ნიმუშებს. ბიბლია არ ჩაით-
ვლება მხოლოდ და მხოლოდ საღვთო წიგ-
ნად იუდეველ და ქრისტიან მორწმუნეთა;
განსხვავებით ყურანისა და ზოგიერთი სხვა
რელიგიური შინაარსის წიგნისაგან, იგი
უბრწყინვალესი მხატვრული ძეგლია, მო-
მცველი ბევრი ჟანრისა, რაც დღეს მწერ-
ლობაში არსებობს. თუ ჰომეროსის პოემე-
ბის გამო ძველთაგანვე იყო ნათქვამი, რომ
ისინი იმდენსავე აძლევენ მოზარდს, ჭარ-
მაგსა და მოხუცებულს, რამდენის ათვისე-
ბაც თვითელ მათგანს შეუძლიათ, — ეს
სიტყვები არანაკლები უფლებით ბიბლიასაც
მიესადაგება. რომ არაფერი ვთქვათ მის
მხატვრულ ღირებულებებსა და შემეცნე-
ბით მნიშვნელობაზე საზოგადოდ, ბიბლი-
ური წიგნების არცოდნა ხელს უშლის თა-
ნამედროვე ქართველ მკითხველს თუნდაც
მიახლოებით ჩასწვდეს ძველი მწერლობის
შინაარსს. არათუ ჰაგიოგრაფია და ჰიმნო-
გრაფია, რომელთა პოეტურ-სიმბოლური
მეტყველება უშუალოდ ბიბლიიდან იღებს
სათავეს, არამედ ვეფხისტყაოსნის, გურამი-
შვილისა და თვით ბარათაშვილის პოეზია

ბევრწილად გაუგებარი იქნება, თუ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები „დაბეჭდილ წყაროდ“ დარჩა.

თუ ბიბლია უშუალოდ ძვეს დასავლური კულტურის საფუძველში, ამას ვერ ვიტყვით უპანიშადეზე, თუმცა ვიფიქრობენ, რომ საზოგადოდ ინდურმა სიბრძნემ გავლენა მოახდინა პითაგორაზე და პლატონზეც კი, მაგრამ კულტურის ინგრედიენტად მოგვიანო ხანს შემოვიდა დასავლეთის ცივილიზაციაში, მას შემდეგ, რაც ინდოეთი „აღმოჩენილ იქნა“. ყველასათვის ცნობილია „ბალავარიაში“, სადაც ერთმანეთს შეხვდა და ორგანულად შეეთვისა ბუდიზმი და ქრისტიანობა. ის ნაწილი ძველინდური სიტყვიერი შემოქმედებისა, სადაც გაცხადებულია საკუთრივ სიბრძნე, სრულიად უცნობია ქართულ ენაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხატვრულ კომპოზიციაში გამოვლენილს, როგორცაა „ბჰაგავატგიტა“, რომლის თარგმანი ამ ათიოდე წლის წინათ დაიბეჭდა, რაიც ჩვენი გამომცემლობის („ნაკადული“) უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. გაცილებით ადრე ქართველი მკითხველი წაიკითხავდა „დიონისეს ლიმილში“ ჩართულ ბრწყინვალე ექსცერპტებს უპანიშადებიდან. რაც შეეხება ვედებს, თითო-ორთა პიმნი, აკად. გ. ახვლედიანის მიერ თარგმნილი, დაბეჭდილია სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში; მაგრამ სამწუხაროდ არავის ძალუდვია ამ საქმის განგრძობა, თუმცა ჩვენში არიან სანსკრიტის მცოდნე სპეციალისტები.

რა შეგვიძლია ვთქვათ გილგამეშის ეპოსის გამო, რომელსაც ჰესე საკაცობრიო მწერლობის საფუძველში იხსენიებს, თუმცა არა პირველ რიგში, — რაც ქრონოლოგიურად შეეფერებოდა მას, — და ამასთანავე ცალმხრივი დახასიათებით, რომ მისმა გმირმა „სიკვდილს გამოუცხადა ბრძოლა?“. რა უძლოდა ამ ეპოსს წინ? თითქმის არაფერი. კაცობრიობის სულიერ ისტორიაში ადამიანმა პირველად — ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, წერილობით პირველად დადასტურებულ ფაქტს, — აქ შეიცნო საკუთარი თავი ვითარცა ზნეობრივი არსება — homo moralis, რითაც ადამიანის შეგნებაში ერთხელ და სამუდამოდ მოიკლა „მხეცი“, მტერი უფრო საშიში, ვინემ სიკვდილი. თავისი დაუდგრომელი ბუნებით და ყოვლის შეცნობის წადილით გილგამეში ეხმაურება ფაუსტს მრავალი საუკუნის შემდეგ, ფაუსტს, რომლის სახელით ერთმა ცნო-

ბილმა გერმანელმა მოაზროვნემ მთელი დასავლური ცივილიზაცია მონათლა. იმავე კაცობრიულმა გონმა, რომელმაც „სულის ძიებად“ აღძრა გილგამეში, ეგროპაში ფაუსტის პიროვნება წარმოშვა. ეს ფაქტი შესანიშნავად ადასტურებს საკაცობრიო სულიერი ცხოვრების ორგანულ მთლიანობას.

ძველჩინური სულიერი კულტურა, რა სახითაც იგი გამოვლინდა კონფუციუსის, ლაოძის, ჯუან-ძის და სხვათა ნააზრევში (რომელთაც ჰესე არ ახსენებს თავის ბროშურაში), მხოლოდ გვიან გახდა დასავლეთის კულტურისათვის ცნობილი. იგი მაფორმირებელ საფუძველთაგანი არაა, მაგრამ მისი აღმოჩენისთანავე უდიდესი გავლენა მოახდინა დასავლურ ხელოვნებაზე, ე. წ. ჩინის (ანუ ძენის, როგორც უფრო ცნობილია იგი იაპონიის გზით) მოძღვრების სახით. საგულისხმოა, რომ ამ ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმართულების ანალოგიებს დასავლეთში იმ ხანიდან პოულობენ, როცა ჩინეთი ჯერ კიდევ ტერრა ინკოგნიტა იყო. ეს კი იმ საბედნიერო ფაქტს მოასწავებს, რომ არც ისეთი უფსკრული ყოფილა აღმოსავლურ და დასავლურ მსოფლგანცდას შორის, როგორც ადრე იყო მიჩნეული. როდესაც ჯუან-ძის (IV—III სს. ძვ. წ.) ტრაქტატში ამოვიკითხავთ ასეთ ამბავს, რომ, როცა კონფუციუსს მოწაფემ, ვინმე ძიგუნმა ჰკითხა გლახს, ბოსტნის მოსარწყავად ჩაფით რომ ეზიდებოდა წყალს, რატომ წვალობ, სარწყავ მანქანას რატომ არ მოიხმარო და პასუხად მიიღო, ჩემი მოძღვრისაგან გამიგია, რომ იგი, ვინც მანქანას იყენებს, მანქანურად მოქმედებს, ხოლო ვინც მანქანურად მოქმედებს, გულიც მანქანური უდგას, ხოლო მკერდში მანქანური გულით კაცი ვერ შეინარჩუნებს სიწმინდესა და პატიოსნებას, ხოლო სიწმინდისა და პატიოსნების გარეშე სულის თავისუფალი მოძრაობა ფერხდება, — როცა ამგვარ რასმე ამოვიკითხავთ დროითა და მანძილით დიდად დაშორებულ წიგნში, ორგვარი განცდა გვეუფლება: ერთს გამოვხატავთ ეკლესიასტეს (რომელთანაც ჯუან-ძის ბევრი რამ აქვს საერთო, ისინი თანამედროვენიც იყვნენ) ცნობილი გამოთქმით, — „რაც ყოფილა, იგივე იქნება, რაც მომხდარა, იგივე მოხდება; მზისქვეშეთში ახალი არაფერია“; მეორეს მხრივ, ტექნიკური ეპოქის მკვიდრნი ძმურ სოლიდარობას ვიგრძნობთ ძველჩინელი ბრძენის მიმართ, რადგან იგივე მტკიცეული პრობლემა ჩვენც არა ნაკლებ გვაღელვებს.

ვერ დავასახელებთ ცივილიზებულ ერს, რომელსაც თავის ენაზე არ ჰქონდეს ხსენებულ მოაზროვნეთა წიგნები. ჯერჯერობით, ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს მშობლიურ ენაზე წავიკითხოთ კონფუცი, ლაო-ძი, ჯუან-ძი და სხვანი, რომელთა რუსული თარგმანებიც საკმაოდ რაოდენობით გამოდის ამ უკანასკნელ ხანს. ჩვენი ნაკლია, რომ არა გვეყვანან ჩინური ენის მცოდნენი, და არც ახლო მომავალშია მათი არსებობა საგულგებელი. ასეთ ვითარებაში დასაშვებია უნდა იყოს მათი რუსულიდან თარგმნა, ევროპულ გამოცემათა მოშველიებით.

რაც შეეხება ჩინურ ლირიკას (რომელსაც ჰესე „ბიბლიოთეკისთვის“ საჭიროდ თვლის), მის გამო ვერ ვიტყვი, რომ იგი უცნობი იყოს ქართველი მკითხველისათვის. ქართულ „მსოფლიო ბიბლიოთეკაში“ უკვე მკვიდრად ძევს ამ ოცი წლის წინათ გამოცემული მცირე კრებული ბო ძიუ-ის ლექსებისა, რომელმაც ნატიფი ჩინური პოეზია, კერძოდ, ტანის ეპოქისა, გააცნო და შეაყვარა ქართველ მკითხველს.

ჰესე რატომღაც გვერდს უვლის ძველ იაპონიას, მაგრამ ჩვენ უნდა ვახსენოთ ეს თავისებური სამყარო, რომელიც დიდხანს უცნობი იყო ევროპისთვის, — პირველ რიგში, პოეზიის გრანდიოზული ანთოლოგია — „მანიოსიუ“, სადაც თავმოყრილია XI ს.-მდე შექმნილი პოეტური მემკვიდრეობა, იაპონელი ხალხის ეროვნული სიამაყე, პოეზია, რომლის თარგმნა უდიდესი, ხშირად გადაულახავი სიძნელეების წინაშე აყენებს სიტყვის ოსტატს, თუმცა ჩვენში დამკვიდრებულია მისი თარგმნის ტრადიცია, რასაც ვერ ვიტყვი კლასიკურ პროზაზე, საიდანაც გამოვარჩევთ ჰეიანის ეპოქის (IX—XII სს.) ლირიულ მოთხრობათა კრებულებს (მაგ. „ისე-მონოგატარი“) ან რეალისტურ რომანს („გენძი-მონოგატარი“), ან ჟანრულად უნიკალურ „ძილისპირულ ჩანაწერებს“ სეი-სენაგონისას, XII—XIV სს.-ების ფეოდალურ ეპოსს, სადაც გამოვლენილია იაპონელი ხალხის რაინდული სულა და ვალისადმი მისი ასკეტური ერთგულება.

„აღმოსავლეთის მოგვიანო ქმნილებათა შორის — განაგრძობს ჰესე, — ჩვენს ბიბლიოთეკაში აუცილებლად უნდა შევიტანოთ ზღაპართა უზარმაზარი კრებული — „ათას ერთი ღამე“, სიამეთა დაუწრეტელი წყარო, უხვფერადოვანი სამყაროს მომცველი წიგნი. თუმცა მსოფლიოს ყველა

ხალხს აქვს მომხიბლავი ზღაპრები, ჯერჯერობით ვაკმაროთ ჩვენს ბიბლიოთეკას ეს კლასიკური კრებული, ოღონდ გამონაკლისის სახით შევიტანოთ ძმები გრიმების ზღაპრები“.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ საბედნიეროდ დღეს უკვე ხორციელდება არაბულიდან თარგმნილი რვატომიანი „ათას ერთი ღამის“ გამოცემა. საკვირველია ეს დაგვიანება და მიუტყვებელიც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართლის ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ჩვენი კულტურა მჭიდროდ დაუკავშირდა არაბობას. ჩვენი არაბისტების ვალია ამ კვალის ძიება და ამასთანავე არაბობის დროინდელი არაბული მწერლობის ნიმუშთა თარგმნა, უფრო ძველისაც, მხედველობაში მაქვს ისლამამდელი პოეზია, უაღრესად საინტერესო და უცნაური, რომელიც თავისი უჩვეულობით და ხალხის ცხოვრებაში თავისი როლით მხოლოდ ისლანდიელი სკალდების პოეტურ შემოქმედებას თუ შეედრება. ჩვენთვის უცხო უდაბნოს პოეზია, ცხადია, ძნელი სათარგმნელია და უკომენტაროდ გაუგებარი, მაგრამ იგი გააფართოვებდა ჩვენს წარმოდგენებს პოეზიაზე.

რაც შეეხება ზღაპრებს, ამოუწურავია მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების ფონდი ქართულ ენაზე მრავალი კრებული გამოცემა და კვლავ გამოდის ამ უკანასკნელ ხანს; მათ შორის, შესაძლოა, ბევრი ზედმეტიც იყოს, მით უმეტეს, რომ დღემდე არ არსებობს ქართული ზღაპრების სრული სანიმუშო გამოცემა.

„დიდად სასურველი იქნებოდა ერთი კარგი ანთოლოგია სპარსული ლირიკისა, მაგრამ სამწუხაროდ ამგვარი რამ არ მოგვეპოვება, მხოლოდ ჰაფეზი და ომარ ხაიამი თუ ითარგმნება ხშირად“.

ქართულ ენაზე არსებობს შესანიშნავა თარგმანები ხსენებულ პოეტთა და კიდევ სხვათა (რუდაქი, ნიზამი, საადი, ჯალალედინ რუმი, ჯამი, ნასერე ხოსროვი); მაგრამ ჰესეს თქმის არ იყოს, ერთი კრებული მაინც აუცილებელია, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ერთად სპარსული პოეზიის შედეგები. უნდა ითქვას კი, რომ ჩვენმა ირანისტებმა სავსებით გამოიყენეს ენის ცოდნა და ამის წყალობით ქართველი მკითხველისათვის თითქმის მშობლიურია ეს პოეზია, თუმცა მისი ათვისების დიდი ხნის ტრადიციაც არსებობს ჩვენში. მაგრამ რატომღაც ეპოსს ნაკლები ყურადღება ექცევა

(ძველ საქართველოში კი პირუტყუ იყო), თუმცა შაჰ-ნამეს თარგმნა უფრო შრომატევადი საქმე ვერ იქნება, ვიდრე ნიუანსური ლირიკისა.

აქ უნდა გადავუხვიოთ ბროშურის გეგმას და ვახსენოთ ძველი სპარსული პოეზია, რომელიც წარმოდგენილია მაზდეანური სარწმუნოების საღვთო წიგნში, ავესტას სახელწოდებით რომ არის ცნობილი — ლეგენდების, ჰიმნებისა და ლოცვების კრებულში. განსაკუთრებით საინტერესოა ის ნაწილი, რომელსაც გათეები ეწოდება და სადაც წყობილი სიტყვა მაგიური ძალის მქონედ არის გამოცხადებული (სიტყვა, გათეების რელიგიაში, სამების — აზრი, სიტყვა, საქმე — ცენტრალური წევრია და თვით უმაღლესი ღვთაების, აპურამაზდას პრიორიტეტად ითვლება). ავესტა, გარდა იმისა, რომ იგი თავისებური პოეტური ძეგლია, ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: ცნობილია, რომ ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის ხანაშიც ერთხანს მაზდეანური რელიგია საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ქართლში და დღემდე შემორჩენილია მისი კვალი ჩვენს ენაში. დღესდღეობით თარგმნილია „ავესტას“ 17 გათა აკად. გ. ახვლედიანის მიერ და ერთი ცვრცელი საგალობელი ქალღმერთ არდვისურა ანაპიტასადმი მიძღვნილი ირანისტ მზია ანდრონიკაშვილის მიერ (იხ. „არმაღანი“ 1977).

დიდად მნიშვნელოვანია ფალაური ხანის (III—VII სს.) მწერლობა, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი უნდა იყოს, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ადრეული ამბავი თავის პირველწყაროდ გულისხმობს მას („ესევიტარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“). ქართულად თარგმნილია ირანისტ თეო ჩხეიძის მიერ „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“ (გამომც. „მეცნიერება“, 1975), ელინისტური რომანის ტიპის ნაწარმოები, რომელიც საფუძვლად დასდებია „შაჰ-ნამეს“ ზოგიერთ თავს; მანვე თარგმნა დიდად საინტერესო ძეგლი „არდა ვირაფას წიგნი“ (იხ. „არმაღანი“, 1977), სადაც აღწერილია წმიდა კაცის, ქურუმ ვირაფას, მოგზაურობა საიქიოში, ჯოჯოხეთის სატანჯველთა ხილვები, რაც დანტეს „ჯოჯოხეთს“ გვაგონებს. „ირანული პოეზიის“ ტომში „მსოფლიო ბიბლიოთეკის“ სერიით (1977) დაიბეჭდა „ზარერის იადგარი“, საგმირო პოემა (თარგ. თეო ჩხეიძისა და ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ). ამავე სერიის პირველ ტომ-

ში („ძველი აღმოსავლეთის მწერლობა“) გამოქვეყნდება ფალაური მწერლობის სხვა ნიმუშებიც.

სპარსული ლირიკიდან ჰესე უშუალოდ გადადის ევროპულ მწერლობაზე, კერძოდ, მის საწყისზე — ელინურ მწერლობაზე. მაგრამ ვიდრე მივყვებოდეთ ამ ხაზს, გავბრუნდეთ მრავალი საუკუნით უკან და ვახსენოთ ძველი ეგვიპტური მწერლობა, თავის თავში ჩაკეტილი ფარაონული ცივილიზაციის წიაღში ჩასახული სიტყვიერი შემოქმედება. „პირამიდების კედლებზე წარწერილი იეროგლიფების მწვანე ფერი, აღდგომის ფერი, — წერს გამოჩენილი ეგვიპტოლოგი ბ. ტურაევი, რომელიც თავის მხრივ იმეორებს ვლ. სოლოვიოვის მიერ ადრე გამოთქმულ აზრს, — უკვე გარეგნული მხრით მოწმობს, რომ ეს უძველესი ლიტერატურული ძეგლები ამავე დროს წარმოადგენს უძველეს სიტყვიერ პროტესტს სიკვდილის მიმართ; აქ ვხედავთ სიკვდილთან და დავიწყებასთან გამართულ სიტყვიერ ბრძოლას, იმ მონუმენტური ბრძოლის მაშველად შექმნილს, რაც მანამდე უწარწერო და კედლებმოუხატავი, უზარმაზარი პირამიდების შენებაში გლინდებოდა“.

მრავალფეროვანია ეგვიპტური მწერლობა; თუმცა აქ ვერ შევხვდებით, შუამდინარეთისაგან განსხვავებით, ეპიურ პოეზიას, მაგრამ ეგვიპტურმა ენამ დღემდე შემოგვინახა მითები, ჰიმნები, შეგონებანი, დოკუმენტური პროზის ნიმუშები, სატრაფი-ალო და ტრაგიკული პოეზია. „მრავალი წლის წინათ, — წერს ჰესე ამ ბროშურის სხვა ადგილას, — მე დიდის გულისყურით წავიკითხე ერთი ნაშრომი ეგვიპტურ რელიგიაზე, რომელიც შეიცავს აგრეთვე ნაწილს ეგვიპტური ტექსტებისას — კანონებს, პირამიდების წარწერებს, ჰიმნებსა და ლოცვებს, მაგრამ თუმცა ყველაფერმა ამან მთლიანობაში დიდად დამაინტერესა, მაინც მცირე რამ შემომჩრა მეხსიერებაში; წიგნი თუმცა კარგი იყო და კეთილსინდისიერად შედგენილი, მაგრამ კლასიკური არ იყო და ამიტომაც აკლია ჩვენს ბიბლიოთეკას ეგვიპტური მწერლობა“. ამას წერს ჰესე, რომლის ქვეყანა ეგვიპტოლოგიის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. ხოლო ჩვენ რა უნდა ვთქვათ, რა გვაქვს ქართულ ენაზე ეგვიპტური მწერლობის ნიმუშებიდან? ერთადერთი წიგნი „ძველეგვიპტური ლირიკა“, რომელიც, სამწუხაროდ, ანალოგიური რუსული გამოცემის ზუსტი ასლია (როგორც გაფორმების მხრივ, ისე შინაარსობრივად).

ქართული თარგმანი შეიძლებოდა შესრულებულიყო არა რუსული პოეტური თარგმანიდან, არამედ იმ პწკარედებიდან, რომლითაც სარგებლობდნენ ახმატოვა და პოტაპოვა (ხოლო პწკარედების მოპოვება არ იქნებოდა ძნელი). ძველი ეგვიპტური ენისა და კულტურის მცოდნენი ამჟამად საქართველოში არ გვყავს, მაგრამ, იმედია, მომავალში მაინც გვეყოლება.

„ჩვენ მივადექით,— განაგრძობს ჰესე, — ევროპულ ლიტერატურას. ანტიკური პოეზიის მდიდარ და დიდებული სამყაროდან ძველი საბერძნეთის სულიერი ატმოსფეროსა და განწყობილებათა განსაცდელად ჰომეროსის ორივე პოემის გარდა უნდა გამოვარჩიოთ სამი დიდი ტრაგიკოსი — ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე. მათვე უნდა მივათვალოთ ლირიკოს პოეტთა სანიმუშო ანთოლოგია“.

ელინური მწერლობა უძირო საუნჯეა, მის ცალკეულ ნიმუშთა ჩამოთვლაც კი გაძნელებოდა. მაგრამ შემოხსენებული მინიმუმიც კი — თხზულებანი, რომელთა სადარი მცირე რამ შექმნილა ადამიანურ ენაზე, — ჯერ კიდევ არ თარგმნილა სრულად. მათ რიცხვს უნდა მივათვალოთ ჰომეროსული ჰიმნები, რომელთა რამდენიმე ნიმუშს ქართველი მკითხველი „საუნჯისა“ (1,1974) და „ცისკრის“ (1,1976) საშუალებით გაეცნო; აგრეთვე ჰესიოდეს „თეოგონია“ და „სამუშაკონი და დღენი“, ელინისტური ხანის პროზა და პოეზია. ამ ხარვეზს ალბათ ამოავსებს დროთა ვითარებაში თბილისის უნივერსიტეტში დაარსებული „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“ — საიმედო და აღმაფრთოვანებელი წამოწყება, რომელიც გარს შემოიკრებს ჩვენს ახალგაზრდა სპეციალისტებს.

შემდეგ ჰესე წუხილს გამოთქვამს, რომ გერმანულ ენაზე ცალკე წიგნად არ გამოცემულა სოკრატეს შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი ყველა წყარო, ბერძენ ავტორთა ნაწერებში რომაა გაფანტული, მაგრამ რატომღაც არ ახსენებს სანიმუშოდ პლატონის დიალოგებს. ამ უკანასკნელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოგვეპოვება ქართულად. ნახევარი საუკუნის წინ ითარგმნა პირველად ორი დიალოგი — „კრიტონი“ და „სოკრატეს აპოლოგია“, დღესდღეობით კი მათ მიემატა მხოლოდ „ნადიმი“, „ფედონი“, „მენონი“, „იონი“ და „მცირე ჰიპია“ — თუმცაღა მნიშვნელოვანა

დიალოგებია, და ბრწყინვალედაც თარგმნილი, მაგრამ ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია ამ დიდი ბერძენის შემოქმედებისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული დიალოგები ყოვლად უსისტემოდ და უგეგმოვნოდ გამოიცა სხვადასხვა გამომცემლობებში, ეს მაშინ, როცა ზოგიერთი მდარე ხარისხის ლიტერატურა საუკეთესო ქალაქდზე და დიდის გულმოდგინებით იბეჭდება.

შემდეგ ჰესე ახსენებს არისტოფანეს, „რომლის კომედიები ღირსეულად უძღვის წინ ევროპული იუმორისტების გრძელ წყებას“, და შემდეგ პლუტარქეს, რომლის „პარალელურ ბიოგრაფიათა“ სრულ კრებულს გვპირდება შემოთხსენებული „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“.

„ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ გვაკლია დღეს, — წერს ჰესე, — გვაკლია წიგნი ბერძენთა ღმერთებსა და გმირებზე. აუცილებელია გვექონდეს ელინური მითების კრებული. რაკი სხვა უკეთესი არ მოგვეპოვება, ვკმაყოფილდებით გუსტავ შვაბის წიგნით (Sagen des klassischen Altertums), რომელსაც თუმცა სიღრმე აკლია, მაგრამ მაინც რიგიანად მოგვითხრობს ბევრ წარმტაც მითს. ბოლო ხანს შვაბს ბეჯითი მიმდევარი გამოუჩნდა: ალბერტ შაეფერმა წამოიწყო ელინური მითების წიგნის შედგენა, რომლის პირველი ნაწილი უკვე გამოვიდა და დიდ იმედებს იძლევა“.

ჩვენში ამგვარი მიმდევარი არ გამოსჩენია ალ. მიქაბერიძეს, რომლის „ელინურმა მითებმა“, თუმცა, შვაბის წიგნის არ იყოს, მასაც აკლდა სიღრმე და მხოლოდ უმცროსი ასაკის ყმაწვილთათვის იყო გამიზნული, მაინც შეასრულა თავისი როლი. დღეისათვის უკეთესი (თუნდაც ენობრივთვალსაზრისით) წიგნია საჭირო: აუცილებელია დაიწეროს ქართულად (და არა ითარგმნოს რომელიმე ცნობილი წიგნიდან) ელინური მითები, წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით და კომპოზიციურად შეკრული წიგნი, მაგალითად, იმგვარი, როგორიცაა თ. ზელინსკის „ანტიკური სამყარო“ (Античный мир).

ასეთი ხასიათის წიგნის არსებობა მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენს საშუალო სკოლებში არავითარი ყურადღება არ ეთმობა ან უკიდურეს მინიმუმამდეა დაყვანილი ანტიკური მემკვიდრეობის სწავლება. ბერძნული მითოლოგიის ლალი და თავისუ-

ფალი ცოდნის გარეშე (რაც ბავშვობის ასაკიდანვე უნდა იწყებოდეს) შეუძლებელია ძველი და ახალი დროის მწერლობათა და ხელოვნებათა სწორი გაგება, რადგან ეს მემკვიდრეობა მუდამ იყო და დღესაც რჩება შთამაგონებელ წყაროდ. აქ თ. ზელინსკი უკეთ იტყვის სათქმელს: „საკაცობრიო ისტორიის ბრძმედში გავლილმა ამ სახეებმა (ლაპარაკია მითოსურ სახეებზე, ზ. კ.) დაკარგეს ის პირობითობა და მიწიერება, რაც დასაწყისში მათი თავსება იყო. ახლა ისინი იდენს წმინდა განხორციელებას წარმოადგენენ, მოაზროვნე შემოქმედისათვის დაუფასებელ საზრდოს. და არა მხოლოდ მისთვის. ახალი დროის ქმნილებებს შეზრდილნი, ეს სახენი განაგრძობენ სიცოცხლეს, ოღონდ სხვა სახელებით. ბედკრული ორესტე, შურისგების სასტიკი ვალით დათრგუნული, დღესამომდე ცოცხლობს ჩვენს სცენაზე დახიული პრინცის, ჰამლეტის სახელით; რამდენი ქველი ქალი დაბადა ანტიკონემ, რამდენი პირქუში იჭვივით შეპყრობილი დიაცი წარმოშვა მედემამ! ამას თავად მათი შემქმნელი პოეტებიც კი ვერ გრძნობენ; მათ ჰგონიათ, საკუთარი სულის ხმას უსმენენ, მაგრამ ის კი არ უწყიათ, რომ ხმა იგი კვლავ იგივე შრიალია ბერძნულ თქმულებათა მარადმწვანე მუხისა, პელაზგური ზევსის ჭალაში რომ ხარობდა...“

ბერძნულ მწერლობაზე არასაკმარისი წარმოდგენა გვექნება, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა — ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონისა და სხვათა თხზულებებს. ბევრ მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იბერიისა და კოლხეთის ძველი ისტორიის შესწავლისათვის, და კიდევ იბეჭდება ხოლმე ცალ-ცალკე პასაჟები, ქართლის ცხოვრებას რომ ეხება. ოღონდ ეს საკმარისი არაა; აუცილებელია მთელი თხზულების თარგმნა, რომ იბერიის ამბები წავიკითხოთ საერთო ისტორიულ კონტექსტში და არა მისგან მოწყვეტილად. ამავე დროს თარგმანის ხარისხიც სათანადო დონეზე უნდა იდგეს (რაც იშვიათია ხოლმე), რათა ლაღად იკითხებოდეს, როგორც შეშვენის ბერძენ ისტორიკოსთა ნათელ თხრობას და მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებში ციტირებისათვის არ იყოს გამოსადეგი.

ბიზანტიური ხანის ბერძნული მწერლობიდან ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ანა კომნენეს „ალექსიადას“, რომლის უთარგმნელობა ჩვენი

ისტორიოგრაფიის აშკარა ხაკლია (ეს საისტორიო თხზულება არც ძველად თარგმნილა. ხოლო რაც შეეხება ბიზანტიურ ფილოსოფიურ და რელიგიურ ლიტერატურას, არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ქართულად რომ არ ყოფილიყოს თარგმნილი ძველ დროში). ამავე ხანის ბერძნული საერო მწერლობის ნიმუშად უნდა მოვიხსენიოთ ბიზანტიური ნაციონალური საგმირო ეპოსი „დიგენის აკრიტასი“.

ლათინური მწერლობის გამო ჰესე აღნიშნავს:

„რომელ მწერლებში უპირატესობას მე ყოველთვის ისტორიკოსებს ვანიჭებდი, მაგრამ მაინც გვმართებს ჰორაციუსის, ვირგილიუსისა და ოვიდიუსის მიღება; მათ გვერდში ამოვუყენებდი ტაციტუსსა და სვეტონიუსს და დავუმატებდი პეტრონიუსის „სატირიკონს“, მახვილგონივრულ საყოფაცხოვრებო რომანს ნერონის ხანისას და მასთან ერთად აპულეუსის „ოქროს ვირს“. ეს ორი თხზულება ანტიკურობის დაცემას ასახავს კეისრების ხანაში“.

აქ ჩამოთვლილით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება მთელი ლათინურენოვანი მწერლობა, რომელსაც ამშვენებს ისეთი სახელები, როგორცაა — პლავტუსი, ყველასთვის ცნობილი ციცერონი, იულიუს კეისარი (უდიდესი მხედართმთავარი და ამავე რანგის დიდოსტატი მწერალი), დახვეწილი პოეტები ტიბულუსი და კატულუსი, ნაღვლიანი ფილოსოფოსი და დრამატურგი სენეკა და კიდევ სხვანი. არცერთი მათგანის თხზულება ჯერ არ თარგმნილა ქართულად, გარდა აპულეუსის „ოქროს ვირისა“ ანუ „მეტამორფოზებისა“ (ყველა ეს მწერალი ალბათ თავის ადგილს ჰპოვებს „ბერძნულ-ლათინურ ბიბლიოთეკაში“).

„სატირიკონისა“ და „ოქროს ვირის“ ხსენების შემდეგ ჰესე განაგრძობს:

„რომის დაცემის ხანის ამ საერო და რამდენადმე მსუბუქი წიგნების გვერდით ადგილს დავუთმობ მათგან უკიდურესად განსხვავებულ ერთ დიდ თხზულებას, ასევე ლათინურად დაწერილს, მაგრამ სრულიად სხვა სამყაროში, ადრეული ქრისტიანობის წიაღში შექმნილს, — ეს გახლავთ ნეტარი ავგუსტინეს აღსარებანი. ოღნავ ცივ ტემპერატურას რომაული ანტიკისას ენაცვლება შუასაუკუნეების დასაწყისის უფრო

და უფრო დაძაბული ატმოსფერო. შუასაუკუნეების სულიერი სამყარო, რომელსაც ჩვენში ჩვეულებრივ „ბნელს“ უწოდებდნენ, სრულიად უგულვებელყოფილი იყო ჩვენი მამებისა და პაპების მიერ; ამიტომაც ამ ხანის ლათინური მწერლობიდან ძალზე მცირე თარგმანები და გამოცემები მოგვეპოვება. დანტეს ღვთაებრივი კომედიის განაგრძობს სიცოცხლეს შუასაუკუნეების ძლიერამოსილი სული, თუმცა თავად იტალიელთა და სწავლულთა ვიწრო წრის გარდა მცირედნი თუ კითხულობენ ამ წიგნს, მაგრამ იგი კვლავ და კვლავ განუზომელ გავლენას ახდენს, ვითარცა ჩვენი ერის მეორე ათასწლეულის ერთ-ერთი უდიდესი თხზულებათაგანი“.

ზედმეტი იქნება დანტეს მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება, ოღონდ უნდა ითქვას, რომ ჩვენში, რუსთაველის სამშობლოში, სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ დიდი იტალიელის შემოქმედების შესწავლისა და პროპაგანდის საქმეს. თუმცა ქართულად თარგმნილია „ღვთაებრივი კომედია“ და „ახალი ცხოვრება“, მაგრამ აუცილებელია კიდევ ზოგიერთი რამ („მაგ. „ნადიმი“) მის „მცირე თხზულებათაგან“ (ე. წ. Opera minora). დახტეს გვერდით უნდა ვახსენოთ წმ. ფრანჩესკო ასიზელის, რუსთაველის თანამედროვის (1182—1226) ჰიმნები, რომელნიც იტალიური მწერლობის უძველეს ძეგლებად ითვლება (მათ შორის ჰიმნი ძმა-მზეს) და XIV საუკუნის დასაწყისში შექმნილი ამ წმინდანის „ცხოვრება“, განსაცვიფრებელი „ყვავილნი“ (Fioretti) — უმბრიაში, მის სამშობლო მიწაზე მართლაც ყვავილებივით დაკრეფილი ლეგენდები.

რაც შეეხება ნეტარ ავგუსტინეს, რომელსაც ჰესე ქრისტიანული მწერლობის დასაწყისში მიუჩენს ადგილს, მისი „აღსარებანი“ აუცილებელი წიგნი უნდა იყოს „ბიბლიოთეკისათვის“, ვითარცა უნიკალური დოკუმენტი ახალ ცნობიერებაში გაღვიძებული პიროვნების სასტიკი და გულახდილი თვითანალიზისა, ღმერთის ძიებისა და მისი პოვნისა არა სადმე გარესამყაროში, არამედ თვით ადამიანის გულში.

დანტეს შემდეგ იტალიური მწერლობიდან ჰესე აუცილებელ წიგნებად ჩამოთვლის ბოკაჩოს „დეკამერონს“, „ვეროპული თხრობითი ხელოვნების პირველ დიდ

შედეგს, ყველა კულტურულ ენაზე რომ არის მრავალგზის თარგმნილი“ (მათ შორის ქართულადაც, დავძენთ ჩვენ, და თუმცა დიდი ხნის წინათ არის შესრულებული, მაგრამ მაინც დღემდე ინარჩუნებს უნობრივ აქტუალობას); არისტოს „მძვინვარე კოლანდს“, პეტრარკას სონეტებს, რომელნიც თუმცა ჯერ არ თარგმნილა ქართულად, მაგრამ მათთან ერთად ვისურვებდით მისსავე მცირე ავტობიოგრაფიულ თხზულებას სახელწოდებით „შთაძომავალთადმი“; მიქელანჯელოს პოეზიას, „მცირე, მაგრამ შთამბეჭდავ წიგნს, განმარტოებით და ამაყად რომ ღვას თავისი დროის შუაგულში“, ბენვენუტო ჩელინის ავტობიოგრაფიას, „იტალიური რენესანსის განწყობილებათა და ცხოვრებისეულ ვნებათა გასაცნობად“.

შემდგომი დროის იტალიური მწერლობიდან ჰესე ამოარჩევს ორიოდ კომედიას გოლდონისას და გოცის რომანტიულ ნდაპრულ პიესებს, ხოლო მე-19 ს.-დან „დიდებულ ლირიკოსებს“ ლეოპარდისა და კარდუჩის. ამათგან ჩვენთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს ბარათაშვილის უფროსი თანამედროვე რომანტიკოსი ჯაკომო ლეოპარდი (1798—1837), როგორც უწოდებენ, „მსოფლიო სევდის მგოსანი“. ამ ორი ჭაბუკის პოეზიის ძირია ადამიანის სულიერი ობლობისა და საწუთროს ამოგების მძაფრი განცდა; ამავე დროს მათ ანათესავენთ პირად-ოჯახური და სამშობლოს ბედი. მაგრამ ჩვენი თანამემამულისაგან განსხვავებით ლეოპარდიმ ბევრი რამის შექმნა მოასწრო და მისი აღსასრულიც არ ყოფილა ისეთი ტრაგიკული, როგორც ბარათაშვილისა. იტალიელი რომანტიკოსის მხოლოდ რამდენიმე ლექსია დაბეჭდილი ქართულად.

„უმშვენიერეს ქმნილებათა რიცხვს, რაც კი შუასაუკუნეებიდან გადმოგვეცა, — განაგრძობს ჰესე, — ეკუთვნის ფრანგული, ინგლისური და გერმანული ქრისტიანული საგმირო საგები, ხოლო პირველ რიგში არტურ მეფისეული მრგვალი მაგიდის თქმულებები“.

ყველა ეს საერთოეუროპული თქმულება კელტების უძველეს წარსულშია ჩაფესვილი. მათ შორის მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია მეფე არტურის ლეგენდა, რომელმაც დროთა ვითარებაში თავისკენ მოიზიდა კიდევ უფრო წარმტაცი თქმულებები — წმინდა გრაალის თასისა და პარსიფა-

ლის თქმულება, ან ყველასათვის ცნობილი ტრისტან და იზოლდას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. შუასაუკუნეების მწერალთა შორის, რომელნიც ამ თქმულებებს ამუშავებდნენ, უნდა მოვიხსენიოთ ფრანგი კრეტიენ დე ტრუას, გერმანელი ჰარტმან ფონ აუეს და ვოლფრამ ფონ ესენბახის სახელები (მათ დროს იწერებოდა ჩვენში „ამირანდარეჯანიანის“ რომანი). მაგრამ ყველა თქმულებამ მოგვიანებით თავი მოიყარა ინგლისელი თომას მელორის თხზულებაში „არტურის სიკვდილი“. სწორედ ეს ითვლება კლასიკურ წიგნად და სამდენად სასურველია მისი თარგმნა.

„ნიბელუნგებისა“ და „გუდრუნის სიმღერის“ ხსენების შემდეგ (რომელნიც წარმოადგენენ გერმანული მოღვმის ხალხების ძირეული მითების კრებულს) ჰესე გვთავაზობს პროვანსალური ტრუბადურებისა და მათი გერმანელი მიმღევრების პოეზიას, რომლის მოტივებს ტიპოლოგიურად ანათესავებენ რუსთველური მიჯნურობის იდეალებთან.

„აქ ჩვენ მივადექით შუასაუკუნეების დასასრულს. ქრისტიანულ-ლათინური ლიტერატურისა და საგების დიდი წყაროს დაშრეტის შემდეგ ევროპაში წარმოიშვა რაღაც ახალი — ცალკეულმა ეროვნულმა ენებმა შეცვალეს ლათინური და მონაზვნურ-ანონიმური მწერლობის ნაცვლად დასაბამი მიეცა საერო და ინდივიდუალურ შემოქმედებას. ამ ხანის საფრანგეთში მარტოსულად და ველურად გამოჩნდა არაჩვეულებრივი პოეტი ფრ. ვიიონი, რომლის ბორგნეულ და შემამოფოთებელ პოეზიას ძნელად თუ მოეძებნება ტოლი“.

(ამ უკანასკნელ ხანს გამოჩნდა ვიიონის „მცირე ანდერძის“ დ. წერდლიანისეული ბრწყინვალე თარგმანი, რომლის ბადალი, ზემოთქმულისა არ იყოს, ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს მთარგმნელობით ლიტერატურაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასევე წარმატებით შესრულდება „დიდი ანდერძის“ თარგმანიც).

„რაც უფრო შორს შევალთ ფრანგული ლიტერატურის წიადში, მით უფრო ბევრ აუცილებელ რასმე ვნახავთ იქ ჩვენთვის. თუნდაც ერთი ტომი მონტენის ესეებისა უნდა გაგვაჩნდეს და მერე გარგანტიუა და პანტაგრიუელი რაბლესი, ფილისტერობის

მოძულე და იუმორის მოცინარე ოსტატისა, შემდეგ მარტოსული ღვთისმოსავისა და ასკეტი მოაზროვნის პასკალის ფიქრები“.

ესეისტიკის მამამთავრის, მიშელ მონტენის (1533—1592) არც ერთი ნაწარმოები არ თარგმნილა ქართულად (რუსულ ენაზე სამი მოზრდილი ტომია გამოქვეყნებული), რაც ჩვენი მთარგმნელობითი, და არა მხოლოდ მთარგმნელობითი, ლიტერატურის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ფრანსუა რაბლესა და ბლეზ პასკალს, ერთს დიდებულ მწერალს და მეორეს ღრმა და ტრაგიკულ მოაზროვნეს, რომელთაც ჰესე არაშემთხვევით იხსენიებს ერთმანეთის გვერდით, — ამ უკანასკნელ ხანს მათაც გამოუჩნდნენ ბრწყინვალე მთარგმნელები. „გარგანტიუა და პანტაგრიუელის“ გ. გოგიაშვილისეული თარგმანი იბეჭდება „მსოფლიო ბიბლიოთეკის“ სერიით (ერთი ნაწილი გამოქვეყნდა „საუნჯეში“ 1977 № 2); ბ. ბრეგვაძემ თარგმნა პასკალის „აზრების“ რჩეული (იხ. „საუნჯე“ 1976 № № 1—2) და ძალე ცალკე წიგნადაც გამოვა ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ.

უმდიდრესი ფრანგული ლიტერატურიდან ჰესე ჩამოთვლის მისი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანს, სადაც ცხადდება ნამდვილი ფრანგული სული. თითოეული მწერლის რამდენიმე შედევი თუ საკმარისია მის მიერ შემოთავაზებული პრივატული ბიბლიოთეკისათვის, მთელს მთარგმნელობითს ლიტერატურას უფრო მეტი მოეთხოვება. სწორედ აქ ჩანს ჩვენი ჩამორჩენილობა. არ მოგვეპოვება ქართულად არათუ ცალკე წიგნები ღრამატურების — კორნელის, რასინისა და მოლიერის თხზულებათა, არამედ მათი საერთო კრებულებაც კი (ამგვარი რამ დაგეგმილია „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში“). არაფერს ვამბობ ლაფონტენსა („იგავ-არაკები“) და ფენელონის („ტელემაქე“) შესახებ, რომელთა შემოქმედება დღეს შეიძლება არ აღძრავდეს რაიმე ინტერესს. ასევე ითქმის ალბათ ვოლტერის გამო, რომლის თხზულებათა უმრავლესობას აქტუალობა შეიძლება მხოლოდ დედანში შემორჩა, მაგრამ, როგორც ჰესე წერს, „ორი ტომი მისი ბრწყინვალე პროზისა უნდა გვეჩონდეს, უპირველეს ყოვლისა, „კანდიდი“ და „ზადიგი“ (სხვათა შორის სწორედ ეს ორი ნაწარმოებია თარგმნილი ქართულად და კიდევ რამდენიმე. მაგრამ ეს ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ-

ში აღრევე შემოაღწია თავის დროზე მოდურმა ვოლტერიანობამ).

შემდეგ ჰესე ერთად მოიხსენიებს ბომარშეს „ფიგაროს“, ყველასათვის ცნობილს, თუმცა უფრო მოცარტის წყალობით სახელგანთქმულს და ჟან-ჟაკ რუსოს „აღსარებას“, რომელიც განმარტებით იდგა ფრანგული რაციონალიზმის ეპოქაში და შემდგომი პერიოდის ლიტერატურას ახალი იმპულსებს აძლევდა. აქვე უნდა ვახსენოთ მისივე „ახალი ელოიზა“ და მასთან ერთად ის ძველი ავტორი, მისი შორეული თანამემამულე, რომლის შთაგონებითაც დაწერა მან ეს თხზულება — პიერ აბელიარი, თეოლოგი და მიჯნურობის მოშაირე — მისი „ისტორია ჩემთა საღმრთოთა“, ეპისტოლეთა კრებული, სადაც გაცხადებულია ელოიზასთან მისი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ჩვენის მხრივ ეს წიგნი უნდა შევიტანოთ მსოფლიო ბიბლიოთეკაში, როგორც უნიკალური დოკუმენტი, შუასაუკუნეებში მიჩქმალულ პიროვნულ განწყობილებათა ამსახველი.

ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი აბატ პრევოს „მანონ ლესკო“, მაგრამ უცნობია ლესაჟის „ჟილ ბლანი“, ავანტიურული რომანი. ამათ აწყვილებს ჰესე და განაგრძობს:

„შემდეგ მოდის ფრანგული რომანტიზმი და მისი მემკვიდრე დიდ რომანისტთა მთელი წყება: ასობით წიგნის სათაური შეიძლება დაასახელოს კაცმა! მაგრამ ვიკმაროთ მათ შორის ჰეშმარიტად განუმეორებელი და შეუცვლელი“.

მიუსეს, გოტიესა და მიურჟეს (Murger) გარდა, XIX საუკუნის ყველა დიდი რომანისტი თავისი შედეგებით არის წარმოდგენილი ქართულად, სწორედ იმ თხზულებებით, რომელთაც ჰესე განუმეორებლად თვლის: სტენდალის „პარმის სავანე“. ბალზაკის „მამა გორიო“, „შაგრენის ტყავი“ და „ოცდაათი წლის ქალი“ (ეს უკანასკნელი ჯერ არ თარგმნილა), პერიმეს ნოველები, ფლობერის „მადამ ბოვარის“ და „გრძნობათა აღზრდა“, ზოლას „ხაფანგი“ და „აბატ მიურჟეს შეცოდება“, მოპასანის რამდენიმე, „თუნდაც ავადმყოფური, მაგრამ მშვენიერი ნოველა“.

თითოეული ამათგანის შემოქმედება, ორიგინალის რამდენიმე ათეულ ტომს რომ მოიცავს, ქართულ ენაზე მხოლოდ თითო-ორჯერ ტომით არის წარმოდგენილი, ასე რომ ქართველ მკითხველს არჩევანის მინი-

მალური შესაძლებლობა აქვს (მაგალითისთვის, ბალზაკის ერთადერთი ტომი, ახლახან რომ გამოსცა „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკამ“, იტევს თითქმის ყველაფერს, რაც კი თდესმე თარგმნილა ქართულად, მაშინ როცა ამ მწერლის თხზულებები რუსულ ენაზე 24 ტომად არის გამოცემული. იგივე ითქმის სხვა მწერლების მიმართაც).

ჰესე აღარ ეხება ახალი დროის ანუ XX საუკუნის ფრანგულ მწერლობას თორემ, როგორც ამბობს, „ბევრი ღირსეული ნაწარმოების დასახელება მოუხდებოდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, — განაგრძობს იგი, — პოლ ვერლენის ლექსები, ეს უცინცხალესი და უნატიფესი ლექსები მთელს ფრანგულ პოეზიაში“. ვერლენი, ფრანგული პოეზია და საზოგადოდ პოეზია, მით უმეტეს უნატიფესი, შემოქმედების ისეთი სფეროა, სადაც იშვიათად თუ მოიპოვებს კანონის უფლებას ერთი ხელიდან გამომავალი თარგმანი. ამ ასპარეზზე ბევრმა ოსტატმა უნდა სცადოს ბედი, რათა ერთისგან შეუმჩნეველი ან გამოუხატველი ნიუანსი მეორემ გამოაჩინოს. ქართული ლექსის დახვეწილობის დღევანდელი დონე ამის საშუალებას იძლევა, მაგრამ აქ აუცილებელი პირობაა წარმატებისათვის პოეტთან სულიერი სიახლოვე (როგორსაც გრძნობდა გალაკტიონი — „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“ — და ამიტომაც მას ეკუთვნის, ჩემის ფიქრით, ამ პოეტის საუკეთესო თარგმანები, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, არა დედნიდან შესრულებული; თორმეტი მათგანი დაბეჭდილია გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-7 ტომში).

ინგლისური მწერლობის სათავეში ჰესე ჩოსერს აყენებს (თუმცა შეგვეძლო მასზე აღრე მოგვეხსენებინა ანგლოსაქსური საგმირო „ბეოულფი“), „პირველ ნამდვილ ინგლისელ პოეტს, რომელიც ნაწილობრივ ბოკაჩოსაგან იყო დავალებული, მაგრამ ახლებური ტონი მინიჭა სათქმელს“. ჩოსერის „კენტენბერიული მოთხრობების“ საუცხოო თარგმანი დაბეჭდა ალმანახმა „ხომლმა“, შემდეგ „საუნჯემ“ და, ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნა „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკამ“ 1977 წელს.

უშუალოდ ჩოსერის შემდეგ ჰესე ახსენებს შექსპირს, რომლის მიმართ ერთადერთ გამოჩაკლისს უშეგებს და მისი თხზულებათა სრული კრებული შეაქვს „ბიბლიოთეკაში“. თუმცა ჩვენ არც თუ უსაფუძვლო პრეტენ-

ზიები გვაქვს შექსპირის თარგმანისა (მაჩა-
ბელმა ურყევ ნიადაგზე დააყენა ეს საქმე)
და შესწავლის სფეროში (დროდადრო გა-
მოდის მეტად სასარგებლო კრებული „ქარ-
თული შექსპირიანა“), მაგრამ ჩვენს ბიბლი-
ოთეკას ჯერჯერობით აკლია სრული შექს-
პირი (თითქმის ნახევარი მისი შემოქმედე-
ბისა უთარგმნელია), თუმცა ზოგიერთი
მისი თხზულების რამდენიმე განსხვავებუ-
ლი თარგმანი არსებობს (სახელდობრ, „მე-
ფე ლირისა“ და სონეტების).

„დიდის მოწიწებით ლაპარაკობდნენ
ჩვენი მასწავლებლები, — განაგრძობს
ჰესე, — მილტონის და კარგულ
სამოთხეზე, მაგრამ თუ წაუკი-
თხავს ოდესმე ვინმე ჩვენგანს იგი?
არა. გაუმართლებელია ალბათ ჩვენი
უგულისყურობა მის მიმართ“.

ქართველ მკითხველს ვერ დავწამებთ
უგულისყურობას: ეს გრანდიოზული ეპო-
სი ორჯერ გამოვიდა ქართულად და ერთხე-
ლაც არ „ჩაწოლილა“.

„ჩესტერფილდის წერილები ვაჟი-
შვილისადმი თუმცა ვერ არის კეთილ-
ზნეობრივი წიგნი, მაგრამ მაინც უნდა
მივიღოთ იგი. გულივერის ავ-
ტორის, გენიალური ირლანდიელი
მწერლის, სვიფტის თხზულებათაგან
ყველაფერი უნდა ავიღოთ, რასაც კი
ვიშოვით. მისი დიდი გული, მისი
მწარე, გამონატანჯი იტმორი, მისი
ყველასაგან გამორჩეული გენიალო-
ბა უხვად ანაზღაურებს ავტორის
ახირებული ბუნების ყველა კაპ-
რიზს“.

ქართველი მკითხველი ჯერჯერობით იშოვ-
ის მხოლოდ განთქმულ „გულივერის
მოგზაურობას“, ბავშვობის ასაკიდანვე ყვე-
ლასათვის საყვარელ წიგნს. არანაკლებ
მნიშვნელოვანია „ზღაპარი კასრზე“ (რომ-
ლის გამოცემა „გულივერთან“ ერთად და-
გვემილია „მსოფლიო ლიტერატურის ბიბ-
ლიოთეკაში“).

„დანიელ დეფოს მრავალ თხზულებ-
ათა შორის ჩვენთვის მნიშვნელოვა-
ნია რობინზონ კრუსო და
აგრეთვე — მოლ ფლანდერს-
ის ისტორია, რომელიც სა-
თავეში უდგას ინგლისური კლასი-
კური რომანების დიდებულ წყებას“

„დანიელ დეფო ჩვენში საბავშვო მწერ-
ლად არის უპირატესად ცნობილი („რობინ-
ზონ კრუსოს“ ხასიათის გამო). მაგრამ
სრულიად სხვაა „მოლ ფლანდერსი“.

შემდეგ ჰესე ახსენებს ფილდინგის „ტომ
ჯონსს“ (შეტანილია ორ წიგნად „მსოფლიო
ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პროსპექ-
ტში) და სმოლეტის „პერეგრინ პიკლის
თავგადასავალს“, შემდეგ სტერნის ორ რომ-
ანს — „ტრისტრამ შენდის“ (აგრეთვე შე-
ტანილია „ბიბლიოთეკაში“) და „სენტიმენ-
ტალურ მოგზაურობას“, ნამდვილ ინგლი-
სური ყაიდის რომანებს, სადაც სენტიმენ-
ტალურობა შეზავებულია დახვეწილ
იუმორთან.

„რომანტიკული ბარდის, ოსიანის (იგივე
მაკფერსონი) სიმღერებიდან, — განაგრძობს
ჰესე, — საკმარისია ის, რაც გოეთეს „ვერ-
თერში“ გვხვდება (მაგრამ ქართველი მკი-
თხველისათვის ეს საკმარისი არ უნდა
იყოს). არ უნდა დავივიწყოთ შელისა და
კიტსის ლექსები, ლირიკის უმშვენიერესი
შედევრები, რაც კი ოდესმე შექმნილა“.
მაგრამ ჰესე ივიწყებს ვოდსვორთისა და
კოლრიჯის ღრმა მედიტაციურ პოეზიას
(რომლის თითო-ორი ნიმუში თუ და-
ბეჭდილა ქართულად); კოლრიჯის შემოქ-
მედებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვარ-
ჩიოთ კლასიკური პოემა „სობუცი მეზღვა-
ური“ (The Ancient Mariner) და „ლიტე-
რატურული ბიოგრაფია“ (Biographa Li-
teraria), რომელსაც მეტერლინკი ერთგან
პლატონის, პლოტინისა და დიონისე არეო-
პაგელის თხზულებათა გვერდით ახსენებს,
როგორც ერთ-ერთ ღრმა და ძნელად გასა-
გებ წიგნს.

„ბაირონის შემოქმედებიდან, თუმცა
მე ვეთაყვანები ამ რომანტიკულ ზე-
კაცს, უნდა ვიკმაროთ ერთი რომე-
ლიმე დიდი პოემა, უძკობესი იქნება
თუ ავიღებთ ჩ ა ი ლ დ-ჰ ა-
რ ო ლ დ ს“.

(ქართულად სწორედ ეს პოემა არ არის
თარგმნილი სრულად, თუმცა იგი შეტანი-
ლია „მსოფლიო ლიტერატურის“ პროს-
პექტში). ვალტერ სკოტის რომანებიდან
ჰესე გამოარჩევს „აივენჰოს“, სწორედ იმ
რომანს, რომლითაც ცნობილია ჩვენში ეს
ავტორი („მსოფლ. ლიტ. ბიბლ-ში“ შეტა-
ნილია „რობ როი“). შემდეგ ჰესე ახსე-
ნებს „ბედკრული“ დე კვინსის „ინგლი-
სელი ოპიუმის მწეველის აღსა-
რებას“, ავტობიოგრაფიულ წიგნს,
რომლითაც თავის ღრმზე დაინტერესებუ-
ლი იყო დოსტოევსკი.

„არ უნდა გამოვტოვოთ მაკოლეის
ესეები, ხოლო კარლაილის ნა-
წერებიდან უნდა ავიღოთ გ მ ი რ ე-

ბის გარდა კიდევ სართორ რესარტუს, როგორც ინგლისური მახვილსიტყვაობის ნიმუში“. (ეს ავტორები სრულიად უცნობნი არიან ქართულ მწერლობაში).

„შემდეგ მოდიან რომანის დიდი ვარსკვლავები: თეკერეი „ამაოების ბაზრობითა“ და „სნობების წიგნით“, და დიკენსი, თუმცა გულჩვილობისაკენ მიდრეკილი, მაგრამ ბრწყინვალე მთხრობელი, გულკეთილი და საზეიმო განწყობილების მწერალი, რომლის თხზულებებიდან „პიკვიკის კლუბი“ და „კოპერფილდი“ მაინც უნდა გვექონდეს. მის მიმდევართაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იმეჩვენება მერედითი, სახელდობრ, მისი „ეგოისტი“ და აგრეთვე „რიჩარდ ფევერელი“.

აქაც იგივე უნდა გავიძეოროთ, რაც ფრანგი რომანისტების გამო ვთქვით ზემოთ: ქართველ მკითხველს არჩევანის მინიმალური შესაძლებლობა აქვს. დიკენსის უმდიდრესი შემოქმედებიდან (რუსულად გამოცემულია 30 ტომი) მხოლოდ სამიოდე რომანია თარგმნილი, თეკერეი (რუსულად გამოდის თოთხმეტტომეული) ერთადერთი რომანით არის წარმოდგენილი.

ინგლისურ მწერლობას ჰესე ასრულებს „უმეტესწილად უთარგმნადი“ პოეტიკით, სვინბორნითა და ჩვენში კარგად ცნობილი ოსკარ უაილდით („დორიან გრეის პორტრეტი“ და ზოგიერთი ესე). ხოლო ამერიკული ლიტერატურიდან გამოარჩევს ედგარ პოს (რომლის არათუ ლექსთა, არამედ ნოველების მცირე კრებულებაც არ მოგვეპოვება) და უოტ უიტმენს, „ვაჟკაცურ და მღელვარე პოეტს“. ჩვენის მხრივ უნდა დავუმატოთ რაღაც უაღრეს ემერსონის ესეების წიგნი და ჰენრი თოროს „უოლდენი ანუ ცხოვრება ტყეში“.

ესპანურ ლიტერატურას ჰესე სერვანტესით იწყებს, რომლის თხზულებათა ოთხი ტომია გამოცემული ქართულად. მაგრამ, ალბათ, დასაბამიდან უნდა დავიწყოთ, — ვგულისხმობ „სიმღერას ჩემს სიდზე“, ესპანურ ნაციონალურ ეპოსს რეკონკისტის გმირზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ეპოსში იგივე სული ტრიალებს, რაც არაბობის ხანის საქართველოში უნდა ვიგულოთ, თუმცა მსგავსი ძეგლი ჩვენ არ მოგვეპოვება. მიუხედავად

გაათრებული რეკონკისტისა და ისლამის მიმართ ბედგარი წინააღმდეგობისა, ესპანურ კულტურაზე ძლიერი დალი დაამჩნია არაბობამ, რამაც სხვა მიზნებთან ერთად განაპირობა ალბათ ამ ევროპული ქვეყნის თავისებური სახე. ამავე დროს იბერიის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ე. წ. არაბულ-ესპანური (ანდალუსური) პოეზია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ტრუბადურების პოეზიაზე, და იგი სწორედ აქ უნდა მოვიხსენიოთ, როგორც ნიმუში ნამყენი ნერგისა, ბრწყინვალედ რომ გაიხარა ესპანეთის მიწაზე. აქ დავასახელებ მის უდიდეს წარმომადგენელს, ანდალუსიელ იბნ-ზაიდუნს და მიჯნურობის თეორეტიკოსს იბნ-ხაზმს, სახელდობრ მის ცნობილ წიგნს „მტრედის ყელსაბამი“.

„განთქმულ ესპანურ ავანტურისტულ რომანთაგან, გულადი ყილ ბლახის წინაპრად რომ ითვლებიან, ერთი რომელიმე მაინც უხდა გვექონდეს. ძნელია არჩევანი, მაგრამ მე ჩემდა თავად ავირჩევდი კეველო ი ვილიეგასის თვალთმაქც პაბლო სეგოვიას. ესპანელი დრამატურგებიდან, დიდებულ და კეთილშობილ წყებას რომ ქმნიან, ერთადერთი აუცილებელი კალდერონი უნდა იყოს; ბაროკოს ხანის უდიდესი პოეტი, ნახევრად საერო-პომპეზური და ნახევრად სულიერ-დამრიგებლური სცენების ჯადოქარი“.

ჩვენ უნდა დავუმატოთ არანაკლებ მნიშვნელოვანი ლოპე დე ვეგა და მისი მეგობარი და მოწაფე ტირსო დე მოლინა („მსოფლ. ლიტ. ბიბ.-ში“ დავეგვილია ესპანური დრამა, სადაც, ალბათ, წარმოდგენილი იქნება ამ სამი დრამატურგის შემოქმედება). მაგრამ ეს ხომ ძალზე მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი, ნაწილია ესპანური მწერლობისა, რომელიც ჩვენში არასაკმარისად არის ცნობილი. ჰესე ამ ბროშურაში განზრახ არ ეხება XX საუკუნის მწერლობას, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვახსენოთ მეტად ორიგინალური მწერალი და მოაზროვნე მიგელ დე უნამუნო, წარმოშობით ბასკი, და ბლასკო იბანიესი, რომლის თხზულებანი 16 ტომად გამოვიდა რევოლუციამდელ რუსეთში.

რაც შეეხება პორტუგალიას, ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისათვის იგი ნამდვილი ტერრა ინკოგნიტაა. აქ უნდა დავასახელოთ ეროვნული ეპოსი რენესანსის ხანისა, კამოენსის ცნობილი „ლუსიდა“.

ალბათ იმის გამო, რომ ერთ დროს ნიდერლანდების მხარე ესპანეთს ეჭირა, ჰესე ამ ქვეყნების ლიტერატურაზე გადადის უშუალოდ და პირველ რიგში ასახელებს შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელს“, დონ კიხოტის გვიანდელ ძმას, ფლანდრიელთა ეროვნულ ეპოსს (რომელიც ქართულად უკვე თარგმნილია სრულად და ბრწყინვალედ) და მულტატულის მთავარ წიგნს „მაქს ჰაველარს“; თუმცა ქართულად ეს მთავარი წიგნიც არ არის თარგმნილი, მაგრამ ამ მწერალზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად უნდა დავუმატოთ არანაკლებ საინტერესო ავტობიოგრაფიული რომანი „ვალტერ პეტერსენის თავგადასავალი“.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ დიდი ფლანდრიელი, თუმცა ფრანგ მწერლად ცნობილი მორის მეტერლინკი, რომლის თხზულებათა უთარგმნელობა ყოველად გაუძარტლებელია. რამდენადაც ვიცი, მისი დრამებიდან მხოლოდ „ლურჯი ფრინველია“ თარგმნილი. მაგრამ არც ერთ მხატვრულ შედეგს არ ჩამოუვარდება მისი საოცარი წიგნი, პროფესიული ცოდნით დაწერილი „ფუტკრების ცხოვრება“, სადაც ნაღვლიანი პარალელებია გატარებული კაცობრიულ საზოგადოებასთან, და ბრწყინვალე ესეების კრებული „თვინიერთა საუნჯე“ (Le trésor des humbles).

კვლავ ალბათ იმის გამო, რომ ნიდერლანდებთან, ასევე ესპანეთთან განსაკუთრებით იყო დაკავშირებული ამ ხალხის ბედი, ჰესე შუასაუკუნეების ებრაელ პოეტებზე გადადის, რომელთა უმრავლესობა სწორედ ესპანეთში მოღვაწეობდა.

„ებრაელებმა, ამ ფართოდ გაფანტულმა ხალხმა, მრავალ ადგილას და მსოფლიოს მრავალ ენაზე დატოვა თავისი მხატვრული ნაღვაწი, რომელთაგან ზოგიერთი მაინც არ უნდა იქნეს დავიწყებული. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ესპანელი ებრაელი პოეტის, იეჰუდა ჰალევის ლექსები და ჰიმნები. ხასიდისტ ებრაელთა მშვენიერ ლეგენდებს ვიპოვიოთ მარტინ ბუბერისეულ კლასიკურ თარგმანებში ბაალშემ და დიდი მაგგიდა“ (Maggidah).

ამ უკანასკნელზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იეჰუდა ჰალევისთან ერთად მოვიხსენიებთ სხვებსაც, აგრეთვე ესპანელთ—იბნ გაბიროლს, როგორც მას უწოდებენ: „ებრაელთა პოეზიის მეფეს“, პოეტსა და ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსს; მოშე იბნ-

ეზრას, რომელსაც თითქოს ირუსთაველი ახსენებდეს ცნობილ სტროფში („ბრძენი ეზროს“) და იტალიელ იმანუელ რომაელს (ჰა-რომი), რომელსაც ებრაულ პოეზიაში სონეტი შემოუღია და დანტეს მაგალითით (ფიქრობენ, თითქოს კიდევ მეგობრობდა მასთან) შეუთხზავს წარმოსახვითი მოგზაურობა საიქიოში, მაგრამ დანტესაგან განსხვავებით სამოთხე ყველა ხალხის ღირსეული ადამიანებით დაუსახლებია. არაბების მსგავსად ებრაელებმაც ჰპოვეს ესპანეთში მეორე სამშობლო: ბიბლიიდან ამოზრდილმა მათმა პოეზიამ შესანიშნავად იხარა ახალ მერიდიანზე და ახლებურად აჟღერდა. ოთხივე შემოჩამოთვლილი პოეტის ლექსთა ნიმუშების ვირტუოზულ თარგმანებს უკვე გაეცნო ქართველი მკითხველი და, იმედია ცალკე წიგნადაც დაიბეჭდება.

„ნორდული სამყაროდან უნდა ავიღოთ უფროსი ედა, ძმები გრიმების მიერ ნათარგმნი და ერთერთი ისლანდიური საგათაგანი, თუნდაც ეგილის საგა; ახალი სკანდინავური ლიტერატურიდან შევარჩევთ ანდერსენის ზღაპრებს და იაკობსენის მოთხრობებს, იბსენის მთავარ დრამებს და სტრინდბერგის რამდენიმე ტომს, თუმცა, შესაძლოა, ამ ორმა უკანასკნელმა ვერ შეინარჩუნოს მომავალში ის მნიშვნელობა, ადრე რომ ჰქონდათ“.

ჰესეს ეს განცხადება, იბსენის მიმართ მაინც, არ უნდა მივიჩნიოთ მართებულად. იბსენი თავის დრამებში ადამიანის სულის იმგვარ სიღრმეებსა და კავშირებს ამხელს, რომელთა აქტუალობა შეუძლებელია ოდესმე გაუქმდეს, თუ არ ვიფიქრეთ, რომ მომავალში ადამიანის შიდა ბუნებას რაიმე რადიკალური ცვლილება მოეღის. ამავე დროს, ძნელია ითქვას, რომელია მთავარი მის დრამათაგან, უნდა გვქონდეს სრული იბსენი, „ბრანდიდან“ დრამატიულ ეპილოგამდე „როცა ჩვენ, მკვდრები, გავიღვიძებთ“.

ჰესემ აქ წარმოგვიდგინა ოთხივე სკანდინავიური ქვეყანა — ისლანდია, დანია, ნორვეგია და შვედეთი, რომელთაც საერთო წარსული აქვთ და ამიტომაც მათი სიტყვიერი შემოქმედების ფესვიც ერთია. შვედური ლიტერატურიდან უნდა დავუმატოთ ისაია ტეგნერის „ფრიტიოფის საგა“, თუმცა ისლანდიური საგების საფუძველზე შექმნილი, მაგრამ აწ უკვე შვედური ეროვნ-

ნული სულით გამსჭვალული. შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ სკანდინავიური რომანის ვარსკვლავები — შვედი ქალი მწერალი სელმა ლაგერლეფი, ნორვეგიელი კნუდ ჰამსტუნი და დანიელი ჰენრიკ პონტოპიდანი (სამივე ნობელის პრემიის ლაურეატი).

ამის შემდეგ ჰესე რუსულ მწერლობაზე გადადის. რაკი, მისი თქმით, პუშკინი, „რუსული ენის დიდი კლასიკოსი, უთარგმნად პოეტთა რიცხვს ეკუთვნის“, იგი გოგოლით იწყებს („მკვდარი სულები“ და მცირე მოთხრობები), მას მოჰყვება ტურგენევი („მამები და შვილები“), გონჩაროვი („ობლომოვი“). „ტოლსტოის შემოქმედებიდან, რომლის დიდი ხელოვნება ზოგჯერ მისი ქადაგებებისა და რეფორმისტულ ძიებათა პრობლემატიკით იჩრდილება ხოლმე, აუცილებელია ჩვენთვის ომი და მშვიდობა (აღბათ საუკეთესო რუსული რომანი) და ანა კარენინა; არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე მისი ხალხური მოთხრობები“. დოსტოევსკის თხზულებებიდან ჰესე შეარჩევს კარამაზოვებს, რასკოლნიკოვს და იდიოტს.

ჩვენთვის რუსი ავტორების სია უფრო ვრცელი იქნება, მაგრამ რუსული ლიტერატურა საგანგებო მიმოხილვას მოითხოვს და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

შემდეგ ჰესე განაგრძობს:

„ჩვენ უკვე გადავავლეთ თვალი ბევრი ხალხის მწერლობას, მოყოლებულს ჩინეთიდან ვიდრე რუსეთამდე, ადრეული შუასაუკუნეებიდან ვიდრე თანადროულობამდე და ბევრი მნიშვნელოვანი რამ ვპოვეთ. მაგრამ ჯერ არ გვიხსენებია საკუთრივ ჩვენი უდიდესი განძი, ჩვენი მშობლიური გერმანული მწერლობა. მხოლოდ ნიბელუნგებსა და გვიანი შუასაუკუნეების თხზულებებს შევეხეთ გაკვრით. ახლა კი ჩვენი სურვილია, სიყვარულით მივუბრუნდეთ ამ სამყაროს, ჩვენს გერმანულ ლიტერატურას, დაახ. 1500 წლიდან დაწყებულს და ის გამოვარჩიოთ მისგან, რაც ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის და ღვიძლად მიგვაჩნია“.

ჰესე მარტინ ლუთერით იწყებს თავისი მშობლიური ლიტერატურის მიმოხილვას და პირველ რიგში ამ დიდი რელიგიური მოღვაწის მთავარ შრომას, გერმანულ ბიბლიას ახსენებს, სწორედ გერმანულს, რადგან გერმანიაში, ისევე, როგორც

ბევრ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, ამ წიგნმა დასაბამი დაუდო სამწერლო ენას, იმპულსი მისცა ორიგინალურ მწერლობას და მშობლიურ წიგნად იქცა. აქ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ლუთერისეული ბიბლიის ენობრივი ძალმოსილებისა და მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა წარსულში, გერმანელებმა საჭიროდ ჩათვალეს ხელახლა ეთარგმნათ ბიბლია, ამჯერად არა ბერძნულ-ლათინურიდან, არამედ უშუალოდ დედნიდან. ამის თაობაზე ბროშურის სხვა ადგილას ჰესე ამგვარ რასმე წერს: „ნამდვილად კლასიკურ თარგმანთა რიცხვი არც ისე დიდია; ამ რიცხვს ეკუთვნის ისეთი შრომები, როგორცაა მარტინ ლუთერის გერმანული ბიბლია ან შლეგელისა და ტიკისეული გერმანული შექსპირი; ამ დიდოსტატური თარგმანების წყალობით ჩვენმა ერმა შეითვისა უცხო ენის ღირებულებანი დიდი ხნის წიად, მაგრამ არა მარადიულად! ეს „დიდი ხანი“, ერთხელაც იქნება, ხომ დასრულდება და, მაგალითისთვის, ლუთერის ბიბლია უმეტესწილად გაუგებარი გახდება ჩვენთვის, თუ რომ კვლავ და კვლავ არ გადახალისდა ენობრივად და დროს არ მიესადაგა. უკანასკნელ დროს გამოჩნდა სრულიად ახალი ბიბლია, მარტინ ბუბერის ხელმძღვანელობით ნათარგმნი, მაგრამ მათში ჩვენ უკვე ვეღარ ვცნობილობთ ჩვენი ბავშვობის დროინდელ წიგნს, იმდენად შეცვლილია მისი სახე. ლუთერისეული ბიბლიის გერმანული უშუალოდ ებჯინება სიძველის იმ საზღვარს, სადამდისაც შეეძლო მიედწია ჩვენს ენას. გერმანული ენა 1500 წლის ხანისა დღევანდელი გერმანულის მიმართ უცხო შეიქნა“.

ამ მხრივ გერმანული ენა გამონაკლისი არაა; ასევე დროდადრო ხალისდებოდა მე-16 ს.-ში ნათარგმნი შვედური ბიბლიის ტექსტი, ხოლო ინგლისურ ენაზე დღესდღეობით ორი ახალი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თარგმანი არსებობს. გამონაკლისი არც ქართული ენა უნდა იყოს, რომლის სიძველის მიჯნა კიდევ უფრო შორ საუკუნეებში ძევს. ამიტომ აუცილებელია ბიბლიის წიგნების ხელახლა თარგმნა ქართულად, ამჯერად არა ბერძნულიდან, როგორც ჩვენი ძველები იქცეოდნენ, არამედ უშუალოდ ებრაულიდან, ბიბლიოლოგიისა და ებრაისტიკის უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით (ბიბლიის რამდენიმე წიგნის ახალი რუსული თარგმანი დაიბეჭდა ორასტომიანი „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პირველ ტომში „ძვე-

ლი აღმოსავლეთის პოეზია და პროზა“, სახელდობრ — წარღვნის ეპიზოდი, რუთის წიგნი, იობის წიგნი, ქებათა ქება, ეკლესიასტე).

ლუთერის მრავალრიცხოვან ორიგინალურ თხზულებათაგან ჰესეს „ბიბლიოთეკისთვის“ სასურველად მიაჩნია სახალხო პროკლამაციები (Flugschriften) და სატრაპეზო ქადაგებანი (Tischreden), სადაც გაცხადებულია რეფორმაციის სული და გერმანელი კაცისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არც სხვა ერის მკითხველისათვის უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

„კონტრრეფორმაციის ხანაში, — განაგრძობს ჰესე, — ბრესლაუში გამოჩნდა ღირსშესანიშნავი კაცი და პოეტი, რომლის შემოქმედებიდან მხოლოდ ლექსების ერთი მომცრო წიგნით დავკმაყოფილდებით, მაგრამ იგი ეკუთვნის გერმანული რელიგიური პოეზიის გაფურჩქვნის ხანას, — ეს არის ანგელუს სილესიუსის (Silesius) ქერუბიმული მოგზაურობა“.

მე-17 ს.-ის ამ პოეტის ერთი ლექსი, რომლის მოტივი რილკეს შემოქმედებაშიც გაისმის, ორმოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონში“ (1924 № 3—4, კ. გამსახურდიას თარგმანი). უკანასკნელ ხანებში აწ განსვენებული ოთარ ჯინორია წარმატებით თარგმნიდა ანგელუს სილესიუსს; მცირე ნაწილი გამოქვეყნდა კიდევ (იხ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 177, ლიტერატურათმცოდნეობა, 1976).

რაკი გერმანულ მისტიკამდე მივედით, მისი დასაბამისკენ გავბრუნდეთ უკან და ვნახოთ რას წერს ჰესე ამის თაობაზე: „შუასაუკუნეებში ჩემი სულიერი მოგზაურობისას რამდენიმე წიგნი ვპოვე, რომელნიც ვერ შევიღწენ ჩვენს იდეალურ ბიბლიოთეკაში, თუმცა ძალზე ძვირფასად კი მიმაჩნია ისინი. მაგრამ იმგვარნიც ვპოვე, რომელთა ჩარიცხვა ჩვენს სიაში ღირსად მიმაჩნია; ესენია ტაულერის ქადაგებანი, ზუზოს ცხოვრება და ეკჰარტიის ქადაგებანი“. სამივენი მე-14 ს.-ს ეკუთვნიან და აგრეთვე დიდი როლი შეუსრულებიათ გერმანული აზროვნებისა და ენის ფორმირებაში.

ბუნებრივია, რომ თავისი მშობლიური ლიტერატურის მიმოხილვისას ჰესე გაცილებით მეტ სახელებს ჩამოთვლის, რომელ-

თაგან ზოგი შეიძლება მხოლოდ გერმანისტებისთვის იყოს ცნობილი და არ ჰქონდეთ ის საკაცობრიო მნიშვნელობა, როგორც საყოველთაოდ აღიარებულ მწერლებს გააჩნიათ და გერმანულ მწერლობას განუთქვამენ სახელს. შესაძლოა, ბევრი მათგანის თარგმნა ჩვენს პირობებში (თუ გავითვალისწინებთ მთარგმნელობით ტემპებს ჩვენში) ფუფუნებაც იყოს, მაგრამ არ შეიძლება არ დავასახელოთ გრიმელ ჰაუზენის სატირული რომანი XVII საუკუნის გერმანულ ყოფაზე — „სიმპლიცისს იმუსი“. ქრისტიათა როტიერის პაროდული თხზულება „შელმუფსკი“, ბარონ მიუნჰაუზენის წინაპარი. რომ არაფერი ვთქვათ ჟან-პოლის, ნოვალისის, ჰოფმანისა და კლაისტის თხზულებებზე, რომელნიც სრულიად ხელუხლებელნია ქართველ მთარგმნელთაგან, ჩვენ არ მოგვეპოვება გოეთეს „ფაუსტის“ ოდნავად ძაინც დამაკმაყოფილებელი თარგმანი („მსოფ. ლიტ. ბიბლ.-ში“ შეტანილია „ფაუსტი“, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ დღემდე არსებული თარგმანი დაიბეჭდება, რომელიც შორეულ წარმოდგენასაც ვერ ქმნის ამ გენიალურ პოემაზე). სასიხარულოა, რომ გამოჩნდა ახალი თარგმანები, რომელნიც „მნათობსა“ და „ცისკარში“ დაიბეჭდა ამ უკანასკნელ წლებში. ხოლო რაც შეეხება გოეთეს პროზაულ ნაწერებს, განსაკუთრებით ვილჰელმ მაისტერის ეპოპეას, პოეზიას და სინამდვილეს, აგრეთვე ეკერმანთან საუბრებს, სულიერი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან დოკუმენტს, — მათი არარსებობა ქართულ ენაზე სრულიად მიუტევებელი ხარვეზია ჩვენს კულტურაში. შედარებით უკეთ იცნობს ქართველი მკითხველი შილერისა (უფრო მის დრამებს, ხოლო სრულიად უცნობია ფილოსოფიური და ესთეტიკური შრომები) და ჰაინეს შემოქმედებას.

უკანასკნელი მწერალი, რომლის ხსენებითაც ჰესე დაასრულებს გერმანული ლიტერატურის მიმოხილვას, ვილჰელმ რააბეა („აბუ ტულფან“ და „შავი ჭირის ფორანი“). „მაგრამ არამც და არამც, — დასძენს იგი, — ამით არ უნდა დავასრულოთ, არ უნდა გამოვრიცხოთ ჩვენი თანამედროვე მწერლობა, ადგილი უნდა მივუჩინოთ მას ჩვენს ფიქრებსა და ბიბლიოთეკაში, თუმცა ეს უკვე აღარ ეხება ჩვენს თემას. ყველაფერ იმას, რაც დღევანდელ მწერლობას შეადგენს, ჩვენი დრო ვერ

განსჯის, იგი მომავალმა თაობებმა უნდა განსაჯონ“.

თანადროულ ლიტერატურას თუმცა უდადესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ ხშირად არის საცთური, რომ მისი მნიშვნელობა აბსოლუტურად იქნეს მიჩნეული. ჩვენს გონებაში „ახლის“ საპირისპიროდ ჩნდება ცნებები „მოძველებული“, „დრომოკმეული“, თვით ისეთ შემოქმედთა მიმართაც, რომელთა თხზულებებმა საუკუნეებს გაუძლეს. ეს იმის გამოც ხდება, რომ ისინი არ გვესაუბრებიან ჩვენს ყოფით ენაზე და ჩვენც ნაკლებად გცდილობთ სიმბოლური მნიშვნელობა მიცანიჭოთ მათ ნათბარს. ჩვენ განაჩენს გამოვუტანთ არა მხოლოდ წარსულს, არამედ ჩვენს თანადროულობასაც, თუკი მას წარმაგალი ყოფითობის ჯაჭვზე დავაბამთ და წარსულიდან მომავალ უწყვეტ ნაკადს გზას ჩავუყვებთ. ამგვარი თვალსაზრისი ან განწყობილება სრულიად ეწინააღმდეგება ხელოვნების დანიშნულებას, წარმავლობის დასაძლევად რომ არის მოხმობილი. თუ ხელოვნება მაცოცხლებელი ფაქტორია, მისი ქეშმარიტი გამოვლინებანაც მარადიული სიცოცხლის ნიშნით უნდა იყოს აღბეჭდილი. ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი აწმყო; როგორც გონიერი და მეხსიერი არსება, ადამიანი პოტენციურად ყველა ეპოქაში ცხოვრობს, ეს მისი არსებითი თვისებაა და ამით იგი ადასტურებს კაცობრიული კულტურის ორგანულ ერთიანობას. ამასთან დაკავშირებით აქ უნდა მოვიტანოთ გამოჩენილი ამერიკელი პოეტის, თ. ს. ელიოტის სიტყვები, და მათში უფრო ფართო აზრი ჩავდოთ, ვიდრე თავად ავტორი გულისხმობს: „ისტორიის შეგრძნება გულისხმობს წარსულის აღქმას არა მხოლოდ წარსულად, არამედ აწმყოდაც; ისტორიის შეგრძნების მქონე ადამიანი წერს არა მხოლოდ საკუთარი თაობის პოზიციებიდან გამომდინარე, არამედ ისე, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა ჰომერო-

სიდან დღემდე და მისი ქვეყნის ლიტერატურა ერთდროულად არსებობენ. ეს ისტორიის შეგრძნება, რომელიც იმდენადვეა უყამობის შეგრძნება, რომდენადაც ჟამიერებისა, ანიჭებს მწერალს ტრადიციულობას. იგივე აძლევს მწერალს უხარს, რათა უკიდურესად ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილი დროში, თავის საკუთარ თანადროულობაში“.

მწერლის მიმართ ნათქვამი ეს სიტყვები თანაბრად მიეწერება როგორც წიგნის მკითხველს (ჩვენს კერძო შემთხვევაში), ასევე საერთოდ ადამიანს, ჰესეს გაგებით ჩამოყალიბებულს, ვისაც კი სურს „განსაზღვროს თავისი ადგილი დროში, თავის საკუთარ თანადროულობაში“. ეგვე ითქმის უფრო ფართო მასშტაბით ყოველი თანადროული მწერლობის მიმართ.

ამავე დროს აქ ჩნდება სხვა ასპექტიც იმისათვის, რომ რომელიმე მწერლობამ თავი დაადწიოს პროვინციალიზმს და მსოფლიო ასპარეზზე გავიდეს, — მან თავის ენაზე უნდა ათავისოს ის უდიდესი მონაპოვარი, ძველი და ახალი, რასაც კლასიკურის სახელი აქვს დამკვიდრებული. თუ რომელიმე მწერლობა მსოფლიო მწერლობის საერთო ცნებაში ერთიანდება, ეს იმის წყალობითაც ხდება, რომ მას გამშობლიურებული აქვს უცხო მწერლობათა ნიმუშები. შესაძლოა, ამან მეტოქეობა გაუწიოს ორიგინალს და თავზე მოახვიოს თავის გავლენა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საშიში. მხოლოდ მეტოქეობა და ცხოველმყოფელი გავლენა დაბადებს სურვილს და მერე, რაც მთავარია, უნარსაც უკეთესის შექმნისა. ერთადერთი გზა მსოფლიო მწერლობის ათვისებისა მისი მაღალმხატვრული თარგმნაა (დედანში კითხვა კერძო კაცის პირადი საქმეა); მნიშვნელოვან თხზულებათა თარგმნა ქართული ენის ან სრულიად ახალ, ან დღესდღეობით დაფარულ შესაძლებლობებს გამოავლენს.



ლიტერატურно-художественный
альманах

(на грузинском языке)

1978

№ 2

Главная редакционная коллегия
художественного перевода и литературных
взаимосвязей

Тбилиси, ул. Шалва Дадiani, 2.

გადაეცა წარმოებას 5/II-78 წ. ხელმოწერილია დი-
საბეჭდად 6/III 78-წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.88 ნაბეჭდი
თაბახი 21. ტირაჟი 10.000 შეკვ. № 233.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქერიძე
მხატვარი ავთანდილ ვარტაბაძე
ტექნიკური რედაქტორი იმედი იმედიანი



საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლი-
გრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объеди-
нения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.